



სამართლის კულტურა

LEGAL CULTURE

2026, №1 (2)

WWW.LEGALCULTURE.GE

ISSN 3088-4365

E-ISSN 3088-4357



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

სამართლის კულტურა

LEGAL CULTURE

ISSN 3088-4365

E ISSN 3088-4357

DOI: <https://doi.org/10.65454/lc>

№ 1 (2)

თებერვალი, 2026

FEBRUARY, 2026



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

სარედაქციო კოლეგია
EDITORIAL BOARD

რედაქტორი
EDITOR

რევაზ ნადარაია
REVAZ NADARAIA

ბეკა ქანთარია
BEKA KANTARIA

ევა გოცირიძე
EVA GOTSIRIDZE

გიორგი თევდორაშვილი
GIORGI TEVDORASHVILI

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი
KETEVAN MTSCHEDLISHVILI-HEDRICH

ბერტრან მათიე
BERTRAND MATHIE (FRANCE)

მიხეილ ბრენერი
MIKHAIL BRENNER (GERMANY)

ჯეისონ დესანტო
JASON DESANTO (USA)

კლაუს კრესი
KLAUS KRESS (GERMANY)

WWW.LEGALCULTURE.GE
JCL@CONSTCOURT.GE

ქურნალის მეორე გამოცემა ეძვნება
საქართველოს პირველი კონსტიტუციის
105 წლის იუბილეს!



სარჩევი
CONTENTS

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის სიტყვა საქართველოს 1921 წლის
კონსტიტუციის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით 8
ADDRESS BY THE PRESIDENT OF THE
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON
THE OCCASION OF THE 105TH ANNIVERSARY
OF THE 1921 CONSTITUTION OF GEORGIA 10

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის სიტყვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის
კონსტიტუციის მიღების 30 წლის
იუბილესთან დაკავშირებით 12
SPEECH OF THE PRESIDENT OF THE CONSTITUTIONAL
COURT OF GEORGIA ON THE OCCASION OF THE
30TH ANNIVERSARY OF THE ADOPTION OF THE CONSTITUTION
OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN 17

აკადემიური კვლევები
ACADEMIC RESEARCH

ლევან იზორია
კონსტიტუციური განწყობა
LEVAN IZORIA
CONSTITUTIONAL MINDSET24

ეკა ხუციშვილი, ნინო გვენეტაძე
სახის ამომცნობი ტემპოლოგიები საქართველოს
სისხლის სამართლის პროცესში - ხელოვნური
ინტელექტი, „შავი ყუთი“ და სამართლიანი
სასამართლოს უფლება

EKA KHUTSISHVILI, NINO GVENETADZE
FACIAL RECOGNITION TECHNOLOGIES IN
GEORGIAN CRIMINAL PROCEDURE - ARTIFICIAL
INTELLIGENCE, THE 'BLACK BOX' AND
THE RIGHT TO A FAIR TRIAL51

თამარ ხომასურიძე, ნიკა ხორავა
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
მიღების პროცესში ხელშეწყობის ინტელექტუალური
გამოყენების პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტები

TAMAR KHOMASURIDZE, NIKA KHORAVA
THE PRACTICAL AND LEGAL ASPECTS OF THE
USE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN THE
DECISION-MAKING PROCESS OF THE
CONSTITUTIONAL COURT77

გიგა გორჯელაძე
მონოღობა სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის
ძალადობით შეცვლისკენ ან დამსობისკენ: კავშირი
გამოხატვის თავისუფლებასა და დანაშაულს შორის

GIGA GORJELADZE
INCITEMENT TO OVERTHROW THE
CONSTITUTIONAL ORDER OF THE STATE
BY FORCE: THE LINK BETWEEN FREEDOM
OF EXPRESSION AND CRIME103

შოთა მშენიარაძე
საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის
სამართლებრივი ტრანსფორმაცია: კორპორაციითა
სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება
ორგანიზაციის საინვესტიციო შეთანხმებებში

SHOTA MSHVENIERADZE

LEGAL TRANSFORMATION OF GEORGIA’S INVESTMENT
POLICY: ENHANCING CORPORATE SOCIAL
RESPONSIBILITY IN BILATERAL
INVESTMENT AGREEMENTS117

ილია ხუციშვილი

დნმ-ის ნიმუშის აღებისა და გამოყენების სამართლებრივი
დილემები საბაზოპიკაო პრაქტიკაში

ILIA KHUTSISHVILI

LEGAL DILEMMAS IN DNA SAMPLE COLLECTION AND USE
IN INVESTIGATIVE PRACTICE147

**კონსტიტუციონალიზმის სილუეტები
SILHOUETTES OF CONSTITUTIONALISM**

საკონსტიტუციო კონტროლის ანარეკლები
XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში
REFLECTIONS OF CONSTITUTIONAL REVIEW IN
19TH CENTURY GEORGIAN PUBLICISTICS174

MONUMENTA IURIS

ესპანეთის მონარქიის 1812 წლის
19 მარტის კონსტიტუცია
THE CONSTITUTION OF THE SPANISH
MONARCHY OF MARCH 19, 1812182

IURISPERITUS

კლემენს იაბლონერი

კონსტიტუციის განვითარება 1920 წელს

და ჰანს კელზენი

CLEMENS JABLONER

DEVELOPMENT OF THE CONSTITUTION IN 1920

AND HANS KELSEN205

პირველი ქართული კონსტიტუცია

ეროვნული კულტურის შენახვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, გილოცავთ საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღს – საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების 105 წლის იუბილეს!

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს სახელმწიფოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური აქტი - პირველი კონსტიტუცია მიიღო.

კონსტიტუცია შექმნეს ქართველმა იურისტებმა და პოლიტიკოსებმა უცხოელთა ჩართულობის გარეშე, რაც საკონსტიტუციო თვითშემოქმედების პროცესში ეროვნული სამართლებრივი ინტელექტუალიზმის სიმნიშვნეზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი კონსტიტუცია არ ამკვიდრებს საკონსტიტუციო კონტროლის არცერთ მოდელს, ის მკაფიოდ ადგენს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს, რაც განპირობებული იყო იმ ეპოქაში აღიარებული დოქტრინით – პარლამენტის უზენაესობის კონცეპტით, რომლის მიხედვით, კონსტიტუციის ნორმატიული პრიმატი სასამართლო კონტროლის მექანიზმის გარეშე უნდა არსებულებოდა. კონსტიტუციის ამ ნორმას სახელგანთქმულმა გერმანელმა იურისტმა პეტერ ჰებერლემ თავის ერთ-ერთ ნაშრომში „სენსაციური დებულება“ უწოდა.

პირველმა კონსტიტუციამ საქართველოს უახლეს ისტორიაში ღირებულებითი ორიენტირისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. მან მყარი საფუძველი შეუქმნა სახელმწიფოებრივ ცნობიერებასა და აზროვნებას, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციური კულტურის განვითარებას.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პერიოდში, ყველა ძირითად სამართლებრივ აქტში, გაცხადებულია საქართველოს პირველი კონსტიტუციის ღირებულებითი და ნორმატიული მნიშვნელობა. ამ ყველაფერს განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ, ეპოქის კვალობაზე, პირველი კონსტიტუციის ტექსტი იყო დახვეწილი, გაჯერებული განმანათლებლებისა და კონსტიტუციონალიზმის იდეებით.

აი, თვალსაჩინო, თანმიმდევრული მაგალითები. საკონსტიტუციო კომისიის შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის დებულებაში ნათქვამია, რომ მომავალი კონსტიტუცია დაეფუძნებოდა საქართველოს პირველ კონსტიტუციას. 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში პირველ კონსტიტუციაზე აღნიშნულია, რომ ეს „კონსტიტუცია დღე-

საც იურიდიული ძალის მქონეა“. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის პრეამბულაშივე გაცხადდა, რომ საქართველოს მომავალი კონსტიტუცია დაეფუძნებოდა 1921 წლის კონსტიტუციის დებულებებს. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 16 თებერვლის დადგენილებით, შეიქმნა „1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია“, რომელსაც 1993 წლის 25 მარტის დადგენილებით, დაევალა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის კონცეფციის წარდგენა. საკონსტიტუციო კომისიის შესახებ 1993 წლის 25 მარტის დებულებით, კომისიის ამოცანად განისაზღვრა საქართველოს ისტორიული განვითარების გათვალისწინებით 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ 1993-1995 წლებში შედგენილი კონსტიტუციის პროექტების უმრავლესობა პრეამბულაშივე აცხადებს, რომ ისინი ემყარებიან 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ნაწილში. მათ მიერ პროექტის სახით წარმოდგენილი იყო პირველი ქართული კონსტიტუციის მოდიფიცირებული, მისი ახალი ან განახლებული რედაქციები.

საბოლოოდ კი, 1921 წლის კონსტიტუციამ, მისმა პრინციპებმა უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში, რითაც დადასტურდა, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო საქართველოს პირველი რესპუბლიკის და მისი ძირითადი კანონის - კონსტიტუციის სამართალმემკვიდრეა!

საქართველოს პირველი კონსტიტუცია ჩვენი საზოგადოების საერთო კუთვნილება გახდა, ის ჩვენი ეროვნული კულტურის ნაწილია!

კიდევ ერთხელ გილოცავთ პირველი ქართული კონსტიტუციის დღეს!



რეზა ნადარია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

21 თებერვალი, 2026 წელი

THE FIRST CONSTITUTION OF GEORGIA

AN ACHIEVEMENT OF NATIONAL CULTURE

On behalf of the Constitutional Court of Georgia, I extend my congratulations on one of the most remarkable dates in the recent history of Georgia – the 105th anniversary of the adoption of the First Constitution of Georgia!

On February 21, 1921, the Constituent Assembly of Georgia adopted the first Constitution - the most significant legal and political act in the development of Georgian statehood.

The Constitution was drafted by Georgian lawyers and politicians without the involvement of foreign actors, which clearly attests to the maturity of national legal intellectualism in the process of constitutional self-determination.

Despite the fact that the first Constitution does not establish any model of constitutional review, it clearly enshrines the principle of the supremacy of the Constitution. This was shaped by the doctrine prevailing at that time - the concept of parliamentary supremacy - according to which the normative primacy of the Constitution was intended to exist without a mechanism of judicial review. This constitutional provision was described as a "sensational clause" by the eminent German Constitutional lawyer in one of his scholarly works.

The first Constitution played a pivotal role in the modern history of Georgia, serving as a fundamental value-oriented framework and a vital source of political legitimacy. It created a solid foundation for state consciousness and legal thought and, above all, for the development of constitutional culture.

In the period following the restoration of independence, the value-based and normative significance of the first Constitution of Georgia has been declared in all major legal acts. This was due to the fact that, in the context of its time, the text of the first Constitution was remarkably refined and deeply imbued with the ideas of the Enlightenment and constitutionalism.

Here are clear and consistent examples. The Regulation of the Supreme Council of Georgia of November 14, 1990, concerning the Constitutional Commission, explicitly stated that the future Constitution would be based upon Georgia's first Constitution. The Act of Restoration of Independence of April 9, 1991 states that the first Constitution "still has legal force". The Preamble to the Law

of the Republic of Georgia of November 6, 1992, "On the State Authority", explicitly declared that the future Constitution of Georgia would be based on the provisions of the Constitution of 1921. Shortly thereafter, by the Resolution of the Parliament of Georgia of February 16, 1993, the "State Constitutional Commission for Drafting a New Edition of the Constitution of 1921" was established, which by the Resolution of March 25, 1993 was tasked with submitting a concept for a new edition of the Constitution of 1921. According to the Regulation of March 25, 1993, regarding the Constitutional Commission, one of its principal tasks was defined as drafting a new edition of the Constitution of 1921, taking into account the historical development of Georgia.

The majority of constitutional drafts prepared by public and political organizations during the years 1993-1995 explicitly declared in their preambles that they were based on the fundamental provisions of the Constitution of 1921, particularly in the part concerning human rights. They submitted modified, new, or revised versions of the first Georgian Constitution in draft form.

In the end, the Constitution of 1921 and its principles found their highest expression in the Preamble to the Constitution of Georgia of August 24, 1995, thereby affirming that the modern Georgian state is the legal successor the First Republic of Georgia and its fundamental law - the Constitution.

The First Constitution of Georgia has become the common heritage of our society, being an integral part of our national culture!

Once again, let me extend my sincere congratulations on the Day of the First Constitution of Georgia!



REVAZ NADARAIA

PRESIDENT OF THE CONSTITUTIONAL
COURT OF GEORGIA

21 FEBRUARY, 2026

**ძირითადი უფლებები კონსტიტუციური დემოკრატიის
ქართულ მოდელში: ღირებულებათა წესრიგი და
ბანკითარების ვეპტორი**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვა
აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების 30 წლის
იუბილესთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით მივესალმები აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ილჰამ ალიევს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ ფარჰად აბდულაიევსა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო დამცველს, მონვეულ სტუმრებს!

უნინარეს ყოვლისა, აზერბაიჯანის სახელმწიფოს ვულოცავ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების 30 წლის იუბილეს! განგებამ ჩვენ ერთი ბედი გვარგუნა: ზუსტად 30 წლის წინ, 1995 წელს, ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა მივიღეთ ჩვენი კონსტიტუციები. საქართველოში ეს თარიღი 24 აგვისტოს აღინიშნა. დღეს კი თქვენ აღნიშნავთ და აფასებთ იმ მიღწევებს, რაც კონსტიტუციის ძალით მოიპოვეთ!

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდია საზოგადოებისათვის ადამიანის ძირითად უფლებათა მნიშვნელობა. სწორედ ისინი განსაზღვრავენ კონსტიტუციონალიზმის არსს და წარმოადგენენ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების მარადიულ ღირებულებებსა და ფუნდამენტურ მიზანს.

კაცობრიობის ბოლო სამი საუკუნე, არსებითად, ძირითად უფლებათა იდეისათვის ბრძოლის ისტორიად შეიძლება ჩაითვალოს. ამ წარსულის განუყოფელი ნაწილია საქართველო, რომელმაც ამ ბრძოლაში ერთობ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა.

ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში ქართველი ხალხის ნებამ და მისწრაფებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს ხელისუფალთა მიერ მიღებულ საკონსტიტუციო შინაარსის არაერთ სამართლებრივ დოკუმენტში. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-5 ქვეპუნქტით, პირველად გაცხადდა ძირითადი უფლებების შესახებ. მასში ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწო-

რად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“. ამ კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველომ შეძლო ადამიანებს შორის თანაბარუფლებიანობის აღიარება იმ ეპოქაში, როდესაც ევროპის მრავალ ქვეყანაში თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპი სრულად არ იყო გარანტირებული.

ადამიანის ბუნებით აღიარებული და წარუვალელი ყველა კლასიკური უფლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაში აისახა, რომლის სტრუქტურა ნათლად მეტყველებს, რომ ძირითადი უფლებები მის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა: კონსტიტუციის ხუთი თავი მოქალაქეთა პირად, სოციალურ, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ უფლებებს განამტკიცებდა, რაც იმ პერიოდისთვის მართლაც უნიკალური მოვლენა იყო. ბევრი ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს ან საერთოდ არ შეიცავდა, ან მხოლოდ ერთ თავს უთმობდა. ასეთ ფონზე საქართველოს კანონმდებლები გამოირჩეოდნენ შორსმჭვრეტელობით: ისინი ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე ფიქრობდნენ მაშინ, როდესაც მსგავსი რამ საერთაშორისო აქტებში გაცილებით მოგვიანებით აისახა. ეს ხაზს უსვამს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების კონტექსტში პროგრესული მოვლენა იყო.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ოფიციალურად გააუქმა სიკვდილით დასჯა. ეს გადაწყვეტილება ხაზგასმით აღნიშნავს ქვეყნის პროგრესულ მიდგომას ძირითადი უფლებების დაცვისთვის და მონოდებას სამართლის ჰუმანისტური იდეალების აღსრულებისკენ. XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც სიკვდილით დასჯა ბევრ ქვეყანაში გამოიყენებოდა, ჩვენი კონსტიტუცია უკვე პატივს მიაგებდა სიცოცხლის უფლებას, როგორც უმთავრეს ფუნდამენტურ ღირებულებას.

ადამიანის უფლებათა სფეროში დაგროვილი ისტორიული მემკვიდრეობისა და გამოცდილების საფუძველზე საქართველომ 1995 წელს ჩამოაყალიბა კონსტიტუციის მეორე თავი - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც ქვეყნის სამართლებრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ქართულმა სახელმწიფომ მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირება, რითაც უზრუნველყო საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ჰარმონიზაცია, შიდა კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი რთული პოლიტიკური და სოციალური პროცესებით ხასიათდება - ქვეყანა საომარი კონფლიქტების მოწმე გახდა, რომლებსაც, ძნელბედობის ჟამს, თან სდევდა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური გარდაქმნის პროცესი. თუმცა, განხორციელებულ მრავალრიცხოვან ცვლილებებს შორის საკონსტიტუციო რეფორმა აღმოჩნდა ყველაზე შედეგიანი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი. სწორედ ამ პროცესში მოხდა სამართლის უზენაესობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონსტიტუციური დემოკრატიის პრინციპების სიღრმისეული გააზრება და მათზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი მმართველობის მოდელის ჩამოყალიბება.

დღეს მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც 30 წლის წინ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის ძირითად უფლებებს. მასში ოთხჯერ შევიდა ცვლილებები. 2018 წლის ბოლო საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კი კონსტიტუციაში გაფართოვდა ძირითად უფლებათა სფერო, რომელთა საფუძველი ადამიანის ღირსებაა.

1995 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ინოვაციურ ელემენტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღებას, რომლის მთავარი მისია იყო კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა.

30-წლიანი მოღვაწეობის შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დოქტრინალურ სასამართლოდ ჩამოყალიბდა, რომლის მიერ განხორციელებული კონსტიტუციური განმარტებები საზოგადოებაში დღეს ფართო ინტერესს იწვევს და აღქმულია ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სასამართლო ინტერპრეტაციის პროცესში მხოლოდ თეორიული და დოქტრინალური არგუმენტებით შემოიფარგლება. სასამართლო სამართალწარმოების პროცესში ფართოდ იყენებს ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს, ექსპერტების დასკვნებსა და მოწმეთა ჩვენებებს. სწორედ ამიტომ, ჩვენი სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება საზოგადოების მხრიდან იმსახურებს ნდობასა და განსაკუთრებულ ინტერესს. გარდა ამისა, პოლიტიკური ხელისუფლება ეყრდნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს სამართალშემოქმედებით პროცესში, რაც მიზნად ისახავს სამართლის ნორმების შინაარსობრივ გაუმჯობესებას.

საქართველოს მაგალითი გამორჩეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი გადაწყვეტილება მიიღო საერთო სასა-

მართლოს მოსამართლეთა წარდგინების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცულობის ხარისხზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა - სასამართლოს დამოუკიდებლობის არსებითი და მთავარი კომპონენტი - განპირობებულია მრავალი ფაქტორით. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონსტიტუციური სარჩელების სიმრავლეს, რომლებიც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას, თუმცა, ჩვენი ყველა ძალისხმევა მიმართულია საიმისოდ, რომ არც ერთი სარჩელი არ დარჩეს განუხილველი, რათა არ დაირღვეს სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციით ყველა ადამიანს აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მტკიცე გარანტიაა. ჩვენი სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმეტესობა სწორედ ადამიანის უფლებების სასარგებლოდაა მიღებული. ჩვენ ვცდილობთ ღირსეულად შევასრულოთ „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქცია. ამ პროცესში წარმატებით არის ჩართული საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც უფლებამოსილია, ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით, კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მისი მოთხოვნების საფუძველზე სამართლის არაერთი ნორმა იქნა გაუქმებული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გამოიყენა ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმები, კონვენციები, ხელშეკრულებები და სხვა ეროვნული სასამართლოების პრეცედენტები, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია კონსტიტუციისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების სწორი განმარტებისა და გადაწყვეტილებათა დასაბუთების პროცესში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ასევე, დამკვიდრებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხარეები თავიანთი პოზიციის დასაბუთებლად ხშირად მიმართავენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებს. ეს განსაკუთრებით ჩანს კონსტიტუციურ სარჩელებში, ასევე, სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებათა წარდგენისას. გარდა ამისა, ჩვენი მოსამართლეები განსხვავებულ ან თანმხვედრ აზრებს საერთაშორისო აქტების საფუძველზეც ასაბუთებენ.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამშრომლობენ ორმხრივ, საერთაშორისო და

რეგიონულ ფარგლებში. საქართველომ და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო ორმხრივი კონსულტაციები და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. 1990-იანი წლებიდან საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დღემდე მოქმედებს თანამშრომლობის რამდენიმე მემორანდუმი და შეთანხმება, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს (მაგალითად, სასამართლო სისტემის რეფორმა, სასჯელაღსრულების ჰუმანიზაცია, ალტერნატიული სასჯელის დანერგვა). ორივე ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, რომელთა ერთობლივი მიზანია ადამიანის უფლებების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობის ტრადიცია, რომელიც გამოიხატება ორმხრივ ვიზიტებსა და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში.

იმედია, ეს მჭიდრო თანამშრომლობა გაღრმავდება და კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

დასასრულს, მსურს მადლიერება გამოვხატო მოწვევისათვის. გისურვებთ წარმატებებს!



რევაზ ნადარია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

12 ნოემბერი, 2025 წელი, ბაქო

FUNDAMENTAL RIGHTS IN THE GEORGIAN MODEL OF CONSTITUTIONAL DEMOCRACY: THE ORDER OF VALUES AND THE VECTOR OF DEVELOPMENT

SPEECH OF THE PRESIDENT OF THE CONSTITUTIONAL
COURT OF GEORGIA ON THE OCCASION OF THE
30TH ANNIVERSARY OF THE ADOPTION OF THE CONSTITUTION
OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN

On behalf of the Constitutional Court of Georgia, I would like to extend my greeting to the President of the Republic of Azerbaijan Mr. Ilham Aliyev, the Chairman of the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan Mr. Farhad Abdullayev, esteemed Members of the Constitutional Court, the Ombudsman of the Republic of Azerbaijan as well as distinguished guests in attendance!

First and foremost, I would like to congratulate to the Republic of Azerbaijan on 30th anniversary of the adoption of the Constitution of the Republic of Azerbaijan. Fate has joined our nations in a shared path of destiny: thirty years ago, exactly in 1995 both Georgian and Azerbaijani peoples adopted their Constitutions. In Georgia, this anniversary was celebrated on the 24th of August and today you are celebrating and honoring remarkable achievements obtained through the force and guidance of your Constitution!

Our meeting today serves as a clear testament to how significant fundamental human rights are for the society. It is exactly these rights that define the Essence of Constitutionalism and represent eternal values and fundamental aim of modern democratic states.

Last three centuries of the mankind may in essence be considered as a struggle for the idea of fundamental rights. Georgia serves as an inseparable part of this past, which has made a particularly notable contribution to this struggle.

The will and aspirations of the People of Georgia in the sphere of fundamental human rights were reflected in legal documents of constitutional significance which were adopted by the authorities of Georgia. Article 5 of the Act of Independence of May 26, 1918 the principle of fundamental rights was proclaimed for the first time. It stated: *'The Democratic Republic of Georgia shall within its borders equally*

guarantee civil and political rights of all citizens, irrespective of nationality, religion, social status, or gender.’ The interpretation of this constitutional provision allows us to conclude that Georgia succeeded in recognizing the equality of all human beings at a time when, in many European countries, the fundamental principle of equality was not yet fully guaranteed.

All classical rights, inherent in human nature and inalienable, were reflected in the Constitution of the Democratic Republic of Georgia of 1921, The very structure of the Constitution clearly demonstrates that fundamental rights which served as its highest priority; in particular five chapters of the Constitution were devoted to the protection of citizens’ personal, socio-economic and political rights which was a truly remarkable accomplishment for that period. Many European constitutions either lacked provisions for fundamental rights entirely or devoted only a single chapter to them. In light of this background, we can conclude that Georgian lawmakers exhibited remarkable foresight: they had thoughts about legal mechanisms for the protection of human rights in the times when similar issues were reflected in international acts only later on. This highlights the fact that the Constitution of Georgia constituted a significant advancement in the context of the evolution of International Human Rights Law.

Georgia was among one of the pioneer states to officially abolish the death penalty. This decision underlines an advance approach of the country for the protection of fundamental rights and its commitment to realization of humanistic ideals of justice. During 1920s when the death penalty was still applied in many countries our Constitution already recognized the right to life as a supreme and fundamental value.

Based on the historical legacy and obtained experience in the field of human rights, in 1995 Georgia developed the Chapter II of its Constitution - *‘Fundamental Human Rights and Freedoms’* - which represents one of the most significant achievements in the legal development of the court. Georgian state also ratified key international legal instruments in the field of human rights, which contributed to ensuring the harmonization of international and domestic law and aligning national legislation with international standards.

The post-independence recovery period in Georgia was characterized by complex political and social processes. The country witnessed multiple armed conflicts,

which during times of adversity coincided with processes of economic, political, cultural, and social transformation. Among many changes proposed, however, constitutional reform proved to be the most effective and strategically significant. It was through this process that the principles of the rule of law, judicial independence, and constitutional democracy were thoroughly internalized, forming the basis for the state governance model which was based on these principles.

Currently acting Constitution adopted thirty years ago on August 24, 1995 accords a particular attention to fundamental human rights. It has been amended on four occasions. As a result of the most recent constitutional reform carried out back in 2018 the scope of fundamental rights enshrined in the Constitution was further expanded, with human dignity representing its underlying foundation.

Among innovative elements of the constitutional reform of 1995, a particular importance was given to the establishment of the Constitutional Court of Georgia, the principal mission of which was to safeguard the principle of the supremacy of the Constitution and the protection of fundamental human rights.

With over thirty years of existence, the Constitutional Court of Georgia has emerged into as a key doctrinal body for constitutional interpretation, attracting significant public interest and acting as a principal safeguard of human rights. However, this does not mean that the Court confines itself solely to theoretical or doctrinal reasoning during interpretative process. In the course of constitutional adjudication, the Court makes extensive use of factual circumstances, amicus curiae opinions, expert assessments, and witness testimonies. For this purpose, each decision of the Court earns the trust and particular attention of the public. Moreover, political authorities rely on the decisions of the Constitutional Court during law-making process, which aims at substantively improving the content of legal norms.

The example of Georgia is also distinguished in view of the fact the Constitutional Court of Georgia has delivered numerous decisions based on the constitutional submissions from the judges of the Common courts, which has a significant impact on the degree of protection of fundamental human rights.

Public trust towards the Constitutional Court, which constitutes an substantial and principal component of judicial independence, is determined through a number of

factors. Among them, particular importance is given to the growing number of constitutional complaints, which has increased significantly during recent years. This naturally results in a heavier workload for the Court; nevertheless, all our efforts are directed towards ensuring that no complaint remains unexamined, so as to maintain the fundamental principle of legal certainty.

Under the Constitution of Georgia, every individual has the right to apply to the Constitutional Court, which serves as a solid guarantee for the right to a fair trial. The majority of our Court's decisions have been taken in favor of the protection of human rights. We strive to perform our function as a "negative legislator" with dignity. The Public Defender of Georgia has been actively and effectively engaged in this process being authorized to submit constitutional claims to the Constitutional Court with the purpose of protecting fundamental rights. On the basis of the claims submitted by the latter, numerous legal provisions have been annulled.

On multiple occasions the Constitutional Court of Georgia has applied International Human Rights Law, Conventions, Treaties, as well as Precedents of National Courts, including the Universal Declaration of Human Rights in the process of correct interpretation of the Constitution and domestic normative acts, as well as in the reasoning of its decisions. The Constitutional Court of Georgia has also a well established case law for applying the European Convention on Human Rights. It is noteworthy that parties frequently appeal to international human rights instruments to support their positions. This is particularly observed in constitutional claims, as well as during presentation of the evidence in legal proceedings. Moreover, our judges often substantiate dissenting or concurring opinions on the basis of international legal instruments.

It is noteworthy that Georgia and Azerbaijan actively cooperate in the field of human rights protection at bilateral, international, and regional levels. Immediately following the restoration of their independence, both countries began establishing democratic institutions and national systems for the protection of human rights. In this process, a significant role was played by bilateral consultations and sharing of international experience. Since 1990s, several cooperation memoranda and agreements between Georgia and Azerbaijan have remained in force which addressed the issues related to human rights protection (i.e. judicial system

reform, humanization of the penitentiary system and introduction of an alternative sentencing). Both countries actively cooperate within the framework of the Black Sea Economic Cooperation Organization (BSEC) and the United Nations Development Programme (UNDP), joint objective of which is ensure integration of human rights into the state policy.

Let me also note with pleasure a strong tradition of cooperation has been established between the Constitutional Courts of the Republic of Georgia and the Republic of Azerbaijan over the years, which is manifested through bilateral visits and mutual exchange of practical experience.

I hope that this close collaboration will further deepen and become even more fruitful.

In conclusion, I would like to express my gratitude for the invitation and wish you success!



REVAZ NADARAIA

PRESIDENT OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

NOVEMBER 12, 2025, BAKU

აკადემიური კვლევები
ACADEMIC RESEARCH

კონსტიტუციური განწყობა

ლევან იზორია

სამართლის დოქტორი, პროფესორი
izoria.l@yahoo.com

რეზიუმე. (დimitრი უზნაძის განწყობის თეორიის კონსტიტუციური მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოში). წინამდებარე სტატიის მიზანია, დimitრი უზნაძის განწყობის თეორიის ინტერპრეტაციის თანახმად, დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრება. ინტერდისციპლინური მიდგომით, ერთი მხრივ, უნდა გავცეს პასუხი კითხვას, თუ რამდენად არის აუცილებელი სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ადეკვატური საზოგადოებრივი განწყობის არსებობა, მეორე მხრივ, მან უნდა ცხადდეს ქვეყნის საშინაო და საგარეო კონტექსტში კონსტიტუციური განწყობის ფორმირებისთვის ეროვნულ-ემოციური ფაქტორების მნიშვნელობა. თემის განსაკუთრებულ აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თანამედროვე საქართველოში გარკვეული ჯგუფები რადიკალურ და რევოლუციურ მიდგომებს გვთავაზობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში.

საკვანძო სიტყვები: უზნაძის თეორია, კონსტიტუციური განწყობა, არაკონსტიტუციური განწყობა, დემოკრატიული მედეგობა, სახელმწიფო სუვერენიტეტი, ეროვნული იდენტობა

1. დimitრი უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი თეზისები

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ უზნაძის განწყობის თეორიის კონსტიტუციური მნიშვნელობა, თავდაპირველად, საჭიროა აღნიშნული თეორიის ძირითადი თეზისების გადმოცემა. დავიწყოთ იმით, რომ უზნაძის ფსიქოლოგიისთვის ამოსა-

ვალი პუნქტი არის ინდივიდი, რომელიც თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესს¹. ცალკეული ფსიქიკური მოვლენების ანალიზის დაწყებამდე, ადამიანის სულიერი სამყაროს უკეთ აღსაქმელად, იგი გვთავაზობს, პირველ რიგში, პიროვნების, როგორც მთელის მეცნიერულ კვლევას. „პირველადი თვით სუბიექტია, ხოლო მისი ფსიქიკური აქტივობა რაღაც წარმოებულ“². იმისათვის, რომ გავიგოთ ადამიანის ფსიქოლოგიის გამოხატვის კონკრეტული ფორმები, მასში მიმდინარე მგრძნობელობითი და ნებელობითი პროცესების შინაარსი, უნინარესად იმის დადგენა აუცილებელი, თუ რა უდევს ამ ყოველივეს საფუძვლად, რისგან არიან ისინი წარმოებულნი. პიროვნების ფსიქიკური პროცესების საფუძველს უზნაძე მის აქტივობაში ხედავს, რომელიც განწყობით არის განპირობებული. უზნაძის მიხედვით, „მთლიან-პიროვნული ფაქტორი“³ ნიშნავს ყველა ფსიქოლოგიური მოვლენის, საბოლოოდ, განწყობის ცნებაში გაერთიანებას და მისით განსაზღვრას.

თავად განწყობა, როგორც სუბიექტის სპეციფიკური, სულიერი მდგომარეობა, რომელიც ადამიანის აქტიურობის, მისი ქცევის წინაპირობას წარმოადგენს, ჩნდება კონკრეტული მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობის შედეგად⁴. ქცევას განაპირობებს სუბიექტის მდგომარეობა. გარემო ახდენს მასზე ზემოქმედებას და ინვესს მასში კონკრეტული ქცევის განწყობას. განსხვავებით სხვა ცოცხალი არსებებისგან, ბიოლოგიური ხასიათის მოთხოვნილებებთან ერთად, ადამიანის მოთხოვნილებები საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს, რომლებიც განვითარების უწყვეტ პროცესში იმყოფებიან. განვითარების ეს დინამიკა განაპირობებს ახალი მოთხოვნილებების წარმოშობას და დღის წესრიგში აყენებს მათი დაკმაყოფილების მზაობას, განწყობას.

ადამიანის განწყობისათვის გადამწყვეტი ფაქტორია მისი ქცევის გაცნობიერება და გააზრება. თუ ცხოველის განწყობას იმპულსური სიტუაცია ქმნის, ადამიანის შემთხვევაში, ეს განწყობა „გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია“⁵. ადამიანთან განწყობები შესაძლოა ურთიერთსაპირისპიროც იყოს. ასე, მაგალითად, გარკვეულ ბიოლოგიურ მოთხოვნას, რომელიც ინდივიდს კონ-

¹ უზნაძე, დ. განწყობის ფსიქოლოგია, მეოთხე გამოცემა. რედაქტორი შოთა ნადირაშვილი. 247.

² იქვე, 248.

³ იქვე, 251.

⁴ უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია, ა. ფრანგიშვილის საერთო რედაქციით. 87.

⁵ იქვე, 93.

კრეტული ქმედებისკენ იმპულსურად უბიძგებს, უპირისპირდება მორალური თუ სამართლებრივი თვითშეკავების ვალდებულება. ადამიანის განწყობა უშუალოდ კი არ გადადის ქცევაში, არამედ იგი ჯერ მის ცნობიერებაში პოულობს თავის რეალიზებას. პიროვნების განწყობის ჩამოყალიბების ეს პროცესი თავის გამონათქვამებს ჰპოვებს სინამდვილის ობიექტური დაკვირვების, შეფასებისა და ანალიზის უნარში.

პირველ რიგში, ადამიანი აკვირდება რეალობაში მოვლენებს, როგორც რაღაც განცდილსა და გამეორებადს. მასში ყალიბდება შედარების უნარი და იგივეობის განცდა, მსგავს სიტუაციაში მსგავსი მოქმედებს მზაობა, ანუ ადეკვატური განწყობა. ეს „განწყობათა წრე“ აღზრდისა და განათლების შედეგად თაობებს გადაეცემა. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ, ადამიანში ჩნდება ახალი მოთხოვნები, ის ვითარდება და მნიშვნელოვნად იცვლება⁶. ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება კი, აქტიური მოქმედების მზაობას ითხოვს, ანუ განწყობას გარკვეული მოქმედების შესრულებისკენ. ეს განწყობა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით აღმოცენდება და ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ახალი საშუალებების შექმნის მოტივით არის განპირობებული.

„გაუცნობიერებელი განწყობის პროდუქტია“⁷ სინამდვილის არაობიექტური შეფასება და კრიტიკული ანალიზის გარეშე მიღება. უზნაძის ეს ე.წ. გაუცნობიერებელი განწყობა მკაფიოდ რომ გავმიჯნოთ მისივე განწყობის ცნებისგან, უმჯობესია, ის ტერმინოლოგიურად „იმპულსის“ ცნების ქვეშ მოვაქციოთ, რადგან განწყობა, უზნაძის თეორიის თანახმად, გაცნობიერებული მდგომარეობაა. მეტიც, უზნაძისთვის ფროიდის ფსიქონალიზის არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენაც სხვა არაფერია, თუ არა „ოდესღაც გაცნობიერებული... გარკვეული სულიერი მოვლენა, როგორც გარკვეული სურვილი, ან აზრი...“, რომლის მეცნიერული გააზრებით, ის ჩვეულებრივ ცნობიერ ფსიქიკურ მოვლენებად გადაიქცევა⁸.

⁶ „განწყობათა სფეროს გაფართოება, არსებითად, განუსაზღვრელია. იგი მოიცავს არა მარტო აქტუალური მოთხოვნებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე შექმნილ განწყობებს, არამედ ისეთ განწყობებსაც, რომელიც როდესღაც წარსულში საკუთარი ან სხვა ადამიანების ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენდა, ანდა გაშუალებული იყო განათლების დახმარებით - მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემების შესწავლით“. უზნაძე, დ. განწყობის ფსიქოლოგია. 303.

⁷ იქვე, 300.

⁸ იქვე, 265.

უზნაძისთვის ადამიანის განწყობა მხოლოდ კერძო ინტერესებით, „ვინრო პირადი მოთხოვნილების განცდით“ არ არის განპირობებული. ის საზოგადოების წევრია და, შესაბამისად, მისი „გაფართოებული მე“, თავის თავში სხვისი მოთხოვნილების განცდას, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას მოიცავს⁹. შეიძლება ითქვას, რომ მისი, როგორც სოციალური არსების განწყობის შინაარსი, ინტერსუბიექტურ ხასიათს იძენს. მაშასადამე, საზოგადოებაში ადამიანის ქცევის მზაობა, მისი განწყობა სხვებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და საზოგადოებაში მისი განვითარების მოთხოვნითაც არის განპირობებული. პიროვნების აღნიშნული განწყობის ყველაზე ლაკონურ გამოხატვას უზნაძის „მოქალაქეობრივად განწყობილი“¹⁰ სიტყვათა წყობა წარმოაჩენს.

უზნაძისთვის „განწყობის ცნებას აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური ღირებულება“¹¹. აღზრდა და განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის განწყობათა წრის ჩამოყალიბებაზე. პედაგოგიკა წარმატებით აღწევს თავის დანიშნულებას, თუ ის განწყობის სუბიექტზე, მოზარდის პიროვნებაზეა ორიენტირებული. „აღზრდის საგანს არა ფსიქიკური ფუნქციები, არა ფსიქიკა საზოგადოდ, არამედ კონკრეტული ადამიანი, ცოცხალი აქტიური პიროვნება წარმოადგენს“.¹² მოზარდის ინდივიდუალურობის ხაზგასმა არის განწყობაზე ორიენტირებული პედაგოგიკის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი.

2. კონსტიტუციური განწყობა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის კონტექსტში

უზნაძის ფსიქოლოგია კარგ საფუძველს ქმნის მოქალაქისა და საზოგადოების კონსტიტუციური განწყობის დასაბუთებისათვის. აღნიშნულ განწყობას დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის ფუნდამენტური მოთხოვნილებები უდევს საფუძველად. მათი განხორციელების რეალური პირობები, თავდაპირველად, პოლიტიკური სისტემის ფარგლებში იქნება განხილული, ხოლო ამის შემდეგ, ამ თემას საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში გაავანალიზებთ.

⁹ უზნაძე, დ. განწყობის ფსიქოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული გამოცემა (<https://library.iliauni.edu.ge>). 174.

¹⁰ უზნაძე, დ. (2005). პედაგოგიური თხზულებანი, რედაქტორი ზურაბ ცუცქერიძე. 387.

¹¹ იქვე, 349.

¹² იქვე, 347.

2.1. დამოუკიდებლობის მოთხოვნა - ეროვნული იდენტობა

ისტორიულად, სახელმწიფოების წარმოშობა ცალკეული ერის პოლიტიკური ერთობის განმტკიცებას და თვითმყოფადობისათვის ბრძოლას უკავშირდება. თანამედროვე მსოფლიოშიც ეროვნული იდენტობა არის კონკრეტული სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენიტეტის საფუძველი. ადამიანს, თავისი სოციალური არსიდან გამომდინარე, ყოველთვის ჰქონდა და აქვს გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მიკუთვნების მოთხოვნა. თანამომქმესთან სოლიდარობაში ხედავს ის საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის აუცილებელ პირობას. განსაკუთრებით ეს ეხება კაცობრიობის ომების ისტორიის ხანგრძლივ პერიოდს, როდესაც ერის სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება მტრის წინააღმდეგ ერთიანობის ეგზისტენციალურ მოთხოვნას უკავშირდებოდა.

საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობის შედეგად ერის იდენტობა გამყარდა საერთო ენით, რელიგიით, ისტორიითა და კულტურით. ისტორიულად, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, საკუთარი მამულის, რელიგიისა და ენის დასაცავად მსხვერპლად გაღების მზაობამ¹³ ყველაზე მეტად განამტკიცა ცალკეული ერის თვითმყოფადობა. დღესაც, ერის იდენტობის შენარჩუნება სახელმწიფოებრივ დონეზე ამ ღირებულებების დაცვას უკავშირდება. მართალია, თანამედროვე სახელმწიფოს შექმნამ ერს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მისცა და იგი იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს არსებობის ფაქტს მხოლოდ იურიდიული კატეგორია ვერ განსაზღვრავს. მისი წარმოშობისა და უწყვეტი არსებობის წინაპირობას ეროვნული იდენტობა და სოლიდარობა წარმოადგენს¹⁴. ერი-სახელმწიფოს ცნება სწორედ სახელმწიფოს ფუნდამენტზე, საერთო ეროვნული ღირებულებებით საზოგადოების სოლიდარობაზე და ერთობაზე ამახვილებს ყურადღებას (ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, საერთაშორისოდ აღიარებული მოქალაქეობის მინიჭების წესიც, რომელიც მოქალაქეობის მიღების მსურველთაგან სახელმწიფო ენისა და

¹³ Isensee, J. (2008). Staat, in: Handbuch der Katholischen Soziallehre, Rauscher, A. (Hrsg.). 750; იზენზეესთან ერთად, უშუალოდ სტატიის ტექსტში მოყვანილი ცნობილი გერმანელი იურისტების დეპენჰოიერისა და უდო დი ფაბიოს ნაშრომებს უკვე ქართულ ენაზეც იცნობს ქართველი მკითხველი, იხ. *უგრეხელიძე, მ., ქანთარია, ბ.* (გამომცემლები), (2019). კონსტიტუციონალიზმი - მიღწევები და გამოწვევები.

¹⁴ მიხაკო წერეთელი აღნიშნავს ეროვნულ, ანუ „ბუნებრივი სახელმწიფოთა“ დაარსებას. მისთვის საერთაშორისო სამართალი „სახელმწიფოთაშორისო“ სამართალია, იხ. წერეთელი, მ. *ერი და კაცობრიობა* (1910), (ედუარდ კოდუას რედაქტორობით), (1990). 95.

ქვეყნის ისტორიის ცოდნას ითხოვს). თუ ეროვნულ იდენტობას საფრთხე შეექმნა, ე.ი. საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს არსებობასაც¹⁵.

ერის, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებული სუბიექტის, მხოლოდ ლოგიკური კრიტერიუმებით დახასიათება თეორიულად შეიძლება იყოს დასაშვები, მაგრამ ის ვერ იქნება მისი რეალური ცხოვრების ამსახველი¹⁶. სინამდვილეში, ერის „იდენტობის მოთხოვნებს“ (დეპენჰეიერი), ხშირ შემთხვევაში, მისი ემოციური ფაქტორებიც მძლავრად განსაზღვრავს¹⁷. სიყვარული, შიში, სიამაყე და სხვ. ემოციური მოტივები ქმნის ერის კოლექტიური განწყობისა და შესატყვისი გადანყვეტილებების მიღებისა თუ ქმედების განხორციელების საფუძველს. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ასაბუთებდა საერთო ევროპული კონსტიტუციის არმილების ფაქტს (ამაზე ქვემოთ, მესამე თავში).

ერის დამოუკიდებლობის მოთხოვნამ კაცობრიობის პირველივე კონსტიტუციებში ჰპოვა ასხვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფით, რითაც მოქალაქისა და საზოგადოების შესაბამის კონსტიტუციურ განწყობას მისცა სამართლებრივი საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს განამტკიცებს. ამით მან „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს“ (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა) გაუსვა ხაზი.

დღეს, ქართველი ერის კონსტიტუციური განწყობა განხორციელების შესაბამის პირობებს ხედავს, პირველ რიგში, ქვეყნის დეოკუპაციისა და მშვიდობიანი გზით, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, სახელმწიფო სუვერენიტეტის გაძლიერებასა და სხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის ასპექტში. საქართველო თავის იდენტობას საუკუნეების განმავ-

¹⁵ როგორც კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია მართებულად აღნიშნავს, „ზვიად გამსახურდიასთვის ერი და ეროვნული, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივსა და კულტურულს ნიშნავდა“, იხ. გამსახურდია, კ. სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის, 2023. 8.

¹⁶ Depenheuer, O. (2006). Nationale Identität und europäische Gemeinschaft, in: Nationale Identität in vereinten Europa, Buchstab, G., Uertz, R. (Hrsg.). 68.

¹⁷ ერის, როგორც ფსიქიკური ერთეულის მნიშვნელობაზე და მის ემოციურ ფაქტორებზე საინტერესო პუბლიკაცია აქვს გერონტი ქიქოძეს 1909 წლის გაზეთ „დროება“-ში: ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა, იხ. ქიქოძე, გ. (1985). წერილები, ესსეები, ნარკვევები (შემდგენელი ასათიანი, ლ.). მე-9 გვერდიდან.

ლობაში ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აყალიბებდა. თანამედროვეობაში მან თითოეული მოქალაქისათვის სამართლიანი და თავისუფალი განვითარების პირობების შექმნაში უნდა ჰპოვოს ასახვა. დამოუკიდებლობასთან ერთად, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განმტკიცება არის საქართველოში სამართლიანობის განხორციელების, ანუ, ცალკეული მოქალაქისა და საზოგადოების კონსტიტუციური განწყობის რეალიზების წინაპირობა.

2.2. სამართლიანობის მოთხოვნა - თავისუფლება და თანასწორობა

კონსტიტუციური განწყობის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპი საზოგადოებაში სამართლიანობის გამძაფრებულ მოთხოვნას და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას უკავშირდება. საუბარია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის კონტინენტზე პირველი კონსტიტუციების მიღებაზე, როდესაც, ზოგადად, უსამართლობასთან, კონკრეტულად კი, აბსოლუტურ მონარქიასთან, კოლონიალიზმთან და ტირანიასთან ბრძოლის შედეგად, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს, თავისუფლებასა და თანასწორობის იდეას ჩაეყარა სამართლებრივი საფუძველი. ხელისუფლების დანაწილება, სახელისუფლო შტოების უფლებამოსილებების სამართლით განსაზღვრა და ადამიანის უფლებებით შეზღუდვა, ქმნის თანამედროვე კონსტიტუციების სამართლიანობის ძირითად კრიტერიუმებს¹⁸. ისინი „სამართლიანობის კონსტიტუციას“¹⁹ წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ კონსტიტუციურ წესრიგს არა უბრალოდ წესრიგის ინტერესიდან, არამედ, სამართლიანი წესრიგის ინტერესიდან გამომდინარე²⁰. მათი შექმნა თავიდანვე სამართლიანობის იდეას უკავშირდებოდა.

სამართლიანობის მოთხოვნა ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი მისწრაფებაა. ცნობილმა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა, ჟან პიაჟემ²¹ აღნიშნული მიდრეკილება მცირეწლოვან ბავშვებში მათ თამაშებზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩინა, რო-

¹⁸ Mahlmann, M. (2024). *Konkrete Gerechtigkeit*, 7. Aufl.

¹⁹ იზორია, ლ. (2025). სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნება (სამართალმცოდნეობის შესავალი), მეორე შეესებული გამოცემა. 207.

²⁰ Frankenberg, G. (1997). *Die Verfassung der Republik*. მე-17 გვერდიდან.

²¹ მის სახელს უკავშირდება, ასევე, უზნაძის საერთაშორისო აღიარება, როდესაც მან 1944 წელს გამოცემულ საკუთარ სტატიაში ვიზუალური სფეროს ილუზიის აღსაწერად გამოიყენა „უზნაძის ეფექტის“ მეცნიერული კატეგორია.

დესაც ბავშვებში თამაშის სამართლიანი წესების მოთხოვნა ყალიბდება²². დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, მოქალაქეს აქვს სამართლიანობის აღსრულების მოთხოვნა. ეს მოთხოვნა ქმნის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობისათვის მთავარ მამოძრავებელ ძალას²³. მოქალაქეების მიერ სისტემის „თამაშის წესების“ აღიარება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესწევს უნარი ამ სისტემას დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და შექმნას მათი განვითარებისათვის მინიმალური პირობები. სამართლიანობის მოთხოვნის უზრუნველყოფას ემსახურება პოლიტიკური სისტემის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები. ამის საფუძველზე ხდება მოსახლეობისგან სისტემის მორალური აღიარება და გამართლება. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ამოცანაა, რომ მაქსიმალურად ფართო იყოს იმ პირთა წრე, რომელიც სისტემას აღიარებს და ამართლებს. იგი არ გამოორიცხავს სისტემის ფარგლებში ხელისუფლების მიმართ კრიტიკას, პროტესტს, თუმცა, ეს არ ნიშნავს პოლიტიკური სისტემის უარყოფას.

უზნაძის განწყობის თეორიასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა ისტორიულმა ფაქტორებმა, განსაკუთრებით, მე-18 საუკუნიდან გაამძაფრა სამართლიანობის მოთხოვნა დასავლურ სამყაროში, რამაც შედეგად ტირანიების დამხობა და პირველ კონსტიტუციებში სამართლიანობის კონკრეტული კრიტერიუმების განმტკიცება განაპირობა. სამართლიანობის მოთხოვნა და მისი შესატყვისი კონსტიტუციური გარანტიების, თავისუფლებისა და თანასწორობის უზრუნველყოფა, მოქალაქის კონსტიტუციური განწყობის საფუძველი გახდა. ეს განწყობა ინდივიდუალისტურია მოქალაქის მიერ საკუთარი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით (მათ შორის სასამართლო გზით უფლების დასაცავად). მას საზოგადო ხასიათი აქვს მოქალაქის პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, კერძოდ, კონსტიტუციური წესრიგის აღიარებისა და მისი დაცვის ასპექტში. უზნაძის ტერმინით, ეს უკანასკნელი არის პიროვნების „გაფართოებული მე“-ს განწყობა, ანუ, ერთგვარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით გაჯერებული განწყობა. როგორც თავში ითქვა, უზნაძისთვის განწყობებს შორისაც არსებობს ერთგვარი დაპირისპირება, რაც ინდივიდუალისტურ და საზოგადო განწყობასთან მიმართებაში იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს, თუ ინდივიდთა ჯგუფს, შეიძლება ჰქონდეს სუბიექტური კრიტიკული აზრი, მეტიც, საპროტესტო განწყობა, თუმცა ის, ამასთან ერთად, ათვისტნობიერებს საზოგადოების მშვიდლო-

²² Piaget, J. (2019). Das moralische Urteil des Kindes, 2. Aufl., Band 3. 340; ასევე, Kriele, M. (2004). Grundprobleme der Rechtsphilosophie, 2. Aufl., 15.

²³ იზორია, ლ. (2021). თავისუფლება - პროცესი სამართლიანობისთვის. 33.

ბიანი და სამართლიანი თანაცხოვრების მნიშვნელობას, ანუ კონსტიტუციური ნესრიგის იდეას. აქედან გამომდინარე, ის მოქმედებს კონსტიტუციის თანახმად. განწყობა, რომელიც კრიტიკულია, მაგრამ მისი რეალიზაციის ფორმები კონსტიტუციურ ფარგლებს სცილდება, არაკონსტიტუციურია.

2.3. დემოკრატიული არჩევნები

მოქალაქის ინდივიდუალისტური და საზოგადო განწყობის ურთიერთმიმართება ყველაზე თვალსაჩინო ხდება ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობისა და ამ არჩევნების აღიარების ფაქტში. თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატია მოქალაქის თავისუფლებისა და თვითგამორკვევის იდეას ემყარება²⁴. შესაბამისად, დემოკრატიულ კონსტიტუციებში განმტკიცებულია თითოეული მოქალაქის საარჩევნო უფლება. ხელისუფლებას ირჩევს საზოგადოების უმრავლესობა. უმრავლესობის კონსტიტუციური პრინციპი უზრუნველყოფს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და ქმედითუნარიანობას. თვითგამორკვევის იდეა სიტყვის თავისუფლებას და პლურალისტურ პოლიტიკურ დისკურსს გულისხმობს, მაგრამ ის არ უნდა იქცეს უსასრულო თეორიული კამათის სივრცედ. აუცილებელია, სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღება, რომელსაც უმრავლესობის სახელისუფლებო გუნდი უზრუნველყოფს. თავის მხრივ, უმრავლესობა, ხელისუფლების განხორციელების პროცესში, სამართლით არის შებოჭილი. დემოკრატიაში მშვიდობიანი დაპირისპირება მხოლოდ კონსტიტუციური ნესრიგის პირობებშია შესაძლებელი, რომლის ერთ-ერთი სასიცოცხლო პროცედურული ელემენტი არის უმრავლესობის პრინციპი²⁵.

მართალია, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებას ირჩევს უმრავლესობა, მაგრამ ამ არჩევნებში უმცირესობაც არის ჩართული. შესაბამისად, მათაც აქვთ თანამონაწილეობის და არჩევნების შედეგების აღიარების განწყობა. შესაძლოა, უმცირესობასთან მიმართებაში უმრავლესობის უპირატესობა ციფრებში მინიმალური იყოს, მოსახლეობის რაოდენობასთან თანაფარდობაში კი, კიდევ უფრო მოკრძალებული, მაგრამ დემოკრატიისთვის გადამწყვეტია სამარ-

²⁴ Hesse, K. Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 19. Aufl., 54-ე გვერდიდან.

²⁵ კობახიძე, ი. (2023). კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა. 79; იზორია, ლ. სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნება (სამართალმცოდნეობის შესავალი), მეორე შეესებული გამოცემა, 2025. 237.

თლიანი არჩევნების შედეგების აღიარების ფაქტი²⁶. უმცირესობის მიერ უმრავლესობის აღიარება და სამართლებრივ ფარგლებში პოლიტიკური დაპირისპირების გაგრძელება არის მაღალი პოლიტიკური კულტურის გამოხატულება და დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ცხადია, რომ დემოკრატიულ პროცესებთან მიმართებაში პიროვნების „მოქალაქეობრივად განწყობილი“ დამოკიდებულება უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს საზოგადო განწყობა მალა დგას ინდივიდუალისტურ განწყობაზე. მას პასუხისმგებლობის იდეა უდევს საფუძვლად, პასუხისმგებლობა თანამოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. კონსტიტუცია სწორედ ამ პასუხისმგებლობას, საყოველთაო თავისუფლების იდეას ემყარება. ის არ იცნობს მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით, მხოლოდ კერძო ინტერესითა და გემოვნებით განსაზღვრულ უფლებას, არამედ, მის მიერ გარანტირებულ უფლებაში ინდივიდუალურთან ერთად, სხვისი, საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობაც არის გათვალისწინებული. მხოლოდ ინდივიდუალურისა და საზოგადოს სამართლიან ნონასწორობაშია თავისუფლება კონსტიტუციურად დაცული. თავისუფლება ყველასთვის თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

საკუთარი უფლების რეალიზებასთან ერთად, სხვისი უფლების პატივისცემითა და დემოკრატიული პროცედურების აღიარებით მოქალაქეს უყალიბდება არჩევნების შედეგების აღიარების კონსტიტუციური განწყობა²⁷. შესაძლოა, მას არ მოსწონს არჩევნების შედეგები, მეტიც, შესაძლოა მისთვის კატეგორიულად მიუღებელია ეს შედეგები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ათვისცნობიერებს ამ რეალობის აღიარების მოქალაქეობრივ და სამართლებრივ ვალდებულებას. ვალდებულება განსხვავდება იძულებისგან. ვალდებულება ყოველთვის შინაგან გამართლებას ემყარება, ამ შემთხვევაში, ეს გამართლება საკუთარი და სხვების უფლებების პატივისცემის შეგნებიდან გამომდინარეობს. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ინდივიდის თავისუფლება თითოეულის პასუხისმგებლობით ძლიერდება. ამ პასუხისმგებლობაზე დგას პოლიტიკური სისტემის მედეგობა. „რაც უფრო ძლიერია თითოეულის პასუხისმგებლობა, მით უფრო მაღალია თავისუფლების განხორციელების ხარისხი. ამ სისტემაში სხვისი თავი-

²⁶ Seiler, Ch. (2025). Demokratische Legitimation, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), Band III. 85.

²⁷ მოქალაქეთა ურთიერთაღიარების მნიშვნელობისთვის, საზოგადოების სახელმწიფოებო მოდელის თეორიები აქცენტს აკეთებენ ერთგვარ ჰიპოთეტურ, ფიქციური ხასიათის მოცემულობაზე, რათა საზოგადოების წევრებს შორის შეთანხმება (კონსენსუსი) საყოველთაო აღიარებას დაეფუძნოს. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო აღიარება მოპოვა როულსმა, იხ. Rawls, J. (1975). Eine Theorie der Gerechtigkeit.

სუფლების უარყოფით არ არსებობს ჩემი თავისუფლება, ისევე, როგორც სხვისგან ჩემი თავისუფლების უგულებელყოფით არ არსებობს იგი²⁸.

როდესაც სხვისი უფლება, ამ შემთხვევაში, უმრავლესობის პოლიტიკური არჩევანი უარყოფილია, სივრცე იხსნება დესტრუქციისთვისა და პოლიტიკური სისტემის უგულებელყოფისთვის, ე.ი. არაკონსტიტუციური განწყობისთვის. მისი მასშტაბები შესაბამის ორგანიზაციულ და იდეოლოგიზირებულ აქტივობებზეა დამოკიდებული. „ფიქსირებული განწყობის ტყვეობაში“, „წინასწარაღებული აზრით“ (უზნაძე) ხდება არჩევნების შედეგების დელეგიტიმაცია. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობა, სადაც 2024 წელს საპარლამენტო არჩევნების მთლიანობაში სამართლიანად ჩატარების მიუხედავად, მტკიცებულების გარეშე, საპირისპიროს ამტკიცებს უმცირესობის რადიკალური ფრთა. კრიტიკული პოზიციის დაფიქსირებისთვის, მართალია, სამართლებრივ სახელმწიფოში აღიარებულია პროტესტის მშვიდობიანი, მასშტაბური გამოხატვის ფორმებიც, თუმცა, მხოლოდ კონსტიტუციურ ფარგლებში. აგრესიული დემონსტრაციების საპოლიციო საშუალებებით შეზღუდვა, ცალკეულ დესტრუქციულ ქმედებებზე სამართლებრივი რეაგირება, დემოკრატიული სისტემის სამართლებრივი დაცვის ვალდებულებას ემყარება, მხოლოდ ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვით.

2.4. წინააღმდეგობის უფლება და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დაცვის ვალდებულება

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დაცვის მიზნით, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ყველა სხვა საშუალება ამოწურულია, ცალკეული ქვეყნის ძირითადი კანონი უზრუნველყოფს წინააღმდეგობის კონსტიტუციურ უფლებას²⁹. წინააღმდეგობის განსაკუთრებულ მასშტაბსა და უსამართლობის უკიდურესად მიუღებელ რეალობაზეა დამოკიდებული პროტესტის რევოლუციური ხასიათი. ამ თვალსაზრისით, ზუსტი ინდიკატორების განსაზღვრა შეუძლებელია, იგი ყოველთვის ინდივიდუალურია. წინააღმდეგობის უფლების განხორციელების კლასიკური შემთხვევებია³⁰, როდესაც ხელისუფლება კარგავს ლეგიტიმურობას და იძენს ტირანიის, დიქტატურის სახეს, სადაც ადამიანის უფლებების უხეში დარ-

²⁸ იზორია, ლ. (2021). თავისუფლება - პროცესი სამართლიანობისთვის. 17.

²⁹ მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის IV აბზაცი.

³⁰ Kriele, M. (1983). Die Rechtfertigungsmodelle des Widerstands, APuZ. 12.

ღვევები აუტანელ და მასობრივ ხასიათს იღებენ; ან როდესაც საქმე გვაქვს კოლონიალურ დამპყრობელთან. მართალია, მდგრადი დემოკრატიებისთვის ასეთი რევოლუციური სცენარები დღემდე უცხოა, თუმცა, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები ბევრი ისეთი ფაქტის მონმენი არიან, როდესაც კრიტიკულად განწყობილი რადიკალური ჯგუფების მიერ ხდება ისეთი „აუტანელი რეალობის“ წარმოსახვა³¹, რომელიც გაამართლებდა პროტესტის უკიდურეს ფორმებს, როგორებიცაა წინააღმდეგობა, დაუმორჩილებლობა, აჯანყება და ა.შ.

პოლიტიკაში წარმოსახვითი ილუზიით შთაგონებული განწყობის საფუძველზე რადიკალური ჯგუფების მოქმედება მიმართულია არა რეალურ დასაბუთებაზე, არამედ სინამდვილის მიუღებლობაზე და მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების პროპაგანდაზე³². აღნიშნული დამოკიდებულება დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ლოგიკურ გამოხატულებას ჰპოვებს ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამ პროცესის სათავეშია „ღირებულებათა ელიტა“³³, რომელსაც „მოჭარბებული მე-ს განცდა“ (უზნადის „გაფართოებული მე“-ს პერეფრაზირებით ეს არის ერთგვარი „ვიწრო მე“, რომელიც ყოველთვის საკუთარი ეგოს პრიმატს აღიარებს) ამოძრავებს. ეს ტიპური არაკონსტიტუციური განწყობაა, რომელიც საკუთარი უფლებების მსგავსად, სხვის უფლებებს არ აღიარებს. მისთვის უმრავლესობის პოზიცია, ჩვეულებრივი ადამიანების შეხედულებებია³⁴, რომლებმაც რაციონალობის იმ ხარისხს ვერ მიაღწიეს ცხოვრებაში, როგორც ეს მათ თავად შეძლეს. როგორც ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნე, პროფ. კრიელე აღნიშნავს, ამ სულისკვეთების სათავეში, რიგ შემთხვევაში, დგანან ჟურნალისტები, პედაგოგები, მწერლები, ხელოვანები, სტუდენტები და სხვ.³⁵ ის დასძენს, რომ ამ კრიტიკულ ინტელექტუალებს, ხშირ შემთხვევაში, თავად დემოკრატიის წარმომადგენლობითი ორგანოების მიმართ უჩნდებათ უნდობლობა.

როგორც აღინიშნა, არც ტრადიციული დემოკრატიული სახელმწიფოსთვისაა უცხო წინააღმდეგობის მოძრაობები. მათი თემები სხვადასხვა დროს განსხვავებულია. საქართველოს სინამდვილეში წინააღმდეგობის აქტორებისთვის ასეთ თემას დღეს გაყალბებული არჩევნების წარმოსახვითი ილუზია ქმნის, რომელსაც ხელს უწყობს ცალკეული მედია საშუალებები. ამ თვალსაზრისით, საქარ-

³¹ ფსიქოლოგიაში ამ მოვლენის საინტერესო ანალიზი აქვს რევაზ ნათაძეს, იხ. ნათაძე, რ. (1958). წარმოსახვის განმანყოფილი მოქმედება.

³² Kriele, M. (1983). Die Rechtfertigungsmodelle des Widerstands, APuZ. 15.

³³ იქვე, 18.

³⁴ იქვე, 19.

³⁵ იქვე, 20.

თველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. ზოგადად, ეს მიდგომა პოპულარული გახდა ახალი დემოკრატიებისთვის (განსაკუთრებით, ბალკანეთის ქვეყნები), სადაც აღნიშნული თემით წინააღმდეგობის მოძრაობის სათავეში ოპოზიციური პარტიების რადიკალური აქტორები გვევლინებიან.

მსგავს „წინააღმდეგობის მოძრაობებს“ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში უპირისპირდება სისტემის დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარეობს. ერთი მხრივ, სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელებაზე მონოპოლია მხოლოდ ხალხის წარმომადგენლობით და სხვა სახელისუფლო ორგანოებს გააჩნიათ. მეორე მხრივ, სამართლის ყველა სუბიექტს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებრივი მდგომარეობა. დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში ეს ნიშნავს ისეთი სამართლებრივი გარანტიების არსებობას, რომლის მეშვეობით აღნიშნულ პროცესში მონაწილე სუბიექტებს აქვთ ხალხის ნების გამოხატვის საშუალება. პირველ რიგში, საუბარია, კონსტიტუციის ფარგლებში უმრავლესობის ნების რეალიზებაზე და ამასთან ერთად, უმცირესობის კონსტიტუციური უფლებების გარანტიაცაზე. კონსტიტუციის ამ ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფა ნიშნავს თავად სისტემის წინააღმდეგ „წინააღმდეგობის უფლების“ გამოყენებას. თავის მხრივ, თუ ლეგიტიმური მიზანი - დემოკრატიული სისტემის დაცვის ვალდებულება, საპოლიციო ჩარევის სამართლებრივი საშუალებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, მაშინ იგი ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებასთან უნდა იყოს თანაზომიერ დამოკიდებულებაში.

2.5. კონსტიტუციური განწყობა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მედეობა

საზოგადოების ნევრთა კონსტიტუციური განწყობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის წინაპირობაა. ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალო კანონმორჩილება. ეს უკანასკნელი სანქციების შიშითაც შეიძლება იყოს განპირობებული, მაშინ, როდესაც, კონსტიტუციურად განწყობილ მოქალაქეს სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციისა და საერთო პასუხისმგებლობის გაზიარების მინიმალური მოთხოვნა უნდა ამოძრავებდეს. კონსტიტუციის ქმედუნარიანობა დიდწილად საზოგადოების ადეკვატურ შეგნებაზეა დამოკიდებული. მისი „ფსიქოლოგიური ეფექტიანობა“³⁶ ისეთ „კონსტიტუციურ მოლოდინს“³⁷ ემყარე-

³⁶ Jellinek, G. (1959). Allgemeine Staatslehre, 3. Aufl., 334.

ბა, რომ მოქალაქეებს გააზრებული აქვთ, როგორც საკუთარი უფლებების მნიშვნელობა, ისე სხვისი უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვის ვალდებულება. ძირითადი უფლებების გამოყენება არ უნდა იყოს სხვისი და საზოგადო ინტერესისთვის საზიანო.

თანამედროვე სამყაროში კონსტიტუციური განწყობა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. საუბარია, ერთგვარ „სახელმწიფოს ნდობის კრიზისზე“³⁸. ტრადიციული დემოკრატიული საზოგადოების ფარგლებშიც კი, შეინიშნება პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირებისა და სახელმწიფოსთან მოქალაქეობრივი იდენტიფიკაციის შესუსტების მზარდი ტენდენცია³⁹. ლეგიტიმაციის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოსგან საკუთარი „მე“-ს განყენება და მისგან გამიჯვნაა. მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიული საზოგადოების ნაწილში, ისე როგორც საქართველოს რეალობაში, სახეზეა სახელმწიფო ინსტიტუტებთან რადიკალური დაპირისპირებისა და მოჭარბებული ძალადობის ტენდენცია.

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად პოლიტიკურ სისტემაში არ არსებობს თავისუფლება. ამის გარეშე ის ინსტიტუტის საფრთხეს შეიცავს. პირად სფეროშიც კი, სადაც ინდივიდს შეიძლება მეტი „თვითნებური“ მოქმედების სივრცე ჰქონდეს, მისი თავისუფლება ყოველთვის სხვისი უფლებითაა შეზღუდული. ეს მით უფრო თვალსაჩინოა პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, სადაც თავისუფლება მხოლოდ „საკუთარი პასუხისმგებლობისა და სხვისი თავისუფლების მიმართ სოლიდარობის გააზრებით არის შესაძლებელი“⁴⁰. ის არის ურთიერთვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სისტემა, სადაც ყველა აქტორს, იქნება ეს სახელმწიფოს, თუ საზოგადოების წარმომადგენელი, კონსტიტუციურ ჩარჩოში, ანუ ყველასთვის თანაბარი უფლების ფარგლებში მოქმედების ვალდებულება აქვს. სახელმწიფო ხელისუფლებაში პოლიტიკური გუნდის არჩევა სწორედ ამ ვალდებულების დაკისრებაა. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სისტემის ღერძი, უნდა იყოს საზოგადოებაში ინტერესთა სამართლიანი წონასწორობის გარანტი.

თუ კონსტიტუციური განწყობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, იბადება კითხვა, რამდენად შეუძლია სახელმწიფოს საზოგადოებაში ამ განწყობის არსებობას შეუწყოს ხელი? თუ აჯობებს, რომ სახელმწიფო ნაკლებად ჩაერიოს საზო-

³⁷ Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität. 12.

³⁸ Fratzscher, M. (2020). Vertrauenskrise des Staates, Die Zeit, 31. 01.

³⁹ Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität. 1.

⁴⁰ იზორია, ლ. (2021). თავისუფლება - პროცესი სამართლიანობისთვის. 185.

გადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და იყოს მისგან რაც შეიძლება დისტანცირებული და ნეიტრალური? დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო თვითლიკვიდაციის წინააღმდეგ ნეიტრალური ვერ იქნება. ამიტომ, აუცილებელია ისეთი საშუალებების გააქტიურება, რომელიც ყველა აქტორში კონსტიტუციურ პასუხისმგებლობას გააძლიერებს და ამით პოლიტიკური სისტემის მედეგობას გააჯანსაღებს.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მედეგობა, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ მას სამართლებრივი საშუალებებით საკუთარი სისტემის მოწინააღმდეგეებთან გამკლავების უნარი შესწევს⁴¹. მთლიანობაში, დემოკრატიული სისტემის დასაცავად, ის არ გამოირიცხავს მკაცრ შეზღუდვებსაც, მათ შორის, დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველი პარტიების აკრძალვას, როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკიდან არსებული ცალკეული მაგალითები ცხადყოფს⁴². აღნიშნულ შესაძლებლობასთან ერთად, ტრადიციულ დემოკრატიებში სახეზეა საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა მიზანს, ექსტრემიზმის პრევენცია, მათი ფინანსების შეზღუდვა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტორების დაფინანსების მეტი გამჭვირვალობა და, რაც მთავარია, სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა წარმოადგენს⁴³. როგორც ვხედავთ, საზოგადოებაში კონსტიტუციურმა განწყობამ, წმინდა ფსიქოლოგიურ ფაქტორთან ერთად, სამართლებრივი განზომილებაც შეიძინა და მისი სიმტკიცე სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტიანობაზე გახდა დამოკიდებული. ამით სახელმწიფო, თანამედროვე გამონვევების გათვალისწინებით, აჩვენებს საკუთარი სისტემის დაცვის ვალდებულებას. თუ უკლებლივ ყველა სუბიექტის, იქნება ეს სახელისუფლო და საზოგადოებრივი აქტორი, ქმედების საფუძველი უნდა იყოს კონსტიტუცია (კონსტიტუციური განწყობა), მაშინ, ამ საფუძვლების მორყევის პრევენციისთვის, სახელმწიფო ვალდებულია იაქტიუროს და შექმნას საჭირო დამატებითი გარანტიები.

⁴¹ აღნიშნულ თემაზე უახლესი პუბლიკაციები იხ. Christ, J. (2024). Die wehrhafte Demokratie des GG, VBIBW, 117-ე გვერდიდან; Gärditz, K. F. (2024). Resilienz des Rechtsstaates, NJW, 407-ე გვერდიდან; Durner, W. (2025). Wehrhafte Demokratie, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), Band III, 145-ე გვერდიდან; Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität.

⁴² პარტიების აკრძალვაზე დეტალურად იხ. Wittreck, F. (2025). Parteiverbot, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), Band III, 695-ე გვერდიდან.

⁴³ აღნიშნულ ინიციატივებზე დეტალურად იხ. Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität, 33-გვერდიდან.

კონსტიტუციური განწყობის ჩამოყალიბებისთვის სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კონსტიტუციური პედაგოგიკის მნიშვნელობა. მოქალაქეობრივი აღზრდისა და განათლების ყოველ ეტაპზე მთავარი ამოცანაა საკუთარი უფლებების რეალიზებისა და სხვისი უფლებების პატივისცემის შეგნება. სახელმწიფო ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მთავარი გამონვევა არის ადამიანის აღიარების, მისი უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივი სოლიდარობის მინიმალური სტანდარტის კულტურის ხელშეწყობა და განვითარება. საბოლოო ჯამში, დემოკრატიული სისტემის სიცოცხლისუნარიანობა ყველა აქტორის პასუხისმგებლობის საერთო მობილიზებასა და თითოეულის მაღალ პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული.

3. კონსტიტუციური განწყობა საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში

გლობალურ კონტექსტში კონსტიტუციური განწყობის ის ფუნდამენტური მოთხოვნილება იქნება განხილული, რომელიც სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ეროვნულ იდენტობას უკავშირდება.

3.1. სახელმწიფო სუვერენიტეტი და გლობალიზაციის ტენდენციები

თანამედროვე სამყაროში გლობალური კონტექსტი უშუალოდ მოქმედებს ინდივიდის კონსტიტუციურ განწყობაზე. ქვეყნის შიდა და გარე ფაქტორები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთაშორისო ტენდენციებზე დაკვირვებით მოქალაქე აფასებს და აყალიბებს თავის არჩევანს, საკუთარ პოლიტიკურ „მზაობას“. მზარდი გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის გააზრებამ, გლობალურ და კერძო ინტერესებს შორის სწორი ბალანსის განსაზღვრამ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი, თავისუფალი სამყაროს სახელმწიფოებისთვის დღის წესრიგში დადგა მონყვლადი სახელმწიფოების ფინანსური დახმარებისა და მათი მმართველობითი სტრუქტურების ქმედუნარიანობის ხელშეწყობის საკითხი. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მართვის ტრანსნაციონალურმა

ასპექტებმა⁴⁴, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებაში „Global Governance“ და „Governance without Government“ არის ცნობილი⁴⁵. ზოგადად, Governance-ის ცნება მმართველობის კლასიკური გაგებისგან განსხვავებით, რომელიც მმართველობის ფორმალურ-სამართლებრივ მხარეს ეხება, აქცენტს აკეთებს სახელმწიფოში მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების სისტემაზე, ანუ ის, ძირითადად, არაფორმალურ სტრუქტურებსაც მოიცავს⁴⁶.

აღნიშნული მიდგომის ფარგლებში კლასიკური მმართველობითი სტრუქტურების პარალელურად, საერთაშორისო სცენაზე ჩნდებიან ახალი მძლავრი ფინანსური აქტორები არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. ცალკეული გლობალური მასშტაბის პრობლემების, მაგალითად, ეკოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად საუბარი იყო ე.წ. მსოფლიო მთავრობის შექმნაზეც კი, სადაც თანაბარი უფლებებით იქნებოდნენ წარმოდგენილი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც არ ეყოლებოდათ ხელმძღვანელი აქტორი. 1992 წლიდან მსოფლიო ბანკისთვის Governance-ს ცნება ერთგვარი სახელმძღვანელო პრინციპიც გახდა იმისთვის, რომ შეეფასებინა ცალკეული ქვეყნის განვითარება, მათ შორის, ქვეყნის მმართველობით პროცესებში არაფორმალური აქტორების (NGO) ჩართულობის თვალსაზრისით.

დღეს, აღნიშნული ტენდენციების მზარდი განვითარების პირობებში, საქართველოს და, მათ შორის, ტრადიციული დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური დღის წესრიგშიც დგას საკითხი იმის შესახებ, თუ სად გადის დემოკრატიულ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ზღვარი, რომელიც, პირველ რიგში, სახალხო სუვერენიტეტის, ანუ, ხალხისგან გარკვეული ვადით უფლებამოსილი ხელისუფლების განხორციელების იდეას ემყარება. ხელისუფლებას უმრავლესობა ახორციელებს, თუმცა, კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით საპარლამენტო ცხოვრებაში, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, უმცირესობაც არის ჩართული. ორგანიზაციულ-სამართლებრივად ჩამოყალიბებულ აპოლიტიკურ აქტორებს, ამ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მართალია, აქვთ პოლიტიკურ პროცესებზე თანამონაწილეობის უფლება, მაგრამ პოლიტიკური ინტერე-

⁴⁴ Badura, P. (2010). Konzeptionen europäischer und transnationaler Governance in der Perspektive des Verfassungsrechts.

⁴⁵ Rosenau, J., Czempiel, E. O. (1992). Governance without government: Order and Change in World Politics.

⁴⁶ Schuppert, G. F. (2008). Governance - auf der Suche nach Konturen eines „anerkannt uneindeutigen Begriffs“, in: Governance in einer sich wandelnden Welt, Schuppert, G. F., Zürn, M. (Hrsg.), მე-13 გვერდიდან.

სისგან, ცალკეული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისგან, მიუკერძოებლად (მაგალითად, 2025 წლის თებერვალში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მმართველი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ფრაქციამ პარლამენტში საკითხი დასვა ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ, მას შემდეგ, რაც ცალკეული NGO-ები პოლიტიკურად ანგაჟირებულები მოქმედებდნენ. კერძოდ, მან წერილობითი კითხვარით მიმართა მთავრობას, რათა მიეღოთ სრული ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ენჯეების საქმიანობის შესახებ)⁴⁷.

ამასთან, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აპოლიტიკური აქტორებიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, არსებობს იმის საფრთხე, რომ მოქალაქე გახდეს ცალკეული პარტიკულარული, ან გარე ინტერესების მანიპულაციის ობიექტი. ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს საჯარო ინფორმაცია მათი დაფინანსებისა და საქმიანობის შიდადემოკრატიული ფორმების შესახებ. გავლენიანი საზოგადოებრივი ჯგუფების ძალაუფლება უნდა იყოს სამართლით შეზღუდული. დემოკრატიაში ადამიანის უფლებების დაცვა ძალაუფლების შეზღუდვით არის შესაძლებელი, ყველა სახის ძალაუფლება სამართლით უნდა იყოს რეგულირებული. აქედან გამომდინარე, ევროპულ სივრცეშიც სულ უფრო აქტუალური ხდება ცალკეული საზოგადოებრივი კავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის სამართლებრივი მოწესრიგება⁴⁸.

გლობალურმა ტენდენციებმა, როგორც შიდაპოლიტიკური, ისე საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ფარგლებშიც, გავლენა იქონიეს სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებაზე. საერთაშორისო ურთიერთობების ქრილში სახელმწიფო სუვერენიტეტის კლასიკური გაგება აქცენტს აკეთებს გარეშე ძალის ჩარევისგან დამოუკიდებლად, სახელისუფლო უფლებამოსილებების განხორციელების უნარზე. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებს შორის მჭიდრო თანამშრომლობამ და ინტეგრაციის მაღალმა ხარისხმა წარმოშვა სახელმწიფო სუვერენიტეტის ისეთი გაგების აუცილებლობა, რომელიც წონასწორობას უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო სუბიექტებს შორის. ამ თვალსაზრისით, ერთიანი პოლიტიკური გაერთიანების შემთხვევაშიც, კომპეტენციების შესახებ კონფლიქტის დროს, მაქსიმალური აქცენტი უნდა გაკეთდეს სუვერენიტეტის ისეთ გაგებაზე, რომელიც თანასწორუფლებიანობის საწყისებზე, დიალოგის გზით საკითხების გადაწყვეტა-

⁴⁷ Deutsche Bundestag (24.02.2025). 20. Wahlperiode, Drucksache 20/15035.

⁴⁸ Kluth, W. (2025). Verbände und Nichtregierungsorganisationen, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band. 487.

ზე იქნება ორიენტირებული⁴⁹. დღევანდელ სამყაროში აბსოლუტური დამოუკიდებლობით ვერცერთი ქვეყნის სამართლის სისტემა ვერ იარსებებს. მათი საერთაშორისო-სამართლებრივ ფარგლებში თანამშრომლობა, მხოლოდ ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით უნდა იყოს გამართლებული⁵⁰. სახელმწიფოთა პოლიტიკურ გაერთიანებაშიც კი, ნევრ-სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და მათი ინტეგრაციის ხარისხი ორმხრივი ინტერესების ბალანსზე უნდა იყოს დამყარებული.

ერთან მიმართებაში კონსტიტუციური განწყობის ცნება მოიცავს, როგორც სახალხო, ისე სახელმწიფო სუვერენიტეტის ელემენტებსაც, ე.ი. როგორც ქვეყნის შიდა საქმეებში ხალხის მმართველობის, ისე საგარეო საქმეებში მისი დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებსაც. ამ მოთხოვნების სიმძაფრე კონკრეტულ ისტორიულ რეალობაში ემოციური ფაქტორებით არის განპირობებული. მაგალითად, ერის სუვერენული უფლებების დაცვა მეტი სიმწვავეთ იჩენს თავს, თუ ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია, თუ მისი პოლიტიკური არჩევანი, შესაბამისად, არჩევნების შედეგები, ცალკეული ქვეყნის მიერ ობიექტურად არ არის შეფასებული და აღიარებული, თუ სახეზეა საგარეო აქტორების მხრიდან ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევის ფაქტები, თუ შიდა და გარე აქტორების მიმართ მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალედებულების დემოკრატიული მოთხოვნა დგას დღის წესრიგში და სხვ. ის, თუ რამდენად მოიცავს კონსტიტუციური განწყობის ცნება ემოციურ ფაქტორებსაც, და ის, თუ რა დიდ გავლენას ახდენენ აღნიშნული ფაქტორები მოსახლეობის უმრავლესობის კონკრეტულ გადანყვეტილებებზე, ბოლო ქვეთავში, ევროპული ინტეგრაციისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთმიმართების ქრილში იქნება განხილული.

3.2. ევროპული ინტეგრაცია და ეროვნული იდენტობა

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოების პოლიტიკური ერთობის ფუნდამენტურ წინაპირობას ეროვნული იდენტობა წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ერებზე, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. თანამედროვე გლობალურ კონტექსტში, კერძოდ, ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფოების ინტეგრაციის პროცესში, ეროვნული იდენტობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს თანაბრად ეხე-

⁴⁹ Paulus, A. (2023). Der souveräne Staat in der Staatengemeinschaft, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), I Band. 88.

⁵⁰ იქვე, 89.

ბა, როგორც ევროკავშირის ნევრ-სახელმწიფოებს, ისე კანდიდატ ქვეყნებსაც. ჩვენთვის საკუთარი ქვეყნის რეალობა საინტერესო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობის გაცხადებული ნება ევროპული ინტეგრაციაა და ამასთან, საკუთარი იდენტობის დაცვა, ანუ, კონსტიტუციური განწყობის ქრილში, ორ ფუნდამენტურ მოთხოვნას შორის წონასწორობის მიღწევა.

ის, თუ რამდენად მოიცავს ევროპული ინტეგრაციის პროცესში ცალკეული ერის კონსტიტუციური განწყობა ემოციურ ელემენტებსაც, 2005 წელს საერთო ევროპული კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის ფაქტით შეიძლება წარმოჩინდეს. ამ თვალსაზრისით, ევროპაში საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდა, რომელთა შორის გამოვყოფდი ცნობილი გერმანელი კონსტიტუციონალისტის, დეპენჰეიერის სტატიას⁵¹. აღნიშნულ სტატიაში მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორები და გაცხადებული პოლიტიკური ნება ვერ იქნება ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების, თუ მისი გაფართოების წინაპირობა. მხოლოდ ბიუროკრატიულ-ტექნოკრატიული მიდგომები ვერ უზრუნველყოფს ინტეგრაციული პროცესების წარმატებას⁵². აუცილებელია, ევროკავშირის თითოეული ნევრი, თუ კანდიდატი სახელმწიფოს ეროვნულ-ემოციური ფაქტორების გათვალისწინება⁵³. ის ფაქტი, რომ ცალკეული ქვეყნის რეფერენდუმში საერთო ევროპულმა კონსტიტუციის პროექტმა მიიღო უარი, აიხსნება უფრო ფსიქოლოგიური მომენტებით, კერძოდ კი, საკუთარი სახელმწიფო სუვერენიტეტის შესუსტებისა და გაფართოების მიმართ მოსახლეობაში არსებული სიფრთხილისა და თავშეკავების მომენტით.

დეპენჰეიერის მოსაზრებით, ეროვნული განწყობები ვერ იქნება ლოგიკური ნორმების მსგავსად, მკაცრად განსაზღვრული და, შესაბამისად, დედუქციურად ახსნადი. ის მოიცავს, როგორც რაციონალურ, ისე ირაციონალურ ელემენტებსაც. სამშობლოს სიყვარული, რწმენა, ტრადიცია, შემოქმედება, თავმოყვარეობა, იუმორი, ტრაგედია, თუ მრავალი სხვა საერთო-ეროვნული ენერჯის ელემენტები, ერი-სახელმწიფოს რაციონალურ ლეგიტიმაციასთან (ვებერი) ერთად, ქმნიან ეროვნული იდენტობის სიცოცხლისუნარიანობას. ისინი ეგზისტენციალურად არსებობენ, ყოველგვარი თეორიული წინაპირობების გარეშე⁵⁴. ბრიუსელის „ევ-

⁵¹ Depenheuer, O. (2006). Nationale Identität und europäische Gemeinschaft, in: Nationale Identität in vereinten Europa, Buchstab, G., Uertz, R. (Hrsg.), 55-ე გვერდიდან.

⁵² იქვე, 58.

⁵³ იქვე, 66.

⁵⁴ იქვე, 68.

როინჟინრების⁵⁵ მიერ წვერი სახელმწიფოების „ეროვნული იდენტობის მოთხოვნების“ უგულვებელყოფა და მხოლოდ რაციონალური კონსტრუქციებით ევროპული იდენტობის უზრუნველყოფა, ვერ იქნება წარმატებული. ევროკავშირის პოლიტიკური იდენტობა წვერი სახელმწიფოების ეროვნულ იდენტობას და საერთო ქრისტიანულ, კულტურულ ღირებულებებს ემყარება. მისი მოსახლეობის უმრავლესობაც ევროპულ ინტეგრაციას ეროვნული და საერთო ევროპული ღირებულებების ბალანსში ხედავს.

მხოლოდ ერთიანი სამართლებრივი სივრცე ვერ შექმნის ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მედეგობას, აუცილებელია „სამართლებრივთან ერთად ეროვნული“⁵⁶ ფაქტორების გათვალისწინება, გაფართოების ასპექტში ეროვნული თავისებურებების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა. დეპენჰოიერის მიერ, ჯერ კიდევ, 2006 წელს, აღნიშნულ სტატიაში ჩამოყალიბებული დასკვნები სულ უფრო თვალსაჩინო ხდება დღევანდელ რეალობაში. მზარდი მიგრაციული გამოწვევებისა და გეოპოლიტიკური კრიზისის ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება ზოგადად საზღვრებისა და კონკრეტულად, ერი-სახელმწიფოს საზღვრების მნიშვნელობა⁵⁷. საერთო ევროპულ სივრცესთან ერთად, საუბარია, სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრების ეფექტიან კონტროლზე. დეპენჰოიერის მიერ ოცი წლის წინ გამოთქმული პოზიცია⁵⁸, რომ ევროპულ მომავალს, მისი ინტეგრაციის ხარისხს, ევროპული ერი-სახელმწიფოები გადანყვეტენ და არა ბრიუსელი, დღეს უფრო აქტუალურად ჟღერს.

საქართველოს რეალობაში ეროვნულ იდენტობასა და ევროპულ ინტეგრაციას შორის ბალანსის უზრუნველყოფის საკითხი ყველაზე დიდი სიმწვავეით დგას ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხში. ოჯახი საქართველოში ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის საფუძველია. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, ის ქალისა და მამაკაცის ქორწინებას და მათ თანასწორუფლებიან ურთიერთობას ემყარება. ნიშანდობლივია, რომ იმავე მუხლში დედათა და ბავშვთა უფლებებია გარანტირებული. ამ კონტექსტში ოჯახის ინსტიტუციური

⁵⁵ იქვე, 67.

⁵⁶ იქვე, 72.

⁵⁷ ამ თემაზე 2018 წელს საინტერესო წიგნი გამოსცა საერთაშორისოდ აღიარებულმა გერმანელმა კონსტიტუციონალისტმა იზენზეემ, იხ. Isensee, J. (2018). Grenzen.

⁵⁸ Depenheuer, O. (2006). Nationale Identität und europäische Gemeinschaft, in: Nationale Identität in vereinten Europa, Buchstab, G., Uertz, R. (Hrsg.). 72.

არსი ბავშვის უფლებების კონსტიტუციურ დაცვაში⁵⁹, განსაკუთრებით, მის მიმართ დედობრივი მზრუნველობის ხელშეწყობაში. საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არა მხოლოდ კონსტიტუციურად არის დაუშვებელი, არამედ ის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის არის იდენტურად მიუღებელი.

განსხვავებული რეალობა გვაქვს ევროპაში, სადაც სახელმწიფოების უმრავლესობაში ერთსქესიანთა ქორწინება სამართლებრივად აღიარებული და უზრუნველყოფილია. ტრადიციულ ოჯახთან ერთად, არატრადიციული ოჯახის აღიარებას, ევროპელი კონსტიტუციონალისტები, ძირითადად, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეცვლით, ანუ მენტალური ცვლილებებით ხსნიან. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი, ფოსკულე აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიღებიდან, ანუ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, არცერთ სოციალურ სფეროს არ განუცდია საზოგადოებრივ აღქმაში ისეთი მკვეთრი ცვლილება, როგორც ქორწინებას და ოჯახს⁶⁰. მისი აზრით, სწორედ, ამ შეცვლილი მენტალობით აიხსნება მისი სამართლებრივი განმტკიცება. იგივე პოზიციაა დაფიქსირებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში⁶¹.

საქართველოშიც, მართალია, საზოგადოებრივი მენტალობა განსაზღვრავს ოჯახის კონსტიტუციურ მნიშვნელობას, მაგრამ, აქ სწორედ მისი ტრადიციული ფორმის დაცვის მოთხოვნით. ოჯახთან მიმართებაში, ქართველი ერის კონსტიტუციური განწყობა მრავალსაუკუნოვან, ღრმა ტრადიციულ ფესვებს უკავშირდება. ამ განწყობაში საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ევროპის კონსერვატიული კულტურის ქვეყნებიც აღიარებენ ტრადიციულ ქორწინებებს. სწორედ, ბავშვის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარეობს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ახლო წარსულში მიღებული საქართველოს კანონი. მის მიმართ გამოთქმული ბრიუსელის კრიტიკა ქართული იდენტობის ყველაზე მგრძობიარე თემას ეხება. ეროვნული ღირებულებების დაცვა, განსაკუთრებით, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის კონსტიტუციური გარანტია, წინააღმდეგობაში არ მოდის ადამიანის უფლებებ-

⁵⁹ ტრადიციულ ოჯახზე და საზოგადოებაში მის ინსტიტუციურ მნიშვნელობაზე განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრის, უდო დი ფაბიოს შეხედულებები, იხ. Di Fabio, U. (2005). Die Kultur der Freiheit, 140-ე გვერდიდან.

⁶⁰ Voßkuhle, A. (2008). Verfassungsinterpretation und Verfassungswandel (Konrad-Adenauer-Stiftung – Rechtspolitischer Kongress 29. November 2018. <https://www.kas.de>). 4.

⁶¹ BVerfGE 133, 59.

თან, არამედ პირიქით, ის ბავშვის ძირითადი უფლებებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის ოპტიმალური საშუალებაა.

ევროპული ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, რომელიც ურთიერთალიარებასა და ურთიერთპატივისცემას ემყარება. ევროკავშირში განწვერიანების კანდიდატი ქვეყნისათვის, ის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების შესრულებასთან ერთად, საკუთარი იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მის განვითარებას უკავშირდება. ორმხრივ პროცესში სწორი ბალანსის შერჩევა ორივე მხარის პოლიტიკურ გონიერებაზე და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ლაკონურად წარმოთქმული ფრაზა „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ევროპელი“, პოლიტიკურად გამართლებულია, თუ იგი ევროპულ ერთა იდენტობის იდეას ემყარება. თანამედროვე ევროპული კონსტიტუციური განწყობა დასაბამს იღებს ქრისტიანობიდან, რომლის თანახმად, „ადამიანი ღმერთმა შექმნა თავის მსგავსად, თავის ხატად“. აქედან გამომდინარე, ევროპულ კონსტიტუციებში ადამიანის ღირსება „ხელშეუვალ“⁶², აბსოლუტურ განზომილებაშია აყვანილი. ამასთან, ევროპული კონსტიტუციური განწყობა მისი კონკრეტული ქვეყნების ეროვნული იდენტობის ისტორიული ფესვებიდან აღმოცენდა და დღეს ევროპულ კონსტიტუციებში სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპში ჰპოვებს თავის გამოხატულებას.

დასკვნა

კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი ტექსტი, ის სამართლებრივი კულტურის ნაწილია. აღნიშნული კულტურა მათ მიერ ვითარდება, ვისთვისაც კონსტიტუცია არის შექნილი - მოქალაქე, სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები. ეს მისი მუდმივი განხორციელების პროცესია, რომელსაც ყოველთვის სჭირდება შესაბამისი მზაობა, გათვითცნობიერება და მოქმედება, ანუ, უზნაძის ტერმინით, განწყობა.

ისტორიულად, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, კონსტიტუციური განწყობის ჩამოყალიბება პირველი კონსტიტუციების მიღებას უკავშირდება. ეს იყო საკუთარი და სხვისი უფლებების გათვითცნობიერების, კერძო და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანაზომიერი დაცვის ვალდებულების გააზრების ისტორიული ეტაპი, რომლის შემდგომი განხორციელება, მართალია, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ყოველთვის გამოწვევებს

⁶² საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანის ძირითადი უფლებების თავი, სწორედ, ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის პრინციპით იწყება.

უკავშირდებოდა. სამართლებრივი კულტურისთვის ბრძოლა, მათ შორის, შედარებით მაღალი სამართლებრივი კულტურის დასავლეთის ქვეყნებშიც, არ დასრულებულა, ის მუდმივი პროცესია, რომლის სიცოცხლისუნარიანობა თითოეულის ადეკვატურ კონსტიტუციურ განწყობაზეა დამოკიდებული.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოს მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუწია კონსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მოცემულ სტატიაში აღწერილია თანამედროვეობის ის გამოწვევები, რომლებიც თავს იჩენს, როგორც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. ამ მიმართულებით, განხილულია არაკონსტიტუციური განწყობის ისეთი გამოვლინებები, როგორებიცაა დემოკრატიული არჩევნების შედეგების არალიარების, წინააღმდეგობის უფლების რადიკალიზაციის, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სისტემის დელეგიტიმაციის ფაქტები. ამ რეალობაში, მნიშვნელოვანია ყველა სუბიექტის მიერ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დაცვის ვალდებულებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მედეგობის განმტკიცების გააზრება. საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, მზარდი გლობალიზაციის პირობებში, დღის წესრიგში დგას, ერთი მხრივ, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის, ხოლო მეორე მხრივ, ინტეგრაციულ პროცესებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

- უზნაძე, დ. განწყობის ფსიქოლოგია, მეოთხე გამოცემა. რედაქტორი შოთა ნადირაშვილი.
- უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია. ა. ფრანგიშვილის საერთო რედაქციით.
- უზნაძე, დ. (2005). პედაგოგიური თხზულებანი. რედაქტორი ზ. ცუცქერიძე.
- უგრეხელიძე, მ., ქანთარია, ბ. (გამომცემლები), (2019). კონსტიტუციონალიზმი – მიღწევები და გამოწვევები.
- წერეთელი, მ. (2010). ერი და კაცობრიობა. რედაქტორი ედუარდ კოდუა (1990). გამსახურდია, კ. (2023). სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის.
- ქიქოძე, გ. (1985). წერილები, ესსეები, ნარკვევები (შემდგენელი ლ. ასათიანი).
- იზორია, ლ. (2025). სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნება (სამართალმცოდნეობის შესავალი), მეორე შევსებული გამოცემა.
- იზორია, ლ. (2021). თავისუფლება - პროცესი სამართლიანობისთვის.
- კობახიძე, ი. (2023). კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა.
- ნათაძე, რ. (1958). წარმოსახვის განმანყოფიელი მოქმედება.

- Badura, P. (2010). Konzeptionen europäischer und transnationaler Governance in der Perspektive des Verfassungsrechts.
- Gärditz, K. F. (2024). Resilienz des Rechtsstaates, NJW.
- Deppenheuer, O. (2006). Nationale Identität und europäische Gemeinschaft, in: Nationale Identität in vereinten Europa, Buchstab, G., Uertz, R. (Hrsg.).
- Durner, W. (2025). Wehrhafte Demokratie, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.
- Di Fabio, U. (2005). Die Kultur der Freiheit.
- Isensee, J. (2008). Staat, in: Handbuch der Katholischen Soziallehre, Rauscher, A. (Hrsg.).
- Isensee, J. (2018). Grenzen.
- Jellinek, G. (1959). Allgemeine Staatslehre, 3. Aufl.
- Kriele, M. (1983). Die Rechtfertigungsmodelle des Widerstands, APuZ.
- Kriele, M. (2004). Grundprobleme der Rechtsphilosophie, 2. Aufl.
- Kluth, W. (2024). Verbände und Nichtregierungsorganisationen, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.
- Mahlmann, M. (2024). Konkrete Gerechtigkeit, 7. Aufl.
- Frankenberg, G. (1997). Die Verfassung der Republik.
- Fratzcher, M. (31.01.2020). Vertrauenskrise des Staates, Die Zeit.
- Piaget, J. (2019). Das moralische Urteil des Kindes, 2. Aufl., III Band.
- Paulus, A. (2023). Der souveräne Staat in der Staatengemeinschaft, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), I Band.
- Hesse, K. (1993). Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 19. Aufl.
- Seiler, Ch. (2025). Demokratische Legitimation, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube, (Hrsg.), III Band.
- Rawls, J. (1975). Eine Theorie der Gerechtigkeit.
- Rosenau, J., Czempiel, E. O. (1992). Governance without government: Order and Change in World Politics.
- Christ, J. (2024). Die wehrhafte Demokratie des GG, VBIBW.
- Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität.
- Schuppert, G. F. (2008). Governance – auf der Suche nach Konturen eines „anerkannt uneindeutigen Begriffs“, in: Governance in einer sich wandelnden Welt, Schuppert, G.F./Zürn, M. (Hrsg.).
- Voßkuhle, A. (2018). Verfassungsinterpretation und Verfassungswandel (Konrad-Adenauer-Stiftung – Rechtspolitischer Kongress 29. November 2018, <https://www.kas.de>).
- Wittreck, F. (2025). Parteiverbot, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.

CONSTITUTIONAL MINDSET

LEVAN IZORIA

Doctor of Law, Professor

izoria.l@yahoo.com

Abstract (*The Constitutional Significance of Dimitri Uznadze's Theory of Set in Contemporary Georgia*). The aim of this article is to reflect on public and civic responsibility in a democratic state through interpretation of Dimitri Uznadze's theory of set. Through an interdisciplinary study, the article seeks, on the one hand, to answer the question of how necessary an adequate public mindset is for the normal functioning of democratic institutions within the state. This issue is particularly relevant in view of the fact that, in contemporary Georgia, certain groups propose radical and revolutionary approaches in shaping the agenda of socio-political life. On the other hand, the article aims to demonstrate the importance of national and emotional factors in the formation of a constitutional mindset within both domestic and foreign policy contexts of the country.

Keywords: *Uznadze's Theory of Set, Constitutional Mindset, Unconstitutional Mindset, Democratic Resilience, State Sovereignty, National Identity*

REFERENCES

- Uznadze, D. *The Psychology of Set*, 4th edition (edited by Sh. Nadirashvili).
- Uznadze, D. *General Psychology* (Chief editor A. Prangishvili).
- Uznadze, D. (2005). *Pedagogical Works* (ed. Z. Tsutskiridze).
- Ugrekheldidze, M., Kantaria, B. (Eds.). (2019). *Constitutionalism: Achievements and Challenges*.
- Tsereteli, M. (2010). *Nation and Humanity* (edited by Eduard Kodua). (1990).
- Gamsakhurdia, K. (2023). *For the Homeland and the Nation-State*.
- Kikodze, G. (1985). *Letters, Essays, and Sketches* (compiled by L. Asatiani).
- Izoria, L. (2025). *Legal and State Thinking (An Introduction to Jurisprudence)*, 2nd expanded edition.
- Izoria, L. (2021). *Freedom: A Process Towards Justice*.
- Kobakhidze, I. (2023). *Constitutional Law*, 3rd edition.

- Natadze, R. (1958). Action Leading to Imagination.
- Badura, P. (2010). Konzeptionen europäischer und transnationaler Governance in der Perspektive des Verfassungsrechts.
- Gärditz, K. F. (2024). Resilienz des Rechtsstaates, NJW.
- Depenheuer, O. (2006). Nationale Identität und europäische Gemeinschaft, in: Nationale Identität in vereinten Europa, Buchstab, G., Uertz, R. (Hrsg.).
- Durner, W. (2025). Wehrhafte Demokratie, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.
- Di Fabio, U. (2005). Die Kultur der Freiheit.
- Isensee, J. (2008). Staat, in: Handbuch der Katholischen Soziallehre, Rauscher, A. (Hrsg.).
- Isensee, J. (2018). Grenzen.
- Jellinek, G. (1959). Allgemeine Staatslehre, 3. Aufl.
- Kriele, M. (1983). Die Rechtfertigungsmodelle des Widerstands, APuZ.
- Kriele, M. (2004). Grundprobleme der Rechtsphilosophie, 2. Aufl.
- Kluth, W. (2024). Verbände und Nichtregierungsorganisationen, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.
- Mahlmann, M. (2024). Konkrete Gerechtigkeit, 7. Aufl.
- Frankenberg, G. (1997). Die Verfassung der Republik.
- Fratzcher, M. (31.01.2020). Vertrauenskrise des Staates, Die Zeit.
- Piaget, J. (2019). Das moralische Urteil des Kindes, 2. Aufl., III Band.
- Paulus, A. (2023). Der souveräne Staat in der Staatengemeinschaft, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), I Band.
- Hesse, K. (1993). Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 19. Aufl.
- Seiler, Ch. (2025). Demokratische Legitimation, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube, (Hrsg.), III Band.
- Rawls, J. (1975). Eine Theorie der Gerechtigkeit.
- Rosenau, J., Czempiel, E. O. (1992). Governance without government: Order and Change in World Politics.
- Christ, J. (2024). Die wehrhafte Demokratie des GG, VBIBW.
- Schwarz, K-A. (2025). Staat und Loyalität.
- Schuppert, G. F. (2008). Governance – auf der Suche nach Konturen eines „anerkannt uneindeutigen Begriffs“, in: Governance in einer sich wandelnden Welt, Schuppert, G.F./Zürn, M. (Hrsg.).
- Voßkuhle, A. (2018). Verfassungsinterpretation und Verfassungswandel (Konrad-Adenauer-Stiftung – Rechtspolitischer Kongress 29. November 2018, <https://www.kas.de>).
- Wittreck, F. (2025). Parteiverbot, in: Handbuch des Staatsrechts, Kischel/Kube (Hrsg.), III Band.

**სახის ამომცნობი ტექნოლოგიები საქართველოს
სისხლის სამართლის პროცესში – ხელოვნური
ინტელექტი, „ზავი ყუთი“ და სამართლიანი
სასამართლოს უფლება**

ეკა ხუციშვილი

სამართლის მაგისტრი
ფულბრაიტის სტიპენდიანტი
ჰუბერტ ჰ. ჰამფრის სტიპენდიის მონაწილე
ევროკომისიის სტიპენდიანტი სისხლის სამართლის
საერთაშორისო სასამართლოში
ekakhutsishvili77@gmail.com

ნინო გვენეტაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი
nino.gvenetadze@tsu.ge

რეზიუმე. სტატია ეძღვნება სახის ამომცნობი ტექნოლოგიების (Facial Recognition Technologies – FRT) გამოყენებით ადამიანის უფლებრივი რისკების სამართლებრივ ანალიზს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივი თავშეყრის (ხალხმრავალ) ადგილებში სისტემური და მასშტაბური მონიტორინგის განხორციელების პირობებში FRT გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულების სამართლებრივი შედეგები სისხლის სამართლის პროცესში. გამოვლენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის ხარვეზები, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების (DPIA) დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტებთან დაკავშირებით. აღნიშნული წარმოქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკებს. კვლევაში გაანალიზებულია ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი – საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

(ECHR) მე-6 და მე-8 მუხლების სტანდარტების მიხედვით. კვლევა ეყრდნობა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ დადგენილ უახლეს სტანდარტებს; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს; აშშ-ის სასამართლო პრაქტიკით და აკადემიური დებატებით დადგენილ დოქტრინალურ მიდგომებსა და სტანდარტებს – ე.წ. Frye/Daubert, „Glass Box“ vs „Black Box“ ხელოვნური ინტელექტისა (AI) და, მათ შორის, FRT მიმართებით და, ამასთან, საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი განახლებული კანონმდებლობის შედეგად გაუმჯობესდა (2024 წლის მარტში ამოქმედებული საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ უფრო მეტად მიუახლოვდა ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტის – GDPR სტანდარტებს). მიუხედავად ამისა, არსებობს ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს აღმოფხვრას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულყოფილი დაცვის მიზნით. DPIA რეკვიზიტების დახვეწა და შემდგომ სისხლის სამართლის პროცესში ამ დოკუმენტის გამოყენება არსებით როლს შეასრულებს ზემოაღნიშნული უფლებების სრულყოფილ დაცვაში.

საკვანძო სიტყვები: სახის ამოცნობის ტექნოლოგია, ალგორითმული მიკვლევადობა, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება, მტკიცებულებათა დასაშვებობა, სამართლიანი სასამართლო

I. შესავალი

AI, როგორც მონაცემებზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების მექანიზმი, დღეისათვის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. მისი ერთ-ერთი ფორმაა სახის ამომცნობი ტექნოლოგიები (FRT). FRT შესაძლებელს ხდის ციფრული გამოსახულებების შედარებას ერთი და იმავე პირის იდენტიფიცირების მიზნით ვიდეოკამერებიდან (CCTV) მიღებული კადრების მონაცემთა ბაზაში არსებულ გამოსახულებებთან შედარებით¹.

¹ European Union Agency for Fundamental Rights, *Facial Recognition Technology: Fundamental Rights Considerations in the Context of Law Enforcement* (FRA, November 2019) <https://fra.europa.eu> accessed 7 December 2025. p. 1.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული ტექნოლოგიები ფართოდ და-ნერგეს როგორც აშშ-ის, ისე ევროკავშირის სამართალდამცავმა ორგანოებმა². ამ პრაქტიკის მასშტაბს ნათლად აჩვენებს შექმნილი ბიომეტრიულ მონაცემთა ბაზების მოცულობა. უნგრეთში დაახლოებით 30 მილიონი სახის ფოტო, იტალიაში – 17 მილიონი, საფრანგეთში – 8 მილიონი, გერმანიაში – დაახლოებით 5.5 მილიონი; აშშ-ში 641 მილიონი³.

FRT გამოყენების მასშტაბურობის პარალელურად, აშკარად გამოიკვეთა გამოყენების უკანონო და უფლებადამრღვევი პრაქტიკაც. მაგალითად, საფრანგეთში 2023 წლის ზაფხულის არეულობების დროს, ჟანდარმერიამ უკანონოდ გამოიყენა ისრაელის კომპანია – Briefcam-ის მიერ შემუშავებული დისტანციური FRT პროგრამა (post-remote FRT) სასამართლო ორგანოების ნებართვის გარეშე. არსებული ბაზიდან ატვირთეს ორი პირის ფოტო, სისტემამ ამოიცნო ისინი, თუმცა, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ორი პირი საერთოდ არ მონა-ნილეობდა დანაშაულში⁴.

FRT სისტემების უმრავლესობის სიზუსტე არ არის გარანტირებული. აღნიშნული ოფიციალურად აღიარებულია ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის 2024 წლის რეგულაციით (EU AI Act), „ტექნიკური უზუსტობები ...შესაძლოა ინვესტირდეს მიკერძოებულ შედეგებს. ...ასეთი პოტენციური მიკერძოებულ შედეგები და დისკრიმინაციული ეფექტები განსაკუთრებით აქტუალურია ასაკთან, ეთნიკურ წარმომავლობასთან, რასასთან, სქესთან ან შეზღუდულ შესაძლებლობებთან მიმართებით“⁵. აღნიშნულ უზუსტობებზე მიუთითებს, ასევე, აშშ-ს ანგარიშვალდებულების ოფისი. 2024 წლის აპრილში მის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, მითითებულია, რომ ბიომეტრიული იდენტიფიკაციის ტექნოლოგიების უზუსტობის შედეგად, პირთა შეცდომით დაპატიმრება არის ამ ტექნოლოგიების გამოყენების უარყოფითი მხარის ერთ-ერთი გამოვლინება⁶.

² Tracol, X. (2025) ‘The Use of Facial Recognition Technologies by Law Enforcement Authorities in the US and the EU: Towards a Convergence on Regulation?’ TechReg 289. p. 292.

³ იქვე, p. 292-293.

⁴ იქვე, p. 294

⁵ Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 on harmonised rules on artificial intelligence (AI Act) [2024]. OJ L 2024/1689, recital 32.

⁶ US Government Accountability Office, *Biometric Identification Technologies: Considerations to Address Information Gaps and Other Stakeholder Concerns* (GAO-24-106293, April 2024). <https://www.gao.gov> accessed 5 December 2025.

საქართველო უერთდება იმ ქვეყნების სიას, სადაც ზედამხედველობის ინფრასტრუქტურა ინტენსიურად ვითარდება. 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ ქვეყანაში გამართული დემონსტრაციების ფონზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თბილისში გააძლიერა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა და განათავსა PTZ (Pan-Tilt-Zoom) ტიპის მბრუნავი კამერები, რომლებსაც, არსებული საჯარო ინფორმაციით, გააჩნიათ სახის ამოცნობისა და ავტომატური თვალთვალის ფუნქციონალი და ჩინური წარმოებისა⁷. ამ გარემოებამ დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი: რა ტიპის უფლებრივი და საპროცესო სტანდარტებია საჭირო, რომ FRT მიერ მოპოვებული მტკიცებულება იყოს არა მხოლოდ „კანონიერად მოპოვებული“, არამედ მეცნიერული სანდოობისა და სამართლიან სასამართლოში დასაშვები.

ევროპისა და აშშ-ის მაგალითზე განხორციელებული სამართლებრივი რეგულირების შედეგებითა კვლევამ წარმოაჩინა საჭიროება – საქართველომ ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ ზოგადი მონაცემების დაცვის სტანდარტები, არამედ FRT გამოყენების ფილტრები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.

II. FRT ქართული და ევროპული კანონმდებლობა

სახის ამომცნობი ტექნოლოგიების მასობრივი გამოყენება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მაღალ რისკს, (ECHR, მუხლი 8), ავტომატურად უქმნის საფრთხეს სხვა ფუნდამენტურ უფლებებს⁸, მათ შორის, სამართლიანი სასამართლოს უფლებას (ECHR, მუხლი 6). იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო იყენებს ტექნოლოგიურად მაღალი ინტენსივობის მეთვალყურეობას ბიომეტრიული იდენტიფიკაციისთვის, მაგრამ მის გამოყენებას არ ახლავს მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო; წინასწარი რისკების შეფასება და ეფექტიანი ზედამხედველობა – ეს მხოლოდ „კონფიდენციალობის“ პრობლემა არ არის. ყოველივე ნიშნავს, რომ სასამართლო პროცესი ეფუძნება ისეთ მტკიცებულებას, რომლის მოპოვებისა და მეცნიერული სანდოობის კანონიერება ეჭვქვეშაა. სწორედ აღნიშნული საკითხის ღრმა ანალიზია წარმოდგენილი წინამდებარე სტატიაში.

⁷ <https://idfi.ge> Institute for Development of Freedom of Information (IDFI), მანიფესტანტების მასიური თვალთვალი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის არასათანადო რეაგირება. <https://idfi.ge> accessed 7 December 2025. pp 4-5.

⁸ Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (Convention 108), 'Guidelines on facial recognition' (Council of Europe, 2021). <https://rm.coe.int> accessed 7 December 2025. p. 5.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (CoE, EU AI Act, OECD, UN), FRT გამოყენება, განსაკუთრებით საჯარო სივრცესა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, უნდა დაექვემდებაროს მკაცრ წინასწარ ფილტრებს – ტექნოლოგიის ლიცენზირებას, DPIA, ალგორითმული მიკერძოების აუდიტს და ადამიანის ზედამხედველობას⁹.

AI გამოყენების პროცესში ევროკავშირის 2024 წლის აქტი ადგენს რეგულაციებს, რომლებიც მოიცავს მისი ფუნქციონირების ყველა ეტაპს, პასუხისმგებლობის გადანაწილებას მთელი სიცოცხლის ციკლზე, დიზაინსა და მონაცემთა მინოღებაზე, დამზადებასა და განახლებებზე, დანერგვასა და ზედამხედველობაზე¹⁰.

ზედმინწევით რომ განვმარტოთ EU AI Act რეგულირებული „სიცოცხლის ციკლის“ (Lifecycle) დეფინიცია¹¹, მაგალითად მოვიყვანოთ სასამართლოსთვის ან პოლიციისთვის შექმნილი ალგორითმული პროგრამა, რომელიც არ არის ერთჯერადი პროდუქტი და გადის რამდენიმე ფაზას:

⁹ Council of Europe, Committee of Ministers, *Recommendation CM/Rec (2020)1 on the human rights impacts of algorithmic systems* (adopted 8 April 2020). Principle 3, 4, 5 <https://search.coe.int> accessed 7 December 2025; EU AI Act (n 5) art 13-15, 27; OECD, *Recommendation of the Council on Artificial Intelligence* (C(2019)34/FINAL, adopted 22 May 2019). Principle 1.2, 1.3, 1.4, 1.5. <https://legalinstruments.oecd.org> accessed 7 December 2025; United Nations Human Rights Council, *The right to privacy in the digital age* (A/HRC/54/21, 11 September 2023). paras 7-10. <https://undocs.org> accessed 7 December 2025.

¹⁰ EU AI Act (n 5) art 8-15. <https://eur-lex.europa.eu> accessed 7 December 2025.

¹¹ ხელოვნური ინტელექტის სიცოცხლის ციკლს აღწერს ხელოვნური ინტელექტის სისტემების კლასიფიკაციის OECD-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, მონაცემთა შეგროვებას, მოდელის შექმნას, განთავსებას და გამოყენებას, სადაც რეგულირებისა და რისკების მართვის მოთხოვნები დგება მთელი ამ ციკლის განმავლობაში: OECD, 'OECD Framework for the Classification of AI systems' (OECD Digital Economy Papers №323, 2022). <https://www.oecd.org> accessed 7 December 2025.

ფაზა	აღწერა	მაგალითი
დიზაინი conception	მიზნის განსაზღვრა, მონაცემთა წყაროს შერჩევა, ეთიკური საზღვრების დადგენა	რისკის შეფასების მოდელი გაქცევის პროგნოზირების ალბათობაზე
შექმნა development	ალგორითმის განვრთნა მონაცემებზე, არქიტექტურის და ჰიპერპარამეტრების განსაზღვრა	მეცნიერთა ჯგუფის მიერ მანქანური სწავლების მოდელის შექმნა
ტესტირება validation	შედეგების სიზუსტე, მიკერძობის შემოწმება, შეცდომების ანალიზი	სატესტო შემოწმება სქესისა და ეთნიკურობის მიკერძობაზე
დანერგვა deployment	მოდელის გადასვლა რეალურ ინსტიტუციურ გარემოში (მაგ: სასამართლოსა ან პოლიციის პროგრამაში)	სასამართლო პროგრამის მიერ რისკის ქულის მიღება გადაწყვეტილების მხარდასაჭერად
ზედამხედველობა და განახლება monitoring & updates	მონიტორინგი, შეცდომების გამოსწორება, ახალი მონაცემებით მოდელის ხელახალი განვრთნა	ექვს თვეში ერთხელ ალგორითმის ხელახალი შეფასება

FRT, როგორც AI ერთ-ერთი ფორმა, სანდო უნდა იყოს მთელი მისი „სიცოცხლის ციკლის“ (lifecycle) განმავლობაში, რათა მისი შედეგები სისხლის სამართლის პროცესში უტყუარ მტკიცებულებად ჩაითვალოს.

FRT სიცოცხლის ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს მკაფიო სამართლებრივ პასუხისმგებლობას: პროვაიდერი ვალდებულია შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია, ჩაატაროს რისკ-შეფასება და სანდოობის ტესტები; დამნერგავი ორგანო (მაგ., პროდუქტის გამომყენებელი სამინისტრო) ვალდებულია გამოი-

ყენოს სისტემა მხოლოდ განსაზღვრული მიზნებით, უზრუნველყოს ადამიანის ზედამხედველობა და შეინახოს ლოგები; დისტრიბუტორი/იმპორტიორი ვალდებული არ გაავრცელოს არასერტიფიცირებული/არასანდო პროდუქტი¹².

მითითებული მოდელი პირდაპირ ეხება კითხვას: თუ არც ერთ ეტაპზე არ არის დანერგილი სანდოობისა და მიკერძობის სათანადო კონტროლი, ჩაითვლება თუ არა ამ სისტემის მიერ წარმოქმნილი შედეგი „სანდო“ მტკიცებულებად სისხლის სამართლის საქმეში.

III. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების (D) დოკუმენტი და მტკიცებულების დასაშვებობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს DPIA ჩატარების ვალდებულებას, როდესაც ხდება მაღალი რისკის მონაცემთა დამუშავება, მათ შორის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება, რომელშიც ასევე იგულისხმება FRT¹³. DPIA ჩატარება სავალდებულოა მის დანერგვამდე, ცვლილების ან განახლებისას¹⁴. პრაქტიკულად, DPIA დოკუმენტია, რომელიც ამართლებს ჩარევის „კანონიერებას, საჭიროებას და პროპორციულობას“ ECHR მე-8 მუხლის სტანდარტით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომელიც DPIA რეკვიზიტებს განსაზღვრავს, არ ითვალისწინებს, რომ FRT შემთხვევაში დოკუმენტაცია ასევე უნდა შეიცავდეს გამოყენებული AI სისტემის შესახებ ინფორმაციას, მისი ზემოთაღნიშნული ალგორითმული მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულის საპირისპიროდ, AI შესახებ ევროკავშირის აქტი აწესებს AI სისტემების პროვაიდერების ვალდებულებას, უზრუნველყონ მაღალი რისკის სისტემების რეგისტრაცია ევროკავშირის საჯარო მონაცემთა ბაზაში¹⁵. ხოლო რეგისტრაციის პროცესში პროვაიდერ-

¹² EU AI Act (n 5) art 16-26.

¹³ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 12/11/2025, მუხლი მე-3; 31-ე.

¹⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №21, 2024 წლის 28 თებერვალი, მუხლი მე-6.

¹⁵ EU AI Act (n 5) art 13, 27, 49.

რის მიერ მინოდებული დეტალური ინფორმაცია, დარეგისტრირებული AI სისტემის შესახებ, უნდა იქნას გათვალისწინებული ადამიანის ძირითად უფლებებზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში (FRIA), როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი AI სისტემის შესაძლებლობების, ლიმიტებისა და ადამიანის ზედამხედველობის ზომების შესახებ¹⁶. იმის გათვალისწინებით, რომ FRIA საქართველოს კანონმდებლობით ინტეგრირებული DPIA, აღნიშნული რეკვიზიტები ინტეგრირებულ უნდა იქნეს DPIA ფარგლებში.

აღნიშნული ტექნიკური გამჭვირვალობის გარეშე, DPIA იძენს ფორმალურ ხასიათს და ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებითაა გათვალისწინებული. ამასთან, ვერ ხდება სასამართლოსთვის იმ ინფორმაციის მინოდება, რომლის საფუძველზეც ის შეაფასებდა, იყო თუ არა ჩარევა ობიექტურად აუცილებელი, „დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭირო“ და მტკიცებულების ნყარო – მეცნიერულად სანდო.

საქართველოს კონსტიტუციით გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს¹⁷, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ) პროცედურულად არეგულირებს მტკიცებულების უტყუარობას და განსაზღვრავს, რომ თუ ის მოპოვებულია ფორმალური და არსებითი დარღვევით, ან თუ კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, იგი არის დაუშვებელი¹⁸.

როდესაც DPIA შინაარსი არ მოიცავს ტექნიკური სანდოობის ანალიზს, დაცვის მხარესა და ასევე სასამართლოს, არ აქვს შესაძლებლობა, შეისწავლოს:

1. FRT გამოყენებისას დაცული პროპორციულობა და აუცილებლობა;
2. გამოყენებული სისტემის მეცნიერული სანდოობა;
3. FRT მოპოვების კანონიერება და მისი შინაარსის სიზუსტე.

ამდენად, FRT შემთხვევაში, უკანონოდ მისი მოპოვება შეიძლება გამოვლინდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა (ECHR, მუხლი 8) და შემდგომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაში (ECHR, მუხლი 6).

¹⁶ იქვე.

¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლი. 29/06/2020.

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 72-ე და 82-ე მუხლები, 16/10/2025.

IV. ალგორითმული მიკვლევა, „შავი ყუთი“ და დაცვის უფლება

FRT-ის სტანდარტების გამოყენებისას სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში, აუცილებელია, გავიაზროთ ალგორითმის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების ირგვლივ არსებული სამართლებრივი დისკუსიებისა და მიგნებების რეალური არსი. აღნიშნული დისკუსიები და მიგნებები ბოლო წლების განმავლობაში აქტუალური ხდება AI განვითარებასთან ერთად. აღნიშნული ტიპის მტკიცებულების სპეციფიკა ორ დონეზე ქმნის პრობლემას. ერთი მხრივ, ის არის ოპერაციულად გაუმჭვირვალე (opacity)¹⁹. შესაბამისად, დაცვის მხარე და მოსამართლე ხშირად ვერ ხედავენ, როგორ მიიღო ალგორითმმა კონკრეტული შედეგი. მეორე მხრივ, ასეთ სისტემებს ხშირად თან სდევს სტრუქტურული მიკერძობა (bias) – ისტორიული მონაცემების, დისკრიმინაციული პრაქტიკის და არასაკმარისი გადამონმების გამო²⁰.

ამ პირობებში, ცენტრალური ხდება არა მხოლოდ კითხვა – „საიდან მოვიდა ეს მონაცემი?“, არამედ – „რამდენად სამართლიანია თავად მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს მოქალაქის წინააღმდეგ?“ სწორედ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტექნიკური/სამეცნიერო მტკიცებულების დასაშვებობის სტანდარტები.

აშშ-ში ეს დებატი ისტორიულად განვითარდა Frye-სა და Daubert-ის დოქტრინების ფარგლებში, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მოსამართლის როლი როგორც „კარიბჭის მცველი“ (gatekeeper) არასამეცნიერო მტკიცებულების მიმართ²¹. Frye/Daubert-ის მოდელი დღესაც წარმოადგენს ვინრო მნიშვნელობით ამერიკულ, მაგრამ ფართო მნიშვნელობით – უნივერსალურ ჩარჩოს კითხვაზე პასუ-

¹⁹ Burrell, J. (2016). 'How the machine 'thinks': Understanding opacity in machine learning algorithms'. 3 Big Data & Society 1, p. 2-3. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.

²⁰ Limantè, A. (2024). 'Bias in Facial Recognition Technologies Used by Law Enforcement: Understanding the Causes and Searching for a Way Out'. 42 (2) Nordic Journal of Human Rights 115, pp. 1-3. <https://www.tandfonline.com> accessed 7 December 2025.

²¹ Scirica, A. J. 'Preface: The Judges' Book' in *The Judges' Book: Creating a Fairer, More Effective and More Responsive Judiciary* (2020) 1. p. 45. <https://repository.uclawsf.edu> accessed 7 December 2025; Faigman, D. L., Slobogin, Ch., Monahan, J. (2016). 'Gatekeeping Science: Using the Structure of Scientific Inference to Draw the Line Between Admissibility and Weight in Expert Testimony'. 110 Nw UL Rev 859, p. 7 <https://scholarlycommons.law.northwestern.edu> accessed 7 December 2025.

ხის გასაცემად – როდის არის სამეცნიერო მტკიცებულება დასაშვები სასამართლოში?

ევროპის საბჭოს სისტემაში *Frye/Daubert* პირდაპირ არ არსებობს, თუმცა ECHR-ის მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება – პრაქტიკაში ასრულებს ფუნქციურად მსგავს როლს: ის მოითხოვს, რომ ნებისმიერი მტკიცებულება (მათ შორის AI-ზე აგებული) გამოიყენებოდეს ისე, რომ არ დაირღვეს პროცესის სამართლიანობა მთლიანობაში (*Al-Khawaja and Tahery v. UK*, 2011)²².

ამ თავში, ერთი მხრივ, მიმოვიხილავთ *Frye*-ისა და *Daubert*-ის სტანდარტებს, როგორც სამეცნიერო მტკიცებულების კლასიკურ ფილტრს, ხოლო მეორე მხრივ, ვაჩვენებთ, როგორ გადაიქცევა მათი მიდგომა ევროპული სამართლიანი სასამართლოს სტანდარტად – განსაკუთრებით AI პირობებში.

FRYE სტანდარტი

ამერიკაში სამეცნიერო მტკიცებულების კლასიკური ფილტრი იყო *Frye v. United States* (1923), სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ ახალი სამეცნიერო ტესტი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ის „ზოგადად მიღებულია“ (*general acceptance*) შესაბამის სამეცნიერო საზოგადოებაში²³. *Frye* იღვას მარტივია: თუ მეთოდი ნამდვილად სანდოა, მასზე შეიქმნება კონსენსუსი ექსპერტულ საზოგადოებაში; თუ ასეთი კონსენსუსი არ არსებობს, სასამართლო თავს იკავებს მისი გამოყენებისგან. ამ სტანდარტს ჰქონდა ორი აშკარა სარგებელი: ის იცავდა სასამართლოს ექსპერიმენტული მეცნიერებისგან; პასუხისმგებლობა სამეცნიერო სანდოობაზე მეტწილად გადაჰქონდა „სამეცნიერო საზოგადოებაზე“²⁴.

თანამედროვე ავტორები მიუთითებენ *Frye*-ის შემდეგ ძირითად ნაკლოვანებაზე: გადაჭარბებული კონსერვატიზმი – ინოვაციური, მაგრამ სანდო მეთოდები შეიძლება წლების განმავლობაში არ გახდეს „ზოგადად მიღებული“ და, შესაბამისად, სასამართლო პროცესიდან გამორიცხული დარჩეს; „ზოგადი მიღებულობის“ ბუნდოვანება – არ არის გამოკვეთილი, ვინ ქმნის „რელევანტურ სამეცნიერ-

²² *Al-Khawaja and Tahery v United Kingdom* (26766/05 and 22228/06) [2011]. ECHR 2127.

²³ *Frye v United States*, 293 F 1013 (DC Cir 1923); 'Admitting Doubt: A New Standard for Scientific Evidence' (2010). 123 Harv L Rev 2021 p. 2021. <https://harvardlawreview.org> accessed 7 December 2025.

²⁴ იქვე, p. 2023.

რო საზოგადოებას“ და როგორ განისაზღვრება „მიღებადობა“; სანდობაზე არაპირდაპირი ფოკუსი – Frye არ სვამს კითხვას მეთოდოლოგიურ სიზუსტესა და შეცდომის მაჩვენებელზე; ის მხოლოდ ინტერესდება, „რას ფიქრობს“ პროფესიული საზოგადოება²⁵.

AI კონტექსტში Frye განსაკუთრებით პრობლემურია: ალგორითმიული ინსტრუმენტები შეიძლება სწრაფად გახდეს ფართოდ გამოყენებადი, მაგრამ არა ვალდებულოდ ღრმა გადამონმებით გამყარებული.

DAUBERT დოქტრინა: მოსამართლე როგორც „კარიბჭის მცველი“

Frye შემდგომი, გარდამტეხი მომენტი იყო Daubert v. Merrell Dow Pharmaceuticals (1993), სადაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ მტკიცებულებათა ფედერალური წესები – 702 (Rule 702) ცვლის Frye-ის დოქტრინას და მოსამართლეს ანიჭებს აქტიური კარიბჭის მცველის როლს: მოსამართლემ უნდა განიხილოს არა მხოლოდ მტკიცებულების რელევანტურობა, არამედ მისი სანდობაც²⁶.

Daubert ერთად განვითარებულმა და ტრილოგიის სახელწოდებით დამკვიდრებულმა – „Daubert trilogy“ საქმეებმა: General Electric Co. v. Joiner (1997) და Kumho Tire Co. v. Carmichael (1999) – უფრო დეტალურად გამოავლინა მოსამართლის ვალდებულება, შეაფასოს როგორც სამეცნიერო, ისე ტექნიკური ექსპერტიზის სანდობა²⁷.

Daubert-მა ჩამოაყალიბა რამდენიმე სახელმძღვანელო ფაქტორი:

1. ტესტირებადობა და ფალსიფიცირებადობა – შესაძლებელია თუ არა თეორიის ან ტექნიკის შემონმება/გაბათილება ემპირიულად?
2. შეცდომის მაჩვენებელი (error rate) – რა არის ცნობილი პოტენციური შეცდომის სიხშირეზე, როგორ ვლინდება მცდარი დადებითი/მცდარი უარყოფითი (false positives/false negatives)?

²⁵ იქვე, p. 2021-2023.

²⁶ იქვე, p. 2021.

²⁷ Bernstein, D. E., Jackson, J. D. (2004). ‘The Daubert Trilogy in the States’. 44 Jurimetrics J 351, p. 2. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.

3. რეცენზირება და პუბლიკაცია (peer review & publication) – არის თუ არა მე-თოდი სამეცნიერო ჟურნალებში განხილული და აკადემიურად გაანალიზებული?
4. რეგულირების სტანდარტები – არსებობს თუ არა პროფესიული სტანდარტები, პროტოკოლები და ხარისხის კონტროლი, რომლებიც არეგულირებენ მე-თოდის გამოყენებას?
5. ზოგადი მიღებადობა – რჩება მნიშვნელოვანი, მაგრამ როგორც ერთ-ერთი ფაქტორი სხვებთან ერთად, და არა ერთადერთი ფილტრი²⁸.

აშშ-ის მტკიცებულებათა ფედერალური წესების (Federal Rules of Evidence 2023) ბოლო ცვლილებები (2023), კიდევ უფრო ცხადად აფიქსირებს, რომ მტკიცებულების შემომტანმა მხარემ (proponent) უნდა დაამტკიცოს უფრო მეტად, ვიდრე ნაკლებად – *more likely than not* – სტანდარტით, რომ ექსპერტის დასკვნა დაყრდნობილია სანდო პრინციპებსა და მეთოდებზე და რომ ეს მეთოდები სწორად იქნა გამოყენებული მოცემულ საქმეზე²⁹.

AI სისტემისთვის ეს ჩარჩო უკიდურესად მნიშვნელოვანია: მსგავს სისტემებს ახასიათებთ „შიდა შავი ყუთი“, დინამიკური სწავლა, გამუდმებული განახლებები და რთული შეცდომის პროფილი. თუ სასამართლო არ სვამს Daubert-ის კითხვებს – როგორ არის ტესტირებული მოდელი, რა არის მისი შეცდომის მაჩვენებელი (error rate), რა მონაცემებზე აიგო, რა ხარისხის კონტროლი არსებობს – მაშინ AI-მტკიცებულება ფაქტობრივად მიიღება „რწმენით და არა ცოდნით“.

გარდა ზემოაღნიშნული სასამართლო სტანდარტისა, თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა უკვე ცალკე განიხილავს ალგორითმულ მტკიცებულებას.

Feigenson ახალმა ნაშრომმა AI-ს მტკიცებულებაზე აჩვენა, რომ სასამართლოს მოუწევს არამართო ალგორითმის, არამედ შეიძლება „გაყალბებული“ ციფრული შინაარსის შეფასებაც კი: გაყალბებული ვიდეო ე.წ. deepfake, სინთეზური აუდიო, გენერირებული ტექსტები³⁰. აქ Daubert-ის ტესტირებადობა, გადამოწმება-

²⁸ Daubert v Merrell Dow Pharmaceuticals Inc [1993], 509 US 579.

²⁹ Advisory Committee on Evidence Rules, *Agenda Book for Committee Meeting, April 19, 2024* (2024), pp. 16-17. <https://www.uscourts.gov> accessed 7 December 2025.

³⁰ Feigenson, N., Carney, B. (2025). ‘Generative AI as Courtroom Evidence: A Practical Guide’. 52 Mitchell Hamline L Rev 1, pp. 2-6. <https://open.mitchellhamline.edu> accessed 7 December 2025.

დობა – peer review და შეცდომის პროცენტული მაჩვენებელი – error rate კიდევ უფრო კრიტიკულია³¹.

V. ევროპული კონტაქტი: ECHR-ის მე-6 მუხლი როგორც FRY/DAUBERT სტანდარტის ფუნქციური ეკვივალენტი

ევროპის საბჭოს სისტემაში არ არსებობს Daubert ან Frye ფორმალური ეკვივალენტი. თუმცა, სამართლიანი სასამართლოს უფლება (ECHR, მუხლი მე-6) და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, ქმნიან ფუნქციურად მსგავს ფილტრს ნებისმიერი მტკიცებულების, მათ შორის სამეცნიერო და ალგორითმულ გამოყენებაზე.

ECtHR სახელმძღვანელოები და საქმეები ხაზს უსვამს, რომ:

- კონვენცია არ აწესებს „კოდიფიცირებულ“ მტკიცებულებით სამართალს – ნევრ სახელმწიფოებს რჩებათ დისკრეცია განსაზღვრონ, რა არის დასაშვები მტკიცებულება;
- მაგრამ სასამართლო მუდმივად ამონმებს, არღვევს თუ არა კონკრეტული მტკიცებულების გამოყენება „პროცესის საერთო სამართლიანობას“³².

Al-Khawaja and Tahery v. UK-ში გამოკვეთილი „Al-Khawaja test“ – hearsay მტკიცებულების დასაშვებად – კარგი მაგალითია იმისა, როგორ აშენებს სტრასბურგი პროცედურული უსაფრთხოების მექანიზმებს მაშინ, როდესაც მტკიცებულება ვერ გადის პირდაპირ დაკითხვას და ჯვარედინ დაკითხვას (cross-examination): გაგონილი – hearsay არ უნდა იყოს ერთადერთი ან გადამწყვეტი, და აუცილებელია საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები³³.

ალგორითმული მტკიცებულება ამ კონტექსტში, გარკვეულწილად, „ციფრული hearsay“ ხდება: დაცვას არ შეუძლია დაკითხოს ალგორითმი, გადაამოწმოს მისი ინტუიცია, არ იცის, რა მონაცემებზეა აგებული სისტემა. სწორედ, ამიტომ კონვენციის მე-6 მუხლის ძირითადი პრინციპები პრაქტიკულად ახორციელებს Daubert-ის გზავნილს ევროპაში.

ECtHR პრაქტიკაში განმტკიცებულია, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატუ-

³¹ იქვე, pp. 36-39.

³² European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights (Criminal limb)* (2024), p. 7. <https://ks.echr.coe.int> accessed 7 December 2025.

³³ *Al-Khawaja* (n 22).

რი დრო და შესაძლებლობა თავიანთი დაცვის მოსამზადებლად, რაც მოიცავს ხელმისაწვდომობას საქმის მასალებზე და არსებით მტკიცებულებაზე³⁴.

AI-მტკიცებულების შემთხვევაში ეს ითარგმნება რამდენიმე კონკრეტულ მოთხოვნად:

- დაცვას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია გამოყენებული მოდელის შესახებ, მინიმუმ, გადამონმების შედეგები, შეცდომის მაჩვენებლები, მონაცემების ზოგადი აღწერა;
- მხარეს უნდა შეეძლოს წარმოადგინოს საკუთარი ექსპერტი, რომელიც შეაფასებს ალგორითმის სანდოობას;
- სასამართლომ არ უნდა დაუშვას, რომ გადამწყვეტი მტკიცებულება იყოს ისეთი, რომლის ტექნიკური შემონმებაც ფაქტობრივად შეუძლებელია.

„შედავების შესაძლებლობის უფლება“ (right to contest) არის არა მარტო მონაცემთა დაცვის, არამედ სამართლიანი სასამართლოს ცენტრალური კომპონენტი; გამოყენებული AI შესაძლოა იყოს არაზუსტი და ამ ფონზე, სწორედ სამართლიანი პროცესის აღნიშნული მექანიზმები გამოასწორებს მას³⁵.

ამ მხრივ, Daubert-ის ტესტირების, რეცენზირების – peer review-ის და შეცდომის მაჩვენებლის – error rate-ის მოთხოვნები ევროპულ კონტექსტში გადაიქცევა მოთხოვნად იმისა, რომ მხარემ გააკონტროლოს და გაასაჩივროს სახელმწიფოს მიერ მონოდებული ტექნიკური მეთოდი.

აშშ-სა და ევროპის სტანდარტებთან ერთად, გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის (Satterthwaite) 2025 წლის ანგარიში აცხადებს, რომ „ადამიან მოსამართლეზე უფლება“ მოითხოვს, საბოლოო გადამწყვეტილება მიიღოს არა ალგორითმმა, არამედ დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ, რომელიც რეალურად აკონტროლებს ტექნიკურ ინსტრუმენტებს და არ არის მათზე მექანიკურად დამოკიდებული³⁶.

³⁴ ECtHR, *Guide on Article 6 (Criminal limb)* (n 32), p. 39. <https://ks.echr.coe.int>. accessed 7 December 2025.

³⁵ Kaminski, M. E., Urban, J. M. (2021). ‘*The Right to Contest AI*’. 121 Colum L Rev 1957, pp. 1999-2000. <https://www.columbialawreview.org> accessed 7 December 2025.

³⁶ UN General Assembly, *AI in judicial systems: promises and pitfalls*, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Margaret Satterthwaite, A/80/169 (16 July 2025). <https://docs.un.org> accessed 7 December 2025.

ეს ხედვა პრაქტიკულად ნიშნავს: თუ სასამართლო თვითონ არ ფლობს მინიმალურ ცოდნას AI-ს ბუნებისა და შეზღუდვების შესახებ, ის ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მე-6 მუხლის მიერ მოთხოვნილ დონეს – არც Daubert-ის არსი იქნება დაცული, არც სამართლიანი სასამართლოს სტანდარტი.

თუ FRT-ის შედეგი გამოიყენება ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვისთვის, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა:

- გაიგოს, „როგორ“ მივიდა სისტემა კონკრეტულ შედეგამდე (interpretability);
- მიიღოს ინფორმაცია შეცდომის მაჩვენებლებსა და მიკერძოების შესახებ;
- მოითხოვოს დამოუკიდებელი კონტრ-ექსპერტიზა (counter-expertise).

ავტორები, Garrett და Rudin თანამედროვე დებატებში ხატოვნად საუბრობენ „მინის ყუთის გამოყენების უფლებაზე“ – „Right to a Glass Box“. აღნიშნულში იგულისხმება ახსნადი, ინტერპრეტირებადი და გასაგები მოდელი³⁷. ავტორები აცხადებენ, რომ „მინის ყუთის“ (glass box) ტიპის ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, არამართო ხდება შედეგების უფრო მარტივად გასაგები ფორმით წარმოდგენა, არამედ შესაძლებელია კონკრეტული მოდელის „დაშლა“ ისე, რომ შესაბამისი ფაქტორები გაგებულ იქნას ინდივიდუალურ გადანყვეტილებასთან მიმართებით (ე.წ. ინტერპრეტირებადობის კონცეფცია)³⁸. სამ ფუნდამენტურ გამოწვევაზე მიუთითებენ ავტორები, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ყველა სისტემას ემუქრება და განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის სისხლის სამართლის საქმეებში:

1. მონაცემების პრობლემა: უნინარეს ყოვლისა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მონაცემები ხშირად არის ბუნდოვანი, მაღალი შერჩევითობით მიღებული და არასრული, ისევე როგორც შეცდომებით სავსე;
2. გადამოწმება და შეცდომის კორექცია: მეორე მხრივ, „მინის ყუთის“ ტიპის AI გამოყენებისას, ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ სისტემის გადამოწმება, შეცდომების აღმოჩენა და კორექტირება;
3. გაგებადობის (ინტერპრეტირებადობის) აუცილებლობა: მესამე, ინტერპრეტირებადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივ გარემოში, სა-

³⁷ Garrett, B. L., Rudin, C. ‘Right to a Glass Box: Explainability and Transparency in Criminal Justice Algorithms’ (SSRN Working Paper №4361462, 2023), p. 5. <https://ssrn.com> accessed 7 December 2025.

³⁸ იქვე, p. 5.

დაც AI მომხმარებლებს, როგორებიც არიან პოლიციის თანამშრომლები, იურისტები, მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები, არ შეუძლიათ სამართლიანად და ზუსტად გამოიყენონ ის, რისი გაგებაც არ ძალუძთ³⁹.

„შავ ყუთში“ იგულისხმება ბუნდოვანი მოდელი, რომლის ფუნქციონირების ლოგიკა გაუგებარია არაპროფესიონალების და მათ შორის ექსპერტებისთვისაც⁴⁰. FRT სისტემებში კი, უმეტესწილად, სწორედ შავი ყუთის სისტემები გამოიყენება⁴¹.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ალგორითმთან დაკავშირებული მტკიცებულების დასაშვებობის სტანდარტს, მას მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგად კონტექსტში მოიაზრებს, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს:

- ვალდებულებას, FRT სისტემის სანდოობისა და მიკერძოების შესახებ დოკუმენტაციის DPIA განსაზღვრის აუცილებლობაზე;
- ვალდებულებას, რომ ეს დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოსა და დაცვის მხარისთვის;

შედეგად, ბრალდების მხარე პრაქტიკულად იღებს უფლებას, გამოიყენოს „შავი ყუთი“ მტკიცებულებად, ხოლო დაცვის მხარე რჩება ტექნოლოგიური ლაბირინთის გარეთ. ეს არღვევს მხარეთა თანასწორობის (equality of arms) და შეჯიბრებითობის (adversarial trial) პრინციპებს, რომლებიც ECHR-ის მე-6 მუხლის ბირთვია.

ციფრული ინსტრუმენტები წარმოშობს სამ ფუნდამენტურ საპროცესო მოთხოვნას:

1. ახსნადობა – მხარემ უნდა იცოდეს, „რა“ და „როგორ“ გამოითვალა;
2. თანასწორი დაშვება – დაცვას უნდა ჰქონდეს ნვედომა მეთოდოლოგიაზე, მონაცემებზე და შეცდომის საზომებზე/ცდომილების მაჩვენებელზე;
3. კონტრ-ექსპერტიზა – რეალური შესაძლებლობა დამოუკიდებელი ტესტირებისა და ექსპერტიზის ჩატარებისთვის.

³⁹ იქვე, p. 5.

⁴⁰ იქვე, p. 4.

⁴¹ იქვე, p. 14.

ECtHR ევოლუციური ინტერპრეტაცია ცხადყოფს, რომ ტექნიკური ბარიერები, რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდება, სინამდვილეში იურიდიული ბარიერებია დაცვის უფლებისთვის.

დაცვის უფლება (ECHR 6(3)(c)) მოიცავს ადვოკატის „რეალურ და არა ფორმალურ“ შესაძლებლობას, რასაც შევზიბრებითობა გულისხმობს, რომ არც ერთი მხარე არ იყოს ინფორმაციულად პრივილეგირებული ისეთი კრიტიკული მტკიცებულების მიმართ, როგორც არის FRT.

ამ კონტექსტში, Frye–Daubert-ის ამერიკული სტანდარტები ჩვენთვის არა როგორც უცხო მოდელი, არამედ გასაზიარებელი დოქტრინული მიდგომაა: მტკიცებულების მეცნიერული სანდოობა უნდა იყოს სასამართლოს მიერ აქტიურად კონტროლირებადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს სტანდარტი შინაარსობრივად იცვლება.

ECHR უახლესი პრაქტიკა (*Glukhin v Russia*⁴², *Podchasov v Russia*⁴³ და სხვ.) ქმნის ერთიან სტანდარტს, რომელიც პირდაპირ ვრცელდება FRT:

1. ბიომეტრიული მეთვალყურეობა არის უკიდურესად მაღალი ინტენსივობის ჩარევა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში;
2. ამგვარი ჩარევა კანონიერია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო – DPIA/FRIA, ტექნიკური დოკუმენტაცია, დამოუკიდებელი ზედამხედველობა;
3. თუ ეს მექანიზმები არ არსებობს, ჩარევა უკანონოა და მის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან პროცესთან თავსებად მტკიცებულებად.

ამ ფონზე, საქართველოში FRT გამოყენების შემთხვევაში, თუ

- DPIA არ ჩატარდა, მიუხედავად სავალდებულობისა; ან
- DPIA ჩატარდა, მაგრამ არ შეიცავს ტექნიკური სანდოობის მონაცემებს; ტექნოლოგია არ არის სერტიფიცირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

⁴² *Glukhin v Russia* (2023) App no 11519/20 (ECtHR).

⁴³ *Podchasov v Russia* (2024) App no 33696/19 (ECtHR).

მაშინ:

- ECHR-ის სტანდარტით მე-8 მუხლი დარღვეულია – ჩარევა „კანონის ხარისხისა“ და „პროპორციულობის“ ტესტს არ აკმაყოფილებს;
- Art 6 დარღვევად შეიძლება შეფასდეს, თუ ეს მონაცემი გამოიყენება, როგორც მტკიცებულება ისე, რომ დაცვას არ აქვს წვდომა ტექნიკურ დეტალებზე და კონტრ-ექსპერტიზაზე.

დასკვნა

კვლევა ცხადყოფს, რომ სახის ამომცნობი ტექნოლოგიების (FRT) უკონტროლო ინტეგრაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო მართლმსაჯულებაში, წარმოშობს ღრმა უფლებრივ და საპროცესო ხარვეზებს, რომელიც უპირისპირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 (პირადი ცხოვრების) და მე-6 (სამართლიანი სასამართლოს) მუხლების მოთხოვნებს.

სამართლებრივი გარანტიების დეფიციტი: საქართველოში არსებული მარეგულირებელი ჩარჩო, კერძოდ, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება (DPIA), ფორმალიზებულია და არ შეიცავს ალგორითმული მიკვლევადობის (algorithmic traceability) სავალდებულო სტანდარტებს. ამის გარეშე, სახელმწიფო ვერ ამტკიცებს FRT-ის გამოყენების „კანონის ხარისხს“ და პროპორციულობას, რაც პირდაპირ ქმნის ECHR-ის მე-8 მუხლის დარღვევის წინაპირობას.

„შავი ყუთის“ პრობლემა და ECHR მე-6 მუხლი: როდესაც ბრალდების მხარე იყენებს FRT მიერ გენერირებულ მტკიცებულებას, რომლის შიდა ლოგიკა გაუმჭვირვალეა („შავი ყუთი“), ხოლო დაცვის მხარეს არ აქვს წვდომა შეცდომის მაჩვენებელზე (error rate), მიკერძოების აუდიტსა და კონტრ-ექსპერტიზაზე, ირღვევა მხარეთა თანასწორობისა (equality of arms) და შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპები. ევროპული პრაქტიკა და ამერიკული Daubert-ის დოქტრინის ლოგიკა ერთიანდება მოთხოვნაში: სამეცნიერო მტკიცებულება აქტიურად უნდა კონტროლდებოდეს სასამართლოს მიერ.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, საქართველოსთვის ორმაგი სტანდარტის დანერგვა აუცილებელია:

- DPIA (მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების) შინაარსობრივი გაძლიერება: FRT (სახის ამომცნობი ტექნოლოგიების) სისტემების სანდოობისა და მი-

კერძობის ანალიზის ალგორითმული მოთხოვნების ინტეგრაცია DPIA, ევროკავშირის AI აქტის საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით;

- საპროცესო ფილტრის შემოღება: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში Daubert ფუნქციური ეკვივალენტის განსაზღვრა, რომელიც მოსამართლეს აძლევს უფლებას და ავალდებულებს, შეაფასოს ტექნიკური მეთოდოლოგიის მეცნიერული სანდოობა და უზრუნველყოს „მინის ყუთის“ (Glass Box) პრინციპი.

FRT-ის გამოყენების ლეგიტიმაცია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ტექნოლოგიური გამჭვირვალობა იქცევა სამართლებრივ ვალდებულებად, ხოლო მოსამართლე დარჩება გადაწყვეტილების მიღების პროცესის რეალურ მაკონტროლებლად და არა ალგორითმის მექანიკურ შემსრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია, 29/06/2020.

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (12/11/2025).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ბოლოს განახლებული რედაქცია). 16/10/2025.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №21, 2024 წლის 28 თებერვალი.

ევროკავშირის კანონმდებლობა

Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 on harmonised rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act) [2024] OJ L 168/1. <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1689/oj> accessed 7 December 2025.

საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები

Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (Convention 108), ‘Guidelines

- on facial recognition*' (Council of Europe, 2021). <https://rm.coe.int> accessed 7 December 2025.
- Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation CM/Rec(2020)1 on the human rights impacts of algorithmic systems (adopted 8 April 2020). <https://search.coe.int> accessed 7 December 2025.
- European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights (Criminal limb)* (2024). <https://ks.echr.coe.int> accessed 7 December 2025.
- OECD, '*OECD Framework for the Classification of AI systems*' (OECD Digital Economy Papers №323, 2022). <https://www.oecd.org> accessed 7 December 2025.
- OECD, *Recommendation of the Council on Artificial Intelligence*, C(2019)34/FINAL (adopted 22 May 2019). <https://legalinstruments.oecd.org> accessed 7 December 2025.
- UN General Assembly, *AI in judicial systems: promises and pitfalls*, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Margaret Satterthwaite, A/80/169 (16 July 2025). <https://docs.un.org> accessed 7 December 2025.
- United Nations Human Rights Council, *The right to privacy in the digital age*, A/HRC/54/21 (11 September 2023). <https://undocs.org> accessed 7 December 2025.

სამეცნიერო სტატიები

- '*Admitting Doubt: A New Standard for Scientific Evidence*' (2010) 123 Harv L Rev 2021. <https://harvardlawreview.org> accessed 7 December 2025.
- Bernstein, D. E., Jackson, J. D. (2004). '*The Daubert Trilogy in the States*'. 44 *Jurimetrics J* 351. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.
- Burrell, J. (2016). '*How the machine 'thinks': Understanding opacity in machine learning algorithms*'. 3 *Big Data & Society* 1. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.
- Faigman, D. L., Slobogin, Ch., Monahan, J. (2016). '*Gatekeeping Science: Using the Structure of Scientific Inference to Draw the Line Between Admissibility and Weight in Expert Testimony*'. 110 *Nw UL Rev* 859. <https://scholarlycommons.law.northwestern.edu> accessed 7 December 2025.

- Feigenson, N., Carney, B. (2025). ‘*Generative AI as Courtroom Evidence: A Practical Guide*’. 52 Mitchell Hamline L Rev 1. <https://open.mitchellhamline.edu> accessed 7 December 2025.
- Kaminski, M. E., Urban, J. M. (2021). ‘*The Right to Contest AI*’. 121 Colum L Rev 1957. <https://www.columbialawreview.org> accessed 7 December 2025.
- Limanté, A. (2024). ‘*Bias in Facial Recognition Technologies Used by Law Enforcement: Understanding the Causes and Searching for a Way Out*’. 42 (2) Nordic Journal of Human Rights 115. <https://www.tandfonline.com> accessed 7 December 2025.
- Tracol, X. (2025). ‘*The Use of Facial Recognition Technologies by Law Enforcement Authorities in the US and the EU: Towards a Convergence on Regulation?*’ TechReg 289.

წიგნები, ანგარიშები და სხვა პუბლიკაციები

- Advisory Committee on Evidence Rules, *Agenda Book for Committee Meeting, April 19, 2024* (2024). <https://www.uscourts.gov> accessed 7 December 2025.
- European Union Agency for Fundamental Rights, *Facial Recognition Technology: Fundamental Rights Considerations in the Context of Law Enforcement* (FRA, November 2019). <https://fra.europa.eu> accessed 7 December 2025.
- Garrett, B. L., Rudin, C. (2023). ‘*Right to a Glass Box: Explainability and Transparency in Criminal Justice Algorithms*’ (SSRN Working Paper №4361462). <https://ssrn.com> accessed 7 December 2025.
- Institute for Development of Freedom of Information (IDFI), მანიფესტანტების მასიური თვალთვალი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის არასათანადო რეაგირება. <https://idfi.ge> accessed 7 December 2025.
- Scirica, A. J. (2020). ‘*Preface: The Judges’ Book*’ in *The Judges’ Book: Creating a Fairer, More Effective and More Responsive Judiciary*, 1. <https://repository.uclawsf.edu> accessed 7 December 2025.
- US Government Accountability Office, *Biometric Identification Technologies: Considerations to Address Information Gaps and Other Stakeholder Concerns*, GAO-24-106293 (April 2024). <https://www.gao.gov> accessed 5 December 2025.

სამოსამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

Al-Khawaja and Tahery v United Kingdom (2011), 54 EHRR 23.

Glukhin v Russia, App no 11519/20 (ECtHR, 4 July 2023).

Podchasov v Russia, App no 33696/19 (ECtHR, 7 February 2023).

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებები

Frye v United States 293 F 1013 (DC Cir 1923).

Daubert v Merrell Dow Pharmaceuticals 509 US 579 (1993).

General Electric Co v Joiner 522 US 136 (1997).

Kumho Tire Co v Carmichael 526 US 137 (1999).

FACIAL RECOGNITION TECHNOLOGIES IN GEORGIAN CRIMINAL PROCEDURE – ARTIFICIAL INTELLIGENCE, THE 'BLACK BOX' AND THE RIGHT TO A FAIR TRIAL

EKA KHUTSISHVILI

Master of Law

Fulbright Scholar

Hubert H. Humphrey Fellow

Fellow of the European Commission at the International Criminal Court

ekakhutsishvili77@gmail.com

NINO GVENETADZE

Doctor of Law, Professor

Vice-Rector, Tbilisi State University

nino.gvenetadze@tsu.ge

Abstract. This article is dedicated to the legal analysis of human rights risks associated with the use of Facial Recognition Technologies (FRT) within the framework of Georgian criminal procedure. The paper examines the legal consequences of evidence obtained through the use of FRT, specifically in the context of systemic and large-scale monitoring conducted in public (crowded) places during criminal proceedings. The study identifies gaps in the Law of Georgia on Personal Data Protection, particularly concerning mandatory requirements for the Data Protection Impact Assessment (DPIA) document. These gaps create risks of violating the rights to private life and a fair trial. The research analyses the admissibility of evidence obtained with this method under both Georgian criminal procedure and the standards of Articles 6 (Right to a Fair Trial) and Article 8 (Right to Respect for Private and Family Life) of the European Convention on Human Rights (ECHR). The research relies on: the latest standards established by the Council of Europe and the European Union; Principles developed by the European Court of Human Rights (ECtHR); Doctrinal approaches and standards established by US court practice and academic debates-, such as the Frye/Daubert standards and the "Glass Box" vs "Black Box" doctrines in relation to Artificial Intelligence, including FRT; Georgia's current legislative framework. While Georgia's

personal data protection standards have improved following the updated legislation (the Georgian Law "On Personal Data Protection" enacted in March 2024 brought them closer to the EU's General Data Protection Regulation (GDPR) standards), gaps remain. These flaws need to be addressed to ensure full protection of the rights to private life and a fair trial. Specifically, refining the requirements of the Data Protection Impact Assessment (DPIA) document and subsequently utilizing this document in criminal proceedings will play a crucial role in the comprehensive protection of the aforementioned rights.

Keywords: *Facial Recognition Technology (FRT), Algorithmic Traceability, Data Protection Impact Assessment (DPIA), Admissibility of Evidence, Fair Trial*

REFERENCES

LEGISLATION OF GEORGIA

Constitution of Georgia, 29/06/2020.

Law of Georgia "On Personal Data Protection" (12/11/2025).

Criminal Procedure Code of Georgia (Latest updated edition), 16/10/2025.

Order №21 of the Head of the Personal Data Protection Service, February 28, 2024;
Mass Surveillance of Protesters and the Inadequate Response of the Personal Data Protection Service.

LEGISLATION OF THE EUROPEAN UNION

Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 on harmonised rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act) [2024] OJ L 168/1. <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1689/oj> accessed 7 December 2025.

INTERNATIONAL LEGAL INSTRUMENTS

Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (Convention 108), ‘*Guidelines on facial recognition*’ (Council of Europe, 2021). <https://rm.coe.int> accessed 7 December 2025.

Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation CM/Rec(2020)1 on the human rights impacts of algorithmic systems (adopted 8 April 2020). <https://search.coe.int> accessed 7 December 2025.

European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights (Criminal limb)* (2024). <https://ks.echr.coe.int> accessed 7 December 2025.

OECD, ‘*OECD Framework for the Classification of AI systems*’ (OECD Digital Economy Papers № 323, 2022). <https://www.oecd.org> accessed 7 December 2025.

OECD, *Recommendation of the Council on Artificial Intelligence*, C(2019)34/FINAL (adopted 22 May 2019). <https://legalinstruments.oecd.org> accessed 7 December 2025.

UN General Assembly, *AI in judicial systems: promises and pitfalls*, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Margaret Satterthwaite, A/80/169 (16 July 2025). <https://docs.un.org> accessed 7 December 2025.

United Nations Human Rights Council, *The right to privacy in the digital age*, A/HRC/54/21 (11 September 2023). <https://undocs.org> accessed 7 December 2025.

SCHOLARLY ARTICLES

‘*Admitting Doubt: A New Standard for Scientific Evidence*’ (2010) 123 Harv L Rev 2021. <https://harvardlawreview.org> accessed 7 December 2025.

Bernstein, D. E., Jackson, J. D. (2004). ‘*The Daubert Trilogy in the States*’. 44 Jurimetrics J 351. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.

Burrell, J. ‘*How the machine ‘thinks’: Understanding opacity in machine learning algorithms*’ (2016) 3 Big Data & Society 1. <https://www.researchgate.net> accessed 7 December 2025.

Faigman, D. L., Slobogin, C., Monahan, J. (2016). ‘*Gatekeeping Science: Using the Structure of Scientific Inference to Draw the Line Between Admissibility and Weight in Expert Testimony*’. 110 Nw UL Rev 859. <https://scholarlycommons.law.northwestern.edu> accessed 7 December 2025.

Feigenson, N., Carney, B. (2025). ‘*Generative AI as Courtroom Evidence: A Practical Guide*’. 52 Mitchell Hamline L Rev 1. <https://open.mitchellhamline.edu> accessed 7 December 2025.

Kaminski, M. E., Urban, J. M. (2021). ‘*The Right to Contest AI*’. 121 Colum L Rev 1957. <https://www.columbialawreview.org> accessed 7 December 2025.

Limantè, A. (2024). ‘*Bias in Facial Recognition Technologies Used by Law Enforcement: Understanding the Causes and Searching for a Way Out*’. 42 (2) *Nordic Journal of Human Rights* 115. <https://www.tandfonline.com> accessed 7 December 2025.

Tracol, X. (2025). ‘*The Use of Facial Recognition Technologies by Law Enforcement Authorities in the US and the EU: Towards a Convergence on Regulation?*’ TechReg 289.

BOOKS, REPORTS, OTHER PUBLICATIONS

Advisory Committee on Evidence Rules, *Agenda Book for Committee Meeting, April 19 2024* (2024). <https://www.uscourts.gov> accessed 7 December 2025.

European Union Agency for Fundamental Rights, *Facial Recognition Technology: Fundamental Rights Considerations in the Context of Law Enforcement* (FRA, November 2019). <https://fra.europa.eu> accessed 7 December 2025.

Garrett, B. L., Rudin, C. (2023). ‘*Right to a Glass Box: Explainability and Transparency in Criminal Justice Algorithms*’ (SSRN Working Paper №4361462). <https://ssrn.com> accessed 7 December 2025.

Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Institute for Development of Freedom of Information (IDFI), *Massive surveillance of protesters and the inadequate response of the Personal Data Protection Service*, <https://idfi.ge> accessed 7 December 2025.

Scirica, A. J. ‘*Preface: The Judges’ Book*’ in *The Judges’ Book: Creating a Fairer, More Effective and More Responsive Judiciary* (2020) 1. <https://repository.uclawsf.edu> accessed 7 December 2025.

US Government Accountability Office, *Biometric Identification Technologies: Considerations to Address Information Gaps and Other Stakeholder Concerns*, GAO-24-106293 (April 2024). <https://www.gao.gov> accessed 5 December 2025.

JUDICIAL PRACTICE

JUDGMENTS OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS (ECTHR)

Al-Khawaja and Tahery v United Kingdom (2011), 54 EHRR 23.

Glukhin v Russia, App no 11519/20 (ECtHR, 4 July 2023).

Podchasov v Russia, App no 33696/19 (ECtHR, 7 February 2023).

DECISIONS OF THE COURTS OF THE UNITED STATES

Frye v United States 293 F 1013 (DC Cir 1923).

Daubert v Merrell Dow Pharmaceuticals 509 US 579 (1993).

General Electric Co v Joiner 522 US 136 (1997).

Kumho Tire Co v Carmichael 526 US 137 (1999).

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტები

თამარ ხომასურიძე

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შედარებითი
კერძო და საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (LLM),
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო
წარმომადგენლობის დეპარტამენტი,
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
tamo.khomasuridze@gmail.com

ნიკა ხორავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო
წარმომადგენლობის დეპარტამენტი,
პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
khoravanika9@gmail.com

რეზიუმე. ხელოვნური ინტელექტის სისტემების, განსაკუთრებით კი ე.წ. გენერაციული ხელოვნური ინტელექტისა და დიდი ენობრივი მოდელების მასობრივი გამოყენების ზრდასთან ერთად აქტუალური გახდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო-თა მხრიდან აღნიშნული პროცესების რეგულირება, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი ინოვაციური მეთოდების ინტეგრირება სხვადასხვა სამართლებრივ რეალობაში, მათ შორის, სასამართლო სისტემაში. წინამდებარე სტატიის მიზანია, მიმოიხილოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლო თანმდევი გამოწვევები და მათი გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე,

როგორც ზოგადად, გადანყვეტილების გამოტანის, ისე, მისი დასაბუთების მხრივ. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს და, შესაბამისად, მის გადანყვეტილებებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული კანონმდებლობის განმარტების პროცესში. ზემოაღნიშნულისა და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული ახლებური მიდგომების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება მართლმსაჯულების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რისკები და გამონწვევები, დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილი იქნება შესაძლო მოწესრიგების გზები.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, საკონსტიტუციო სასამართლო, სასამართლო გადანყვეტილება, დიდი ენობრივი მოდელები, საკონსტიტუციო სამართალწარმოება

შესავალი

თანამედროვე სამართლებრივ რეალობაში სულ უფრო აქტუალური ხდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და მათი ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში. ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი ტემპით განვითარება მნიშვნელოვანია, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემის ნაწილშიც, რომელიც ძირითადად, შესაძლოა, გამოვლინდეს პროცესუალურ მექანიზმებზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

მართლმსაჯულების სისტემაში ფუნდამენტური ადგილი უჭირავს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებებს შორის ბალანსის დაცვას უზრუნველყოფს. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტების კონსტიტუციურობის შეფასება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში კანონიერების დაცვის საფუძველზე. თუმცა, ტექნოლოგიური განვითარებისა და თანმდევი გამონწვევების ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება კითხვა – რამდენად მიზანშეწონილია ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება საკონსტიტუციო

სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას და აქვს თუ არა მას ადამიანის ინტელექტუალური და ემოციური ინტელექტის ჩანაცვლების პერსპექტივა.

წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) როლისა და ფუნქციის ანალიზი, როგორც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პროცესში, ისე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას. ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც აერთიანებს, როგორც დოგმატურ-თეორიულ, ისე, შედარებით-ანალიტიკურ კვლევებს. შედარებითი სამართლის მეთოდი მოიცავს ისეთი უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზს, ასევე, მათ შესწავლას, რომლებშიც უკვე განხორციელებულია ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია მართლმსაჯულების სისტემაში. ნაშრომში შემოთავაზებულია უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების კონტენტ-ანალიზი (case study), ასევე, ქართული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავების პროცესის ურთიერთიმართება ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემებთან. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის (AI) როლზე ქართულ საკანონმდებლო რეალობაში, განიხილავს სამომავლო პერსპექტივებსა და სამართლებრივი რეგულირების საჭიროებებს, რომლებიც აუცილებელია სანდო და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისი ინტეგრაციისთვის.

სტატიის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია არსებული გამოწვევებისა და სამართლებრივი დაბრკოლებების აღმოფხვრის შესაძლო ვარიანტები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო პრაქტიკას. კერძოდ, ხაზგასმულია სამართლებრივი ჩარჩოსა და რეგულირების აუცილებლობა, რომელიც საფუძვლიანად მოაწესრიგებს მართლმსაჯულებაში ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვის პროცესს, უზრუნველყოფს მის ეფექტიან განხორციელებას.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში

საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტური ინსტიტუტია, ვინაიდან მის მიერ განხორციელებული კონტროლი და მართლმსაჯულება უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებებ-

სა და თავისუფლებებს შორის ბალანსის დაცვას¹. საკონსტიტუციო კონტროლი, უნინარეს ყოვლისა, მოიაზრებს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მექანიზმს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მრავალ სახელმწიფოშიც². აღნიშნული, ძირითადად, მოიაზრებს სადავო ნორმატიული აქტის შინაარსისა და მისი გავრცელების კანონიერების დადგენას. სამართლებრივი აქტი, თავისი ნორმატიული შინაარსით, ხშირად არ არის ცალსახა და ერთგვაროვანი, შესაბამისად, შესაძლოა, იგი იძლეოდეს განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველს. განსხვავებული ინტერპრეტაცია, ასევე, ხშირად ვლინდება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პირდაპირი თუ ირიბი შეზღუდვით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებისა და უფლებამოსილების ძირითად სამართლებრივ საფუძველებს, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, განსაზღვრავს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, სასამართლოს წევრების არჩევის წესს, კონსტიტუციური სარჩელის წარდგენისა და მიღების პროცედურებს, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველებს და სხვა პროცედურულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და მის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ თავად ამ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი³.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი ადამიანის უფლებების დაცვის ან მათი დარღვევის პრევენციის უმთავრესი სამართლებრივი მექანიზმია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს არა მარტო მთლიანი სამართლებრივი ნორმა, არამედ მისი კონკრეტული ნორმატიული შინაარსი. ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე, ნორმატიულ შინაარსზე მსჯელობა რელევანტურია მაშინ, როდესაც ნორმის გამოყენება ავტომატურად არ ნიშნავს კონსტიტუციის

¹ გეგენავა, დ. (2012). საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები. 9.

² კახიანი, გ. (2008). საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. 34-35.

³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. მუხლი 25-ე.

დარღვევას, თუმცა, ნორმის შეფარდებამ ზოგიერთ კონსტიტუციაში, შესაძლოა, გამოიწვიოს არაკონსტიტუციური შედეგი⁴.

საინტერესოა თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესი და სტადიები. ზოგადი შეფასების შედეგად, შესაძლოა, ითქვას, რომ სასამართლო, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული ინსტიტუტია, რომელიც ცდილობს კონკრეტული ნორმა მოარგოს სხვადასხვა კომპლექსურ შემთხვევას, გააფართოვოს შესაძლო გავლენის მქონე პირთა წრე და გადაწყვეტილება გამოიტანოს მხოლოდ ფაქტების ერთობლიობით⁵. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება არ არის უნივერსალური და ერთგვაროვანი პროცესი. იგი შესაძლოა დაეფუძნოს, როგორც მკაფიო სამართლებრივ პრეცედენტებს, ისე კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, მტკიცებულებების შესწავლას და გადაწყვეტილების უფრო ფართო შედეგების გააზრებას, ვინაიდან, თითოეულ შემთხვევას თან ახლავს თავისი გამოწვევები, რაც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას⁶. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს, განსაკუთრებით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანა ნაწილობრივ კანონშემოქმედების ელემენტსაც მოიაზრებს, რომელიც, ძირითადად, ვლინდება საკანონმდებლო რეალობის ფაქტებში რეალიზებასა და მათ კაუზალურ ანალიზში.

2. ხელოვნური ინტელექტის სისტემები

ვინაიდან ბევრი სამართლებრივი საკითხი, სამართლებრივი მომსახურებების ჩათვლით „გაციფრულებულია“, რელევანტური იქნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შეფასებამდე მნიშვნელოვანია განიმარტოს, რას გულისხმობს „ხელოვნური ინტელექტის“ (Artificial Intelligence – AI) და „მანქანური სწავლების“ (Machine Learning) ცნებები.

⁴ აბესაძე, დ. (2023) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა – თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები. *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი (1)*, 107.

⁵ van Domselaar, I. (2018). The Perceptive Judge. *Jurisprudence*, 9 (1), 71-87. <https://doi.org/10.1080/20403313.2017.1352319>.

⁶ Litali Group. (28 March 2025). *Inside the Judge's Chamber: Insights into Judicial Decision-Making*. <https://litaligroup.com/judicial-decision-making/>.

იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს „ხელოვნური ინტელექტის“ ცნების უნივერსალური, საერთაშორისოდ აღიარებული ერთიანი განმარტება, მანქანურ სწავლებაზე დაფუძნებული სისტემა შეიძლება განიმარტოს სხვადასხვანაირად⁷. მიუხედავად ამისა, ზოგადად, იგი შეიძლება შეფასდეს ავტომატიზებულ ტექნოლოგიად, რომელსაც შეუძლია იმგვარი ფუნქციების/დავალებების შესრულება, რომლებიც მოითხოვს ადამიანის ინტელექტს⁸. თავის მხრივ, „ინტელექტი“ ჩვეულებრივ ასოცირდება ადამიანის ერთ ან ერთზე მეტ მაღალი დონის შემეცნებით უნართან, როგორცაა აბსტრაქტული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, ვიზუალური აღქმა, კრეატიულობა, დაგეგმვა და კრიტიკული აზროვნება. ისეთი საქმიანობები, რასაც ადამიანები ყოველდღიურად აკეთებენ – მაგალითად, წიგნის კითხვა, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა ან ავტომობილის მართვა – საჭიროებს შემეცნებით პროცესს. შესაბამისად, კომპიუტერისთვის ზემოაღნიშნული საქმიანობის ნაწილობრივ (ან სრულად) ავტომატიზებული ფორმით განხორციელების შესაძლებლობის მინიჭება, შეიძლება ჩაითვალოს „ხელოვნური ინტელექტის ამოცანად“⁹. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღეს ელექტრონული მოწყობილობები გარკვეულ თავსატეხებს ასრულებს, რომლებიც ჩვეულებრივ დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებასთან, მათი გამოყენებული ტექნიკები კი ძალიან განსხვავდება ბიოლოგიური, ადამიანის კოგნიტური პროცესებისგან. საგულისხმოა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემა ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად ძირითადად იყენებს სტატისტიკასა და წესებს. გარდა ამისა, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ხელოვნური ინტელექტი“ სხვა ციფრული ალგორითმებისგან მისი შესაძლებლობებით, კერძოდ, ავტონომიურობის ხარისხითა და ადაპტირების უნარით გამოირჩევა¹⁰. წინამდებარე სტატიის მიზნებისათვის „ხელოვნური ინტელექტი“ განიმარტება იმ ავტომატიზებული სისტემების აღსანიშნად, რომლებიც ე.წ. „მანქანური სწავლების“ ალგორითმზეა დაფუძნებული. „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებე-

⁷ ელიზბარაშვილი, ს. (2022). ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ: თანამედროვე საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის. *ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია*, 28-47.

⁸ Russell, S. J., Norvig, P. (2010). *Artificial Intelligence: A Modern Approach* (3rd ed.). Prentice Hall. 2. <https://people.engr.tamu.edu/guni/csce625/slides/AI.pdf>.

⁹ Surden, H. (2024). ChatGPT, Large Language Models, and Law, 92 *Fordham Law Review*. 1941-1972. <https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol92/iss5/9>.

¹⁰ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021). *ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში – კანონმდებლობა და პრაქტიკა*. 26-27. <https://idfi.ge>.

ბის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „ხელოვნური ინტელექტის სისტემა“ ნიშნავს მანქანურ სისტემას, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მიზნებისათვის, მიღებული მონაცემების საფუძველზე, ახდენს ისეთი პროდუქტის გენერირებას, როგორცაა პროგნოზები, შინაარსი, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლია ფიზიკურ ან ვირტუალურ გარემოზე ზემოქმედების მოხდენა¹¹. „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ცალსახად მიჯნავს „ხელოვნური ინტელექტის სისტემას“ მარტივი ტრადიციული პროგრამული სისტემებისგან, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ განსაზღვრულ წესებზე ოპერაციების ავტომატურად შესასრულებლად¹². აქვე აღსანიშნავია ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტივ, რომელშიც „ხელოვნური ინტელექტის სისტემა“ განმარტებულია, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც, ადამიანის მიერ განსაზღვრული მიზნების ფარგლებში, შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს იმგვარი შედეგი, როგორებიცაა: შინაარსი, პროგნოზები, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს მათთან შემხებლობაში მყოფ გარესამყაროზე¹³. ამდენად, წინამდებარე სტატიის მიზნებისათვის, სწორედ ზემოაღნიშნული ორი დოკუმენტის განმარტებები იქნება გამოყენებული.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემები, ძირითადად, ე.წ. „მანქანური სწავლების“ ალგორითმზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს სისტემისთვის მიწოდებული მასობრივი მონაცემებისა და პირადი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე უნარების განვითარებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ნეიტრალური დამკვირვებლის თვალში იქნება ავტონომიური¹⁴. მანქანური სწავლების არსი ისაა, რომ სისტემა ამა თუ იმ „ცოდნას“ იძენს მონაცემთა ერთობლიობის მიღებისა და დამუშავების გზით, რომლის შედეგადაც საბოლოოდ მიიღწევა წარმატებული „სწავლების“

¹¹ Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, Democracy and the Rule of Law. (2024). Art. 2(a).

¹² Explanatory Report to the Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, Democracy and the Rule of Law. (2024). para 24.

¹³ European Commission, Proposal for a Regulation laying down harmonised rules on artificial intelligence. (2021). Art. 3 (1).

¹⁴ Council of Bars and Law Societies of Europe, (2020). *CCBE Considerations on The Legal Aspects of Artificial Intelligence*. 7. <https://www.ccbe.eu>.

შედეგი¹⁵. თავის მხრივ, ამგვარი მონაცემების დახარისხება, გაფილტვრა და დამუშავება არ ხდება იმავე ხარისხით, როგორც ეს შესაძლებელია ფიზიკური პირის შემთხვევაში, რაც ხელოვნური ინტელექტის სისტემისათვის მეტად დამახასიათებელი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

3. სასამართლოს მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

3.1 უცხოური პრაქტიკის მიმოხილვა

მართლმსაჯულების პროცესში ხელოვნური ინტელექტის (AI), როგორც „დამხმარე საშუალების“, გამოყენება და დახვეწა, თავად სისტემის განვითარებასთან ერთად, მეტად თვალსაჩინოა. გარდამტეხი პერიოდი 2022 წლის ბოლოდან იწყება, როდესაც შეიქმნა ChatGPT 3.5, ხელოვნური ინტელექტის პირველი სისტემა, რომელსაც შეეძლო დაეგენერირებინა პრაქტიკულად ნებისმიერი ტექსტური დავალება, მათ შორის, იურიდიული ტექსტები და აკადემიური სტატიები, შესაბამისად, ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) „ისწავლა“ „ადამიანის ენასა“ და მსჯელობაში რთული კანონზომიერებების აღმოჩენა და გაფილტვრა¹⁶.

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული იურიდიული ტექნოლოგიები სულ უფრო პოპულარული ხდება იურიდიულ სექტორში, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაშიც. მაგალითისათვის, ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემას ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) რამდენიმე შტატის სასამართლოები რისკის შეფასებისთვისაც კი იყენებენ¹⁷. ვინაიდან, მისი ალგორითმი შესაძლებლობას იძლევა იურიდიული ფაბულის ანალიზი და რისკების განსაზღვრა განახორციელოს მხოლოდ მოსამართლის მიერ მინოდებული ფაქტების საფუძველზე. აშშ-ს მაგალითზე შესაძლოა, ასევე, განხილული იქნეს eDiscovery-ს პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის ავტომატიზირებული მოძიების სისტემას, კერძოდ, მანქანური სწავლების ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც ალგორითმის მეშვეობით სწავლობს, თუ როგორ შეიძლება მოსამართლის მიერ დიდი რა-

¹⁵ ელიზბარაშვილი, ს. (2022). დასახ. ნაშრ. 28-47.

¹⁶ Coan, A., Surden, H. (16 December 2024) *AI and Constitutional Interpretation: The Law of Conservation of Judgment*. Lawfare. <https://www.lawfaremedia.org>.

¹⁷ Krištofik, A. (2025). Bias in AI (Supported) Decision Making: Old Problems, New Technologies. *International Journal For Court Administration*. 16 (1), 1-28. <https://doi.org/10.36745/ijca.598>.

ოდენობის ინფორმაციიდან რელევანტური ნაწილების დაიდენტიფიცირება¹⁸. ხელოვნური ინტელექტისა (AI) და სასამართლო ხელისუფლების კოლაბორაციის ერთ-ერთ პრაქტიკულ მაგალითად შესაძლოა განხილული იქნეს სამოქალაქო დავების მოგვარების ტრიბუნალი (CRT) კანადაში, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებული დავების მოსაგვარებლად, თუმცა, მისი წარმატებული ფუნქციონირების შედეგად მას სხვა სამართლებრივი მექანიზმებიც დაემატა¹⁹. იურისდიქციის გაფართოებასთან ერთად, 2019 წლის აპრილში მას დაემატა ფიზიკური დაზიანების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფუნქციაც, რომელსაც იგი უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ კონსულტაციასთან და ზიანის რაოდენობის გამომთვლელ მექანიზმთან ერთად²⁰. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემა ყოველ სამ თვეში ერთხელ ექვემდებარება განახლებას სფეროს ექსპერტების მიერ მომხმარებელთა უკუკავშირისა და სისტემის ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე²¹. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ CRT არ წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის (AI) სრულყოფილ სისტემას, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება „ადამიანური რესურსის“ გარეშე. ამდენად, იგი არის „ადამიანური რესურსისა“ და ხელოვნური ინტელექტის (AI) კომბინაცია, რომელიც ზოგავს, როგორც მოსამართლეთა, ისე მოქალაქეთა დროს, ხარჯებს და რესურსს.

საკანონმდებლო რეგულირების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მართლმსაჯულების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება სრულყოფილად დარეგულირებული არ არის. აღნიშნული, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ თავად ხელოვნური ინტელექტიც (AI) და, მით უმეტეს, მისი სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირება, ახალი მოვლენაა²². ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ფოკუსირებულია ხე-

¹⁸ Reiling, A. D. (2020). Courts and Artificial Intelligence. *International Journal for Court Administration*. 11(2), 8. <https://doi.org/10.36745/ijca.343>.

¹⁹ The Government of British Columbia. (26 July 2023). Civil Resolution Tribunal Act. <https://www2.gov.bc.ca>.

²⁰ Reiling, A. D. (2020). Courts and Artificial Intelligence. *International Journal for Court Administration*. 11 (2), 8. <https://doi.org/10.36745/ijca.343>.

²¹ Civil Resolution Tribunal Standard Rules. (2024, February 20). <https://civilresolutionbc.ca>.

²² Krištofik, A. (2025). Bias in AI (Supported) Decision Making: Old Problems, New Technologies. *International Journal For Court Administration*. 16 (1), 1-28. <https://doi.org/10.36745/ijca.598>.

ლოვნური ინტელექტის (AI) სასამართლო გამოყენებაზე, არის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ“ ევროპული ეთიკური ქარტია სასამართლო სისტემებსა და მათ გარემოში, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წელს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის მიერ. ქარტიის თანახმად, სასამართლო სისტემაში ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების გამოყენების ძირითადი მიზანი არის არა სამართლებრივი მსჯელობის რეპროდუცირება, არამედ გადანყვეტილების ფარგლებში სხვადასხვა ტიპის კორელაციის იდენტიფიცირება, რის შედეგადაც მიღებული საბოლოო შედეგი გამოყენებული იქნება შემდგომი სასამართლო გადანყვეტილების „პროგნოზირებისთვის“²³. 2023 წელს იუნესკოს (UNESCO) მიერ გამოქვეყნდა ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის უზენაესობის გლობალური ინსტრუმენტების ნაკრები სასამართლო სისტემისთვის. წინამდებარე დოკუმენტი პასუხობს სასამართლო აქტორებთან (მოსამართლეები, პროკურორები, სახელმწიფო ადვოკატები, საზოგადოებრივი ადვოკატები, იურიდიული უნივერსიტეტები და სასწავლო დაწესებულებები) დაკავშირებულ გამონვევებს და იძლევა საჭირო ინფორმაციას ხელოვნური ინტელექტის სარგებლიანობისა და რისკების თაობაზე მათი საქმიანობის პროცესში²⁴.

ნაშრომის მიზნებისათვის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიული გადანყვეტილება, რომელიც სწორედ რომ სრულად ეფუძნება ზემოხსენებულ იუნესკოს (UNESCO) ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტებს. კოლუმბიაში მიღებული ბოლოდროინდელი გადანყვეტილება განხილვის საგანია იმდენად, რამდენადაც მოსამართლემ გამოიყენა ხელოვნური ინტელექტი (AI) – ChatGPT იმის გადასანყვეტად, უნდა გადაეხადა თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს სამედიცინო მკურნალობაზე წვდომის საფასური ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიისთვის, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი გათავისუფლებული იყო საფასურის გადახდისგან²⁵. ამ ყოველივემ აღშფოთებაც გამოიწვია, ვინაიდან, კრიტიკა დაიმსახურა მოსამართლის ქმედების ეთიკურობამ განსახილველი საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, რასაც მათ შორის, 2024 წელს სასა-

²³ Council of Europe European Commission for the efficiency of justice (CEPEJ). (2018). *European ethical Charter on the use of Artificial Intelligence in judicial systems and their environment*. 30. <https://rm.coe.int>.

²⁴ UNESCO. (2023). *Global toolkit on AI and the rule of law for the judiciary*. 4. <https://unesdoc.unesco.org>.

²⁵ UNESCO, (16 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.unesco.org>.

მართლო (სააპელაციო) განხილვებიც მოჰყვა (გადაწყვეტილება T-323)²⁶. სააპელაციო განხილვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა Gen AI-ის სასამართლო მსჯელობის პროცესში გამოყენების მიზანშეწონილობის განსაზღვრა. სასამართლო პროცესისას განხილული იყო, არღვევდა თუ არა Gen AI-ის გამოყენება გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო პროცესის ფუნდამენტურ უფლებას; განხილვების შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის ფუნდამენტური უფლება არ დარღვეულა, ვინაიდან, Gen AI-მ არ ჩაანაცვლა მოსამართლე, არამედ მოსამართლის მიერ იგი გამოყენებული იქნა გადაწყვეტილების დასაბუთების კონტექსტში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ადამიანმა“ მოსამართლემ უკვე მიიღო არსებითი გადაწყვეტილება²⁷. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ისარგებლა შესაძლებლობით და დაადგინა მკაფიო მოთხოვნები იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც Gen AI-ს იყენებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, კერძოდ, გამჭვირვალობა, კონფიდენციალურობა, ვერიფიკაცია და საუკეთესო პრაქტიკასთან და კოლექტიურ სტანდარტებთან შესაბამისობა²⁸.

ამდენად, კოლუმბიის მართლმსაჯულების სისტემის მიზნებისათვის ხსენებულ გადაწყვეტილებას რეზონანსული გამოხმაურება მოჰყვა და კიდევ ერთხელ აღინიშნა ხელოვნური ინტელექტის (AI) რეგულირების გაუმჯობესების აუცილებლობა, განსაკუთრებით საჯარო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არ არსებობს სპეციალიზებული სამართლებრივი ჩარჩო, ხელოვნური ინტელექტის (AI) ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელია თვითრეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩო სტრატეგიების შემუშავება²⁹.

²⁶ Blanca v. EPS, Constitutional Court of Colombia, Judgement T-323/24 (2 August 2024). <https://www.corteconstitucional.gov.co>.

²⁷ Caballero, M. S. *Ruling T-323/24 and the use of generative AI in Colombia's Judiciary*, Ariza & Marin, *Legal News*. <https://arizaymarin.com/en/ruling-t-323-24>.

²⁸ APCEIU. (26 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.gcedclearinghouse.org>.

²⁹ Herrera, L. (3 October 2024) *Artificial Intelligence in the Colombian Judicial System: A Summary and Analysis of Decision T-323 of 2024*, El Blog del Departamento de Propiedad Intelectual. <https://propintel.uexternado.edu.co>.

3.4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები

ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის, იურიდიული მიმართულებით, ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი ტემპით ინტეგრირების ფონზე, განსაკუთრებით მატულობს ამგვარი სისტემების მხრიდან წარმოშობილი საფრთხეები. მართალია, დიდი ენის მოდელები (Large Language Models – LLM), რომელთა რიგს განეკუთვნება, მათ შორის ChatGPT, ჯერ კიდევ, განვითარების ეტაპზე მყოფი ხელოვნური ინტელექტის სისტემებია და, შესაბამისად, მისი გამოყენება გარკვეულ რისკებს უკავშირდება, თუმცა, მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული მოდელების ეფექტიანი რეალიზებით შესაძლებელია ამა თუ იმ სამართლებრივი დოკუმენტის ანალიზი, წინარე ინფორმაციისა, თუ სასამართლო გადაწყვეტილების მოძიება.

მნიშვნელოვანია, რომ LLM-ების (დიდი ენის მოდელების) გამოყენების რისკები არ განვიხილოთ იზოლირებულად და არ უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ ადამიანებიც უშვებენ შეცდომებს და ექვემდებარებიან კოგნიტურ შეცდომებს, მიკერძოებებსა და მოტივირებული მსჯელობის ცდუნებას. შედეგად, ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზოგჯერ, ასევე, შესაძლოა იყოს არასწორად გააზრებული, პირადი მოტივებით ნაკარნახევი ან ქაოტური. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემების უპირატესობაა, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მასობრივი ინფორმაციის, როგორებიცაა მასშტაბური სამართლებრივი სარჩელების, სასამართლოს გადაწყვეტილებებისა თუ მტკიცებულებების სინთეზირების შესაძლებლობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხელოვნური ინტელექტის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შედარებით სწრაფად მიღება³⁰. მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვისათვის განსაზღვრავს შესაბამის ვადას³¹ და არა უშუალოდ გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამასთან, თანამედროვე LLM-ები მოსამართლეებს (და სხვა მხარეებს) აძლევს დოკუმენტებთან „საუბრის“ შესაძლებლობას, მათთვის განმარტებითი კითხვების დასმით ან დოკუმენტში არსებულ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით. ამგვარი ინტერაქცია ტრადიციული სტატიკური შეჯამებების ან ზედაპირული გადა-

³⁰ Tai, M. C. (2020). The impact of artificial intelligence on human society and bioethics. *Tzu chi medical journal*, 32(4), 339–343. https://doi.org/10.4103/tcmj.tcmj_71_20.

³¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 22-ე (1) მუხლი.

ხედვის მეთოდებთან შედარებით მოსამართლეებს აძლევს უფრო დინამიურ და სრულ წარმოდგენას მასალაზე³². სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის სისტემების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მათი უნარი, შესაბამისი მითითების შემთხვევაში, წარმოადგინონ ერთზე მეტი პერსპექტივა. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით ფასეულია შედარებით კომპლექსური საკონსტიტუციო დავების შემთხვევაში, სადაც მთავარი გამოწვევა ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი პასუხის პოვნა არ არის. ამგვარ საქმეებში გადაწყვეტილება ხშირად ეფუძნება რთული პოლიტიკის განმსაზღვრელი გარემოებების გათვალისწინებას, ღირებულებითი შეხედულებების შეფასებასა და სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის არჩევანს. საერთო ჯამში, LLM-ებს ნამდვილად აქვს პოტენციური გააუმჯობესოს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების ხარისხი იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოიყენება სათანადო ფორმით და ხელოვნური ინტელექტის გონივრული ცოდნის პირობებში, კერძოდ, ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ინფორმაციის სინთეზი, სხვადასხვა პერსპექტივის წარმოჩენა, ადამიანის კოგნიტიური მიკერძოებების გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი მხარეებისა, კონსტიტუციური ინტერპრეტაციისათვის ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენება გარკვეულ საფრთხეებსა და რისკებს უკავშირდება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მასშტაბით, მოსამართლეებისათვის, ჯერ კიდევ, უცნობია დიდი ენის მოდელების ფუნქციონირების პრაქტიკული თუ თეორიული საფუძვლები³³. მით უფრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები, ხშირ შემთხვევაში, ხასიათდება მიღებული გადაწყვეტილების გაუმჭირვალე ხასიათით, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის საკმაოდ კომპლექსური და, გარკვეულწილად, გარე ძალებისათვის შეუღწევადი ცი³⁴. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიერ კანონმდებლობის განმარტებისათვის წინამდებარე მექანიზმით სარგებლობა შესაძლოა კოლიზიაში მოვიდეს სამართლის უზენაესობისა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან.

³² Coan, A., Surden, H. (2025). Artificial Intelligence and Constitutional Interpretation. *Arizona Legal Studies Discussion Paper №24-30*. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5018779>.

³³ იქვე.

³⁴ ელიზბარაშვილი, ს. (2022). დასახ. ნაშრ. 28-47.

გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო დონეზე ხელოვნური ინტელექტის ფენომენი ხშირად მოიხსენიება „შავი ყუთის“ სახელითაც³⁵. საკითხი უფრო მეტად პრობლემურია, რამდენადაც არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე დიდი ენის მოდელი (Claude, ChatGPT, Gemini), რომლებიც შეიცავენ განსხვავებულ ინტერფეისებს. საყურადღებოა, რომ LLM-ებს ერთმანეთისგან განასხვავებს მათი უნიკალური „არქიტექტურა“, სწავლებისთვის გამოყენებული მონაცემები და ტექნიკური კონფიგურაციები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ GPT-4o და Claude 3 Opus, სავარაუდოდ, იზიარებენ ტრილიონობით სიტყვას, მათ განსხვავებული ინფორმაციის ნაკრებზე აქვთ წვდომა³⁶. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიერ ერთსა და იმავე საკითხზე თავისუფლად შესაძლებელი, განსხვავებულმა მოდელებმა ერთ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესი გაითვალისწინოს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სარჩელი განუხილველად (ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად) დატოვოს. აქვე აღსანიშნავია, რომ განსხვავებული სამართლებრივი შედეგი შესაძლოა დადგეს იდენტური ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენების შემთხვევაშიც, ვინაიდან, ალგორითმზე დაფუძნებული სისტემა მოსამართლის მიმართვას სხვადასხვანაირად აიდენტიფიცირებს და, შესაბამისად, განსხვავებულ პასუხს სთავაზობს დაინტერესებულ პირს. ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემის მოდელის მიერ გამოხატული „თავდაჯერების დონე“ ყოველთვის არ ასახავს რეალურ პროცესს და იგი რელევანტური პასუხის მიღება³⁷.

მიუხედავად განსხვავებული ხელოვნური სისტემების მოდელების არსებობისა, მსოფლიოს მასშტაბით, დიდი პოპულარობით სარგებლობს ChatGPT. აღნიშნული ენის მოდელი, მათ შორის, პრაქტიკოსი იურისტების მხრიდან, ხშირად გამოიყენება მართლმსაჯულების პროცესისათვის. ვინაიდან, „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია არ შეიცავს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, ენის დიდი მოდელების, როგორცაა ChatGPT, გამოყენების რისკების შესაფასებლად, არსებითია ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი. უნდა აღინიშნოს, რომ აქტის შესაბამისად, ChatGPT თავისთავად არ წარმოადგენს მაღალი რისკის

³⁵ Council of Bars and Law Societies of Europe, (2020). *CCBE Considerations on The Legal Aspects of Artificial Intelligence*. 12. <https://www.ccbe.eu>.

³⁶ Coan, A., Surden, H. (2025). Artificial Intelligence and Constitutional Interpretation. *Arizona Legal Studies Discussion Paper №24-30*. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5018779>.

³⁷ Andreas, M., Chandar S., Reddy, S. (2024). Are Self-Explanations from Large Language Models Faithful? *Cornell University*. <https://arxiv.org/pdf/2401.07927>.

ან მიუღებელი რისკის მქონე ტექნოლოგიას³⁸. თუმცა, თუკი სასამართლო გადან-ყვეტს აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებას, მაგალითად, რელევანტური საქმის მოსაძიებლად, აღნიშნული ჩაითვლება სამართლებრივი ინტერპრეტაციისათვის დამხმარე საშუალებად და დაიდენტიფიცირდება, როგორც მაღალი რისკის მქონე ფენომენი³⁹. თავის მხრივ, ChatGPT-ის ხშირ შემთხვევაში დაინტერესებული პირი შეცდომაში შეჰყავს, რამდენადაც აგენერირებს მოგონილ საქმეებს. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების ფაქტობრივ მონაცემებს დაამატოს სხვა არარელევანტური ინფორმაცია. აღნიშნული დასტურდება პრაქტიკული მაგალითებითაც. აშშ-ის ფედერალურმა ოლქის სასამართლომ ადვოკატებს 5 000 დოლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა იმ მიზეზით, რომ მათ სასამართლოს წინაშე ციტირებაში გამოიყენეს მცდარი სასამართლო პრაქტიკის მითითებები⁴⁰.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელოვნურ ინტელექტს არ შეუძლია იმგვარი უნარების რეპროდუცირება, რომლებიც მხოლოდ ადამიანს აქვს, მაგალითად: კრეატიულობა, წარმოსახვა და ხედვა, ემპათია, კომუნიკაციის უნარი, სტრატეგიული ხედვა და ლიდერობა. აღნიშნული უნარები და შესაძლებლობები უფრო ადამიანზე ორიენტირებულია, ვიდრე უშუალოდ სამართლებრივი პრობლემის გადაჭრაზე⁴¹. სამართლებრივ დოქტრინაში ასეთ თვისებებს „ემოციურ ინტელექტსაც“ უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ხელოვნური ინტელექტი გარკვეულ დონეზე შეძლებს კომუნიკაციას და კითხვებზე პასუხის გაცემას, ამ ეტაპზე, AI მხოლოდ ლოგიკურ-მათემატიკურ ინტელექტს ავლენს. თავის მხრივ, საყურადღებოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გადანყვეტილების მიღების მომენტში მოქმედებს შინაგანი რწმენის (opinion juris) საფუძველზე. შინაგანი რწმენა არის გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ინდივიდის ცნობიერებაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ობიექტური ქვამარიტების ინდივიდუალური აღქმა,

³⁸ Tamošiūnienė, E., Terebeiza, Ž., Doržinkevič, A. (2024). The Possibility of Applying Artificial Intelligence in the Delivery of Justice by Courts. *Baltic Journal of Law & Politics*, 17 (1), 2024. 223-237. <https://doi.org/10.2478/bjlp-2024-0010>.

³⁹ EU Artificial Intelligence Act. Para 8(a) of Annex III High-risk AI Systems Referred to in Art. 6 (2). <https://artificialintelligenceact.eu/annex/3/>.

⁴⁰ Roberto Mata v. Avianca Inc, United States District Court, S. D. New York. Decision №22-cv-1461 (22 June 2023). <https://law.justia.com/cases/federal/district-courts/new-york/nysdce/1:2022cv01461/575368/55/>.

⁴¹ Allison C. Shields. (2019). Emotional Intelligence versus Artificial Intelligence Frontlines: Simple Steps. *Law Practice* 45 (4), 14.

რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ცხადია, მოსამართლე სწორედ აღნიშნული რწმენის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს, რასაც ინდივიდუალურად ხელოვნური ინტელექტის სისტემა ვერ უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძობა, იგი შესაძლოა იყოს სამართლებრივი ნორმის „მკაცრი“ ინტერპრეტატორი. მართლმსაჯულების განხორციელება არის პროცესი, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობას იმ პირის მხრიდან, ვინც ამ პროცესს ახორციელებს და, ამასთან, წარმოადგენს სოციალურ პროცესს, სადაც დაცულია საზოგადოებრივი ინტერესი. სწორედ, ზემოაღნიშნული მახასიათებლები უზრუნველყოფს სასამართლოსადმი საჯარო ნდობის ჩამოყალიბებას⁴².

ხელოვნური ინტელექტის სისტემების ყველაზე თვალსაჩინო რისკი მიკერძოების ელემენტია. აღნიშნული ფენომენისათვის, როგორც „შავი ყუთი“-სთვის, დამახასიათებელია ალგორითმული მიკერძოება. მიკერძოება არის ალგორითმის იმ მონაცემთა ანარეკლი, რომელთა გამოყენებასაც მისი ავტორები ირჩევენ, ისევე, როგორც მათი მონაცემთა შერწყმის მეთოდების, მოდელის შექმნის პრაქტიკისა და მიღებული შედეგების გამოყენებისა და ინტერპრეტაციის ფორმის გამოვლინება. სხვა სიტყვებით, ეს პროცესები ადამიანური გადანყვეტილებით არის ნაკარნახევი⁴³. ამიტომ, როდესაც საუბარია AI-ს პოტენციალსა და მოსამართლის ჩანაცვლების შესაძლებლობაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ალგორითმი შესაძლოა იყოს შეცდომაში შემყვანი ან მანიპულირებადი. თუნდაც, კერძო კომპანიის მიერ შემუშავებული ალგორითმის შემთხვევაში, მაინც არსებობს რისკი, რომ იგი მიზნობრივად იყოს „მიკერძოებულად“ პროგრამირებული. ამ კონტექსტში, ადამიანის ტვინში ხელოვნური ინტელექტის ელემენტების ინტეგრაცია უნდა შეფასდეს სადავო და პრობლემატურ მოვლენად, ვინაიდან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

AI-ს მიერ მოსამართლის ჩანაცვლებისა და დამოუკიდებლად ამა თუ იმ გადანყვეტილების ფორმირებასთან დაკავშირებული რისკების საილუსტრაციოდ, წინამდებარე სტატიის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია ერთგვარი სიმულაციური როლის მორგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებასთან მიმართებით. პრაქტიკული გამონვევებისა და საფრთხე-

⁴² Tamošiūnienė, E., Terebeiza, Ž., Doržinkevič, A. (2024). The Possibility of Applying Artificial Intelligence in the Delivery of Justice by Courts. *Baltic Journal of Law & Politics*, 17 (1), 2024. 223-237. <https://doi.org/10.2478/bjlp-2024-0010>.

⁴³ Gregory S. Nelson. (2019). „Bias in Artificial Intelligence“, *North Carolina Medical Journal* 80 (4), 220-222. <https://ncmedicaljournal.com/article/55108.pdf>.

ბის მეტი თვალსაჩინოებისათვის, შემთხვევითობის პრინციპით, შეფასდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/6/1737 გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც დავის საგანი იყო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც „საოჯახო პაემნით“ სარგებლობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ქალ მსჯავრდებულებს. მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ სადავო ნორმის მიზანს არ წარმოადგენდა პატიმრობაში მყოფი მამაკაცი მსჯავრდებულების დისკრიმინაცია⁴⁴, ChatGPT-იმ, როგორც „მოსამართლემ“, მიიღო რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება და დაადგინა ნორმის არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებით. წინამდებარე პრაქტიკული მაგალითის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო კონკრეტული ინდივიდუალური მახასიათებლები (სახელმწიფო ბიუჯეტის ოპტიმალური ხარჯვის საჯარო ინტერესი, ქალი მსჯავრდებულებისთვის ობიექტური გარემოებებით განპირობებული ნაკლებად კეთილმოსურნე ვითარების გამოსწორების საკითხი, როგორც „ემოციური ინტელექტის“ შედეგი და სხვა), რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული ხელოვნური ინტელექტის (AI), როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირის, მიერ. აღნიშნული კი იმ ფაქტის კონსტატაციაა, რომ დამოუკიდებელი სახით AI-ს გამოყენება განსხვავებული კანონისმიერი ინტერპრეტირების საფუძველია, რაც, თავის მხრივ, არაერთგვაროვანი სამართლებრივი შედეგის განმპირობებელი ფაქტორია.

4. საქართველოს საკანონმდებლო რეალობა ხელოვნური ინტელექტის რეგულირებასთან დაკავშირებით

საქართველოში ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ არის რეგულირებული. ცხადია, AI-ს სისტემებს იყენებენ, მათ შორის, საქართველოს საჯარო დაწესებულებებშიც⁴⁵, თუმცა საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული საკითხის რეგულირება ერთგვარი „ნაცრისფერი სივრცეა“. კერძოდ, საქართველოში არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის სისტემების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ეთი-

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/6/1737 გადაწყვეტილება.

⁴⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021). *ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში – კანონმდებლობა და პრაქტიკა*. 11. <https://idfi.ge>.

კური ნორმები. ერთადერთი გამონაკლისია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 17 აგვისტოს №151/04 ბრძანება „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდულების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც არეგულირებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ფინანსურ სექტორში. შესაბამისად, იურიდიული მიმართულებით, განსაკუთრებით კი სამოსამართლო თვალსაზრისით, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა. ამასთან, საქართველოს ამ დრომდე არ აქვს შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგია⁴⁶.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, ხელოვნურ ინტელექტზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს, პირველი კონსოლიდირებული სავალდებულო ხასიათის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი – „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია, რომელიც მიღებულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 133-ე სესიაზე და რომელსაც საქართველოს მხარემ ხელი მოაწერა 2024 წლის 5 სექტემბერს⁴⁷. ჩარჩო კონვენციის ძირითადი მიზანია ხელოვნური ინტელექტის სისტემის მოქმედების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიასა და სამართლის უზენაესობასთან. წინამდებარე ხელშეკრულება ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ ხელოვნური ინტელექტის შესაბამისი გამოყენება საჯარო უწყებებისა და მათი სახელით მოქმედი კერძო ორგანიზაციების მიერ, რისთვისაც დოკუმენტი ადგენს მთელ რიგ მოთხოვნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვინაიდან კონვენციის სრულყოფილი იმპლემენტაციის მიზნით საჭიროა ქართულ საკანონმდებლო რეალობაში არსებობდეს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს ხელოვნურ ინტელექტთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ გამონვევებსა და საკითხებს, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს რიგი ქმედებები კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისით.

⁴⁶ ელიზბარაშვილი, ს. (2023). დასახ. ნაშრ. 79-90.

⁴⁷ Council of Europe, Chart of signatures and ratifications of Treaty 225. <https://www.coe.int>.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამგვარი სისტემების დანერგვამდე მნიშვნელოვანია რისკებისა თუ პოზიტიური ეფექტიანობის შეფასება და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საკონსტიტუციო სასამართლოს როლი როდია მხოლოდ ამა თუ იმ დავის გადაწყვეტა, არამედ ის ასევე უკავშირდება „ხელოვნებას“ – მხარეებს შორის ინტერესთა შეჯერებასა და სამართლებრივი ნორმის სწორ ინტერპრეტირებას. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეს გააჩნია გარკვეული დისკრეტია, ვინაიდან, ეს პროცესი არა მარტო სამართლის ნორმების მექანიკური გამოყენებაა, არამედ გულისხმობს გარკვეული სუბიექტური გარემოებების შეფასებასაც. რამდენადაც სტატიიდან იკვეთება, ხელოვნური ინტელექტი არის ტექნოლოგია, რომელიც ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს იღებს იმ სფეროებში, სადაც ჩვეულებრივ ადამიანური ინტელექტი მოითხოვება. მართალია, დიდი ენობრივი მოდელები მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს, როგორც საკონსტიტუციო საქმეების სასამართლო პროცესის, ისე უფრო ფართო სამართლებრივი პროცედურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, თუმცა, ამკარაა, რომ დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობის პირობებში ამგვარი ტექნოლოგიებით პირდაპირი თუ ირიბი ზიანი შეიძლება მიადგენს სამართლის უზენაესობის პრინციპს. მართლმსაჯულების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, AI-ს როლი შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ, როგორც დამხმარე მექანიზმი, იგი ვერ ჩაანაცვლებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან მართლმსაჯულება მოითხოვს არა მარტო სამართლის ნორმების ფორმალურ გამოყენებას, არამედ შემოქმედებითობას, წარმოსახვას, ემპათიას, რეალობის აღქმის უნარს, პასუხისმგებლობის გრძნობასა და სხვა სუბიექტურ თვისებებს, რომელთა გააზრებასა და გამოყენებას ხელოვნური ინტელექტი ვერ შეძლებს. რთულია ისეთი ალგორითმის შექმნა, რომელიც შეძლებს სრულად განასახიეროს ადამიანის პიროვნული მახასიათებლები ისე, რომ გადაწყვეტილი დავა იყოს არამარტო ფორმალურად კანონიერი, არამედ თანაბრად სამართლიანი, გონივრული და სანდო.

მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების ზრდის ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინსტიტუციურ კონტექსტებში მისი გამოყენების სხვადასხვა ფორმები. თითოეული ასეთი გამოყენება მოითხოვს განსხვავებულ ბალანსს ღირებულებებს შორის და წარმოადგენს არჩევანს, რომელიც საჭიროებს ნორმატიულ გამართლებას. შესაძლებელია, რომ სამომავლოდ სამოსამართლო გადაწყვეტილებებზე ძალაუფლება გადანაწილდეს ადამიანებსა

და LLM-ებს შორის, რათა მართლმსაჯულების განხორციელება მოხდეს უფრო სწრაფად და ეფექტიანად. ამდენად, არსებითია, პირველ რიგში, დროულად დაინყოს მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბების შესახებ. საკანონმდებლო მონესრიგების, შესაბამისი უწყებებისა და ექსპერტების ჩართვის შემდგომ, შესაძლებელი გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემის ფარგლებში ერთგვარი საზედამხედველო მექანიზმის შექმნა, რომელიც, AI-ს გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი რისკების ანალიზს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პრევენციული მექანიზმების გატარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ნიგნაზი, მონობრაფია

გეგენავა, დ. (2012). *საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები*.

კახიანი, გ. (2008). *საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი*.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021). *ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში – კანონმდებლობა და პრაქტიკა*. <https://idfi.ge>.

Russell, S. J., Norvig, P. (2010). *Artificial Intelligence: A Modern Approach* (3rd ed.). Prentice Hall. 2. <https://people.engr.tamu.edu/guni/csce625/slides/AI.pdf>.

სტატიები

Council of Bars and Law Societies of Europe, (2020). *CCBE Considerations on The Legal Aspects of Artificial Intelligence*. 7. <https://www.ccbe.eu>.

აბესაძე, დ. (2023) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა – თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები. *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი (1)*.

ელიზბარაშვილი, ს. (2022). ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ: თანამედროვე საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის. *ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია*.

ელიზბარაშვილი, ს. (2023). ადამიანის უფლებების დაცვა ტექნოლოგიური გან-

- ვითარების ეპოქაში: ხელოვნური ინტელექტის რეგულირების დასაწყისი. ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები. სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია.
- van Domselaar, I. (2018). The Perceptive Judge. *Jurisprudence*, 9 (1), 71-87. <https://doi.org/10.1080/20403313.2017.1352319>.
- Surden, H. (2024). ChatGPT, Large Language Models, and Law, 92 *Fordham Law Review*. 1941-1972. <https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol92/iss5/9>.
- Krištofik, A. (2025). Bias in AI (Supported) Decision Making: Old Problems, New Technologies. *International Journal For Court Administration*. 16 (1), 1-28. <https://doi.org/10.36745/ijca.598>.
- Reiling, A. D. (2020). Courts and Artificial Intelligence. *International Journal for Court Administration*. 11 (2), 8. <https://doi.org/10.36745/ijca.343>.
- Tai, M. C. (2020). The impact of artificial intelligence on human society and bioethics. *Tzu chi medical journal*, 32 (4), 339-343. https://doi.org/10.4103/tcmj.tcmj_71_20.
- Coan, A., Surden, H. (2025). Artificial Intelligence and Constitutional Interpretation. *Arizona Legal Studies Discussion Paper №24-30*. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5018779>.
- Andreas, M., Chandar S., Reddy. S. (2024). Are Self-Explanations from Large Language Models Faithful? *Cornell University*. <https://arxiv.org>.
- Tamošiūnienė, E., Terebeiza, Ž., Doržinkevič, A. (2024). The Possibility of Applying Artificial Intelligence in the Delivery of Justice by Courts. *Baltic Journal of Law & Politics*, 17 (1). 223-237. <https://doi.org/10.2478/bjlp-2024-0010>.
- Allison C. Shields. (2019). Emotional Intelligence versus Artificial Intelligence Frontlines: Simple Steps. *Law Practice* 45 (4), 14.
- Gregory, S. Nelson. (2019) „Bias in Artificial Intelligence“, *North Carolina Medical Journal* 80 (4), 220-222. <https://ncmedicaljournal.com/article/55108.pdf>.

სამართლებრივი დოკუმენტები

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.
- Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, *Democracy and the Rule of Law*. (2024). Explanatory Report to the Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, Democracy and the Rule of Law. (2024).
- European Commission, Proposal for a Regulation laying down harmonised rules on artificial intelligence. (2021).

- The Government of British Columbia. (26 July 2023). Civil Resolution Tribunal Act. <https://www2.gov.bc.ca>.
- Civil Resolution Tribunal Standard Rules. (20 February 2024). <https://civilresolutionbc.ca>.
- Council of Europe European Commission for the efficiency of justice (CEPEJ). (2018). *European ethical Charter on the use of Artificial Intelligence in judicial systems and their environment*.
- UNESCO. (2023). *Global toolkit on AI and the rule of law for the judiciary*. 4. <https://unesdoc.unesco.org>.
- EU Artificial Intelligence Act.

პრეცედენტები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/6/1737 გადაწყვეტილება.
- Blanca v. EPS, Constitutional Court of Colombia, Judgement T-323/24 (2 August 2024).
- Roberto Mata v. Avianca Inc, United States District Court, S. D. New York. Decision №22-cv-1461 (22 June 2023). <https://law.justia.com>.

ინტერნეტ-რესურსები

- Litili Group. (28 March 2025). *Inside the Judge's Chamber: Insights into Judicial Decision-Making*. <https://litoligroup.com/judicial-decision-making>.
- Coan, A., Surden, H. (16 December 2024). *AI and Constitutional Interpretation: The Law of Conservation of Judgment*. Lawfare. <https://www.lawfaremedia.org>.
- UNESCO (16 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.unesco.org/en>.
- Caballero, M. S. *Ruling T-323/24 and the use of generative AI in Colombia's Judiciary, Ariza & Marin, Legal News*. <https://arizaymarin.com/en/ruling-t-323-24>.
- APCEIU (16 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.gcedclearinghouse.org>.
- Herrera, L. (3 October 2024). *Artificial Intelligence in the Colombian Judicial System: A Summary and Analysis of Decision T-323 of 2024*, El Blog del Departamento de Propiedad Intelectual. <https://propintel.uexternado.edu.co>.
- Council of Europe, Chart of signatures and ratifications of Treaty 225. <https://www.coe.int/en/web/Conventions/full-list>.

THE PRACTICAL AND LEGAL ASPECTS OF THE USE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN THE DECISION- MAKING PROCESS OF THE CONSTITUTIONAL COURT

TAMAR KHOMASURIDZE

Master of the Comparative Private and International Law (LL.M.)
New Vision University,
Ministry of Justice Of Georgia,
Department of the Agreements Expertise and Court Representation,
Senior Specialist of the First Category
tamo.khomasuridze@gmail.com

NIKA KHORAVA

Student of Master Program in International Law at the Faculty of Law,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ministry of Justice Of Georgia,
Department of the Agreements Expertise and Court Representation,
Junior Specialist of First Category
khoravanika9@gmail.com

Abstract. With the growth of the mass use of artificial intelligence systems, especially the so-called generative artificial intelligence and large language models, it has become relevant, on the one hand, to regulate the aforementioned processes by states, and, on the other hand, to integrate such innovative methods into various legal realities, including the judicial system. The article aims to discuss the possible challenges related to the use of artificial intelligence and their impact on Constitutional decision-making processes, in general, in terms of making a decision, as well as, its justification. The Constitutional Court, as the body exercising constitutional control of the state, and accordingly Constitutional decisions, have a significant impact in terms of establishing the practice of the interpreting national legislation. Taking into consideration abovementioned and the new approaches provided by the technological developments, it is essential to assess the

role that the use of artificial intelligence can contribute in ensuring constitutional justice. Accordingly, the present article discusses the practical aspects of the use of artificial intelligence in the constitutional decision-making process, considering relevant international standards and practices. Additionally, the paper will evaluate the risks and challenges of the use of artificial intelligence in the justice process, and the final part offers possible ways of its regulation.

Keywords: *Artificial Intelligence, Constitutional Court, Decision of the Court, Large language Models, Constitutional Proceedings*

REFERENCES

BOOKS/MONOGRAPHY

Gegenava, D. (2012). *Constitutional Justice in Georgia: Main Systemic Problems of Litigation*.

Kakhiani, G. (2008). *The Institute of Constitutional Control and Problems Regarding its Functioning in Georgia: Analysis of Legislation and Practice*.

The Institute for Development of Freedom of Information (IDFI). (2021). *Artificial Intelligence: International Tendencies and Georgia – Legislation and Practice*.

https://idfi.ge/ge/artificial%20intelligence_international_tendencies_and_georgia.

Russell, S. J., Norvig, P. (2010). *Artificial Intelligence: A Modern Approach* (3rd ed.). Prentice Hall. 2. <https://people.engr.tamu.edu/guni/csce625/slides/AI.pdf>.

ARTICLES

Council of Bars and Law Societies of Europe. (2020). *CCBE Considerations on The Legal Aspects of Artificial Intelligence*. 7. <https://www.ccbe.eu>.

Abesadze, D. (2023). Recognition of the Content of the Norm as Unconstitutional by the Constitutional Court of Georgia – Theoretical Observations and Practical Challenges. *Constitutional Law Journal* (1).

Elizbarashvili, S. (2022). The Use of Artificial Intelligence by Law Enforcement Agencies: A Modern Threat to Human Rights. *Protection of Human Rights: International and National Experience, Collection of Articles, edited by Konstantine Korkelia*.

Elizbarashvili, S. (2023). Human Rights Protection in the Technological Development Era: The Beginning of Artificial Intelligence Regulation. *Human Rights*

- Protection: European Experience and National Challenges. Collection of Articles, edited by Konstantine Korkelia, 79-90. Van Domselaar, I. (2018). The Perceptive Judge. Jurisprudence, 9 (1), 71-87. <https://doi.org/10.1080/20403313.2017.1352319>.*
- Surden, H. (2024). *ChatGPT, Large Language Models, and Law*, 92 *Fordham Law Review*. 1941-1972. <https://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol92/iss5/9>.
- Krištofik, A. (2025). Bias in AI (Supported) Decision Making: Old Problems, New Technologies. *International Journal For Court Administration*. 16 (1), 1-28. <https://doi.org/10.36745/ijca.598>.
- Reiling, A. D. (2020). Courts and Artificial Intelligence. *International Journal for Court Administration*. 11 (2), 8. <https://doi.org/10.36745/ijca.343>.
- Tai, M. C. (2020). The impact of artificial intelligence on human society and bioethics. *Tzu chi medical journal*, 32 (4), 339-343. https://doi.org/10.4103/tcmj.tcmj_71_20.
- Coan, A., Surden, H. (2025). Artificial Intelligence and Constitutional Interpretation. *Arizona Legal Studies Discussion Paper №24-30*. <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5018779>.
- Andreas, M., Chandar S., Reddy. S. (2024). Are Self-Explanations from Large Language Models Faithful? *Cornell University*. <https://arxiv.org/pdf/2401.07927>.
- Tamošiūnienė, E., Terebeiza, Ž., Doržinkevič, A. (2024). The Possibility of Applying Artificial Intelligence in the Delivery of Justice by Courts. *Baltic Journal of Law & Politics*, 17 (1). 223-237. <https://doi.org/10.2478/bjlp-2024-0010>.
- Allison C. Shields. (2019). Emotional Intelligence versus Artificial Intelligence Frontlines: Simple Steps. *Law Practice* 45 (4).
- Gregory S. Nelson. (2019) „Bias in Artificial Intelligence“, *North Carolina Medical Journal* 80 (4), 220-222. <https://ncmedicaljournal.com/article/55108.pdf>.

LEGAL DOCUMENTS

- Organic Law of Georgia on „The Constitutional Court of Georgia“.
- Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, Democracy and the Rule of Law. (2024). Explanatory Report to the Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence, Human Rights, Democracy and the Rule of Law. (2024).
- European Commission, Proposal for a Regulation laying down harmonised rules on artificial intelligence. (2021).

- The Government of British Columbia. (26 July 2023). Civil Resolution Tribunal Act. <https://www2.gov.bc.ca>.
- Civil Resolution Tribunal Standard Rules. (20 February 2024). <https://civilresolutionbc.ca>.
- Council of Europe European Commission for the efficiency of justice (CEPEJ). (2018). *European ethical Charter on the use of Artificial Intelligence in judicial systems and their environment*.
- UNESCO (2023). *Global toolkit on AI and the rule of law for the judiciary*. 4. <https://unesdoc.unesco.org>.
- EU Artificial Intelligence Act.

CASE LAW

- Ombudsman of Georgia Against the Parliament of Georgia, Constitutional Court of Georgia, Decision №1/6/1737 (27 July 2023). <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17641>.
- Blanca v. EPS, Constitutional Court of Colombia, Judgement T-323/24 (2 August 2024). <https://www.corteconstitucional.gov.co>.
- Roberto Mata v. Avianca Inc, United States District Court, S. D. New York. Decision №22-cv-1461 (22 June 2023). <https://law.justia.com>.

WEB-RESOURCES

- Litili Group. (28 March 2025). *Inside the Judge's Chamber: Insights into Judicial Decision-Making*. <https://litoligroup.com/judicial-decision-making>.
- Coan, A., Surden, H. (16 December 2024) *AI and Constitutional Interpretation: The Law of Conservation of Judgment*. Lawfare. <https://www.lawfaremedia.org>.
- UNESCO (16 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.unesco.org/en>.
- Caballero, M. S. *Ruling T-323/24 and the use of generative AI in Colombia's Judiciary, Ariza & Marin, Legal News*. <https://arizaymarin.com/en/ruling-t-323-24>.
- APCEIU (26 August 2024). *AI in the Courtroom: Colombian Constitutional Court's Landmark Ruling Cites UNESCO's AI Tools*. <https://www.gcedclearinghouse.org>.
- Herrera, L. (3 October 2024). *Artificial Intelligence in the Colombian Judicial System: A Summary and Analysis of Decision T-323 of 2024*, El Blog del Departamento de Propiedad Intelectual. <https://propintel.uexternado.edu.co>.
- Council of Europe, Chart of signatures and ratifications of Treaty 225. <https://www.coe.int>.

**მონოღია სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის
ქალაქობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ:
კავშირი გამოსატვის
თავისუფლებასა და დანაშაულს შორის**

გიგა გორჯელაძე

ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ
მეცნიერებათა სკოლის მაგისტრობის კანდიდატი
giga.gorjeladze.1@iliauni.edu.ge

რეზიუმე. ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა სისხლის სამართლის კოდექსის ერთობ ნაკლებად პოპულარული და არა პრაქტიკული დისპოზიცია მოქმედებაში მოიყვანა. საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებას გულისხმობს. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის ძალადობით დამხობისკენ მოწოდების დანაშაულებრივი ბუნება და ურთიერთკავშირი საქართველოს კონსტიტუციით დაცულ გამოსატვის თავისუფლებასთან მიმართებით, ასევე შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია სხვა სახელმწიფოების გამოცდილება და ქართული რეალობა. მოცემული დისპოზიციის განმარტება და გამოსატვის თავისუფლების ჩარჩოსთან ზღვარის გავლება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მკაფიო შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქმნის მოწოდების დანაშაულებრივ ბუნებას და რა ხდება მაშინ, როცა გამოსატვის თავისუფლებით დაცული სამართლებრივი სიკეთეები კოლიზიაში მოდის სისხლის სამართლის კოდექსით ინკრიმინირებულ ქმედებასთან.

გარდა ამისა, განსახილველი საკითხის ანალიზი საინტერესო იქნება იურისტთა იმ ნაწილისთვის, რომელთაც სურთ მარტივად მიიღონ ინფორმაცია საქართველოსა და უცხო ქვეყნის გამოცდილებაზე, კერძოდ, როგორ ისჯება სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის ძალადობის დამხობისკენ მოწოდება და დანაშაული სანქციის სახედ და ზომად რას ითვალისწინებს. ასევე, საქართველოსა

და გერმანიის (ფედერალური) საკონსტიტუციო სასამართლოების განმარტებებსა და პრაქტიკაზე.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური წესრიგი, ხელისუფლების ძალადობით დამხობა, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

1. შესავალი

დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო წესწყობილების დაცვა საზოგადოების თითოეული წევრის ლეგიტიმური ინტერესია, ვინაიდან, ნებისმიერი ქმედება, რომელიც სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის წინააღმდეგ არის მიმართული, დემოკრატიის მთავარ საფრთხედ მიიჩნევა. საქართველო არის საპარლამენტო რესპუბლიკა. საპარლამენტო მოდელი ქმნის საუკეთესო ნიადაგს იმისათვის, რომ საქართველოში ევროპული ტიპის დემოკრატიული, პლურალისტური მმართველობა და პოლიტიკური სისტემები ჩამოყალიბდეს¹. ამიტომ, ნებისმიერი მოწოდება, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ (მიუხედავად იმისა, დადგება თუ არა ფაქტობრივი შედეგი), ქმნის ანტიდემოკრატიულ და ანტისახელმწიფოებრივ პროცესს.

2021 წლის 6 იანვარს აშშ-ის კონგრესში სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის ერთობლივი სხდომა უნდა გამართულიყო, რაც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვების დადასტურების ბოლო ნაბიჯი იქნებოდა. მსგავს სხდომებს ამერიკის მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი წარმართავს. დონალდ ტრამპმა კონგრესმენებს მოუწოდა არ ეცნოთ არჩევნების შედეგები და განაცხადა, რომ თავის მხარდამჭერებთან ერთად კაპიტოლიუმში მივიდოდა, რათა ექომავა „მამაცი“ სენატორებისა და კონგრესმენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპს პირდაპირ არ მოუწოდებია საკუთარი მხარდამჭერებისათვის, რომ ემოქმედათ ძალადობრივად (თუმცა, შესაძლოა ეს მისი მოტივაცია ყოფილიყო), მსვლელობამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო. მხარდამჭერებმა კაპიტოლიუმის შტურმით დაკავება სცადეს. დაიღუპა 5 ადამიანი, ათეულობით კი დაშავდა. დონალდ ტრამპის მოწოდება არის საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რა ეფექტი შესაძლოა ჰქონდეს მოწოდებას, ისეთ ზესახელმწიფოშიც კი, სადაც დემოკრატია საზოგადოების გონებრივი და „გენეტიკური კოდის“ უმთავრესი შტრიხია. ბუნებრივია, შედარებით მყიფე დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, საქართველო, ნებისმიერი ხასიათის მოწოდებას შესაძ-

¹ კობახიძე, ი. (2023). კონსტიტუციური სამართალი. 116.

ლოა ბევრად მიძიე შედეგი მოჰყვეს. მითუფრო, მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას დემოკრატიულად, მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული ხელისუფლების ძალადობით დამხოვის მიძიე მაგალითები ახსოვს.

2. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზი

სისხლის სამართლის ამოცანაა სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა. სამართლებრივი სიკეთის ცნება კი, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ჩამოყალიბებული. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციის მიხედვით, რომლის ავტორია ცნობილი გერმანელი მეცნიერი ფრანც ფონ ლისტი, სამართლებრივი სიკეთე (Rechtsgut) განმარტებულია, როგორც სამართლებრივად დაცული ინტერესი². სსკ-ის 317-ე მუხლის უმთავრესი დანიშნულება კონსტიტუციის იმ სადამფუძნებლო ნორმების დაცვაა, რომლებიც სახელმწიფოებრიობას განაპირობებს. ე.ი. სამართლის თეორიის გაგებით რომ ვთქვათ, მოცემული მუხლის მიზანია, დაიცვას უნივერსალური სამართლებრივი სიკეთეები, კერძოდ, სამართლის დაცვის ობიექტია სახელმწიფო უშიშროება და დემოკრატიული წესწყობილება.

ძალადობრივად დამხოვბილი ხელისუფლების შემდგომ პერიოდში დემოკრატიული გარდაქმნების ან/და პოზიტიური ცვლილებების პრაგმატული მოლოდინი საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივაა. ქმედების ინკრიმინირებულად გამოცხადებით კანონი უზრუნველყოფს არა მარტო სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც სახელმწიფოებრიობის მთავარი პარაგრაფია, არამედ იმ დამატებით სიკეთეებს, რაც შესაძლოა თან მოჰყვეს კონსტიტუციური წესრიგის დარღვევას (მაგალითად, სიცოცხლის/ჯანმრთელობის/საკუთრების ხელყოფა). 1991 წელს საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი სამხედრო ხუნტამ დაამხო, რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი. თბილისი კრიმინალური ბანდ-ფორმირებების სათარეშო პოლიგონად იქცა, რამაც ადამიანების სიცოცხლე შეინირა. მსგავსი უწერიგობისას საზოგადოება გამოირჩევა თვითნებობით, რაც, ხშირ შემთხვევაში, შედარებით უფრო მონყვლადი წრეებისათვის ქმნის სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების რისკს. ამიტომ, ბუნებრივია, სახელმწიფო წერიგის ძალადობით დამხოვისკენ მონოდების დანაშაულებრივად გამოცხადებით კანონმდებელი იცავს არა მარ-

² ტურავა, მ. (2010). სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით. 16.

ტო კონსტიტუციურ წესრიგს, არამედ საზოგადოების წევრთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მოცემულ მუხლში დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება მონოდებით. მონოდება – ეს არის ადამიანის ცნობიერებასა და ნებისყოფაზე ზემოქმედების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ადამიანთა ქცევის წარმართვა ხდება გარკვეულ კალაპოტში სასურველი მიმართულებით. მოცემულ შემთხვევაში, მონოდებას აქვს ერთი მიზანი – გააერთიანოს ადამიანები და წარმართოს მათი ძალისხმევა კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ³. მონოდებად არ შეიძლება ჩაითვალოს პრივატული საუბრები, ოჯახურ შეკრებაზე ახლობლებისათვის განდობილი სურვილები ან/და მეგობრებისათვის საკუთარი მაგალითის მიცემის მიზნით ისტორიების გაზიარება. მონოდება უნდა იყოს განკუთვნილი საზოგადოების ფართო მასისათვის და მისი მოტივაცია უნდა იყოს სხვის აზრზე გავლენის მოხდენა. თუ სახეზე ეს უკანასკნელი შემთხვევა იკვეთება, მონოდების ფორმებს არ აქვს მნიშვნელობა. მონოდება უნდა იყოს მარტივად გასაგები და ფართო მასებისათვის აღქმადი. აუცილებელი არ არის მონოდებისას გაჟღერდეს დანაშაულის განხორციელების ფორმები ან მექანიზმები. შესაძლოა, ზუსტად არ გავრცელდეს ორგანიზებული გეგმა, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს დამხობა, თუმცა მნიშვნელოვანია საზოგადოებამდე ზუსტად მივიდეს მონოდების შინაარსი – დაამხოს სახელმწიფო ხელისუფლება.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის მესამე აბზაცი, ხელისუფლების ძალადობრივად დამხობის შესაძლებლობის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. დეკლარაციის მიხედვით, ვინაიდან აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა გარანტირებული იქნეს *სამართლის უზენაესობის* პრინციპით, იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ⁴, დეკლარაციის ტექსტი ხაზს უსვამს, რომ ეს არის უფლებათა დაცვის უკიდურესი საშუალება.

სისხლის სამართლის ნორმის განმარტებისას ვახსენეთ, რომ 317-ე მუხლის დაცვის ერთ-ერთი ობიექტია დემოკრატიული წესწყობილება.

³ ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., გვენეტაძე, ნ., თოდუა, ნ., მუმლაძე, დ. (2012). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი II. 130.

⁴ გაეროს გენერალური ასამბლეა. (1948). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 6.

ტირანია არ და ვერ მოისაზრებს დემოკრატიულ წესწყობილებას, შესაბამისად, ხელისუფლების აჯანყების გზით დამხობა, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სტაბილური ავტორიტარული მმართველობა, რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებების ამკარა, დაუფარავი და პერმანენტული ხელყოფა. ამდენად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დადგენილი ე.წ. აჯანყების უფლება ვერ გამოდგება დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობის გამართლებად.

სამართლის თეორიტიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია კანონში მითითებულ ქმედებათა ძალადობის ხერხით ჩადენა⁵. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ქმედებას ძალადობის გარეშე ვერ ჩაიდენ. არ არსებობს ძალადობით ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების იმგვარი ფორმა, რომელიც არ იქნება ძალადობრივი. მაგალითად, როგორც ვერ იარსებებს მშვიდობიანი ომი, ასევე ვერ იარსებებს არაძალადობრივი დამხობა. ეტიმოლოგიურად ხელისუფლების დამხობა ნიშნავს, განადგურებას, დაშლას, დანგრევას. შესაბამისად, ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობა არის ოქსიმორონი, ვინაიდან, ერთ-ერთი მხარე არის სახელმწიფო მთელი თავისი ძალოვანი უწყებებით, რომელთა პირდაპირი ვალდებულებაა დაიცვან კონსტიტუციური წესრიგი. გამომდინარე აქედან, ქმედების ძალადობის ხერხით ჩადენის სავალდებულოობის კომპონენტი ობიექტური შერაცხვისას, ვფიქრობ, მოძველებული პრაქტიკაა. თუ ქმედებას თან არ ახლავს ძალადობა, ეს არ ნიშნავს დამხობას. ეს არის ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქმედი ხელისუფალის კეთილ ნებას დაემორჩილოს ხალხის ინტერესს და დათმოს მართვის სადავეები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტური მხარის სავალდებულო კომპონენტი ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდება და არა ქმედებათა ძალადობის ხერხით ჩადენა.

ბრალის ფორმის მიხედვით, დანაშაული განზრახია. ე.ი. ქმედების ჩამდენს გათვითცნობიერებული აქვს საკუთარი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი და ის პოტენციურად შესაძლო სამართლებრივი შედეგები, რომელიც მას დაეკისრება. მიუხედავად ამისა, ქმედების ჩამდენს უნდა ამ შედეგის დადგომა.

⁵ ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., გვენეტაძე, ნ., თოდუა, ნ., მუმლაძე, დ. (2012). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი II. 130.

3. უცხოური პრაქტიკა

იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ მოცემული დანაშაული, მიზანშეწონილია ის შევადაროთ სხვა ქვეყნის სამართლის წყაროებს. შედარებითი სამართლის მიზანი, მდგომარეობს იურიდიული ცოდნის გლობალურ კონტექსტში იდენტიფიცირებასა და გააზრებაში, რაც ხელს უწყობს სამართლის ჰარმონიზაციას. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ეროვნული გზის შედარება არის მნიშვნელოვანი წინარე საფეხური სუპრანაციონალური სამართლისაკენ მიმავალ გზაზე⁶.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოსაგან განსხვავებით, სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის ძალადობით დამხობისკენ მოწოდების პირდაპირ მუხლს არ გვთავაზობს. თუ გერმანიაში ვინმე გაავრცელებს მოწოდებას, შეცვალოს კონსტიტუციური წესრიგი, ის დაისჯება ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ სახელმწიფო ლაღატისათვის (§ 81 StGB – Hochverrat gegen den Bund), რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას უვადოდ ან არანაკლებ ათი წლის ვადით გულისხმობს. გარდა ამისა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ნებისმიერი სახის დანაშაულებრივ მოწოდებას, ნაქეზებას სჯის, კერძოდ, ნებისმიერი პირი, რომელიც საჯაროდ ნაახალისებს უკანონო ქმედებას შეკრებაზე ან სხვა გზით გაავრცელებს დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდებას, დაისჯება, როგორც ნამქეზებელი (§111 Öffentliche Aufforderung zu Straftaten). შესაბამისად, თუ პოტენციური სამართალდამრღვევი გააკეთებს მოწოდებას კონსტიტუციური წესრიგის ძალადობით შეცვლის მიზნით, ის ამ ორი მუხლით დაისჯება. გერმანული კოდექსი აქვე გვთავაზობს დათქმას, რომ წარუმატებლად განხორციელებული მოწოდება არ შეიძლება დაისაჯოს უფრო მაღალი სანქციით, ვიდრე წარმატებული. ეს დათქმა შინაარსშივე გულისხმობს იმას, რომ დანაშაული ფორმალურ ხასიათს ატარებს და დამნაშავეს დასჯისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დადგება თუ არა მძიმე შედეგი. თუმცა, ბუნებრივია, მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში, სანქცია უფრო მაღალია.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ გერმანიაში მსგავს მოწოდებას ახორციელებს პოლიტიკური პარტია, შესაძლოა ამ მოწოდებას ამ პარტიის სრულებით აკრძალვაც მოჰყვეს. გერმანიის ძირითადი კანონის (GG) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების აკრძალვა წარმოადგენს დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს ყველაზე ბასრ და, უფრო მეტიც, ორლესულ იარაღს მისი ორგანიზებული მტრების წინააღმდეგ. მისი მიზანია კონსტიტუციური ტენდენციების მქონე პარტიის არსებობი-

⁶ Muthorst, O. (2011). Grundlagen der Rechtswissenschaft Methode – Begriff – System. 318.

თა და მისი ტიპიური ასოციაციური პოტენციალით გამონვეული რისკების წინა-
აღმდეგ ბრძოლა⁷.

გერმანული სამართალი კონტინენტური ევროპის სამართლის ერთ-ერთი ყვე-
ლაზე უფრო მეტად დახვენილი ნიმუშია და, ბუნებრივია, რომ ის მოისაზრებს
სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსახილველ დანაშაულს (მიუხედავად
იმისა, რომ ზუსტი დისპოზიცია არ არის). თუმცა, ასევე გასათვალისწინებელი
და საინტერესოა საქართველოს მსგავსი სახელმწიფოების პრაქტიკა, ისეთი სა-
ხელმწიფოების, რომლებიც ჩვენსავით განსაკუთრებული დემოკრატიული ტენ-
დენციებით არ გამოირჩევა.

აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსი პრაქტიკულად თანხვედრაშია სსკ-
სთან. მისი კოდიფიკაციაც კი ძალიან ჰგავს ქართულ დისპოზიციას. აზერბაიჯან-
ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის
კონსტიტუციური სტრუქტურის ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდების, ძალაუფ-
ლების ძალადობრივი შენარჩუნების ან მისი ტერიტორიული მთლიანობის ძალა-
დობრივი შეცვლის ან მისი ტერიტორიული მთლიანობის დაშლისკენ ღია მონო-
დებები, ასევე ასეთი შინაარსის მქონე მასალების გავრცელება, გამოცხადებუ-
ლია დასჯად ქმედებად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აზერბაიჯანის სის-
ხლის სამართლის კოდექსი ძალაუფლების ძალადობით შენარჩუნებასაც ამავე
დისპოზიციაში მოისაზრებს. თუ ზემოთ განხილულ სისხლის სამართლის კო-
დექსებში ხელისუფალის მიერ ჩადენილი დანაშაულებები სხვა მუხლებით კვა-
ლიფიცირდება, აქ ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ძალადობრივი გზით შე-
ნარჩუნებისაკენ მონოდებაც კრიმინალიზებულია. თუმცა, გასათვალისწინებე-
ლია, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი სანქციის თვალისაზრისით
შედარებით ჰუმანურია, ვიდრე გერმანული ან აზერბაიჯანული. ჩვენს შემთხვე-
ვაში მაქსიმალური საპატიმრო სანქცია 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გუ-
ლისხმობს, ხოლო გერმანიასა და აზერბაიჯანში 5 წლამდე. მონტესკიე მიიჩნევ-
და, რომ ყოველი ერის სამართალი რაღაც განსაკუთრებულს გვაჩვენებს ამ ერის
„სულის“ კულტურისა და იდენტობის შესახებ. ალბათ ესეც ქართული ხასიათის
მორიგი შტრიხია.

⁷ Bundesrat *against* the National Democratic Party of Germany (NPD). Federal constitutional
court of Germany. To the Judgment of the Second Senate of 17 January 2017.
<https://www.bundesverfassungsgericht.de>. Headnotes to the Judgment of the Second Senate of
17 January 2017.

4. საკონსტიტუციო პრაქტიკა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიას ქმნის და განმარტავს, რომ აზრისა და მისი გამოხატვისთვის დევნა დაუშვებელია. გამოხატვის თავისუფლება სცდება ნაციონალურ კანონმდებლობას და მისი დაცვის გარანტიებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც იძლევა, რომლის მიხედვითაც, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად⁸. გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტებს, ასევე, ადგენს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.

სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლი საზოგადოებას ერთგვარად ჩარჩოს უნესებს და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ მიერ გამოხატული აზრის იმ კონკრეტულ შინაარსს, რაც დასჯადი ქმედებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შინაარსობრივი რეგულირების შემოღების გზით, ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. იმის სავალდებულოდ განსაზღვრა, თუ რა შინაარსის აზრის/ინფორმაციის გავრცელება არის დაუშვებელი, გულისხმობს პირთა გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას. დემოკრატიული სახელმწიფო უდავოდ გულისხმობს თავისუფალ საზოგადოებას, თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეს, გარემოს, სადაც ყველასთვის უზრუნველყოფილია აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, თავისუფალი პაექრობა. ამგვარად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, კერძოდ კი, მისი შინაარსობრივი რეგულირება, იმგვარი საკითხია, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია⁹. ამდენად, გამოხატვის თავისუფლების მაღალ ხარისხს და მისი შინაარსის შეზღუდვის მაღალ ბარიერებს თავად კონსტიტუცია ადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში მიღებული პრაქტიკაა, მაგალითად BVerfGE-მ განიხილა საქმე Wunsiedel-Entscheidung (Beschluss vom 4. November 2009 – Az. 1 BvR 2150/08), სადაც სასამართლომ ძალაში დატოვა სისხლის სამართლის კოდექსის 130(4) მუხლის შესაბამისად ნაციისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებუ-

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. (1950). 12.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება.

ლი შეკრებებისა და რიტუალების შეზღუდვა. მან დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ზღუდავს გამოსატვის თავისუფლებას, გერმანიის ისტორიული გამოცდილების, დემოკრატიული წესრიგისა და ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების გათვალისწინებით, ასეთი კონკრეტული შეზღუდვა გამართლებული იყო.

მეორე მხრივ, გამოსატვის თავისუფლების განმარტებისას აუცილებელია არ გავცდეთ რეალობას და არ გადავიჭრათ აბსტრაქციის სამყაროში. სამართლის ერთ-ერთი ფუნქცია ადამიანის გონებაში არსებული უსაზღვროების კანონის ჩარჩოებში მოქცევა და მისი დანაშაულებრივი ბუნების აღკვეთაა, შესაბამისად, არავისთვისაა გასაკვირი, რომ კანონმდებელმა გამოსატვის თავისუფლებასაც დაუნესა ჩარჩოები და ის აბსოლუტურ უფლებად არ მიიჩნევა. ეს ნიშნავს იმას, რომ ლეგიტიმური საჯარო ინტერესისა და ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში გამოსატვის თავისუფლება იზღუდება. პროფესორი კონსტანტინე კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვისას, ანუ დაცულ სფეროში მათ წინააღმდეგ განხორციელებული ჩარევისას, ისინი ძალიან ხშირად უკან იხევენ დაპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთეთა (სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების) წინაშე, ანუ ასეთ შემთხვევაში, დაცულ სფეროში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად თითქმის ყოველთვის გამართლებულია¹⁰. მსგავს შემთხვევაშიც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით¹¹, თუ მონოღება არის ძალადობრივი, თუმცა მისი შინაარსი დაცულია ძალადობის არსებითი მოტივაციისაგან და მხოლოდ საჯარო პოლიტიკური განცხადების შინაარსს ატარებს, შესაძლოა ეს განცხადება ჩაითვალოს გამოსატვის თავისუფლების ჩარჩოს ფარგლებში. ბუნებრივია, დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა გაკეთდეს ისეთი პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური თუ სახელისუფლებო პირების წინააღმდეგ იქნება მიმართული და რომელიც მიზნად ისახავს მათი ხელისუფლების სადავეებისაგან ჩამოცილების გარდაუვალი აუცილებლობის ლუსტრირებას, თუმცა, მსგავსი შინაარსის მონოღებები ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და მიზნად არ ისახავს მათ ძალადობრივად ჩამოცილებას.

იმისათვის, რომ არ დარჩენილიყო ბუნდოვანება გამოსატვის თავისუფლებასა და დანაშაულებრივ მონოღებას შორის, საკონსტიტუციო სასამართლომ დაად-

¹⁰ კუბლაშვილი, კ. (2023). ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. 183.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი.

გინა კრიტიკრიუმები და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ანალიზისას დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა განცხადება დამხობისკენ, ძალადობით ხელისუფლების შეცვლისკენ მონოდებას და არსებობს თუ არა ძალადობის საფრთხე¹². აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულებრივი მონოდება მოვიდეს სისრულეში. მაგალითად, თუ სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის დამხობისკენ მონოდებას გააკეთებს გავლენიანი პოლიტიკური ან/და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც შეუძლია ადამიანის ცნობიერებაზე იმგვარი ზეგავლენა, რომ ადამიანთა ქცევის წარმართვა ხდებოდეს მისი გავლენით და მონოდებას ექნება კონსტიტუციური წესრიგის „შერყევის“ მიზანი, ბუნებრივია, ქმედება შეიძენს დანაშაულებრივ ხასიათს. თუმცა, თუ მსგავსი მონოდება იქნება გახმოვანებული ისეთი მოქალაქისაგან, რომელსაც არ აქვს არსებითი შესაძლებლობა სხვისი აზრის ფორმირების, არ არის ცნობადი ფიგურა და არ აქვს სამხედრო ან პოლიტიკური გამოცდილება, მისი ქმედება არ შეფასდება რეალურად და განხორციელებადად.

ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) უნდა შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა განცხადება დამხობისკენ, ძალადობით ხელისუფლების შეცვლისკენ მონოდებას და არის თუ არა ძალადობის საფრთხე¹³.

5. დასკვნა

ზემოთ განხილული სამართლებრივი, თეორიული და პრაქტიკული მასალის საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკისა და ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე აღიარებული ავტორების მოსაზრებების ანალიზის შედეგად, შესაძლოა გამოხატვის თავისუფლება შეფასდეს, როგორც ფუნდამენტურად აუცილებელი უფლება, რომელიც დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორია. უფლება, რომლის არ არსებობის ან/და არამართლობიერი შეზღუდვის შემთხვევაში სამართლებრივი წესრიგი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, ხოლო XXI საუკუნის ადამიანის ყოველდღიურობა კი, ფაქტობრივად, შინაარსისგან დაცლილი. გამოხატვის თავისუფლება ადამიანური ღირსების, პლურალიზმისა და კრიტიკული დისკურსის განვითარების გარანტიაა.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი.

¹³ იქვე.

თუმცა, თანამედროვე სამართლებრივი რეალობა გვკარნახობს, რომ გამოსატვის უფლება არის რელატიური უფლება და გამოსატვის თავისუფლება ექვემდებარება დასაშვებ, კანონიერ და ლეგიტიმურ შეზღუდვებს. ისეთ სამართლებრივ სიკეთებთან კონკურენციაში, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, სახელმწიფო/საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კონსტიტუციური წესრიგი, ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო უშიშროება, ის შედარებით უკანა ფლანგზე გადადის და იზღუდება. აღნიშნული შეზღუდვა განსაკუთრებით მაშინ აქტიურდება, როცა თავისუფალი სიტყვა გადაიქცევა „ბოროტი ენების“ იარაღად. მაგალითად, ძალადობრივი მოქმედებებისკენ ან სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დამხოვისკენ მონოდეკისას. შესაბამისად, შეზღუდვა ამ შემთხვევაში გამართლებულია, რადგან მას აქვს ლეგიტიმური მიზანი. შეზღუდვა იმ შემთხვევაშია გაუმართლებელი, თუ იგი ლეგიტიმურ მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება¹⁴, რაც ჩვენს შემთხვევაში არ იკვეთება.

სამართლებრივი შეფასების მიღება, ამ დისკუსიას აქვს ღრმა პოლიტიკური და სოციალური განზომილება. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ და მედიამ დაიცვას ბალანსი გამოსატვის თავისუფლების დაცვასა და ისეთი რიტორიკის უარყოფას შორის, რომელიც სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

დასასრულს, გამოსატვის თავისუფლება და სახელმწიფოს კონსტიტუციური წესწყობილების დაცვა არ უნდა აღიქმებოდეს განცალკევებით მდგარ სამართლებრივ სიკეთებად, როგორც ურთიერთგამომრიცხავი მიზნების მატარებელ პრინციპებად, არამედ, როგორც თანამთხვეული ინტერესები.

შესაბამისად, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დამხოვისკენ მონოდეკა არ ჯდება გამოსატვის თავისუფლების ჩარჩოში და ატარებს დანაშაულებრივ ხასიათს.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 განწყვეტილება.

გამოყენებული ლიტერატურა

- კობახიძე, ი. (2023). კონსტიტუციური სამართალი.
 ტურავა, მ. (2010). სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.
- ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., გვენეტაძე, ნ., თოდუა, ნ., მუმლაძე, დ., (2012). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი II.
- კუბლაშვილი, კ. (2023). ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება*.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება.
- გაეროს გენერალური ასამბლეა. (1948). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

* *ჟურნალის რედაქტორის შენიშვნა*: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასახელების სტანდარტი გადაწყვეტილების მიღების დროსა და ნომერთან ერთად მოსარჩელისა და მოპასუხის სახელდებით მითითებას ითვალისწინებს, რაც ჟურნალის სქოლიოში იკავებს მნიშვნელოვან სივრცეს, მითუმეტეს, თუ ავტორს ერთდროულად უხდება რამდენიმე გადაწყვეტილების დამონება სქოლიოში. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოები საქმის დასახელების მოკლე ვარიანტს ირჩევენ (ზოგჯერ აბრევიატურას, მაგალითად, გერმანიაში მიღებულია ტრადიციული სახელწოდება: BVerfGE 1, 299 [312]). „სამართლის კულტურა“ ცდილობს სქოლიოებში დაამკვიდროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სახელწოდების შედარებით შემოკლებული ქართული და ინგლისური ვერსიები. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება/Judgment of the Constitutional Court of Georgia №1/7/1275 of 2 August 2019.

INCITEMENT TO OVERTHROW THE CONSTITUTIONAL ORDER OF THE STATE BY FORCE: THE LINK BETWEEN FREEDOM OF EXPRESSION AND CRIME

GIGA GORJELADZE

LL.M. Candidate. Alte University

giga.gorjeladze.1@iliauni.edu.ge

Abstract. The recent developments in our country have brought a rather unpopular and impractical provision of the Criminal Code into effect. Article 317 of the Criminal Code of Georgia is considered, which refers to a call to violently change the constitutional order of Georgia or to overthrow the state government. The article discusses the criminal nature of the incitement to violently overthrow the constitutional order of the state and its interrelation with the freedom of expression protected by the Constitution of Georgia, and also analyzes the experience of other states and Georgian reality using the method of comparative law research. The explanation of this provision and its demarcation with the framework of freedom of expression are very important, since society must have a clear assessment of what constitutes a criminal nature of the call and what happens when the legal benefits protected by the freedom of expression come into conflict with an act incriminated by the Criminal Code.

In addition, the analysis of the issue under discussion will be interesting for the lawyers willing to easily obtain information on the experience of Georgia and foreign countries, namely: how the incitement for the violent overthrow of the constitutional order of the state is punished and the type and extent of the sanction for the crime. Furthermore, on the interpretations and caselaw of the Georgian and German (federal) constitutional courts.

Keywords: *Constitutional Order, Violent Overthrow of the Government, Coup d'état, a Crime against the State*

REFERENCES

- Kobakhidze, I. (2023). Constitutional Law.
- Turava, M. (2010). Review of the General Part of Criminal Law with the attached Sample Tests and the Case Study Method.
- Lekveishvili, M., Mamulashvili, G., Gvenetadze, N., Todua, N., Mumladze, D. (2012). *Private Part of Criminal Law: Book II*.
- Kublashvili, K. (2023). Fundamental Rights and Freedoms of Damian.
- Judgment of the Constitutional Court of Georgia №1/7/1275 of 2 August 2019.
- Recording Notice of the Constitutional Court of Georgia №4/482,483,487,502 of 10 November 2010.
- Judgment of the Constitutional Court of Georgia №1/1/468 of 11 April 2012.
- United Nations General Assembly. (1948). Universal Declaration of Human Rights.

**საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის
სამართლებრივი ტრანსფორმაცია – კორპორაციათა
სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ორმხრივ
საინვესტიციო შეთანხმებაში**

შოთა მშენიერაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
გლობალიზაციისა და სამართლის მაგისტრი (LL.M.),
მაასტრიხტის უნივერსიტეტი (ნიდერლანდების სამეფო),
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო
წარმომადგენლობის დეპარტამენტის იურისტი
Mshvenieradzeshota@gmail.com

რეზიუმე. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს მონაწილეობით დადებულ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაციის პერსპექტივები. ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს ტრადიციულ მოდელში თან სდევს ასიმეტრიული ხასიათი, რამდენადაც ცალმხრივად ფოკუსირებულია უცხოელ ინვესტორთა უფლებებზე, ხოლო მათი ვალდებულებები, რაც გარემოს თუ ადამიანის უფლებათა დაცვით ან სოციალურ მიზნებს შეეხება, ხშირად უგულებელყოფილი იყო. ბოლოდროინდელი საერთაშორისო ტენდენციები ცხადყოფენ ამ საერთაშორისო პრაქტიკის ეტაპობრივ ცვლილებას და ხელს უწყობენ პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის უზრუნველყოფას. საქართველო ამ გლობალური ტენდენციის ნაწილი 2024 წელს უნგრეთთან დადებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების შედეგად გახდა, რომელიც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე ღიად მიუთითებდა. ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. მოცემულ ნაშრომში განმარტებულია დაბალანსებული მოდელის არსებობის მნიშვნელობა და მიღწევის საშუალებები, რომლებიც არც იმდენად მკაცრი იქნება, რომ ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესში, მაგრამ, ამავე დროს, ექნება უფრო რეალური დატვირთვა, ვიდრე სიმბოლურ მინიშნებებს გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა, უცხოელ ინვესტორთა პასუხისმგებლობა, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი

1. შესავალი

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გამოჩენის დროიდან, კერძოდ კი, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ჩამოყალიბება დაიწყო, საინვესტიციო შეთანხმებები ემსახურებოდნენ ერთ უპირველეს მიზანს – ეს იყო უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მათი მეშვეობით იქმნება უსაფრთხო გარემო ინვესტორთა შემოსვლისთვის უცხო სახელმწიფოში, რაც გულისხმობს ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტების მინიჭებას. ეს ინსტრუმენტები მოიცავს, როგორც არასამართლიანი მოპყრობისაგან თავის დაცვის უფლებებს, აგრეთვე დავის შემთხვევაში დაუყოვნებლივ საერთაშორისო არბიტრაჟისთვის მიმართვის შესაძლებლობას (როგორც, მაგალითად, ICSID-ის კონვენციის ქვეშ). გამომდინარე აქედან, ტრადიციულ საინვესტიციო შეთანხმებებში ძირითადი ნაწილი ორი ტიპის მუხლებს ეთმობა: ინვესტიციის განმახორციელებელთა უფლებებსა და მიმღები სახელმწიფოს ვალდებულებებს¹.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა გამართლებულია უცხოელ ინვესტორთა ბუნებრივად სუსტი პოზიციიდან გამომდინარე, მსგავსი მოწესრიგება არ შეიძლება ჩაითვალოს იდეალურად. ამის მიზეზი არის, მათ შორის ის, რომ ინვესტორთა უფლებების დაცვა ზოგჯერ სხვა სიკეთეების ხარჯზე ხდება და შესაძლოა, თან სდევდეს იმგვარი უკუჩვენებები, როგორებიცაა საზოგადოებისათუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი. მაგალითისთვის, უცხოური კომპანიების საქმიანობის შედეგი არაერთხელ ყოფილა გარემოს დაბინძურება, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება და შრომითი სტანდარტების დარღვევა. მიუხედავად ამისა, ტრადიციული საინვესტიციო ხელშეკრულებების ფარგლებში უცხოელ ინვესტორთა პასუხისმგებლობის საკითხი წლების განმავლობაში კვლავაც კომპლექსურ ამოცანად რჩებოდა.

ამ დისბალანსის აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის კონტექსტში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია. კორპორაციათა სოციალური პასუხის-

¹ Kryvoi, Y. (2020). *Three Dimensions of Inequality in International Investment Law*. British Institute of International and Comparative Law, 8.

მგებლობის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციებს აქვთ ვალდებულება ფართო საზოგადოების წინაშე. აღნიშნული მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცულობას, გარემოს დაცვას, სამართლიანი შრომითი გარემოს უზრუნველყოფასა და ადგილობრივი კანონმდებლობის პატივისცემას.

ჩანასახში კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა არასავალდებულო ძალის მატარებელი, რბილი სამართლის ნორმების ერთობლიობა იყო, რომელიც განსაზღვრავდა კარგ კორპორაციულ ქცევას და არ აწესებდა მკაცრ სამართლებრივ ვალდებულებებს, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნევა ეტაპობრივი გადახვევა მსგავსი მიდგომიდან.

ზოგიერთი თანამედროვე საინვესტიციო შეთანხმება უკვე შეიცავს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მუხლებს. ამის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია 2016 წელს მაროკოს და ნიგერიას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება², რომელიც განსაზღვრავს კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობას, ინვესტორთა მხრიდან ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და იმგვარ საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში ყოფნის საჭიროებებს, როგორცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე, OECD-ის სახელმძღვანელო მულტინაციონალური საწარმოებისათვის პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის წესები. ანალოგიური მიდგომაა გამოხატული ნიდერლანდების მოდელურ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმების ტექსტშიც³.

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე ჩანაწერების არსებობა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რამდენადაც ეს ხაზს უსვამს, რომ ინვესტორებს უფლებებთან ერთად გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნიათ. პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპი პირველად გამოიხატა ICSID-ის ტრიბუნალის მიერ საქმეში *Urbaser v. Argentina*, რაც მოცემულ ნაშრომში უფრო სიღრმისეულად იქნება განმარტებული⁴. მიუხედავად ამისა, კვლავაც ბუნდოვნად რჩება მათი

² Reciprocal Investment Promotion and Protection Agreement Between the Government of the Kingdom of Morocco and the Government of the Federal Republic of Nigeria (2016), Art. 24.

³ Netherlands model Investment Agreement 22 March 2019, Art. 7.

⁴ Crow, K., Lorenzoni Escobar, L. (2023). *International corporate obligations, human rights, and the Urbaser standard: Breaking new ground?* Beiträge zum Transnationalen Wirtschaftsrecht, 144, 11.

აღსრულების საკითხი საერთაშორისო არბიტრაჟში. შეთანხმების ბევრ ტექსტში ვკითხულობთ იმგვარ ჩანაწერებს, რომლებიც, მართალია, ხაზს უსვამენ სოციალურ პასუხისმგებლობას, მაგრამ არ ქმნიან სავალდებულო ძალის მქონე ვალდებულებებს.

წინამდებარე ნაშრომიც ორიენტირებულია იმაზე, რომ გამოავლინოს საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის რეფორმის შესაძლებლობები, რაც გულისხმობს, როგორც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერების გაკეთებას საქართველოს სამომავლო ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში, აგრეთვე სხვა მეთოდებს, რაც შესაძლებელს გახდის კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობით განსაზღვრული სიკეთეების დაცვას ქვეყანაში. შესაბამისად, განხილული იქნება, თუ რამდენად უნდა იყოს ამგვარი ჩანაწერები სავალდებულო ხასიათის და, ზოგადად, როგორ შეიძლება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

ვინაიდან, მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ზოგადი ხასიათის სტანდარტების შედგენაზე და წარმოადგენენ ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპებს სახელმწიფოებისათვის, წინამდებარე სტატიის ფარგლებში მიმოხილული იქნება ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, რომლებიც, თავის მხრივ, სპეციფიკისა და ბუნების გათვალისწინებით, მეტად მორგებულია, როგორც ინვესტორის, ისე სახელმწიფოს პრაქტიკულ საჭიროებებზე.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით და, აგრეთვე, იმის მხედველობაში მიღებით, რომ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებათა ძირითადი უმრავლესობა ბილათერალური ხასიათისაა⁵, იმისათვის, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს კონკრეტულ საკითხს და თავიდან იქნეს აცილებული განხილვის საჭიროზე მეტად განზოგადება, ხაზგასასმელია, რომ წინამდებარე ნაშრომშიც ძირითადი აქცენტი სწორედ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებზე გაკეთდება.

⁵ UNCTAD (25 November 2025). *International Investment Agreements Navigator*. <https://investmentpolicy.unctad.org>.

2. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში

2.1. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა როგორც ზოგადი ცნება

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის იდეა არ გაჩენილა კონკრეტულად საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის კონტექსტში. მისი წარმოქმნა საერთაშორისო ბიზნეს ეთიკისა და ადამიანის უფლებათა სფეროს განვითარებას უკავშირდება.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, დაიწყეს მუშაობა კომპანიების სოციალური როლის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მათ მიერ შექმნილი თავდაპირველი ინსტრუმენტები სავალდებულო ძალას არ ატარებდა. 1976 წელს მიღებული OECD-ის სახელმძღვანელო მულტინაციონალური საწარმოებისათვის პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის შესახებ, მიიჩნევა ერთ-ერთ პირველ საერთაშორისო დოკუმენტად, რომელიც მოუწოდებდა კომპანიებს დასაქმებულთა შრომითი უფლებების, გარემოსა და ადგილობრივი საზოგადოებების პატივისცემისაკენ. ამას მოჰყვა სხვა არაერთი დოკუმენტი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია 2000 წელს მიღებული გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დოკუმენტების მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, როგორც უკვე აღინიშნა, ისინი კვლავაც რბილი სამართლის წყაროებად რჩებოდნენ. ამ მხრივ, ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპად იქცა 2011 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე, რომელთა მიხედვით, კომპანიებს გააჩნდათ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის სამართლებრივი ვალდებულება, მაშინაც კი, თუ აღნიშნული არ ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ⁶.

⁶ UN Human Rights Council. (2011). *Guiding Principles on Business and Human Rights: Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework*. Principle 11 and Commentary, 13.

**2.2. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის
განვითარება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში**

რაც შეეხება უშუალოდ საინვესტიციო სამართალს, როგორც უკვე აღინიშნა, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მთავარი პრიორიტეტი ინვესტორთა უფლებების დაცვა იყო. გასულ საუკუნეში დადებული ხელშეკრულებების უმრავლესობა არ შეიცავს დებულებებს სოციალურ თუ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ბოლო წლებიდან კი გამოიკვეთა ახალი ტენდენცია, რომელიც ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ხაზგასმას გულისხმობს.

პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ამ მიმართულებით იქნა მიღებული, იყო დასავლეთ აფრიკაში, 2008 წლის ეკოვასის ინვესტიციების დამატებითი აქტი, რომელიც უცხოელ ინვესტორებს ავალდებულებდა ადამიანის უფლებებისა და ადგილობრივი ჩვეულებების პატივისცემას⁷.

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შეიცვალა ინვესტორთა და, ზოგადად, კერძო აქტორთა როლი საერთაშორისო სამართალში. თუ წარსულში მხოლოდ სახელმწიფოები ითვლებოდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად, რომელთაც შეიძლება გარკვეული პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ, დროთა განმავლობაში ეს განმარტება გაფართოვდა. ეს შეიძლება ჩაითვალოს არსებული დღის წესრიგის გამოცხილად, რამდენადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მულტინაციონალურ კორპორაციებს გაცილებით მასშტაბური რესურსები უპყრიათ ხელთ, ვიდრე თვით საერთაშორისო სამართლის უპირველეს სუბიექტებს – სახელმწიფოებს. ამ ყველაფერმა გააძლიერა დიალოგი კორპორაციათა საერთაშორისო პასუხისმგებლობაზე, რომელიც ცდებოდა ეროვნული პასუხისმგებლობის საზღვრებს.

კომპანიების საერთაშორისო პასუხისმგებლობის იდეას აგრეთვე მხარი დაუჭირა ზოგიერთმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმაც. ამის ნათელი მაგალითია ICSID-ის ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებულ საქმეზე *Urbaser v. Argentina*. აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებაში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადასტურა, რომ ინვესტორებს აქვთ გარკვეული პასუხის-

⁷ Supplementary Act A/SA.3/12/08 Adopting Community Rules on Investment and the Modalities for Their Implementation within the Economic Community of West African States (2008), Art. 14.

მგებლობები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში, საერთაშორისო სამართლის წინაშე⁸.

ამას გარდა, სხვა გადაწყვეტილებებშიც განვითარებულია მსჯელობა კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობაზე. მაგალითისთვის *Copper Mesa v. Ecuador (2016)*⁹ და *Bear Creek Mining v. Peru (2017)*¹⁰ გადაწყვეტილებებში, ტრიბუნალებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხედველობაში მიიღეს კომპანიათა ქცევა. ეს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ აბსტრაქტული თეორია, არამედ მნიშვნელოვანი ფაქტორი თანამედროვე საინვესტიციო დავების კონტექსტში.

ამ ყოველივეს საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ტენდენციების შედეგად კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობას მეტად დიდი როლი მიენიჭა პრაქტიკაში, რომელიც მოსალოდნელია, რომ უფრო გაიზრდება მომდევნო ათწლეულებში. ეს კიდევ მნიშვნელოვანს ხდის ქვემოთ მოცემულ ანალიზს, რაც, საბოლოოდ, საქართველოსთვის ყველაზე მისაღები მიდგომის იმპლემენტაციის მიზანს ემსახურება.

3. განსხვავებული საერთაშორისო მიდგომაი კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების ჩამოყალიბებაში

სახელმწიფოთა კომპეტენტური პირების მიერ საკუთარ საინვესტიციო შეთანხმებაში კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ჩანაწერის ინტეგრაციის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მთავარი კითხვა არის ის, თუ როგორ მოხდება ამგვარი ნორმის ფორმულირება.

სწორედ მისი ფორმულირება განსაზღვრავს ამგვარი ჩანაწერის რეალურ ხასიათს: ექნება მას მხოლოდ სამართლებრივი ძალა, თუ იქნება მხოლოდ არასავალდებულო ხასიათის პოლიტიკური განაცხადი. მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვიმსჯელოთ, თუ რომელი მიდგომის იმპლემენტაცია იქნება ყველაზე სარგებლიანი საქართველოსთვის.

⁸ Urbaser S. A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia v. The Argentine Republic, ICSID Case №ARB/07/26, Award (8 December 2016), paras. 1193-1195.

⁹ Copper Mesa Mining Corporation v. Republic of Ecuador, UNCITRAL, PCA Case №2012-2, Award (15 March 2016), paras. 6.98-6.108.

¹⁰ Bear Creek Mining Corporation v. Republic of Peru, ICSID Case №ARB/14/21, Award (30 November 2017), paras. 653-654.

3.1. რბილი სამართლის ნორმები კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე

თავდაპირველად, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმები მასობრივად არასავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ეწეოდნენ კომპანიების პასუხისმგებლიანი ქცევის ნახალისებას, კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულებების შემოღების გარეშე.

ერთ-ერთი პირველი ამგვარი ჩანაწერის ამოკითხვა შესაძლებელია 2009 წელს დადებულ „კანადასა და პერუს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმება არ არის, ტრადიციული გაგებით, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, ის შეიცავს ქვეთავს ინვესტიციების შესახებ, რაც მასში მოცემულ მონესრიგებას კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე, მოცემული ნაშრომის კონტექსტში, რელევანტურად აქცევს.

შეთანხმების ტექსტი განსაზღვრავს, რომ ორივე მხარემ უნდა წაახალისოს სანარმოები, რომ ყოველგვარი სამართლებრივი ვალდებულებების გარეშე, მოხალისეობრივად დანერგონ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები მათი საქმიანობის პოლიტიკაში¹¹.

მას შემდეგ, ანალოგიური მიდგომა არაერთ შეთანხმებაში გამოიხატა, მათ შორის 2017 წლის „ყოველსომცველ ეკონომიკურ და სავაჭრო შეთანხმებაში, ერთი მხრივ, კანადასა და, მეორე მხრივ, ევროპულ კავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორისაც“, რომლის პრეამბულაშიც, ისევე, როგორც რამდენიმე მუხლში, ხაზგასმულია კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა¹², მაგრამ არაფერია ნათქვამი ქმედით სამართლებრივ მექანიზმებზე.

ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში მათზე გაკეთებული ხაზგასმა მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ კორპორაციათა სასურველი ქცევის სტანდარტს. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამგვარი მისწრაფებების ეფექტიანობა და კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ფენომენით გათვალისწინებული სფეროები რეალურად იქნას დაცული, ბუნებრივია, უნდა მოხდეს განსხვავებული, მათ შორის, ქვემოთ განხილული მოდელების ადაპტაცია.

¹¹ Free Trade Agreement Between Canada and the Republic of Peru (2009), Chapter 8, Art. 810.

¹² Comprehensive Economic and Trade Agreement Between Canada and the European Union and its Member States (2017), Preamble, Art. 22. 3; Ch. 24, Art. 24. 12; Ch. 25, Art. 25. 4.

3.2. კორპორაციათა გმოჭავი ხასიათის სოციალური პასუხისმგებლობის ნორმები

ერთ-ერთი პირველი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრული იყო კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი, იყო მაროკოსა და ნიგერიას შორის დადებული ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, აღნიშნული შეთანხმება შეიცავს მკაფიო მუხლს, ზოგადად, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე, ეს უკანასკნელი ნორმა თვითონ არ აწესებს კონკრეტულ ვალდებულებებს, არამედ ხაზს უსვამს, რომ ინვესტორი უნდა ისწრაფოდეს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობისაკენ¹³. აღნიშნული ჩანაწერი რბილი სამართლის ნორმის მაგალითია.

ამ ხელშეკრულებას მბოჭავი ძალის მქონე სამართლებრივ ინსტრუმენტად აქცევს შემდგომ მუხლებში განსაზღვრული რამდენიმე მოწესრიგება, რომლებიც კორპორაციათა მბოჭავი ხასიათის სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულებებს ქმნიან. მათ შორისაა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების¹⁴, საერთაშორისოდ აღიარებული შრომითი სტანდარტების უზრუნველყოფისა¹⁵ და ადამიანის უფლებათა დაცვის¹⁶ ვალდებულებები. ეს ვალდებულებები ეკისრება უშუალოდ ინვესტორს და ემსახურება მათი მხრიდან პასუხისმგებლიანი ქცევის უზრუნველყოფას მყარი სამართლის ნორმების მეშვეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მყარი ნორმების არსებობისა, მათ ეფექტიანობას ზღუდავს აღსრულების ინსტიტუტების სუსტი არქიტექტურა. მაგალითად, მაროკო-ნიგერიის ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ აწესებს ინვესტორთა ვალდებულებებს, არ ანიჭებს სახელმწიფოს უფლებას, რომ მათ დარღვევაზე ინვესტორს არბიტრაჟში უჩივლოს. შესაბამისად, რამდენადაც მყარი სამართლის ნორმების აღსრულება დამოკიდებული იქნება არა საერთაშორისო ფორუმზე, არამედ ეროვნული სამართლით რეგულირებულ სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ ინსტიტუტებზე, ეს შექმნის დამატებით ბარიერებს, არა მხოლოდ უცხოეულ ინვესტორთა მიერ ინვესტიციის

¹³ Morocco-Nigeria BIT (2016), Art. 24.

¹⁴ Morocco-Nigeria BIT (2016), Art. 14.

¹⁵ Morocco-Nigeria BIT (2016), Art. 18 (3).

¹⁶ Morocco-Nigeria BIT (2016), Art. 18 (2).

განხორციელების თავშეკავების კონტექსტში, არამედ მათი პასუხისმგებლობის დადგენის პროცესშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების ანალიზი ნათელს ხდის, რომ არსებული ხელშეკრულებების უმრავლესობაში, ძირითადი მყარი სამართლებრივი ჩანაწერი კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე, არის ეროვნული სამართლის დაცვის ვალდებულება ინვესტიციის განხორციელების დროს¹⁷.

3.3. ინვესტორთა უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსების აცდელთა: ნიდერლანდების მოდელი

შერეული მიდგომის, ანუ იმგვარი ფორმულირების, სადაც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე ჩანაწერი არც მხოლოდ სიმბოლური განაცხადია და არც ცალსახად სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტი, ნათელი მაგალითია ნიდერლანდების მიერ შემოთავაზებული მონესრიგება.

ნიდერლანდებმა 2019 წელს მიიღო ახალი მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც ჩვენი განხილვის მიზნებისათვის, რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იგი შეიცავს ცალსახა მითითებას კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საკითხზე. მიუხედავად ამისა, იგი არ ატარებს არც მკაფიოდ სავალდებულო და არც ცალსახად არასავალდებულო დატვირთვას. ეს ჩანაწერი ამ ორი მიდგომის შერწყმის შედეგად შესაძლოა მივიჩნიოთ.

კერძოდ, მოდელის ტექსტში ნახსენებია, რომ უცხოელი ინვესტორები ვალდებული არიან დაემორჩილონ ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ეროვნულ სამართალს, რაც, მათ შორის, მოიცავს ამ სახელმწიფოთა მიერ დადგენილი ადამიანის უფლებებთან, გარემოს დაცვასა და შრომით სტანდარტებთან თანხვედრაში ყოფნას ინვესტორთა მიერ¹⁸. ამას გარდა, ხაზგასმულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი გამოიწვევს სერიოზულ ზიანს, ადგილსამყოფელ ქვეყანაშიც დადგება მათი პასუხისმგებლობა¹⁹.

¹⁷ Gaukrodger, D. (2021). „Business Responsibilities and Investment Treaties“. OECD Working Papers on International Investment, №021/02, OECD Publishing, 100-101. <https://doi.org/10.1787/4a6f4f17-en>.

¹⁸ Dutch Model BIT 2019, Art. 7 (1).

¹⁹ Dutch Model BIT 2019, Art. 7 (4).

ეს ორი ელემენტი, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში ქმნიან კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმის იმგვარ ფორმულირებას, რომელიც აშკარად უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური განაცხადი. ეს არის მყარი სამართლის ნიმუში, რომელიც აყალიბებს კონკრეტულ აღსრულებად ვალდებულებებს ინვესტორებისათვის.

მიუხედავად აღნიშნული მყარი სამართლის ელემენტებისა, ტექსტში მოცემული ფორმულირება, აგრეთვე, რბილი სამართლის ელემენტებსაც შეიცავს. მაგალითად, მოდელური ხელშეკრულების მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ უნდა მოხდეს ინვესტორთა ნახალისება მათი თანხვედრისათვის კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან²⁰. ეს აშკარად რბილი სამართლის ელემენტია. ანალოგიური შეიძლება ითქვას მითითებაზე, რომ ინვესტორები უნდა ისწრაფოდნენ სათანადო სიფრთხილის გამოჩენისაკენ გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებში²¹. აღნიშნული ფორმულირებები მკაფიოდ დამახასიათებელია რბილი სამართლისათვის, რამდენადაც, ისინი არ ქმნიან მბოჭავი ხასიათის სამართლებრივ ვალდებულებებს ინვესტორთათვის.

გარდა ამისა, მთავარი ელემენტი, რაც ასუსტებს აღნიშნული მუხლის, როგორც სამართლის მყარ ინსტრუმენტად არსებობის იდეას, არის მოდელურ შეთანხმებაში გაკეთებული მითითება, რომ საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საშუალებები ფარავს მხოლოდ მოდელური შეთანხმების მე-4 თავში გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევებს²². საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მუხლები მე-3 თავის შემადგენელი ნაწილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდელური სამართალი არ ადგენს ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს უფლებას, უჩივლოს ინვესტორს ზემოგანხილულ ვალდებულებათა დარღვევის საფუძველზე.

ასევე მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ნიდერლანდების მოდელური ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების 23-ე მუხლიც, რომლის მიხედვით, პოტენციური დავის შემთხვევაში, კომპენსაციის დამდგენი ტრიბუნალის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ იგი მხედველობაში მიიღებს ინვესტორის მიერ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას²³. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ მიუხედავად რიგი

²⁰ Dutch Model BIT 2019, Art. 7 (2).

²¹ Dutch Model BIT 2019, Art. 7 (3).

²² Dutch Model BIT 2019, Art. 16 (1).

²³ Dutch Model BIT 2019, Art. 23.

არასავალდებულო ხასიათის ნორმებისა, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა მაინც იყოს ანგარიშგასანევი ფაქტორი ინვესტორთათვის. ეს ამ მიზნის მიღწევის პრაქტიკულ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის ნიდერლანდების მოდელური ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ტექსტი წარმოადგენს კარგ ნიმუშს კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რბილი და მყარი სამართლის ნორმების დაბალანსებისათვის. ეს მნიშვნელოვანია კონკრეტული სიკეთეების დაცვისა და რისკების პრევენციისათვის.

4. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებაში

4.1. კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რბილი სამართლის ნორმები საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების კონტექსტში: პირველი ნაბიჯები რეფორმისკენ

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველომ აქტიურად დაიწყო ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების დადება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან. ამ ხელშეკრულებათა მიზანი საქართველოში უსაფრთხო და კომფორტული საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებით უცხოელი ინვესტორების მოზიდვა გახლდათ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახლად დამოუკიდებლობადაღდგენილი სახელმწიფოსათვის. ამ შეთანხმებათა უმრავლესობა, ტრადიციული მოდელის შესაბამისად, ძირითადად ინვესტორთა ხარისხიან დაცვაზე იყო ორიენტირებული²⁴. აღსანიშნავია, რომ ამ დროის განმავლობაში საქართველოს მონაწილეობით 30-ზე მეტი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება დაიდო²⁵.

მიუხედავად ამისა, საქართველოს თანამონაწილეობით დადებული პირველი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს პირდაპირ მითითებას კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე, დაიდო 2024 წელს საქართველოსა და უნგრეთს შორის. ამ შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ მხარეები აღიარებენ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებისა და

²⁴ იხილეთ, მაგალითად, for example: Estonia-Georgia BIT (2009); Czech Republic-Georgia BIT (2009); Belarus-Georgia BIT (2017).

²⁵ UNCTAD (24 November 2025). *International Investment Agreements Navigator: Georgia*. <https://investmentpolicy.unctad.org>.

პრინციპების მნიშვნელობას და იღებენ პასუხისმგებლობას, რომ წაახალისონ მათ ტერიტორიაზე ან იურისდიქციის ქვეშ მყოფი კომპანიების მიერ აღნიშნული სტანდარტების პატივისცემა²⁶.

შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი არის არა მხოლოევი სამართლებრივი ძალის მატარებელი, არამედ რბილი სამართლის ინსტრუმენტი. მიუხედავად მისი არა-სავალდებულო ძალისა, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ნორმის მითითება მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკისათვის, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თანამედროვე სამართლებრივ სტანდარტებთან თანხვედრაში ყოფნას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეთანხმებამდე საქართველო არც ერთ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებაში არ ყოფილა, პირდაპირი მითითება კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობაზე, წარსულში დადებული ხელშეკრულებების ნაწილი შეიცავს მის გარკვეულ ელემენტებს²⁷. ამის მიუხედავად, ისინი იშვიათად თუ ქმნიან რაიმე ვალდებულებებს, რომელთა აღსრულებაც ინვესტორთა კომპეტენციას მიეკუთვნება. ამის პარალელურად სხვა, მე-3 თავში განხილული რბილი სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, პირდაპირ არ უსვამენ ხაზს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმებს, არამედ მოცემულია მხოლოდ მინიშნებები მათზე. ამ ყოველივედან გამომდინარე, მიუხედავად კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ელემენტების არსებობისა, ლოგიკურია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, თუ რამდენად წარმოადგენენ ეს ჩანაწერები კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის სრულფასოვან მუხლებს.

4.2. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაცია საინვესტიციო შეთანხმებაში: სტრატეგიული ღირებულება საქართველოსთვის

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების აქტიურად იმპლემენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. პირველ რიგში, ამგვარ

²⁶ Agreement Between the Government of Hungary and the Government of Georgia for the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2024), Art. 10 (2).

²⁷ იხილეთ, მაგალითად, Turkey-Georgia BIT (2016)-ის პრეამბულა; Switzerland-Georgia BIT (2014)-ის პრეამბულა, მე-3 და მე-9 მუხლები; და Georgia-United Arab Emirates (UAE) BIT (2017)-ის პრეამბულა.

რი მოდერნიზების შედეგი იქნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს საინვესტიციო შეთანხმებების თანხვედრაში ყოფნა²⁸.

გარდა ამისა, აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, შრომითი სტანდარტების უზრუნველყოფას, გარემოსა და ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის არსებული ზემოთ განხილული დისბალანსის გათვალისწინებით.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის აქტიურად იმპლემენტაციის ტენდენცია მჭიდრო თანხვედრაში იქნება საქართველოს სამინაო პოლიტიკასთანაც, რომელიც სულ უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის სტანდარტების გაძლიერებაზე. ეს გამოიხატება, მათ შორის იმაშიც, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია აქტიურად უსვამს ხაზს ბიზნესში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მნიშვნელობას (მათ შორის ისეთ დოკუმენტებთან თანხვედრის აუცილებლობას, როგორებიცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე)²⁹, რაც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამგვარი ცვლილებები სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაში ქმნის ბუნებრივ საფუძველს მათი გათვალისწინებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც – თუკი არსებობს მოლოდინი ქართული კომპანიების მიმართ, რომ ისინი პატივს სცემენ ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვით სტანდარტებს. ანალოგიური მოლოდინი იარსებებს საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელი უცხო კომპანიების მიმართაც. შესაბამისად, კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების იმპლემენტაცია სამომავლო ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში უზრუნველყოფდა თანხვედრას საქართველოს შიდა სამართლებრივ პოლიტიკასა და მის საერთაშორისო ვალდებულებებს შორის.

5. კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების იმპლემენტაცია ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში: გამოწვევები და დაბრკოლებები

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმები საინვესტიციო შეთანხმებებში პოზიტიური შინაარსის მატარებელია, არსე-

²⁸ Gaukrodger (2021), 16.

²⁹ საქართველოს მთავრობა, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის), 20-21.

ბობს მნიშვნელოვანი ყურადსაღები ფაქტორები, რომლებიც კრიტიკის საფუძველად შესაძლოა იქცეს.

დარგის მკვლევრები აქტიურად აკრიტიკებენ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმათა ეფექტიანობას. აღნიშნავენ რა, რომ ისინი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს³⁰. მართლაც, როგორც უკვე ვიმსჯელებთ, ამგვარი ჩანაწერები, უმეტესად, არასავალდებულო ძალის მატარებელია. რამდენადაც, მის სავალდებულო ბუნებას განსაზღვრავს მხარეთა მიერ ნორმათა შეთანხმებული ფორმულირება, შესაბამისად, იგი მხარეთა განზრახვის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული საკითხი უკვე განხილულ იქნა მოცემულ ნაშრომში და, ამიტომ, ნაკლებად რელევანტურია მასზე ხელახალი მსჯელობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ მბოჭავი ელემენტების არსებობის შემთხვევაშიც კი, თუ საქმე სამართლებრივ დავამდე მიდის, პრაქტიკაში რთულია ინვესტორისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რამდენადაც ინვესტორთა და სახელმწიფოს შორის დავის გადანყვეტა მეტად ასიმეტრიული პროცესია.³¹ შესაბამისად, მიუხედავად ამგვარი პასუხისმგებლობის თეორიული შესაძლებლობისა, ადამიანის უფლებათა თუ გარემოს დაცვითი სარჩელების უმრავლესობა, რომლებიც ინვესტორებს მიემართებათ დავის განმხილველი ორგანოს მიერ, არ კმაყოფილდება³². შესაბამისად, რამდენადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ინსტრუმენტთა ეფექტიანობა, საფუძველი ეცლება მისი ინტეგრაციის მცდელობების მნიშვნელობასაც ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში.

კიდევ ერთი გამონკვევა, რაც ართულებს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის აქტიურ ინტეგრაციას საინვესტიციო ხელშეკრულებებში, ეს არის მის მიერ ინვესტორთა ერთგვარი შეზღუდვა, რამდენადაც ზემოაღნიშნული ჩანაწერები ძირითადად ინვესტორებისთვის დამატებითი ვალდებულებების შექმნას უზრუნველყოფს. ამან შესაძლოა გარკვეული შემაკავებელი ეფექტი იქონიოს ინვესტორზე, რაც შეაფერხებდა მის მიერ ინვესტიციის განხორციელებას.

³⁰ Bueno, N., Yilmaz Vastardis, A., Ngueuleu Djeuga, I. (2023). 'Investor Human Rights and Environmental Obligations: The Need to Redesign Corporate Social Responsibility Clauses'. *Journal of World Investment & Trade*, 24, 179, 197-200.

³¹ Schacherer, S. (2024). 'Building Responsible and Sustainable Supply Chain Frameworks: Limits of International Investment Law and the CSR Initiatives Taken by the EU and China'. *Asia Pacific Law Review*, 32, 15.

³² Ho, J. (2019). 'The Creation of Elusive Investor Responsibility'. *American Journal of International Law (AJIL) – AJIL Unbound.*, 113, 10-15.

ამიტომ, სახელმწიფოები ხშირად ეწინააღმდეგებიან კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ხაზგასმას საკუთარ საინვესტიციო შეთანხმებებში³³. ეს პრაქტიკაში მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პროცესს, რადგან, ბუნებრივია, თავად სახელმწიფოები არიან მთავარი მოთამაშეები ამ ტენდენციის ხელშეწყობის საქმეში.

მეორე მხრივ კი, მაშინ, თუ სახელმწიფოები მოახერხებენ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტად დასახვას, მნიშვნელოვანი ბუნდოვანება ჩნდება მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიმართულებითაც. კერძოდ, არამართო საქართველოს, არამედ სხვა უამრავი სახელმწიფოს შემთხვევაშიც, რთულად თუ მოიძებნებიან ინსტიტუტები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სრულად იქნებიან აღჭურვილნი იმ რესურსებითა თუ კომპეტენციით, რაც აუცილებელი იქნებოდა კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის სრულფასოვანი მონიტორინგისათვის. აღნიშნული გამოწვევის გადასაჭრელად აუცილებელია კვალიფიციური კადრების მომზადება და შესაბამისი სტრუქტურების სათანადო ინსტიტუციური უფლებამოსილებებით აღჭურვა, რაც დღეისათვის არსებული მწირი საერთაშორისო გამოცდილების ფონზე გასათვალისწინებელი დაბრკოლება იქნებოდა.

6. გზა ოპტიმალური მოდელისკენ: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკაში

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მბოჭავი ხასიათის მონესრიგება ვერ იქნებოდა ადეკვატური იმ საერთაშორისო მიდგომების გათვალისწინებით, რაც თანამედროვე მსოფლიოშია გაბატონებული³⁴.

რამდენადაც ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების დადების მთავარი მიზანი უცხოური ინვესტიციის განხორციელების გამარტივება და, შედეგად, ინვესტორთა მოზიდვაა ქვეყანაში, მათთვის მბოჭავი სამართლებრივი ნორმების სახით ამგვარი მაღალი სტანდარტის რისკების დანერგვა არ იქნებოდა უპრიანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი მონესრიგება არ გახლავთ უნივერსალურად შეთანხმებული მიდგომა. რამდენადაც, უამრავი სახელმწიფო დღემდე არ იყენებს (ან იყენებს მხოლოდ რბილი სამართლის მიდგომებს) კორპორაცია-

³³ Islam, R. (n.d.). Human Rights Obligations in FDI Operation: A Paradigm Shift in BITs, *Dhaka University Law Journal*, 39.

³⁴ De Brabandere, E. (2018). *'Human Rights and International Investment Law'*. Grotius Centre Working Paper Series, 2018/075-HRL, 9.

თა სოციალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებს საინვესტიციო შეთანხმებებში, ინვესტორები მარტივად შეძლებდნენ საქართველოს ნაცვლად სხვა ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს შერჩევას, სადაც მათი რისკები უფრო იფექტიანად იქნებოდა მინიმალიზებული.

მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები სულ უფრო და უფრო ფოკუსირდება კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმებზე და ის რეკომენდაციებიც, რომლებიც ქვემოთ იქნება გაკეთებული საქართველოსთვის, ყველაზე ოპტიმალური კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმათა შემუშავებისთვის ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში, სავარაუდოდ, უფრო რელევანტური ახლო მომავალში გახდება, მაშინ, როდესაც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა, განურჩევლად სახელმწიფოებისა თუ რეგიონებისა, ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების უნივერსალურად ადაპტირებული ნაწილი იქნება.

ზაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოსთვის კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმათა ყველაზე ადეკვატური სისტემის შემუშავება საკმაოდ კომპლექსური ამოცანაა, რომელიც საჭიროს გახდის საკმაოდ ღრმა და განგრძობად სამართლებრივ დისკუსიას. შესაბამისად, მოცემულ თავშიც მხოლოდ კონკრეტული რეკომენდაციები იქნება გაანალიზებული, ვიდრე კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მზა ჩანაწერები.

6.1. მოდელური ჩანაწერის საჭიროება: კორპორაციული სოციალური პასუხისმგაბლოვის ფორმულირების საერთაშორისო გამოცდილება და ქართული პერსაექტივა

დღეისათვის არაერთ სახელმწიფოს აქვს შემუშავებული მოდელური ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ტექსტები³⁵. მათ მიერ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მოწესრიგების განსხვავებული მოდელებია შემოთავაზებული. ზოგიერთი ტექსტის ფორმულირებები ადგენს რბილი სამართლის ნორმებს³⁶, ხოლო ზოგიერთი საერთოდ უგულვებლყოფს ნებისმიერ ჩანაწერს კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით³⁷. მოდელურ შეთანხმებათა ნაწილი კი, როგორც უკვე ვიხილეთ, მათ შორის ნიდერლანდების მიერ მიღე-

³⁵ UNCTAD (24 November 2025). *International Investment Agreements Navigator: Model Agreements*. <https://investmentpolicy.unctad.org>.

³⁶ მაგალითად, იხილეთ, Bulgaria Model BIT (2023).

³⁷ მაგალითად, იხილეთ, United States Model BIT (2012).

ბული მოდელის მაგალითზე, ახერხებს ერთგვარი შუალედური მოწესრიგების და-
ნესებას მბოჭავ და არამბოჭავ სამართლებრივ ვალდებულებებს შორის.

ამგვარი მოდელური ტექსტების მიღება, ან როგორც მინიმუმ იმგვარი მოწესრი-
გების დამტკიცება, რომელიც კონკრეტულად კორპორაციათა სოციალური პა-
სუხისმგებლობის მუხლის მკაფიო ფორმულირებას დაადგენდა, გლობალური
ტენდენციის ნაწილი იქნებოდა, რომელიც შესაძლოა დადებითი ეფექტის მატა-
რებელი ყოფილიყო საქართველოსათვის. კერძოდ, ეს ხელს შეუწყობდა ინვეს-
ტორთათვის ყოველგვარი გაურკვეველობის თავიდანვე აღმოფხვრას და უზრუნ-
ველყოფდა საინვესტიციო შეთანხმებათა მიდგომების თანხვედრაში ყოფნას სა-
მომავლოდ. მიუხედავად ამისა, თუნდაც არ მოხდეს ამგვარი მოდელური შეთან-
ხმების ტექსტის მიღება, მნიშვნელოვანია, ვიმსჯელოთ, თუ, ერთი მხრივ, ინვეს-
ტორთა დაცულობისა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ინტერესების როგორი ბა-
ლანსი იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური საქართველოს კონტექსტში, რათა მიღ-
ნეულ იქნას მთავარი მიზანი – ჩამოყალიბდეს ერთგვარი მოდელური ჩანაწერი,
რომელიც განსაზღვრავს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის რო-
გორი მოწესრიგება ყველაზე მისაღები საქართველოს რეალობისათვის.

საქართველოში კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მოდელური
ჩანაწერის არარსებობის ფონზე, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ერთიანი მიდგომის
ფორმირება ხელს შეუწყობდა საქართველოს სხვა სამომავლო ორმხრივი საინ-
ვესტიციო შეთანხმებების ჩამოყალიბების პროცესში, რაც, საბოლოო ჯამში, სა-
ინვესტიციო გარემოს გაძლიერებას ემსახურება.

ხაზგასასმელია, რომ შესაბამისი მოდელური ჩანაწერის განხილვისას, მხედვე-
ლობაში უნდა იყოს მიღებული, მათ შორის ის ფაქტორებიც, რომლებიც უკვე
განხილულ იქნა წინა თავებში, ერთი მხრივ, ინვესტორის მიერ ინვესტიციის
განხორციელების თავშეკავების რისკები, მბოჭავი ნორმების არსებობის შემ-
თხვევაში და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა, გარემოს თუ სხვა სოციალუ-
რი ინტერესების დაცვა, რაც ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, მნიშვნელოვანია
საქართველოსთვის.

**6.2. ეროვნული მოქროვის პრინციპი და მისი მნიშვნელობა
კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის
ნორმათა სტანდარტის განსაზღვრაში**

აღნიშნულის გარდა, საქართველოსთვის ყველაზე შესაბამისი მოდელის ძიების
დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ სახელმწიფოს კონკრეტული სპეციფიკაც.
კერძოდ, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით განსაზღვრული კორპო-

რაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მუხლები არ შეიძლება ადგენდნენ იმაზე მაღალ მოთხოვნებს უცხოური კომპანიების მიმართ, ვიდრე ეს ქართული კომპანიებისთვის ეროვნული კანონმდებლობითაა დადგენილი, რასაც საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში ეროვნული მოპყრობის პრინციპი ეწოდება³⁸. იგი თანასწორუფლებიანი კონკურენციისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზანს ემსახურება.

ამიტომ, მნიშვნელოვანია სამომავლო დისკუსიებში უზრუნველყოფილი იყოს, რომ ინვესტორისათვის არ მოხდეს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის იმაზე მაღალი მოთხოვნების დანესება და, შესაბამისად, მათთვის უფრო მძიმე ტვირთის დაკისრება, ვიდრე ეს ადგილობრივ ინვესტორებს გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სპეციფიკურ სფეროზე ორიენტირებული კანონმდებლობა³⁹, მისი ელემენტები მიმოფანტულია სხვადასხვა სფეროში (თუმცა, არა აუცილებლად ტერმინ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ქვეშ)⁴⁰. აღნიშნული, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საჭიროებას, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ჩარჩოში კონკრეტული, განსაკუთრებით კი მზოჭავი ხასიათის ვალდებულებების დანესებამდე, განხორციელდეს ფრთხილი და დეტალური ანალიზი, რათა იმთავითვე მოხდეს უცხოელ ინვესტორთათვის იმგვარი ტვირთის დაკისრების პრევენცია, რაც დაარღვევდა ზემოხსენებული ეროვნული მოპყრობის პრინციპს. ამგვარი ანალიტიკური კვლევის საჭიროება განსაკუთრებით ხაზგასასმელია ჩვენი სტატიის მიზნებისთვის, სანამ განვსაზღვრავთ სოციალური პასუხისმგებლობის ნორმათა მზოჭავი ხასიათის მაქსიმალურ სტანდარტს.

მეორე მხრივ, აღნიშნულ დეტალურ ანალიზს, მოსალოდნელია, თან სდევდეს პოტენციური საკანონმდებლო ცვლილებები. მნიშვნელოვანია არსებობდეს აღნიშნულის მიმართ მზადყოფნაც, რათა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკ-

³⁸ Dolzer, R., Schreuer, C. (2012). *Principles of International Investment Law* (2nd ed., OUP), 198-199.

³⁹ მაგალითად, იხილეთ, საფრანგეთის Duty of Vigilance Law (Loi de Vigilance) (2017); და გერმანიის Supply Chain Due Diligence Act (Lieferkettengesetz), (2023).

⁴⁰ მაგალითად, იხილეთ, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, 45-ე მუხლი (1)-(4) და (7)-(8); საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მე-5 მუხლი და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მე-7 (8) მუხლი.

რულებები და ეროვნული კანონმდებლობა თანხვედრილად პასუხობდნენ საერთაშორისო სტანდარტებს⁴¹.

6.3. ეროვნული საკონტაქტო პუნქტები: კომპრომისული მიდგომა ინვესტირებაში

შემდეგი რეკომენდაცია, მართალია, უშუალოდ მოდელური ჩანაწერის ფორმულირებას არ შეეხება, თუმცა მის იმპლემენტაციას შესაძლოა ხელი შეეწყოს ბალანსის ეფექტიანი დაცვისათვის ზემოთ განხილულ ორ სიკეთეს შორის. ეს რეკომენდაცია შეეხება საქართველოს წევრობას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) ან წევრობისაგან დამოუკიდებლად ამავე ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებთან შეერთებას. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მიუხედავად იმისა, სახელმძღვანელო პრინციპებთან შეერთება იქნება ორგანიზაციის წევრობასთან ერთად თუ მის გარეშე, იგი უზრუნველყოფს შეერთებულ სახელმწიფოში ეროვნული საკონტაქტო პუნქტების დაარსების ვალდებულებას⁴².

ამგვარი ეროვნული საკონტაქტო პუნქტის დაფუძნების მთავარი ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ პირთა პრაქტიკულად ფართო წრეს, არიან ეს თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თუ ინდივიდები, რომლებიც წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს, აქვთ შესაძლებლობა, რომ შეიტანონ საჩივარი კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის პოტენციური დარღვევის ფაქტებზე⁴³. აღსანიშნავია, რომ ეროვნული საკონტაქტო პუნქტები თავისი შინაარსით გახლავთ არა სასამართლოს ტიპის, არამედ, უმეტესწილად, მედიაციის ტიპის მექანიზმები, რომლებიც OECD-ის შექმნილი სახელმძღვანელოს შემადგენელი რბილი სამართლის ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს. დავის პირველადი მიმოხილვის შემდგომ, ეროვნული საკონტაქტო პუნქტი იღებს გადაწყვეტილებას საქმის დახურვის ან გაგრძელების შესახებ. საქმის გაგრძელების შემთხვევაში, თავად ეროვნული საკონტაქტო პუნქტი უწყობს ხელს მხარეებს, რომ ერთობლივად მიაღწიონ პრობლემის გადაწყვეტის გზას. ეს შეიძლება გამოიხატოს მედიაციით, დიალოგის ნახალისებით თუ სხვაგვარი ფორმატით,

⁴¹ Gaukrodger (2021), 81-84.

⁴² OECD, *OECD Guidelines for Multinational Enterprises on Responsible Business Conduct* (2023), I. 1 (Council Decision).

⁴³ Bhatt, K., Erdem Türkelli, G. (2021). 'OECD National Contact Points as Sites of Effective Remedy: New Expressions of the Role and Rule of Law within Market Globalization?' *Business and Human Rights Journal*, 6, 423, 426.

რაც ხელს უწყობს მხარეებს გადანყვეტის გზის მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ საკონტაქტო პუნქტს არ აქვს ქმედითი ბერკეტები ამ პროცესში, იგი დავის დასასრულს აქვეყნებს საჯარო განცხადებას. ეს განცხადება, როგორც წესი, შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას შეეხებოდა დავა, რა ნაბიჯები გადაიდგა, თუ იქნა შეთანხმება მიღწეული, გააუმჯობესა თუ არა კომპანიამ თავისი ქცევის სტანდარტი. ამგვარი გამჭვირვალობა, მიუხედავად მხოტავი მექანიზმების ნაკლებობისა, უზრუნველყოფს კორპორაციების მიერ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებთან, უფრო კონკრეტულად კი, OECD-ის სახელმძღვანელოს მიერ განსაზღვრულ პრინციპებთან თანხვედრაში ყოფნას⁴⁴.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, თუ რატომ არის აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით რელევანტური მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკონტაქტო პუნქტის არსებობა თავისი შინაარსით არაა მიმართული მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე და თავის თავში გულისხმობს უცხოურთან ერთად ადგილობრივი კორპორაციების კონტროლსაც, მისი ენდემური ხასიათის გათვალისწინებით, იგი შესაძლოა იდეალურად მიესადაგებოდეს იმ გამონკვევებს, რაც კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ქმედითი ნორმებით მოწესრიგებას სდევს თან. კერძოდ, რამდენადაც ეროვნული საკონტაქტო პუნქტი არ გახლავთ მყარი სამართლის ინსტრუმენტი, მოსალოდნელია, რომ მას არ ექნება იგივე მასშტაბის დამაშინებელი ეფექტი ინვესტორებზე, რაც მხოტავი ძალის გადანყვეტილებათა მიღების ბერკეტის მქონე ინსტიტუტს ექნებოდა.

ამის პარალელურად კი, კორპორაციები მაინც ვერ უგულებელყოფდნენ კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობას. დავების საჯარო ხასიათი უბიძგებს უცხოურ კორპორაციებს, თავიდან აიცილონ დასაქმებულთა შრომითი უფლებების, გარემოსა და სოციუმის ინტერესების ხელყოფა. ამ შემთხვევაში, ამგვარი ქცევა არა გარეშე ინსტიტუტების თუ ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ იძულების, არამედ საკუთარი თავის რეპუტაციული ზიანისაგან დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს.

მიუხედავად ამისა, ეროვნული საკონტაქტო პუნქტის დაარსება და პოპულარიზება ქვეყანაში, თავის თავში არ გამოორიცხავს ეროვნული სამართლით განსაზღვრული სხვა ინსტრუმენტების მიერ ინვესტორთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათი მხრიდან კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის დარღვევის შემთხვევაში. საჭირო იქნება იმგვარი სისტემის სიფრთხილით ჩამოყა-

⁴⁴ Bhatt & Erdem Türkelli. (2021), 441.

ლიბება, რომელიც უზრუნველყოფდა ეროვნული საკონტაქტო პუნქტის, როგორც ერთგვარი ცენტრალური ფორუმის, განსაზღვრას კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის პოტენციური დარღვევების შემთხვევაში.

6.4. საქართველოსთვის შესაფერისი მოდელის კონტურები: პრაქტიკული წინადადებები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაციისთვის

წინა ქვეთავებში განხილული საკითხების შეჯამებისთვის და კითხვაზე, თუ როგორი მიდგომა იქნება ყველაზე ოპტიმალური საქართველოს შემთხვევაში პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასურველი იქნება ნიდელანდების მოდელურ ომხრივ საინვესტიციო შეთანხმებაში არსებული რამდენიმე ელემენტის განმეორება საქართველოს მოდელურ ჩანაწერშიც.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ ინვესტორის მიერ სერიოზული ზიანის გამოწვევის შემთხვევაში დადგებოდა მისი პასუხისმგებლობაც ქვეყანაში. ასევე მნიშვნელოვანია განმარტებული იქნას სერიოზული ზიანის დეფინიცია, ისევე როგორც დაკონკრეტებულია, მაგალითისათვის, სიცოცხლის მოსპობა ან პირადი ზიანი ნიდერლანდების მოდელში⁴⁵. აგრეთვე, დადებითი ტენდენცია იქნებოდა ინვესტორთა წახალისების საკითხის განსაზღვრაც, რაც შესაძლოა გამოიხატოს, მათ შორის, საგადასახადო შეღავათებშიც.

აღნიშნულის გარდა, შესაძლებელია მომხდარიყო სამართლებრივი კავშირის დადგენა კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის ნორმათა თანხვედრასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინვესტორთა დაცვის გარანტიებს შორის. ეს გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის ან პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევისათვის სათანადო სიფრთხილის გამოჩენას, როგორც ერთგვარი წინაპირობის დანერგვას იმისათვის, რომ ინვესტორს გააჩნდეს შეთანხმებით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომა დღეისათვის არ გვხვდება არც ერთ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებაში, მისი დანერგვა შედეგად განაპირობებდა პასუხისმგებლიანი ქცევის გაუმჯობესებას უცხოელი ინვესტორების მხრიდან, მყარი სამართლით გათვალისწინებული იმგვარი ნორმების გარეშე, რომელთა არსებობაც ჩვეულებრივ რისკის შემცველია ინვესტორთათვის⁴⁶.

⁴⁵ Dutch Model BIT (2019), Art. 7 (4).

⁴⁶ Gaukrodger (2021), 108.

7. დასკვნა

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის როლის გაძლიერება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში არის იმ მზარდი კონსესუსის ერთგვარი გამოძახილი, რომლის თანახმად, ინვესტორთა უფლებები უნდა იქნას დაბალანსებული მათ პასუხისმგებლობებთან. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოს არსებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები ძირითადად მორგებულია ტრადიციულ, ინვესტორთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მოდელზე, სადაც პრაქტიკულად არ რჩება სივრცე გარემოს, სოციალურ თუ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებისათვის.

მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ, რაც, უნინარეს ყოვლისა, 2024 წელს უნგრეთთან დადებულ შეთანხმებას გულისხმობს, ცხადყო, რომ საქართველოს მიდგომა განიცდის ეტაპობრივ ცვლილებებს კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებისაკენ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში. ეს, ამ ეტაპზე, რბილი სამართლის ნორმების სახით ვლინდება. ამის მიზეზი საქართველოს ფრთხილი პოლიტიკაა – დარჩეს მიმზიდველი უცხოელი ინვესტორებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და უზრუნველყოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევის სტანდარტის დაცვა.

მიუხედავად ამისა, მოცემული ანალიზის შედეგად ნათელია, რომ მხოლოდ რბილი სამართლის ნორმებით დარეგულირებული კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობა არასაკმარისია უცხოელ ინვესტორთა სრულყოფილი პასუხისმგებლობისათვის. აღსრულებადი მექანიზმების თუ სამართლებრივი სიცხადის გარეშე, რბილი სამართლის ნორმები მოსალოდნელია, მხოლოდ სიმბოლური დანიშნულების ჩანანერებად დარჩნენ. მეორე მხრივ კი, მბოჭავი ხასიათის ნორმები, რომლებიც, მათ შორის, განხილულ იქნა მსჯელობისას, ატარებენ გარკვეულ რისკებს საქართველოს ტიპის სახელმწიფოებისათვის. ეს რისკები განსაკუთრებით აქტუალურია იმგვარი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის არსებობის პირობებში, რომელსაც არ ძალუძს უცხოელ ინვესტორთა ვალდებულებების ეფექტიანი მონიტორინგი, თუ ამ ვალდებულებათა აღსრულება.

ამ ყოველივეს მიყვავართ დაბალანსებული მოდელის არსებობის საჭიროებისაკენ, რომელიც ინტეგრირებული იქნება საქართველოს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში: მოდელის, რომელიც თავიდან იცილებს, როგორც მბოჭავი ხასიათის ვალდებულებების დაკისრებას ინვესტორთათვის, აგრეთვე ცალსახად სიმბოლური ხასიათის ჩანანერებს. ნიდერლანდების მიერ შემუშავებული მოდე-

ლური შეთანხმების ტექსტი, მის მიერ სავალდებულო და არასავალდებულო ელემენტების ეფექტიანი ინტეგრირების შედეგად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნიმუშად იქცა საერთაშორისო დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მიდგომა მისადაგოს მის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ კონტექსტს, დაიცვას ეროვნული მოპყრობის პრინციპი და შიდა სამართლებრივი სტანდარტები და უზრუნველყოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო ინსტიტუტის დანერგვა, როგორცაა ეროვნული საკონტაქტო პუნქტი.

საბოლოო ჯამში, ნაშრომის მთავარი მიზანია ცხადყოს, რომ კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის მონესრიგება საინვესტიციო შეთანხმებებში არის უფრო მეტი, ვიდრე დამატებითი ჩანაწერი ხელშეკრულებაში, ეს არის სიმეტრიის აღდგენის მექანიზმი იმ სისტემაში, რომელიც ტრადიციულად ასიმეტრიულობაზე იყო დაფუძნებული. ამ პროცესში კი საქართველოს ამოცანაა, არა უბრალოდ მისდიოს საერთაშორისო ტენდენციებს, არამედ არსებითად გარდაქმნას მისი საინვესტიციო სახელშეკრულებო პრაქტიკა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნების განხორციელებას, ხოლო პარალელურად შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა. ზემოთ განხილული საკითხებიც სწორედ ამ ძირითადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, საქართველოს მზადყოფნის ხარისხის გაძლიერებას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

ციხეჯი, მონოგრაფიაში

- Kryvoi, Y. (2020). Three Dimensions of Inequality in International Investment Law. *British Institute of International and Comparative Law*.
- Dolzer, R., Schreuer, C. (2012). *Principles of International Investment Law* (2nd ed., OUP).

სტატიები

- Crow, K., Lorenzoni Escobar, L. (2023). International corporate obligations, human rights, and the Urbaser standard: Breaking new ground? *Beiträge zum Transnationalen Wirtschaftsrecht*.
- Gaukrodger, D. (2021). „Business Responsibilities and Investment Treaties“. *OECD Working Papers on International Investment*, №2021/02, OECD Publishing.
- Bueno, N., Yilmaz Vastardis, A., Ngueuleu Djeuga, I. (2023). ‘Investor Human Rights and Environmental Obligations: The Need to Redesign Corporate Social Responsibility Clauses’. *Journal of World Investment & Trade*, 24.

- Schacherer, S. (2024). 'Building Responsible and Sustainable Supply Chain Frameworks: Limits of International Investment Law and the CSR Initiatives Taken by the EU and China'. *Asia Pacific Law Review*, 32.
- Ho, J. (2019). 'The Creation of Elusive Investor Responsibility'. *American Journal of International Law (AJIL) – AJIL Unbound*. 113.
- Islam, R. (n.d.). Human Rights Obligations in FDI Operation: A Paradigm Shift in BITs, *Dhaka University Law Journal*.
- De Brabandere, E. (2018). 'Human Rights and International Investment Law'. Grotius Centre Working Paper Series, 2018/075-HRL.
- Bhatt, K., Erdem Türkelli, G. (2021). 'OECD National Contact Points as Sites of Effective Remedy: New Expressions of the Role and Rule of Law within Market Globalization?' *Business and Human Rights Journal*, 6.

საპარტელეზრივი დოკუმენტები

- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, საქართველოს მთავრობა (2022–2030 წლებისთვის).
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.
- Reciprocal Investment Promotion and Protection Agreement Between the Government of the Kingdom of Morocco and the Government of the Federal Republic of Nigeria (2016).
- Netherlands Model Investment Agreement (22 March 2019).
- UN Human Rights Council. (2011). Guiding Principles on Business and Human Rights: Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework.
- Supplementary Act A/SA.3/12/08 Adopting Community Rules on Investment and the Modalities for Their Implementation within the Economic Community of West African States (2008).
- Free Trade Agreement Between Canada and the Republic of Peru (2009).
- Comprehensive Economic and Trade Agreement Between Canada and the European Union and Its Member States (2017).
- Protocol Between the Republic of Estonia and Georgia to Amend the Agreement Between the Republic of Estonia and Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2016).

- Agreement Between the Czech Republic and Georgia for the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2009).
- Agreement Between the Government of the Republic of Belarus and the Government of Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2017).
- Agreement Between the Government of Hungary and the Government of Georgia for the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2024).
- Agreement Between the Government of the Republic of Turkey and the Government of Georgia Concerning the Reciprocal Promotion and Protection of Investments (2016).
- Agreement Between the Swiss Confederation and Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2014).
- Agreement Between the Government of Georgia and the Government of the United Arab Emirates on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2017).
- Bulgaria Model Investment Agreement (18 January 2023).
- United States Model BIT (1 January 2012).
- French Duty of Vigilance Law (Loi n° 2017-399 du 27 mars 2017 relative au devoir de vigilance des sociétés mères et des entreprises donneuses d'ordre). (2017).
- German Supply Chain Due Diligence Act (Lieferkettensorgfaltspflichtengesetz, LkSG) (2023).
- OECD, OECD Guidelines for Multinational Enterprises on Responsible Business Conduct (2023), (Council Decision).

პრეცედენტი

- Urbaser S.A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia v. The Argentine Republic, ICSID Case №ARB/07/26, Award (8 December 2016).
- Copper Mesa Mining Corporation v. Republic of Ecuador, UNCITRAL, PCA Case №2012-2, Award (15 March 2016).
- Bear Creek Mining Corporation v. Republic of Peru, ICSID Case №ARB/14/21, Award (30 November 2017).

ინტერნეტ-რესურსები

- UNCTAD (25 November 2025). International Investment Agreements Navigator. <https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements>.

LEGAL TRANSFORMATION OF GEORGIA'S INVESTMENT POLICY: ENHANCING CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN BILATERAL INVESTMENT AGREEMENTS

SHOTA MSHVENIERADZE

PhD Candidate, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Master of Laws in Globalization and Law,
Maastricht University (The Kingdom of the Netherlands),
Lawyer, Department of Agreements Expertise and Court Representation,
Ministry of Justice of Georgia
mshvenieradzeshota@gmail.com

Abstract. This paper examines the prospects of implementing corporate social responsibility in the bilateral investment agreements of Georgia. The traditional understanding of BITs is characterized by asymmetry. They establish the rights of foreign investors in the host country but often fail to regulate their social, environmental, and human rights responsibilities. However, recent tendencies clearly show that this approach is gradually shifting toward establishing higher standards of responsible business conduct. The first major step taken by Georgia in line with this global trend was the introduction of the Hungary-Georgia BIT. In that treaty, there is an explicit emphasis on CSR, which represents a significant step forward. Given all that, this article analyses why it is important to have a balanced model of CSR regulations in BITs and how this goal might best be achieved.

Keywords: *Bilateral Investment Treaties, Corporate Social Responsibility, Foreign Investors' Responsibility, International Investment Law*

REFERENCES**BOOKS, MONOGRAPHY**

- Kryvoi, Y. (2020). Three Dimensions of Inequality in International Investment Law. *British Institute of International and Comparative Law*.
- Dolzer, R., Schreuer, C. (2012). *Principles of International Investment Law* (2nd ed., OUP).

ARTICLES

- Crow, K., Lorenzoni Escobar, L. (2023). International corporate obligations, human rights, and the Urbaser standard: Breaking new ground? *Beiträge zum Transnationalen Wirtschaftsrecht*.
- Gaukrodger, D. (2021). „Business Responsibilities and Investment Treaties“. *OECD Working Papers on International Investment*, №2021/02, OECD Publishing.
- Bueno, N., Yilmaz Vastardis, A., Ngueuleu Djeuga, I. (2023). ‘Investor Human Rights and Environmental Obligations: The Need to Redesign Corporate Social Responsibility Clauses’. *Journal of World Investment & Trade*, 24.
- Schacherer, S. (2024). ‘Building Responsible and Sustainable Supply Chain Frameworks: Limits of International Investment Law and the CSR Initiatives Taken by the EU and China’. *Asia Pacific Law Review*, 32.
- Ho, J. (2019). ‘The Creation of Elusive Investor Responsibility’. *American Journal of International Law (AJIL) – AJIL Unbound.*, 113.
- Islam, R. (n.d.). Human Rights Obligations in FDI Operation: A Paradigm Shift in BITs, *Dhaka University Law Journal*.
- De Brabandere, E. (2018). ‘Human Rights and International Investment Law’. *Grotius Centre Working Paper Series*, 2018/075-HRL.
- Bhatt, K., Erdem Türkelli, G. (2021). ‘OECD National Contact Points as Sites of Effective Remedy: New Expressions of the Role and Rule of Law within Market Globalization?’ *Business and Human Rights Journal*, 6.

LEGAL DOCUMENTS

- Government of Georgia, Georgian National Human Rights Strategy for 2022-2030.
- Organic Law of Georgia – Labour Code of Georgia.
- Law of Georgia on Environmental Protection.
- Law of Georgia on Accounting, Reporting and Audit.

- Reciprocal Investment Promotion and Protection Agreement Between the Government of the Kingdom of Morocco and the Government of the Federal Republic of Nigeria (2016).
- Netherlands Model Investment Agreement (22 March 2019).
- UN Human Rights Council. (2011). Guiding Principles on Business and Human Rights: Implementing the United Nations „Protect, Respect and Remedy“ Framework.
- Supplementary Act A/SA.3/12/08 Adopting Community Rules on Investment and the Modalities for Their Implementation within the Economic Community of West African States (2008).
- Free Trade Agreement Between Canada and the Republic of Peru (2009).
- Comprehensive Economic and Trade Agreement Between Canada and the European Union and Its Member States (2017).
- Protocol Between the Republic of Estonia and Georgia to Amend the Agreement Between the Republic of Estonia and Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2016).
- Agreement Between the Czech Republic and Georgia for the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2009).
- Agreement Between the Government of the Republic of Belarus and the Government of Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2017).
- Agreement Between the Government of Hungary and the Government of Georgia for the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2024).
- Agreement Between the Government of the Republic of Turkey and the Government of Georgia Concerning the Reciprocal Promotion and Protection of Investments (2016).
- Agreement Between the Swiss Confederation and Georgia on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2014).
- Agreement Between the Government of Georgia and the Government of the United Arab Emirates on the Promotion and Reciprocal Protection of Investments (2017).
- Bulgaria Model Investment Agreement (18 January 2023).
- United States Model BIT (1 January 2012).
- French Duty of Vigilance Law (Loi n° 2017-399 du 27 mars 2017 relative au devoir de vigilance des sociétés mères et des entreprises donneuses d'ordre) (2017).
- German Supply Chain Due Diligence Act (Lieferkettensorgfaltspflichtengesetz, LkSG) (2023).

OECD, OECD Guidelines for Multinational Enterprises on Responsible Business Conduct (2023), (Council Decision).

CASE LAW

Urbaser S.A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia v. The Argentine Republic, ICSID Case №ARB/07/26, Award (8 December 2016).

Copper Mesa Mining Corporation v. Republic of Ecuador, UNCITRAL, PCA Case №2012-2, Award (15 March 2016).

Bear Creek Mining Corporation v. Republic of Peru, ICSID Case №ARB/14/21, Award (30 November 2017).

WEB-RESOURCES

UNCTAD (25 November 2025). International Investment Agreements Navigator. <https://investmentpolicy.unctad.org>.

დნმ-ის ნიმუშის აღებისა და გამოყენების სამართლებრივი დილაგები საგამოძიებო პრაქტიკაში

ილია ხუციშვილი

სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი

ilia_khutsishvili@yahoo.com

რეზიუმე. დღესდღეობით პირის იდენტიფიცირების მრავალი საშუალება არსებობს, როგორც ციფრული ტექნოლოგიები, ასევე ბიოლოგიური და ტრასოლოგიური მეთოდები. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, დანაშაულის პრევენციისა თუ სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას, აგრეთვე გააჩნია პრევენციული ხასიათი. 2025 წლის 4 მარტს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“, რომელიც სიახლეა საქართველოს კანონმდებლობისთვის, ხოლო საგამოძიებო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეგულაციაა ბიოლოგიური ნიმუშების რეესტრის წარმოების თვალსაზრისით. აღნიშნული კანონის მიღებით ნორმატიულ დონეზე დარეგულირდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ბრალდებული და არაბრალდებული პირებისაგან აღებული დნმ-ის ნიმუშის (ბიოლოგიური მასალის) სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციის, გამოყენებისა და წაშლის წესები. თუმცა, ვინაიდან იგი სიახლეა საქართველოსთვის, ამიტომ არსებობს იმის რისკები, რომ კანონმდებლობა გარკვეული საკითხების რეგულირების მხრივ პრაქტიკაში წარმოშობილი ბარიერებისა და ხარვეზების თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოვიდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან.

აღნიშნულის მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ განისაზღვროს „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არაბრალდებული პირის დნმ-ის ნიმუშის ავტომატურად წაშლის საფუძველი, ვინაიდან, ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახ-

მად, ნიმუშის წაშლის მოთხოვნის უფლება პირს უჩნდება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 10 წლის შემდეგ, ხოლო ნიმუშის წაშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ პირი წაშლის მოთხოვნით მიმართავს შემნახველ ორგანოს, ხოლო აღნიშნული უთანაბრდება ნიმუშის შენახვას შეუზღუდავი ვადით. სწორედ მსგავს საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა. ამასთანავე, ნაშრომის ფარგლებში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/6/1846 გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც სწორედ დნმ-ის ნიმუშის აღებას შეეხება არაბრალდებული პირისაგან. კვლევისას ძირითადად გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: დნმ-ის მონაცემთა ბაზა, პერსონალური მონაცემი, არაბრალდებული პირი

შესავალი*

საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ხოლო დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი გამოძიების წარმოება, რომელშიც, რა თქმა უნდა, მოიაზრება დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება, დანაშაულის გახსნისა და მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების გარეშე, სწორედ ერთ-ერთი ასეთ რეგულაციაა საქართველოსთვის დნმ-ის ბაზების შექმნა, რომელიც საშუალებას იძლევა, არა მარტო ქვეყნის შიგნით მომხდარი კრიმინალური შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისა, არამედ მყარ საფუძველს ქმნის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისთვის, ასევე, ის დაკარგულ პირთა და ამოუცნობ გვამთა იდენტიფიცირებისთვის ხელშემწყობი მექანიზმია. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, ბაზაში არსებული მონაცემები

* ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების ოფიციალურ პოზიციას.

ხელს შეუწყობს დამნაშავეთა დროულ იდენტიფიცირებას და დაიცვას მომავალ პოტენციურ მსხვერპლს.

ნებისმიერი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება და ძალაში შესვლა მოითხოვს მის გაანალიზებასა და განხილვას ადამიანის ძირითადი უფლებების კონტექსტში. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის გაანალიზება, ერთი მხრივ, დანაშაულის გახსნისა და ეფექტიანი გამოძიების წარმართვის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით, ვინაიდან, სახელმწიფოს გააჩნია, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება მოქალაქეთა მიმართ, რომლის დროსაც სახელმწიფოს ქმედება უნდა შეფასდეს უფლების შეზღუდვის გამართლების, ლეგიტიმური მიზნის, პროპორციულობის, გამოსადეგობისა და აუცილებლობის ქრილში, რადგან სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას ოქროს შუალედი ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენასა და ბრალდებულის უფლების შეზღუდვას შორის.

1. საქართველოს კანონმდებლობა დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ

დნმ-ის ნიმუშის სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის მიწურულს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და დამნაშავეს დადგენა/იდენტიფიცირების მხრივ მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო ინგლისში, 1987 წელს კოლინ პიჩორკის საქმე, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს (პოლიციის) მიერ სწორედ დნმ-ის ნიმუშის მეშვეობით მოხდა ბრალდებულის იდენტიფიცირება, რომელსაც ბრალად ედებოდა ორი გოგონას გაუპატიურება და მკვლელობა¹. სწორედ, აღნიშნულმა პრეცედენტმა ჩაუყარა საფუძველი შემდგომ დნმ-ის ბაზების შექმნასა და საკანონმდებლო რეგულაციას დიდ ბრიტანეთში, ასევე, ევროპის სხვა ქვეყანაში, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოსთვის სიახლეს წარმოადგენს ბიოლოგიური ნიმუშის (დნმ) შენახვისა და მისი საგამომიძეო მიზნებისთვის გამოყენების საკანონმდებლო მოწეს-

¹ Muñoz, H., Fiodorova, A. (2014). DNA and Law Enforcement in the European Union: Tools and Human Rights Protection, *Utrecht Law Review*. p. 149. <https://utrechtlawreview.org> (26.09.2025).

რიგება. აღნიშნული საკითხი 2025 წლის 4 მარტს „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით დარეგულირდა.

„დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბიოლოგიური ნიმუში არის ადამიანის (ფიზიკური პირის) ან გვამის ქსოვილის ან ორგანოს ნაწილი ან/და ორგანიზმის გამონაყოფი/სითხე, რომლის უჯრედები შეიცავს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ)². სამედიცინო თვალსაზრისით, დნმ-ის ნიმუში წარმოადგენს ადამიანის გენეტიკურ კოდს³, რომლითაც შესაძლებელია, როგორც კონკრეტული დაავადებების განსაზღვრა, ისე ადამიანის იდენტიფიცირება, შესაბამისად, მას გააჩნია არა მარტო სამედიცინო დანიშნულება, არამედ რამდენიმე ათნლეულია გამოიყენება, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირებასა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვას, დანაშაულის გახსნას. თუმცა, ვინაიდან, დნმ-ის ნიმუში წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს⁴, შესაბამისად, გამოძიების პროცესში დღის წესრიგში დგება, ერთი მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დადგენისა და პასუხისგებაში მიცემის ინტერესი, რომელიც, თავისთავად, დაზარალებულისა და საჯარო ინტერესის სფეროა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა უფლების შეზღუდვასა და საჯარო ინტერესს შორის.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონი „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ სიახლეა საქართველოს კანონმდებლობისთვის, რომელშიც განერილია დნმ-ის ბაზის შექმნისა და ფუნქციონირების საფუძვლები და პირობები. ამავე კანონით განსაზღვრულია დანაშაულის კატეგორიის მიხედვით⁵ დნმ-ის ნიმუშის შენახვის კონკრეტული ვადები. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად კანონში განერილი საფუძვლისა, რომ დნმ-ის ნიმუშის აღება შესაძლებელია არ მარტო ბრალდებულისგან, არამედ სხვა ნებისმიერი ფიზიკური პირისგან⁶, მასში არ არის მკაფიოდ

² იქვე, მე-2 მუხლი, „ა“ ქვეპუნქტი.

³ გოგიჩაძე, გ., გედენიძე, ა., ჭუმბურიძე, ჯ. (2009). სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. 496.

⁴ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მე-3 მუხლი, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს კანონი „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“, მე-7 მუხლი.

⁶ იქვე, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.

განსაზღვრული არაბრალდებული პირის გენეტიკური პროფილის შენახვისა თუ მისი ავტომატურად განადგურების პირობა. კანონი მხოლოდ შემოიფარგლება იმით, რომ აწესებს კონკრეტულ კრიტერიუმს, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა⁷, ესეც მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც შესაძლებელია მიცემულიყო პასუხისგებაში, როგორც ბრალდებული, თუმცა, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით შეწყდა გამოძიება ან არ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა⁸, ხოლო სხვა პირზე, რომელიც, მაგალითად, სარგებლობს მოწმის სტატუსით და მისი საპროცესო სტატუსი არ შეიცვლილა და არც შეიძლება შეცვლილიყო, ასეთ შემთხვევაში, არც კანონში და არც მთავრობის დადგენილებაში⁹, არ არის განსაზღვრული ასეთ პირთა გენეტიკური პროფილების ავტომატურად განადგურების წესი და საფუძველი, რაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მხრივ, პროპორციულობის თვალსაზრისით, არამართლზომიერია. კანონში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ისეთი პირის დღმ-ის პროფილის შენახვისა და განადგურების საფუძველი, რომელიც მოწმის სტატუსით სარგებლობდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე და მისი საპროცესო სტატუსი არ შეიცვლილა, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მისი საპროცესო სტატუსი არც შეიცვლებოდა. ასეთი პირისგან ნიმუშის აღებით, საგამოძიებო ორგანო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს ამუშავებს, რის საფუძველზეც ეძლევა წვდომა ადამიანის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც არის ადამიანის პირად სფეროში ჩარევის ტოლფასი. ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის ბიოლოგიური ნიმუშის აღებისა და მისი შენახვისა და წაშლის მკაფიო წესის განერა ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია, ვინაიდან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში განმარტავს, „პირს, რომელსაც ბრალდებულის სტატუსი არ აქვს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, გააჩნია განსაკუთრებით მყარი ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ მისი პრივატული სივრცე, ფიზიკური მთლიანობა მაქსიმალურად იქნება დაცული სახელ-

⁷ იქვე, მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი.

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 105-ე მუხლი, „ა-დ“ ქვეპუნქტები.

⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №192, „ბიოლოგიური ნიმუშის აღების, განადგურების, ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირების, გენეტიკური პროფილის დამუშავებისა და გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 30 მაისი.

მნიფოს ჩარევისაგან¹⁰. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონში მკაფიოდ განისაზღვროს არაბრალდებული პირისგან დნმ-ის ნიმუშის აღების საფუძველი და ნიმუშის შენახვისა და ავტომატურად განადგურების საფუძველი და წესები. ამიტომ, მიზანშეწონილია „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ბიოლოგიური ნიმუშის აღების, განადგურების, ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირების, გენეტიკური პროფილის დამუშავებისა და გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №192 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და მკაფიოდ განისაზღვროს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არაბრალდებული პირის დნმ-ის ნიმუშის ავტომატურად წაშლის საფუძველი. კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ნიმუშის წაშლის მოთხოვნის უფლება უჩნდება პირს სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 10 წლის შემდგომ, ხოლო ნიმუშის წაშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ პირი წაშლის მოთხოვნით მიმართავს შემნახველ ორგანოს, შესაბამისად, კანონის დათქმიდან გამომდინარე, თუ პირს არ ახსოვს ათი წლის წინ მის მიმართ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად დნმ-ის ნიმუშის აღების ფაქტი და არ მიმართავს შემნახველ ორგანოს წაშლის მოთხოვნით, შემნახველი ორგანო გააგრძელებს მისი დნმ-ის პროფილის შენახვას იქამდე, ვიდრე პირის მხრიდან წაშლის მოთხოვნას არ მიიღებს, რადგან კანონმდებლობით შენახვის ვადის გასვლის შემდგომ გაფრთხილების რაიმე ფორმაც არ არის განერილი. აღნიშნული უთანაბრდება ნიმუშის შენახვას განუსაზღვრელი ვადით. სწორედ, მსგავს საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა¹¹.

დნმ-ის ნიმუშის აღებისა და ექსპერტიზის ჩატარების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1846 გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის

¹⁰ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის №3/6/1846 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, აბზაცი 22.

¹¹ Case of S. And Marper v. The United Kingdom, Decision № 30562/04 and 30566/04 (4 December 2008). <https://hudoc.echr.coe.int> (S. And Marper v. The United Kingdom, 2008).

საკითხს¹² საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება – „სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება“ – შეეხება ამავე კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის აღების შესახებ სასამართლო განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვას. სწორედ, აღნიშნული საკითხი გახდა სადავო და კონსტიტუციური წარდგინების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, კონკრეტულ შემთხვევაში, შეეხებოდა არა ბრალდებულისგან ნიმუშის აღებისა და შემდგომ მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, არამედ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისგან ნიმუშის აღებასა და მის უფლებას, აღნიშნული ქმედება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში, განხორციელდეს ჩარევა¹³. ამასთან, მან დაადგინა, რომ სადავო ნორმა გამოსადეგობისა და აუცილებლობის, ასევე ლეგიტიმური მიზნის თვალსაზრისით, შესაბამისობაში იყო¹⁴, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეფასებული იქნა პროპორციულობის მხრივ უფლების შეზღუდვა და სწორედ აღნიშნულ ნაწილში დადგინდა, რომ „საპროცესო მოქმედებების ფარგლებში, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღება, მისი გაცხადებული თანხმობის გარეშე, წარმოადგენს ამ პირის პრივატულ სივრცეში ინტენსიურ ჩარევას, რის გამოც, ობიექტურად მაღალია მისი ინტერესი, ჰქონდეს წვდომა უფლების დაცვის ადეკვატურ და ეფექტიან გარანტიებზე“¹⁵. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაბრალდებული პირისგან განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღების საკითხთან დაკავშირებით განმარტებულ იქნა, რომ, ვინაიდან, არ არსებობდა საპროცესო მექანიზმი ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის მიერ უფლების შეზღუდვისგან დაცვისა, შესაბამისად, ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული უფლება¹⁶. ამასთანავე აღინიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს

¹² თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის №3/6/1846 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

¹³ იქვე, აბზაცი 30-ე.

¹⁴ იქვე, ნაწილი 3.1 და 3.2.

¹⁵ იქვე, აბზაცი 23-ე.

¹⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლის პირველი ნაწილი.

არა მარტო პირის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების უზრუნველყოფას, არამედ, სახელმწიფოს მიერ ისეთ საკანონმდებლო მოწესრიგებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებების სრულყოფილი სამართლებრივი დაცვა¹⁷.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“, არ არის დარეგულირებული დნმ-ის ნიმუშის ფენოტიპირების მეთოდი*, როგორც დანაშაულის გახსნისა თუ დამნაშავის დადგენის მეთოდები, განსხვავებით ნიდერლანდების, აშშ-ისა და ავსტრიის კანონმდებლობისაგან, სადაც რეგულირდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გასახსნელად დნმ-ის ფენოტიპირების მეთოდი¹⁸. სწორედ ფენოტიპირების მეთოდით, 2015 წელს გახსნილ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2009 წელს მომხდარი სიერა ბუზიგარდის მკვლელობის საქმეზე,¹⁹ კერძოდ კი, ექსპერტების მიერ შემთხვევის ადგილიდან აღებული სისხლის კვალის ფენოტიპირების მეთოდით დადგინდა და შეიქმნა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იერსახე, რის შემდგომაც გამოძიება გავიდა ბლეიკ რასელის კვალზე და მას ბრალი დაედო მეორე ხარისხის მკვლელობაში²⁰, ხოლო 2017 წელს მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა²¹. აღნიშნულის სა-

¹⁷ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის №3/6/1846 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, აბზაცი მე-3.

* შენიშვნა: დნმ-ის ფენოტიპირებით ბიოლოგიური ნიმუშის მფლობელის ფიზიკური იერსახის (მათ შორის ისეთი მახასიათებლების, როგორებიცაა გეოგრაფიული წარმოშობა, თვალისა და თმის ფერი, სახის ნაკვთების სავარაუდო ფორმები) აღდგენა შესაძლებელია.

¹⁸ Westermarck, H., Aronovitz, A., Curran, J., Fausch, I., Fournier, J., Hohenecker, L., Kleczewski, A., Pretelli, I., Polanco Lazo, R., Topaz Druckman, K., Viennet, C., Went, F., Zheng, J. (2020). The Regulation of the Use of DNA in Law Enforcement, pp. 147-152. <https://www.isdc.ch> (30.06.2025).

¹⁹ Kayser, M., Schneider, P. M. (2009). DNA-based prediction of human externally visible characteristics in forensics: Motivations, scientific challenges, and ethical considerations, *Official journal of the International Society for Forensic Genetics (ISFG)*. <https://www.sciencedirect.com> (30.06.2025).

²⁰ Armentrout, P. (3 May 2015). Parabon's Snapshot DNA Phenotyping Service Helps Calcasieu Parish Sheriff's Office Redirect Investigation into Sierra Bouzigard's Cold Case. <https://parabon-nanolabs.com> (29.09.2025).

²¹ Russell, B. A. (24 July 2017). Man arrested in 2009 killing of Sierra Bouzigard. <https://www.kplctv.com> (29.09.2025).

ფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმის ეფექტიანად გამოძიებისა და დამნაშავე პირის დადგენა/იდენტიფიკაციის მიზნით, საქართველოს კანონში „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ და სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა დნმ-ის ფენოტიპირების მეთოდის გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს დამნაშავე პირთა დადგენა/იდენტიფიცირებას და დანაშაულის გახსნას.

2. დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების ბარაუშულირეხელი კანონმდებლობა ევროპის ქვეყნებში

2.1 დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების საკანონმდებლო რეგულაცია დანიაში

2000 წელს, დნმ-ის ნიმუშის აღებისა და მისი ბაზაში შეტანის წესი და საფუძველები დანიის კანონმდებლობით განერილ იქნა „დნმ-ის პროფილების ცენტრალური რეესტრის შესახებ აქტით“²², რომელშიც 2005 წელს და შემდგომ წლებში ეტაპობრივად შევიდა დამატებები და ცვლილებები „ცენტრალური დნმ პროფილის რეესტრის შექმნისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის“²³ საფუძველზე. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლში მოცემულია ის გარემოებები და საფუძველები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პოლიციას შეუძლია ადამიანის დნმ-ის ნიმუშის აღება და მისი მონაცემთა ბაზაში შეტანა, კერძოდ კი, ჩამოთვლილია დანიის სისხლის სამართლის კოდექსის²⁴ კონკრეტული მუხლები, რომლის ჩადენაშიც არის პირი მხილებული. სწორედ კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო დაწყებული გამოძიების ფარგლებში არის შესაძლებელი პოლიციის მიერ დნმ-ის ნიმუშის აღება და პერსონალურ (ინდივიდუალურ) მონა-

²² Act on the establishment of a central DNA profile register, *LAW*, №434 of 31/05/2000, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

²³ Act amending the Act on the Establishment of a Central DNA Profile Register and the Administration of Justice Act, *LAW*, №369 of 24/05/2005, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

²⁴ Danish Penal Code, *LBK*, №871 of 04/07/2014, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (29.09.2025).

ცემთა ბაზაში შეტანა²⁵, ხოლო შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას დატოვებული ბიოლოგიური ნიმუშის აღებისას იგი შეიტანება კვალის მონაცემთა რეესტრში, რასაც ითვალისწინებს დასახელებული კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი²⁶. შესაბამისად, დანიაში „დნმ-ის პროფილების ცენტრალური რეესტრის შესახებ აქტით“, განსაზღვრულია ორი სახის ბიოლოგიური ნიმუშის ბაზა, პირველი არის ადამიანისგან აღებული დნმ-ის ნიმუში, რომელიც რეგისტრირდება ინდივიდუალურ (პერსონალურ) მონაცემთა ბაზაში, ხოლო მეორე კი, შემთხვევის ადგილიდან აღებული ბიოლოგიური ნიმუშის ბაზა, რომელიც რეგისტრირდება – კვალის მონაცემთა ბაზაში. რაც შეეხება დნმ-ის ფენოტიპირების მეთოდს, დანიის კანონი აღნიშნულ მეთოდს, როგორც დანაშაულის გახსნისა თუ კრიმინალთან ბრძოლის კრიმინალისტიკურ მეთოდს, არ არეგულირებს, შესაბამისად, კანონმდებლობაში ფენოტიპირების მეთოდი არ არის განსაზღვრული.

როგორც აღინიშნა, დანიაში დნმ-ის მონაცემთა ბაზის ორი სახეობა არსებობს – უშუალოდ ფიზიკური პირებისაგან აღებული ნიმუშების ბაზა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღებული ბიოლოგიურ კვალთა ბაზა²⁷. კანონმდებლობით განსაზღვრულია მონაცემთა ბაზაში ნიმუშის რეგისტრაციის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დანიის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ფიზიკური პირის დნმ-ის ნიმუში შესაძლებელია რეესტრში დარეგისტრირდეს, თუ პირს ბრალდება წარედგინა ნებისმიერი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც დანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით ან მეტით²⁸. რაც შეეხება კვალთა რეესტრს, აღნიშნულ ბაზაში შეტანილია ყველა ის ბიოლოგიური ნიმუში, რომელიც აღებულ იქნა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს²⁹.

დანიის „დნმ-ის პროფილების ცენტრალური რეესტრის შესახებ აქტით“ განსაზღვრულია, როგორც ინდივიდუალური, ისე კვალთა რეესტრში არსებული ბიოლოგიური ნიმუშების (დნმ) შენახვისა და განადგურების ვადები და წესები³⁰. ფი-

²⁵ Act on the establishment of a central DNA profile register, *LAW*, №434 of 31/05/2000, Ministry of Justice, article 2, part 1. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

²⁶ იქვე, Article 2, part 2.

²⁷ იქვე, section 2.

²⁸ იქვე, section 2 (2) point 1.

²⁹ იქვე, section 2 (2) point 2.

³⁰ იქვე, section 3 and section 4.

ზიკური პირისგან აღებული ნიმუში ნადგურდება, თუ: 1) პირი გამართლდა და მის მიმართ ნაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა, 2) გამართლებიდან, ბრალდების მოხსნის შესახებ გადანყვეტილებიდან 10 წელი გავიდა, 3) რეგისტრირებული პირმა მიაღწია 70 წლის ასაკს, 4) თუ ნიმუში აღებულია ფიზიკური ჩარევის საფუძველზე, რომელიც სასამართლომ არ მიიჩნია მართებულად, 5) სხვა განსაკუთრებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში³¹. აქედან გამომდინარე, კანონი ადგენს კონკრეტულ ვადას და ზღვრულ ასაკს, როდესაც შესაძლებელია ინდივიდუალური რეესტრიდან მონაცემების წაშლა. რაც შეეხება კვალთა რეესტრიდან ინფორმაციის წაშლას, იგი განსაზღვრულია დასახელებული კანონის მე-4 მუხლით, რომელიც ადგენს კონკრეტულ საფუძვლებს: 1) აღებული მასალა (კვალი) პირის იდენტიფიკაციისთვის გამოსადეგი აღმოჩნდა, 2) მონაცემის შენახვა პოლიციისთვის მნიშვნელოვანი აღარ არის, 3) სხვა განსაკუთრებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში³².

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დანიის კანონმდებლობით განსაზღვრულია დნმ-ის ნიმუშის შენახვისა და განადგურების (წაშლის) წესები და საფუძვლები, ამასთანავე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ინფორმაციის გადაცემის წესი³³.

2.2 დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების საკანონმდებლო რეგულაცია შვედეთში

შვედეთში ბიოლოგიური ნიმუშის (დნმ) აღებისა და მისი რეესტრში შეტანის საფუძვლები, წესები და კვლევის მეთოდები მონესრიგებულია „პოლიციის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა“³⁴ და, აგრეთვე, შვედეთის სისხლის სამართლის მონაცემთა დაცვის აქტებით³⁵, რომელთა მიხედვით, დადგენილია, რომ ფიზიკური პირისგან აღებული დნმ-ის ნიმუშით შეიძლება მხოლოდ ამ პი-

³¹ იქვე, section 3.

³² იქვე, section 4.

³³ იქვე, Article 5.

³⁴ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

³⁵ Criminal Data Protection Act (2018:1177), Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

რის ვინაობის განსაზღვრა (იდენტიფიცირება) და არა მისი პიროვნული მახასიათებლების დადგენა³⁶, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსად საქართველოსა და დანიის კანონმდებლობისა, შვედეთის კანონმდებლობაც არ იყენებს დნმ-ის ფენოტიპირების მეთოდს, როგორც გამოძიებისა და დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის დადგენის ერთ-ერთ ხერხს, თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გასახსნელად შვედეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა მიმართეს აღნიშნულ მეთოდს³⁷.

კანონი განმარტავს პერსონალურ მონაცემთა სახეებს, მათ შორის დნმ-ის ნიმუშს, როგორც პერსონალურ მონაცემს³⁸, მისი ალების საფუძვლებს, დამუშავების წესსა და, აგრეთვე, განსაზღვრავს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა მიმოცვლის წესს³⁹.

შვედეთში, ისევე როგორც დანიაში, კანონმდებლობით განსაზღვრულია ორი სახის დნმ-ის ბაზის რეესტრი, პირველი არის საგამოძიებო რეესტრი⁴⁰, ხოლო მეორე კი კვალთა რეესტრი⁴¹. აღნიშნული რეესტრი არის შვედეთის ეროვნული საექსპერტო ცენტრის დაქვემდებარებაში, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს და აქვს უფლებამოსილება პოლიციის, სასამართლოსა თუ პროკურატურის მიმართვის საფუძველზე⁴² ჩატაროს შესაბამისი ექსპერტიზა და გასცეს დასკვნა, რომლისთვისაც შეუძლია გამოიყენოს რეესტრში არსებული ბიოლოგიური კვლევები, მათ შორის დნმ-ის ნიმუში⁴³.

³⁶ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, chapter 5, section 2, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

³⁷ Westermark, H., Aronovitz, A., Curran, J., Fausch, I., Fournier, J., Hohenecker, L., Kleczewski, A., Pretelli, I., Polanco Lazo, R., Topaz Druckman, K., Viennet, C., Went, F., Zheng, J. (2020). The Regulation of the Use of DNA in Law Enforcement, pp. 102-103. <https://www.isdc.ch> (30.06.2025).

³⁸ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Chapter 1. General provisions, section 5, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

³⁹ იქვე, Chapter 2, section 7.

⁴⁰ იქვე, Chapter 5, section 4.

⁴¹ იქვე, Chapter 5, section 5.

⁴² იქვე, Chapter 6b, section 1.

⁴³ იქვე, Chapter 6, section 1.

კანონით განსაზღვრულია, რომ საგამოძიებო რეესტრი შესაძლებელია მოიცავდეს დნმ-ის ანალიზის შედეგების პასუხებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას⁴⁴. ამასთანავე, კანონი მიუთითებს შვედეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის თავზე, რომლის მიხედვით, პირი იცნობა მსჯავრდებულად⁴⁵, რაც იძლევა შემდგომ იმის საფუძველს, რომ მისი დნმ-ის ნიმუშის ანალიზის შედეგები იქნეს შენახული საგამოძიებო რეესტრში. რაც შეეხება კვალთა რეესტრს, იგი შეიქმნა დნმ-ის რეესტრთან ერთად და მოიცავს ინფორმაციას იმ ბიოლოგიური მასალის (დნმ) შესახებ, რომლებიც აღებულ იქნა კონკრეტული დანაშაულის შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს და არ მიეკუთვნება კონკრეტულ პირს, არამედ წარმოადგენს ბიოლოგიურ მასალას, რომელიც აღებულია მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას⁴⁶. აქედან გამომდინარე, როგორც აღინიშნა, კანონმდებლობით განსაზღვრულია ორი სახის რეესტრი – საგამოძიებო და კვალთა რეესტრი.

რაც შეეხება ბიოლოგიური ნიმუშის ფიზიკური პირისგან აღების წესს, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს შვედეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ადგენს, რომ ნიმუში შესაძლებელია აღებულ იქნას ნებისმიერი პირისაგან, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში და მის მიმართ ხორციელდება კანონით განსაზღვრული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა მიზანია აღებული ნიმუშების საგამოძიებო და კვალთა რეესტრში დარეგისტრირება და შემდგომ შესაბამისი კვლევის/ანალიზის ჩატარება⁴⁷.

აღსანიშნავია, რომ „პოლიციის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების აქტით“ განსაზღვრულია კონკრეტული ვადები აღებული ბიოლოგიური ნიმუშის შენახვისთვის. აღნიშნული ვადები აგრეთვე რეგულირება „სისხლის სამართლის

⁴⁴ იქვე, Chapter 5, section 4.

⁴⁵ The Swedish Code of Judicial Procedure, Departmental series 1998:65, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (03.07.2025).

⁴⁶ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Chapter 5, Section 5, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

⁴⁷ The Swedish Code of Judicial Procedure, Departmental series 1998:65, Chapter 28, section 12, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

ჩანაწერების შესახებ აქტივაცია⁴⁸. „პოლიციის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების აქტის“ მე-5 თავის მე-9 ნაწილით დადგენილია, რომ თუ ნიმუში აღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე თავის საფუძველზე, აგრეთვე არასრულწლოვანი ექვმიტანილისგან, იგი რეესტრიდან იშლება და ნადგურდება ნიმუშის აღებიდან 6 თვის შემდეგ⁴⁹. განსხვავებული ვადებია დადგენილი ექვმიტანილთა და მსჯავრდებულთა ნიმუშის შენახვაზე, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, კერძოდ კი, იმ შემთხვევაში, თუ პირი აღარ არის ექვმიტანილი, ხოლო მისგან აღებული იყო ბიოლოგიური ნიმუში, აღნიშნული ნიმუშის შენახვა შესაძლებელია მხოლოდ 3 თვე⁵⁰, ხოლო მსჯავრდებულისგან აღებული ბიოლოგიური ნიმუში არ შეიძლება დამუშავდეს 3 თვეზე მეტ ხანს, მას შემდეგ, რაც სასამართლოს განაჩენით დადგინდება მისი უდანაშაულობა. იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლება და მისგან აღებული იყო ბიოლოგიური ნიმუში, ის ინახება გარდაცვალებიდან 10 წლის განმავლობაში⁵¹. გარდა ამისა, დნმ-ის ნიმუში უნდა წაიშალოს მონაცემთა რეესტრიდან, თუ პირმა გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მოიხადა სასჯელი, ამ სასჯელის მოხდიდან 10 წლის შემდეგ⁵².

რაც შეეხება არასრულწლოვან პირებს, მათგან აღებული ნიმუშები ნადგურდება მსჯავრდების მოხდიდან და პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ 10 წელიწადში, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში, მისი აღსრულებიდან 5 წლის შემდეგ.

„პოლიციის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების აქტით“ და „სისხლის სამართლის ჩანაწერების შესახებ აქტით“ დადგენილია, რომ მონაცემების დამუშავება კვალთა რეესტრში რეგისტრაციიდან ოცდაათი წელი შესაძლებელია ინახებოდეს, ხოლო ისეთი ნიმუში, რომელიც აღებულია შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავის მე-10 მუხლით დაწყებული გამოძიების ფარგლებ-

⁴⁸ *Criminal Records Act* (1998:620), Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (03.07.2025).

⁴⁹ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Chapter 5, Section 9, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

⁵⁰ იქვე, Chapter 5, section 10.

⁵¹ იქვე, Chapter 5, section 11.

⁵² *Criminal Records Act* (1998:620), Section 16, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (03.07.2025).

ში⁵³, შესაძლებელია შენახულ იქნას 70 წელი⁵⁴. მონაცემთა რეესტრზე წვდომა აქვს შვედეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს, უსაფრთხოების სამსახურს, პროკურატურას, საგადასახადო და კანონით განსაზღვრულ სხვა ორგანოებს⁵⁵.

3. დნმ-ის ნიმუშის აღება საგამომივო მიზნებისათვის და მისი მიმართება აღამიანის ძირითად უფლებებთან

დნმ-ის ნიმუში, როგორც მონაცემი, მისი ანალიზის (ექსპერტიზის) გარეშე არაფრის მომცემია, ხოლო თუ ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზა, აღნიშნული გზით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიცირება და პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრა, შესაბამისად, იგი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით მიიჩნევა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემად და წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებას.

ერთი შეხედვით, დნმ-ის ნიმუშის აღება შესაძლოა არღვევდეს ევროპული კონვენციით დაცულ პირის რამდენიმე უფლებას, მათ შორის არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და თვითინკრინაციისგან დაცვის უფლებას, თუმცა, ის საჯარო ინტერესი და ლეგიტიმური მიზანი, რომელიც დგას მეორე მხარეს, სახელმწიფოს უფლებას აძლევს გარკვეულწილად შეზღუდოს ევროპული კონვენციით⁵⁶ დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ევროსამართლოს საქმე – Case Of Dragan Petrovic v. Serbia (Application №75229/10) Judgment⁵⁷, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა პოლიციის მიერ 2008 წელს განმცხადებლის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა და მისგან დნმ-ის ნიმუშის აღების პროცედურები, კერძოდ კი, სერბეთის პოლიცია

⁵³ Criminal Code (1962:700), Ministry/authority: Ministry of Justice L5 Issued: 1962-12-21 Amended: until SFS 2025:638, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

⁵⁴ Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Chapter 5, Section 7, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

⁵⁵ იქვე, Chapter 6, section 7.

⁵⁶ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.XI.1950. <https://www.echr.coe.int> (07.07.2025).

⁵⁷ Case of Dragan Petrovic v. Serbia, Decision №75229/10 (14 April 2020). <https://hudoc.echr.coe.int> (29.09.2025).

მიიჩნევდა, რომ განმცხადებელი კავშირში იყო ერთ-ერთი პირის მკვლელობასთან, თუმცა, მათ აღნიშნულის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები არ ჰქონიათ. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ჩატარებულ იქნა განმცხადებლის ბინის ჩხრეკა, ასევე მისგან აღებულ იქნა დნმ-ის (ნერწყვის) ნიმუში, რომელიც უნდა შედარებულიყო შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღებულ ბიოლოგიურ ნიმუშს. განმცხადებლის განმარტებით, მისი ბინის ჩხრეკისას დარღვეულ იქნა სერბეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, აგრეთვე პოლიციამ მას განუმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნერწყვის ნიმუშს არ ჩააბარებდა, მის მიმართ იძულების პროპორციულ ზომას მიმართავდნენ, რის გამოც განმცხადებელი იძულებული გახდა პოლიციისთვის ნება მიეცა აელოთ მისი ბიოლოგიური ნიმუში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ნერწყვის ნიმუშის აღებას წინ უძღოდა მუქარა და ძალდატანება, რის გამოც იძულებული გახდა ნიმუშის აღების ნება მიეცა პოლიციისთვის. ევროსასამართლომ საქმის განხილვისას განსაზღვრა, რომ ბინის ჩხრეკა განმცხადებლის მკვლელობასთან კავშირის დასადგენად იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა არ დადგინდა ამ ნაწილში, ხოლო განმცხადებლისგან, რომლის მიმართაც პირდაპირი მტკიცებულებები არ იყო მისი მკვლელობაში დასადასტურებლად, პოლიციის მიერ ნერწყვის ნიმუშის მუქარით აღება ჩაითვა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად, რადგან სასამართლოს ნებართვა, რომლის საფუძველზეც იქნა ნიმუში აღებული, არ იყო საკმარისად დასაბუთებული და კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს ეწინააღმდეგებოდა⁵⁸. ამასთანავე, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ 2011 წელს სერბეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მკაფიოდ განისაზღვრა ნიმუშის აღების პროცედურები, რაც წინამორბედ კოდექსში დეტალურად არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებებით, თავად სახელმწიფოც აღიარებდა მისი წინა საპროცესო კანონმდებლობის ხისტი მიდგომას⁵⁹. საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეზე განმცხადებლის ბინის ჩხრეკის ნაწილში, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დადგინდა, ხოლო ნერწყვის ნიმუშის აღების მხრივ, ცალსახად დაადასტურა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მიჩნეულ იქნა, რომ განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი⁶⁰.

⁵⁸ იქვე, paragraph 80.

⁵⁹ იქვე, paragraph 83.

⁶⁰ იქვე, paragraph 84.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ აუცილებელია დაცული იქნეს ბალანსი უფლების შეზღუდვასა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესს შორის, რომლის უზრუნველყოფა ევალება სახელმწიფოს, არა მარტო კონკრეტული ქმედებით, არამედ ისეთი საკანონმდებლო ნებსრიგის შექმნით, რომელიც დაიცავს პიროვნებას, მათ შორის ბრალდებულს გაუმართლებელი და გადამეტებული ჩარევისაგან მის უფლებებში, ასევე უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებების სრულყოფილი სამართლებრივი დაცვა. ასეთი საკანონმდებლო ბაზა უნდა არსებობდეს, როგორც ეროვნული კანონმდებლობის დონეზე, ისე საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების სახით. არსებობს იმის საფრთხე, რომ საერთაშორისო დონეზე დნმ-ის მონაცემების მიმოცვლის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოში დაცული ვერ იქნება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რადგან ნიმუშის გადაცემით სახელმწიფო კარგავს ბერკეტს უზრუნველყოს გადაცემული ნიმუშის სათანადო დაცვა და მხოლოდ მიმღები სახელმწიფოს კეთილსინდისიერების იმედად უნდა იყოს. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რეკომენდაცია №R(92)1⁶¹, რომელიც არეგულირებს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) ანალიზის გამოყენებას სისხლის სამართლის სფეროში და ევროსაბჭოს გადანყვეტილება №2008/615/JHA⁶², რომლებიც ადგენენ დნმ-ის ნიმუშების გამოყენებისა და შენახვის წესებს. აღნიშნული დოკუმენტებით დადგენილია საერთაშორისო დონეზე დნმ-ის ნიმუშების დაცვის პროცედურები.

დნმ-ის ნიმუშის შენახვის ვადასთან და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე *Case Of S. And Marper v. The United Kingdom*⁶³, რომელშიც განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ერთ შემთხვევაში შეწყდა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, განმცხადებელი გამართლდა. მიუხედავად საქმეებზე გამოძიების შეწყვეტისა და პირის გამართლებისა, სახელმწიფომ განაგრძო მათი თითის ანაბეჭდების,

⁶¹ The use of analysis of deoxyribonucleic acid (DNA) within the framework of the criminal justice system, ExpRec (92) 1, Adopted by the Committee of Ministers at the 470th meeting of the Ministers' Deputies, 10 February 1992. <https://search.coe.int> (07.07.2025).

⁶² Council Decision №2008/615/JHA (23 June 2008), on the stepping up of cross-border cooperation, particularly in combating terrorism and cross-border crime, Official Journal of the European Union. <https://eur-lex.europa.eu> (07.07.2025).

⁶³ Case of S. And Marper v. The United Kingdom, Decision №30562/04 and 30566/04 (4 December 2008). <https://hudoc.echr.coe.int> (S. And Marper v. The United Kingdom, 2008).

უჯრედული ნიმუშებისა და დნმ-ის პროფილების შენახვა. აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებლები აპელირებდნენ იმ საკითხზე, რომ, მიუხედავად გამართლებისა და მათ მიმართ გამოძიების შეწყვეტისა, ნიმუშების შენახვა თითქოს ისევ ეჭვმიტანილის სტატუსს სძენდა მათ⁶⁴, შესაბამისად, მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რადგან დასახელებული ნიმუშებით ადვილი შესაძლებელი იყო მათი პიროვნული იდენტიფიცირება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ თითის ანაბეჭდების, უჯრედული ნიმუშებისა და დნმ-ის პროფილების განუსაზღვრელი ვადით შენახვა დანაშაულის პრევენციის მიზნით, არ შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“⁶⁵. საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც ეჭვმიტანილების და შემდგომ გამართლებული პირების დნმ-ის ნიმუშების შენახვა არის არაპროპორციული და არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში⁶⁶.

ზემოაღნიშნული მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა, რადგან ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გენეტიკური პროფილი დნმ-ის მონაცემთა ბაზაში ინახება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, აღნიშნული გენეტიკური პროფილი დნმ-ის მონაცემთა ბაზიდან იშლება იმავე პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი პირის მოთხოვნის საფუძველზე“⁶⁷, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს დნმ-ის ნიმუშის აღებას, როგორც არაბრალდებული პირისაგან, აგრეთვე შემთხვევის ადგილიდან, გვამიდან და ა.შ.⁶⁸ როგორც დასახელებული კანონი განსაზღვრავს, შესაძლებელია, რომ არაბრალდებული პირისაგან აღებული დნმ-ის ნიმუში შენახულ იქნეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას უჩნდება უფლება მიმართოს იმ ორგანოს, სადაც ინახება მისი ბიოლოგიური ნიმუში, მოცემულ შემთხვევაში, სსიპ – ლევან სამ-

⁶⁴ იქვე, Paragraph 21.

⁶⁵ იქვე, Paragraph 88.

⁶⁶ იქვე, Paragraph 125.

⁶⁷ საქართველოს კანონი „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“, მე-7 მუხლის მე-5 ნაწილი.

⁶⁸ იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

ხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს მისი ნაშლა. აღნიშნული დათქმა კანონმდებლობისა, თითქოს ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას იმ ნაწილში, რომ, მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებისა, დნმ-ის ნიმუშის ნაშლა ავტომატურად არ ხდება და საჭიროებს პირის მიმართვას, რაც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, ვერ განხორციელდეს, რადგან შესაძლებელია პირმა არც იცოდეს მისი ნიმუშის შენახვის ვადების შესახებ, რადგან კანონით მისთვის შეტყობინების წესი არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ის დათქმა, რომ არაბრალდებულ პირს მისგან აღებული ნიმუშის ნაშლის მოთხოვნის უფლება უჩნდება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებიდან 10 წლის შემდგომ და ისიც იმ შემთხვევაში წაიშლება, თუ პირმა მიმართა შემნახველ ორგანოს, თითქოს უთანაბრდება დნმ-ის ნიმუშის უვადოდ შენახვას, ისე როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში – *Case Of S. And Marper v. The United Kingdom* იყო აღწერილი. ვინაიდან, როგორც აღინიშნა, არც საქართველოს კანონმდებლობით არ არის შეტყობინების ვალდებულება განსაზღვრული, რომ 10 წლის გასვლის შემდეგ, პირს ეცნობოს მისი უფლების შესახებ, მიმართოს ნიმუშის შემნახველ ორგანოს მისი ნაშლის/განადგურების მოთხოვნით, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ადამიანის ძირითად უფლებებთან, მითუმეტეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით, არის განსაკუთრებით სენსიტიური და საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებას.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ სამართალდაცვით ღონისძიებებს ყოველთვის თან სდევს ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა და უფლებების შეზღუდვა, აღნიშნული კი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამართალდამცავი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში განხორციელებული საგამოძიებო თუ საპროცესო ღონისძიებების დროს.

სახელმწიფოს აკისრია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება, ხოლო აღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მისი მხრიდან არ უნდა ირღვეოდეს ადამიანის ძირითადი უფლებები და არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ დანაშაულის გახსნაზე და დამნაშავის იდენტიფიცირებაზე

აპელირება ადამიანის უფლებებში არაპროპორციული და გაუმართლებელი ჩარევის გასამართლებლად. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბალანსი ადამიანის დაღვეული უფლების აღდგენასა და დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის გატარებულ სამართალდაცვით ღონისძიებებს შორის.

განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ მიუხედავად სახელმწიფო ინტერესისა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება წარმართოს ეფექტიანად, იგი ყოველთვის წინააღმდეგობაში მოდის ფუნდამენტურ უფლებებთან, რომელთა შეზღუდვა და რომელში ჩარევაც უნდა იყოს პროპორციული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ლეგიტიმური მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ყოველივე აღნიშნული არ უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ მოხდეს ადამიანის უფლებების უსაფუძვლო და გაუმართლებელი შეზღუდვა, თუნდაც ბუნდოვანი საკანონმდებლო წესრიგის შექმნის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.

საქართველოს კანონი „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“, *საკანონმდებლო მაცნე*, 336-IIIს-XIმპ, 04/03/2025.

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, *საკანონმდებლო მაცნე*, 3144-XIს-Xმპ, 14/06/2023.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, *საკანონმდებლო მაცნე*, 1772, 09/10/2009.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №192, ბიოლოგიური ნიმუშის აღების, განადგურების, ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირების, გენეტიკური პროფილის დამუშავებისა და გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ, *საკანონმდებლო მაცნე*, №192, 2025 წლის 30 მაისი.

ძართუენოვანი ლიტერატურა

გოგიჩაძე, გ., გედენიძე, ა., ჭუმბურიძე, ჯ. (2009). სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება №3/6/1846 (24 ივნისი, 2025) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესუო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Westermarck, H., Aronovitz, A., Curran, J., Fausch, I., Fournier, J., Hohenecker, L., Kleczewski, A., Pretelli, I., Polanco Lazo, R., Topaz Druckman, K., Viennet, C., Went, F., Zheng, J. (2020). The Regulation of the Use of DNA in Law Enforcement. <https://www.isdc.ch> (30.06.2025).

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

Act on the establishment of a central DNA profile register, *LAW*, №434 of 31/05/2000, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

Act amending the Act on the Establishment of a Central DNA Profile Register and the Administration of Justice Act, *LAW*, №369 of 24/05/2005, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.XI.1950. <https://www.echr.coe.int> (07.07.2025).

Criminal Data Protection Act (2018:1177), Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).

Criminal Records Act (1998:620), Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (03.07.2025).

Criminal Code (1962:700), Ministry/authority: Ministry of Justice L5 Issued: 1962-12-21 Amended: until SFS 2025:638, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

Council Decision №2008/615/JHA (23 June 2008), on the stepping up of cross-border cooperation, particularly in combating terrorism and cross-border crime, Official Journal of the European Union. <https://eur-lex.europa.eu> (07.07.2025).

Danish Penal Code, LBK №871 of 04/07/2014, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (29.09.2025).

The use of analysis of deoxyribonucleic acid (DNA) within the framework of the criminal justice system, ExpRec (92) 1, Adopted by the Committee of Ministers at the 470th meeting of the Ministers' Deputies, 10 February 1992. <https://search.coe.int> (07.07.2025).

The Swedish Code of Judicial Procedure, Departmental series 1998:65, Chapter 28, section 12, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

უცხოენოვანი სტატიები

Armentrout, P. (3 May 2015), Parabon's Snapshot DNA Phenotyping Service Helps Calcasieu Parish Sheriff's Office Redirect Investigation into Sierra Bouzigard's Cold Case. <https://parabon-nanolabs.com> (29.09.2025).

Kayser, M., Schneider, P. M. (2009). DNA-based prediction of human externally visible characteristics in forensics: Motivations, scientific challenges, and ethical considerations, Official journal of the International Society for Forensic Genetics (ISFG). <https://www.sciencedirect.com> (30.06.2025).

Muñoz, H., Fiodorova, A. (2014). DNA and Law Enforcement in the European Union: Tools and Human Rights Protection, Utrecht Law Review. <https://utrechtlawreview.org> (26.09.2025).

Russell, B. A. (24 July 2017). Man arrested in 2009 killing of Sierra Bouzigard. <https://www.kplctv.com> (29.09.2025).

ევროსაგარეოლს გადაწყვეტილებები

Case of Dragan Petrovic v. Serbia, Decision №75229/10 (14 April 2020). <https://hudoc.echr.coe.int> (29.09.2025).

Case of S. And Marper v. The United Kingdom, Decision №30562/04 and 30566/04 (4 December 2008). <https://hudoc.echr.coe.int> (S. And Marper v. The United Kingdom, 2008).

LEGAL DILEMMAS IN DNA SAMPLE COLLECTION AND USE IN INVESTIGATIVE PRACTICE

ILIA KHUTSISHVILI

Ph.D. Programme in Law, Doctoral Student

New Vision University

ilia_khutsishvili@yahoo.com

Abstract. Today, there are many means of identifying a person, including digital technologies, as well as biological and forensic traceological methods. Identifying the possible perpetrator of a crime is an important issue for the investigation of a criminal case, crime prevention, and prosecution, as it facilitates the solving of crimes and also has a preventative nature. On March 4, 2025, the Parliament of Georgia adopted the law "On the DNA Database", which is an entirely new development for the Georgian legislation and, moreover, a significant legislative regulation for the keeping a register of biological samples in investigative practice. The adoption of this law regulated, at the normative level, the rules for the registration, use, and deletion of DNA samples (biological material) taken from accused and non-accused persons during the investigation of a criminal case in a special register. However, since this is new for Georgia, there is a risk that the legislation, in terms of regulating certain issues, may come into conflict with fundamental human rights due to practical barriers and gaps.

In this regard, it is important to clearly define the ground for the automatic deletion of a non-accused person's DNA sample, as stipulated in Article 3, Part 2 of the Law of Georgia "On the DNA Database". This is because, according to Article 7, Paragraph 5 of the same law, a person only gains the right to request deletion 10 years after the final decision is announced in the criminal case, and the sample is deleted only if the person applies to the storage authority with a deletion request. This equates to the indefinite storage of the sample. The European Court of Human Rights established a violation of the right protected by Article 8 of the European Convention on precisely such an issue. Furthermore, this paper discusses the Decision No. 3/6/1846 of the Constitutional Court of Georgia concerning the constitutionality of the 8th sentence of Article 144, Part 3 of the Criminal Procedure Code of Georgia, which specifically addresses taking

of DNA samples from a non-accused person. Primarily historical, formal-logical, and comparative legal methods were used as the research methodology for the aforementioned paper.

Keywords: *DNA Database, Personal Data, Non-accused Person*

REFERENCES

LEGISLATIVE ACTS

Constitution of Georgia, *Legislative Herald*, 24/08/1995.

Law of Georgia „On DNA Database“, *Legislative Herald*, 336-IIms-XImp, 04/03/2025.

Law of Georgia „On Personal Data Protection“, *Legislative Herald*, 3144-XIMs-XMP, 14/06/2023.

Criminal Procedure Code of Georgia, *Legislative Herald*, 1772, 09/10/2009.

Resolution of the Government of Georgia №192, On approval of the procedure for taking, destroying, profiling, processing and exchanging biological samples, genetic profiles, *Legislative Herald*, May 30, 2025.

GEORGIAN LITERATURE

Gogichadze, G., Gedenidze, A., Chumburidze, J. (2009). Explanatory Dictionary of Medical Terminology.

DECISIONS OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

Constitutional Submission of the Tetritskaro District Court №3/6/1846 (24 June 2025), on the Constitutionality of Article 144, Part 3, Sentence 8 of the Criminal Procedure Code of Georgia.

FOREIGN LITERATURE

Westermarck, H., Aronovitz, A., Curran, J., Fausch, I., Fournier, J., Hohenecker, L., Kleczewski, A., Pretelli, I., Polanco Lazo, R., Topaz Druckman, K., Viennet, C., Went, F., Zheng, J. (2020). The Regulation of the Use of DNA in Law Enforcement. <https://www.isdc.ch> (30.06.2025).

INTERNATIONAL LEGISLATIVE ACTS

Act on the establishment of a central DNA profile register, *LAW*, №434 of 31/05/2000, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).

- Act amending the Act on the Establishment of a Central DNA Profile Register and the Administration of Justice Act, *LAW*, №369 of 24/05/2005, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (30.06.2025).
- Act (2018:1693) on the processing of personal data by the police within the scope of the Criminal Data Protection Act, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).
- Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4.XI.1950. <https://www.echr.coe.int> (07.07.2025).
- Criminal Data Protection Act (2018:1177), Ministry of Justice, <https://www.riksdagen.se/sv> (30.06.2025).
- Criminal Records Act (1998:620), Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (03.07.2025).
- Criminal Code (1962:700), Ministry/authority: Ministry of Justice L5 Issued: 1962-12-21 Amended: until SFS 2025:638, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).
- Council Decision №2008/615/JHA (23 June 2008), on the stepping up of cross-border cooperation, particularly in combating terrorism and cross-border crime, *Official Journal of the European Union*. <https://eur-lex.europa.eu> (07.07.2025).
- Danish Penal Code, LBK, №871 of 04/07/2014, Ministry of Justice. <https://www.retsinformation.dk> (29.09.2025).
- The use of analysis of deoxyribonucleic acid (DNA) within the framework of the criminal justice system, ExpRec (92) 1, Adopted by the Committee of Ministers at the 470th meeting of the Ministers' Deputies, 10 February 1992. <https://search.coe.int> (07.07.2025).
- The Swedish Code of Judicial Procedure, Departmental series 1998:65, Chapter 28, section 12, Ministry of Justice. <https://www.riksdagen.se/sv> (04.07.2025).

FOREIGN ARTICLES

- Armentrout, P. (3 May 2015). Parabon's Snapshot DNA Phenotyping Service Helps Calcasieu Parish Sheriff's Office Redirect Investigation into Sierra Bouzigard's Cold Case. <https://parabon-nanolabs.com> (29.09.2025).
- Kayser, M., Schneider, P. M. (2009). DNA-based prediction of human externally visible characteristics in forensics: Motivations, scientific challenges, and ethical considerations, *Official journal of the International Society for Forensic Genetics (ISFG)*. <https://www.sciencedirect.com> (30.06.2025).

Muñoz, H., Fiodorova, A. (2014). DNA and Law Enforcement in the European Union: Tools and Human Rights Protection, *Utrecht Law Review*. <https://utrechtlawreview.org> (26.09.2025).

Russell, B. A. (24 July 2017) Man arrested in 2009 killing of Sierra Bouzigard. <https://www.kplctv.com> (29.09.2025).

DECISIONS OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

Case of Dragan Petrovic v. Serbia, Decision №75229/10 (14 April 2020). <https://hudoc.echr.coe.int> (29.09.2025).

Case of S. And Marper v. The United Kingdom, Decision №30562/04 and 30566/04 (4 December 2008). <https://hudoc.echr.coe.int> (S. And Marper v. The United Kingdom, 2008).

კონსტიტუციონალიზმის
სილუეტები

SILHOUETTES OF
CONSTITUTIONALISM

საკონსტიტუციო კონტროლის ანარქიკალიზმი XIX საუკუნის ქართულ კულტურისტიკაში*

კონსტიტუციას უნოდებენ იმნაირ წესს მართებლობისას, რომლითა ხელმწიფის უფლება გარშემოზღრულია ხალხისგან ამორჩეულ დეპუტატებისაგან...

ილია ჭავჭავაძე

„საქართველოს მოამბე“. 1863 წელი. ტომი I. 12 იანვარი

პარლამენტისანი სახელმწიფოების კანონებს, რომელშიაც არის გამოხატული როგორც პარლამენტის, ისე ხელმწიფის სიმართლე და სახელმწიფოს დაწყობილების საზოგადო საფუძვლები, ეძახიან „კონსტიტუციას“. სახელმწიფოსა და ხელმწიფეს ამ შემთხვევაში ჰქვია „კონსტიტუციული სახელმწიფო“, „კონსტიტუციული ხელმწიფე“.

„საქართველოს მოამბე“. 1863 წელი. № XI

კონსტიტუციურს უნოდებენ იმ მმართველობას, რომელშიაც ხელმწიფის უფლება გარეშეზღრულია კონსტიტუციით. კონსტიტუცია ანუ ხარტია არის წესდება, რომელიც განსაზღვრავს ხალხის და ხელმწიფის უფლებას. ამგვარ წესდებას ურთიერთის თანხმობით ხელმწიფე და ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები შეადგენენ და დაამტკიცებენ. კონსტიტუციური მმართველობა არსებობს ყოველს ევროპის სახელმწიფოებში...

ნიკო ნიკოლაძე

„დროება“. 1866 წელი. 29 აპრილი (11) მაისი, 6 (18) მაისი, 13 (25) მაისი

* წინამდებარე რუბრიკაში წარმოდგენილი ძვირფასი მასალა XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან არის მოძიებული და გამოყენებული. უფრო ვრცლად იხილეთ: XIX საუკუნის საქართველო ევროპული სამართლებრივი კულტურის მაგისტრალზე. მასალები და ილუსტრაციები მოიძიეს, რედაქციულად დაამუშავეს, კომენტარი დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს მინდია უგრეხელიძემ და ბექა ქანთარიაძემ. წიგნი I და II. 2024 წელი (რედ.).

ვისაც მსაჯულად ნიშნენენ, ის უნდა იყოს იურიდიკულად განათლებული, იმან უნდა იცოდეს მართო კანონების სიტყვები კი არა, მას უნდა ესმოდეს სჯულისმდებელობის აზრი და საზოგადო კონსტიტუციის კანონებთან კერძობითი კანონების კავშირი. მსაჯულს შეუძლიან დასდევას გადანყვეტილება, დაფუძნებული კერძობითს კანონებზედ კი არა, საზოგადო კონსტიტუციის მოთხოვნილებაზედ; იმას უფლება აქვს, რომ გამოაცხადოს, ესა და ეს კანონი კონსტიტუციის ნინაალმდეგაო და საქმეებში ამითი ხელთმძღვანელობა არ შეიძლებაო. მოხდება კიდევ ამგვარი საქმეებიცა: ვსთქვათ რომ სენატმა ანუ დეპუტატთ კრებამ დასდვა რომელიმე კანონი; თუ ხალხმა ნახა, რომ ეს კანონი არ ეთანხმება კონსტიტუციას, წავა და მსაჯულს შესჩივლებს ამ კანონზედ. მსაჯული საქმეს განიხილავს და თუ ხალხის საჩივარს სამართლიანად იცნობს, მაშინ კანონს დაეკარგება ვალდებულებითი ძალა და ცოტ-ცოტად გამოდის ხმარებისაგან. აქედამ სჩანს, რომ მსაჯულს დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ მისგან მოითხოვება უმაღლესი კეთილ-სინიდიანიობა, უმაღლესი იურიდიკული განათლება და დამოუკიდებლობა. აი, ამას სცდილობენ ამერიკაში, ამისთვის ირჩევენ უბრალოს, ხალხის საყვარელს კაცებს კი არა, იურისტებს, გამოცდილს კაცებს...

„დროება“. 1866 წელი. 18 (30) ნოემბერი

ჩვენ ყველანნი ვსარგებლობთ კონსტიტუციით, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი სრული თავისუფლება. ეს იმ გვარი სამღრთო მადლი და კეთილია, რომელიც ჩვენ არასდროს არ უნდა დავსთმოთ. ყველამ უნდა დაიცვას ეს თავის სარგებლობისთვის, შთამომავლობისთვის და მთელის ქვეყნის სასარგებლოდ. ვისაც ამ კონსტიტუციის წაკითხვა არ შეუძლიან, ვისაც არ ეყურება იმისი დაწესებანი, ვისაც არ შეუძლიან დაიცვას და ახსნას იმისი უმთავრესი აზრები, ის არ არის ამერიკის მოქალაქე. ის არაფრით არ იქნება უკეთესი იმ კაცზედ, რომელსაც არა სურს თავისი სიცოცხლე შესწიროს ამ კონსტიტუციას.

„დროება“. 1866 წელი. 26 აგვისტო (7 სექტემბერი)

გრანტის სიტყვებიდგან ჩანს, რომ ცდილობს თავისა და კანონების დამანესებელი უფლების შუა იყოს სრული თანხმობა. ისა ჰპირდება, ვიქნები პირველი მოქალაქე და კანონებსაც სიმართლით ავასრულებო. თუ რომელიმე განკარგულება რითიმე უხერხოთ მეჩვენება, მაშინ ვიხმარებ ჩემს კონსტიტუციისაგან მოცემულს უფლებას და დავსდებ „veto“-საო. მაგრამ ამასაც უმატებს მაშინვე, რომ კანონებს კი წმინდათ ავასრულებ, თუნდა მომწონდეს და თუნდა არაო. „კანონე-

ბი იმიტომ არიან შექმნილნი, რომ ყველანი ასრულებდნენ, თუნდა მოსწონდეთ, თუნდა არაო“.

*ამერიკის პრეზიდენტი გრანტი
„დროება“. 1869 წელი. 27 მარტი (8 აპრილი)*

კონსტიტუცია ანებს ყოველი მოქალაქის პიროვნებით თავისუფლებას და იმათ უფლებაების დაცვას. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია გვაძლევს ჩვენ საზოგადო და ნამდვილი წარმატების იმედს. სამოქალაქო თავისუფლება ახსნილია და დაწესებულია კონსტიტუციაში ისე ნათლად, რომ იმის დარღვევა შესაძლებელი არ არის. ...ჩვენ მჭიდროთ უნდა დავადგეთ კონსტიტუციის გზას...

*მინერილობა სენატორებისა (სერბია. ბელგრადი. 2 ივლისს, 1869 წელი)
„დროება“. 1869 წელი. 31 ივლისი (12 აგვისტო)*

კანონმდებლობითი დაწესებულება არ არიან შეუცდომელნი თავიანთ მოქმედებებში, ისინი არ მოქმედებენ ესრედ ვსთქვათ სულის წმინდის ძალით, რომელ ყოველ მათ მოქმედებას ერტყას ბეჭედი შეუცდომლობისა; ამისთვის ყოველ კეთილდანიყობილ სახელმწიფოში არსებობს ანუ უნდა არსებობდეს იმგვარი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს გასწორება ზემოთქმულ კანონმდებლობითისა შეცდომილებისა...

„დროება“. 1873 წელი. 2 ნოემბერი

იმპერატორს, მაგალითისებრ, არა აქვს უფლება უარჰყოს იგი კანონი, რომელიც დაანესა რეისტატმა და მოზავეთა საბჭომ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ, თუმცა კანონით ეს ასეა, კანონის ძალით იმპერატორის უფლება განსაზღვრულია, მაგრამ ნამდვილად კი იმპერატორს არც მოზავეთა საბჭოს, არც რეისტატს არავითარი ღონისძიება არა აქვთ, კონსტიტუციით მინიჭებული, ძალა დაატანონ იმპერატორს უსათუოდ დაამტკიცოს და მოქმედებაში მოიყვანოს მათ მიერ დაწესებული კანონი. იმპერატორს ყოველთვის შეუძლიან თქვას, რომ იგი კანონი კონსტიტუციის წინააღმდეგიაო, და ამის გამო იგი კანონი უქმად დარჩეს და არ გამოცხადდეს...

„ივერია“. 1877 წელი. 17 მარტი

ყველაზე უმაღლ ჩვენი სახელმწიფო კონსტიტუციური სახელმწიფოა. გესმისთ
თქვენ – რას ნიშნავს კონსტიტუცია?

*მიტჰად ფაშის წერილი სულთანისადმი (ოსმალეთი) იანვრის 23-ს
„დროება“. 1877 წელი. 4 მარტი*

კონსტიტუცია და კანონი უნდა იყოს წმინდათ და შეურყეველად...

*მთავარ ალექსანდრეს პროკლამაცია (სოფია, 27 აპრილს)
„დროება“. 1881 წელი. 30 მაისი*

ნამდვილად კი საზიზღარი დიკტატორი, დამრღვეველი რესპუბლიკური დედა
კანონისა, რომლითაც დიდი ხანია უარყოფილია და გმობილი პიროვნებითი
მმართველობა...

„იმედი“. VII და VIII, ივლისი და აგვისტო, 1881 წელი

სასამართლო სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი დანესებულებაა. სა-
სამართლოს წევრთ სიკვდილამდე ვერავინ ვერ გამოსცვლის. სასამართლოს დი-
დი უფლება აქვს მინიჭებული და შეუძლიან უარჰყოს ის კანონებიც კი, რომელ-
საც შტატები შეინყნარებენ, თუ დაატყვევს, რომ არ შეესაბამება ის კანონები
კონსტიტუციის დედა-აზრსა და კონგრესის გარდამწყვეტილებათა...

„ივერია“. 1887 წელი. 17 სექტემბერი

კონსტიტუცია და რიგი კანონები იმპერიისა და პრუსიისა უნდა იყოს დაცული
და პატივცემული უპირველეს ყოვლისა. დაცული და პატივცემული უნდა იყოს
საკონსტიტუციო დანესებულებანი დიდის სიმტკიცით, იმიტომ რომ ერთხელ და
სამუდამოდ ძვალსა და რბილში გაუჯდეს ერს და ზნედ გადაექცეს პატივის ცემა
და მონიწება საკონსტიტუციო კანონისა...

*იმპერატორ ფრიდრიხ III რესკრიპტი ბისმარკისადმი
„ივერია“. 1888 წელი. 12 მარტი*

დღეს პრუსიის სეიმის სხდომის დაწყებისთანავე იმპერატორმა აღთქმა დასდო, რომ კონსტიტუციის ერთგული ვიქნებო...

*იმპერატორის აღთქმა (ბერლინი)
„ივერია“. 1888 წელი. 17 ივნისი*

კონსტიტუციის ერთგულნი ვიქნებით და ვეცდებით სერბიასა და სხვა სახელმწიფოთა შორის კეთილი განწყობილება დავიცვათ...

*რეგენტების მანიფესტი (ბელგრადი)
„ივერია“. 1889 წელი. 26 თებერვალი*

კონსტიტუცია და თავისუფლება პატივცემულია ჩვენში, რაც მჭევრმეტყველობით ამტკიცებს ჩვენთა დაწესებულებათა სიმტკიცესა და სიკეთეს...

*მეფე ჰუმბერტოს სეფე-სიტყვა (იტალია)
„ივერია“. 1889 წელი. 28 იანვარი*

საკასაციო სასამართლომ (ბელგრადი) გააუქმა სასამართლოში დაწყებული საქმე მილანის წერით შეურაცხმყოფელთა წინააღმდეგ, რადგან აღიარა, რომ ის ბრძანება, რომლითაც მილანს უფლებანი აქვს დაბრუნებული, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

„ივერია“. 1894 წელი. 8 მაისი

პატივს ვცემ რა ერის სურვილსა და აღსავსე ვარ რა პასუხისმგებლობის გრძნობით, ჩემს მოვალეობად ვსთვლი არ უარყო ის უფლებანი, რომელიც კონსტიტუციამ გადმომცა...

*საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის
კაზიმირ პერიეს ეპისტოლედან
„ივერია“. 1894 წელი. 29 ივნისი*

პირველად მაინც მე ვაჩვენებ ხალხს კონსტიტუციისადმი პატივისცემას...

*იმპერატორ ვილჰელმის საუბარი მეცნიერთან (გერმანია)
„ივერია“. 1896 წელი. 28 იანვარი*

ვეცდები ყველამ პატივი სცეს კონსტიტუციას და ვიკისრებ კეთილსინდისიერად შევასრულო ყოველივე ის, რასაც კონსტიტუცია მოითხოვოსო. ...თქვენ იმედი უნდა გქონდესთ ჩემის შეურყეველი გარდამწყვეტილებისა, მოვანდომო მთელი ძალღონე კონსტიტუციის დაცვას...

პრეზიდენტის ლუბეს ეპისტოლეს შესახებ (პარიჟი)

*„ივერია“. 1899 წელი. 10 თებერვალი
„ცნობის ფურცელი“. 1899 წელი. 11 თებერვალი
„ივერია“. 1899 წელი. 11 თებერვალი
„ცნობის ფურცელი“. 1899 წელი. 12 თებერვალი*

სენატი შეუდგა იმ პროექტის განხილვას, რომლის ძალითაც დრეიფუსის საქმის ხელახლა გარჩევის ნება არ უნდა მიეცეს საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას. მაქსიმ ლეკონტმა განაცხადა, რომ პროექტი კონსტიტუციის წინააღმდეგია, იგი აღრღვევს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასაო.

„ცნობის ფურცელი“. 1899 წელი. 18 თებერვალი

MONUMENTA IURIS

ესპანეთის მონარქიის 1812 წლის

19 მარტის კონსტიტუცია*

კარი IV. მეფის შესახებ

თავი I. მეფისა და მისი ხელშეუვალი უფლებამოსილების შესახებ

მუხლი 168. მეფე, როგორც პიროვნება, წმინდა და ხელშეუვალია. დაუშვებელია, მან არასწორად იმოქმედოს.

მუხლი 169. მეფის ტიტულია მისი კათოლიკური უდიდებულესობა.

მუხლი 170. აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ მეფეს ეკუთვნის და მისი უფლებამოსილება ვრცელდება ყველაფერზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 171. კანონების დამტკიცებისა და გამოქვეყნების პრეროგატივის გარდა, მეფეს ასევე გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

1. გამოსცეს ისეთი განკარგულებები, რეგულაციები და დაანესოს შეზღუდვები, რაც მას მიაჩნია აუცილებლად კანონების სრული აღსრულებისთვის;
2. უზრუნველყოს, რომ სამართლიანობა დროულად და სრულად აღსრულდეს მთელ სამეფოში;
3. გამოაცხადოს ომი და გააფორმოს სამშვიდობო ხელშეკრულებები და მოახდინოს მათი რატიფიცირება, ხოლო შემდეგ წარადგინოს ისინი კორტესების სხდომის წინაშე;
4. სახელმწიფო საბჭოს წარდგინებით დანიშნოს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეები;

* დასაწყისი იხ. ჟურნალის პირველ ნომერში (რედ.).

5. მოახდინოს პირების წარდგენა ყველა სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში;
6. სახელმწიფო საბჭოს რეკომენდაციით მოახდინოს პირების წარდგენა სამეფო პატრონაჟის ქვეშ მყოფ ყველა საეპისკოპოსო, ფეოდალურ და საეკლესიო მაღალ თანამდებობაზე;
7. კანონის შესაბამისად მიაწოდოს ყველა სახის ჯილდო;
8. იყოს ყველა საზღვაო და სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი და დანიშნოს გენერლები;
9. იყოლიოს შეიარაღებული ძალები და გაანაწილოს ისინი ყველაზე მისაღები წესით;
10. წარმართოს დიპლომატიური და კომერციული ურთიერთობები უცხო სახელმწიფოებთან და დანიშნოს ელჩები, მინისტრები და კონსულები;
11. მოჭრას მონეტა, რომელზეც დატანილი იქნება მისი ბიუსტი და სახელი და გვარი;
12. მოანესრიგოს სახელმწიფო სახსრების განკარგვა ხაზინის ყველა ნაწილში;
13. მოახდინოს დამნაშავეების შეწყალება კანონის შესაბამისად;
14. შესთავაზოს კორტესებს კანონების შემუშავება ან გაუქმება, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ერის საერთო კეთილდღეობას, რათა კორტესებმა შეძლოს საკითხზე დებატები დადგენილი ფორმის შესაბამისად;
15. კორტესების თანხმობით დაუშვას ან აკრძალოს საეკლესიო საბჭოების განკარგულებების და საეკლესიო ინსიგნიების და პირადი აღჭურვილობის შესახებ დადგენილებების გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავს ზოგადი იმპორტის შესახებ დებულებებს; თუ ისინი ეხება იმ კონკრეტულ საქმეებს ან საკითხებს, რომლებიც მთავრობის საზრუნავს წარმოადგენს, მიიღოს სახელმწიფო საბჭოს რჩევა; ხოლო თუ ისინი ეხება ან მოიცავენ სასამართლო დავის სუბიექტებს, იუსტიციის უზენაესი სასამართლო იღებს იურისდიქციას მის განსახილველად და კანონის შესაბამისად გამოსცემს შესაბამის განკარგულებას;
16. დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს სახელმწიფო მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები.

მუხლი 172. მეფეს გააჩნია შემდეგი შეზღუდვები მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით:

1. მეფემ არავითარი საბაბით არ უნდა შეაფერხოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვადებში გამართული კორტესების სხდომა, შეაჩეროს ან დაითხოვოს ის და არც რაიმე სახით ხელი შეუშალოს მის სხდომებსა და განხილვებს. ისინი, ვინც აღნიშნულში მონაწილეობენ მეფის რჩევითა თუ დახმარებით, ცხადდებიან მოლაღატეებად და ისჯებიან, როგორც მოლაღატეები;
2. მეფე არ უნდა გავიდეს სამეფოდან კორტესების თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა გვირგვინზე;
3. მან არ უნდა გაასხვისოს, მიანიჭოს სხვას, უარი თქვას ან გადასცეს სხვას, რაიმე ფორმით, სამეფო ხელისუფლება ან მისი რომელიმე პრეროგატივა. თუ რაიმე მიზეზით მას სურს უარი თქვას გვირგვინზე მისი მომავალი მემკვიდრის სასარგებლოდ, ის ვალდებულია მიიღოს კორტესების თანხმობა ამასთან დაკავშირებით;
4. მან არ უნდა გაასხვისოს, გადასცეს სხვას ან სხვას გაუცვალოს რომელიმე პროვინცია, ქალაქი, დაბა ან ესპანეთის ტერიტორიის რომელიმე სხვა ნაწილი, რაც არ უნდა მცირე იყოს მისი ფართობი;
5. კორტესების თანხმობის გარეშე მან არ უნდა შექმნას ალიანსი სამხედრო თავდასხმისთვის და არ გააფორმოს ვაჭრობის სპეციალური ხელშეკრულება რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან;
6. კორტესების თანხმობის გარეშე, საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, მან არ უნდა მიანოდოს მარაგები უცხო სახელმწიფოს;
7. კორტესების თანხმობის გარეშე მან არ უნდა გადასცეს სხვას ან გაასხვისოს სახელმწიფო ქონება;
8. თავისი ერთპიროვნული უფლებამოსილებით მას არ შეუძლია დააკისროს ვინმეს რაიმე საგადასახადო ვალდებულება, პირდაპირი თუ ირიბი, ან მოითხოვოს რაიმე სახის და დასახელების მარაგი, ან მარაგი რაიმე ობიექტისთვის; არამედ, სახელმწიფო სახსრების ყველა სახის განაწილება უნდა მართოს კორტესებმა;
9. მან არ უნდა მიანიჭოს რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია რომელიმე პირს ან პირთა გაერთიანებას;
10. მან არ უნდა მიისაკუთროს რომელიმე პირის ან პირთა გაერთიანების ქონება, ხელი არ უნდა შეუშალოს ქონების თავისუფალ ფლობას, გამოყენებას და მისგან სარგებლის მიღებას; ხოლო, თუ ნებისმიერ დროს, საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტისთვის საჭირო გახდა რომელიმე ფიზიკური პირისთვის ქონების ჩამორთმევა, ამ ფიზიკურ პირს უნდა მიეცეს შესაბამისი

ანაზღაურება ან გადაეცეს ამ ქონების ეკვივალენტი ღირებულების ქონება, რომელიც ფასდება კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი პირების მიერ;

11. მან არ უნდა ჩამოართვას თავისუფლება არცერთ ფიზიკურ პირს და არც ერთპიროვნული ძალაუფლების გამოყენებით დასაჯოს იგი რაიმე სასჯელით. სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ასეთ ბრძანებას და მოსამართლე, რომელიც აღასრულებს მას, პასუხს აგებენ ერის წინაშე და ისჯებიან, როგორც პირადი თავისუფლების დამრღვევი პირები. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს კეთილდღეობა და უსაფრთხოება, რა შემთხვევაშიც მეფეს შეუძლია გასცეს ბრძანება ნებისმიერი პირის დაკავების შესახებ იმ პირობით, თუ ეს პირი ორმოცდარვა საათის განმავლობაში გადაეცემა კომპეტენტური იურისდიქციის მქონე სასამართლოს ან მოსამართლეს;
12. დაქორწინებამდე მეფემ ამის შესახებ უნდა შეატყობინოს კორტესებს მისგან თანხმობის მიღების მიზნით, ხოლო თუ ის არ დაიცავს ამ წესს, ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა გვირგვინზე.

მუხლი 173. კორტესები განაგებს მეფის ტახტზე ასვლას ან, თუ ის არასრულწლოვანია, ადგენს დროს, როდესაც მან უნდა აიღოს მართვის სადავეები და დადოს ფიცი შემდეგი სიტყვებით:

მე, ი.ნ., (მეფის სახელი) ღვთის მაღლითა და ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციის ძალით, ესპანეთის მეფე, ვფიცავ ღმერთისა და წმინდა სახარებების წინაშე, რომ დავიცავ და შევინარჩუნებ რომაულ კათოლიკურ და სამოციქულო რელიგიას და არ დავუშვებ სხვა რელიგიას სამეფოში; რომ მხარს დავუჭერ ესპანეთის მონარქიის კონსტიტუციას და კანონებს და უზრუნველვყოფ მათ დაცვას და რომ ყველა ჩემი ქმედება მიმართული იქნება სიკეთისა და კეთილდღეობისკენ; რომ მე არ გავასხვისებ, არ გადავცემ სხვას ან არ გამოვაკლებ სამეფოს მის რომელიმე ნაწილს; რომ მე არასოდეს მოვიტხოვ რაიმე პროდუქტს, ფულს ან რაიმე სხვას, რაც არ იქნება განსაზღვრული კორტესების მიერ; არავის ჩამოვართმევ მის ქონებას; და, უპირველეს ყოვლისა, რომ პატივს ვცემ სახელმწიფოებრივ და ინდივიდუალურ თავისუფლებას: და თუ მე ვიმოქმედებ ჩემი ფიცის ან მისი რომელიმე ნაწილის საწინააღმდეგოდ, ჩემი ბრძანებები არ შესრულდება და ყველა ასეთი აქტი იქნება ბათილი. ღმერთი დამეხმარება და დამიფარავს, თუკი ჩემი ფიცის ერთგული ვიქნები, ხოლო თუ დავარღვევ ფიცს, პასუხს ვაგებ ამაზე!

თავი II. გვირგვინის მემკვიდრეობის შესახებ

მუხლი 174. დაუშვებელია ესპანეთის სამეფოს დანაწილება; კონსტიტუციის გამოკვეყნებიდან ტახტის მემკვიდრე ყოველთვის შეირჩევა ტახტის კანონიერი, მამრობითი თუ მდედრობითი სქესის შთამომავლებიდან, პირველშობილობის წესის დაცვით.

მუხლი 175. მას, ვინც კანონიერ ქორწინებაში არ არის დაბადებული, უფლება არ აქვს იყოს ესპანეთის მეფე.

მუხლი 176. მამრობითი სქესის წარმომადგენლებს უპირატესობა ენიჭებათ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, ხოლო იმავე წოდების უფროსი ასაკის პირებს ყოველთვის ენიჭებათ უპირატესობა უმცროსი ასაკის პირებთან შედარებით; თუმცა უფრო ახლო სანათესავო შტოს ან წოდების მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ენიჭებათ უპირატესობა უფრო შორეული შტოს მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით.

მუხლი 177. მეფის ყველაზე უფროსი ვაჟის შვილს, ბიჭს ან გოგოს, თუ მისი მამა გარდაიცვალა გვირგვინის მემკვიდრეობით მიღების გარეშე, უპირატესობა ენიჭება მის ბიძებთან შედარებით და ისინი ითვლებიან მათი ბაბუის უშუალო მემკვიდრეებად, კანონიერი მემკვიდრის უფლებებით.

მუხლი 178. ვიდრე იარსებებს მემკვიდრეობის პირდაპირი შტო, გვირგვინი არ უნდა გადაეცეს მეორე რიგის სანათესავო შტოს.

მუხლი 179. ჩვენი მბრძანებელია ესპანეთის მეფე, დონ ფერდინანდ VII ბურბონების დინასტიიდან, რომელიც ამჟამად მეფობს.

მუხლი 180. ფერდინანდ VII-ის შემდეგ, რომელიც არის ბურბონების დინასტიიდან, მისი კანონიერი, მამრობითი ან მდედრობითი სქესის მემკვიდრეები მიიღებენ გვირგვინს, მათ შემდეგ კი მისი ძმები ან დები, მისი მამის ძმები ან დები და მათი კანონიერი მემკვიდრეები უკვე აღნიშნული წესის მიხედვით, სადაც თითოეულთან მიმართებით, ყურადღება მიექცევა წარმომადგენლობის და პრივილეგიის უფლებას, რომელიც გააჩნია უახლოეს სანათესავო შტოს, უფრო შორეულ სანათესავო შტოსთან შედარებით.

მუხლი 181. კორტესებმა უნდა გამოიციხოს მემკვიდრეობიდან ის პირი ან პირები, რომლებსაც არ გააჩნია მმართველობის უნარები, ან რომლებმაც თავიანთი საქციელით დაიმსახურეს გვირგვინის ჩამორთმევა.

მუხლი 182. იმ შემთხვევაში, თუ აქ მოხსენიებული ყველა სანათესავო შტო გადაუნდება, კორტესები ტახტზე ასასვლელად მოიწვევს სხვა ოჯახს, რომელსაც ის ყველაზე მეტად მიიჩნევს ერის კეთილდღეობისთვის შესაფერისად და რომელიც დაიცავს ტახტის მემკვიდრეობისთვის უკვე დადგენილ წესებს.

მუხლი 183. თუ სამეფო გვირგვინი მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს ან უკვე გადავიდა ქალზე, მას უფლება არ აქვს გათხოვდეს კორტესების წინასწარი თანხმობის გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა სამეფო გვირგვინზე.

მუხლი 184. როდესაც ქალია გვირგვინის მემკვიდრე, მის ქმარს არ უნდა ჰქონდეს არანაირი ძალაუფლება სამეფოზე და არც რაიმე როლი მის მართვაში.

თავი III. მეფის მცირეწლოვნების და სარეგენტოს შესახებ

მუხლი 185. მეფე არასრულწლოვანია, ვიდრე არ გახდება თვრამეტი წლის.

მუხლი 186. მეფის მცირეწლოვნების დროს სამეფოს მართავს სარეგენტო.

მუხლი 187. სამეფოს ასევე მართავს სარეგენტო, თუ მეფე, რაიმე ფიზიკური ან მორალური მიზეზით, ვეღარ ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას.

მუხლი 188. თუ მიზეზი, რომელიც ხელს უშლის მეფეს მართვის სადავეების აღებაში, გაგრძელდება ორ წელზე მეტხანს, კორტესები, ნაცვლად სარეგენტოს დანიშვნისა, უფლებამოსილია სამეფოს რეგენტად (უფლებამოსილის დროებით შემსრულებლად) დანიშნოს მისი მომდევნო მემკვიდრე, მისი სრულწლოვანების შემთხვევაში.

მუხლი 189. იმ შემთხვევაში, თუ გვირგვინს არავინ ფლობს ასტურის პრინციის მცირეწლოვნების დროს, იკრიბება საგანგებო კორტესები იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის არ არის შეკრებილი რიგითი კორტესები. დროებითი სარეგენტო

შედგება დედა-დედოფლისგან, თუ ის ცოცხალია, კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტის ორი დეპუტატისაგან, რომლებიც ყველაზე ადრე იყო არჩეული და სახელმწიფოს ორი უხუცესი მრჩევლისაგან, ანუ საბჭოს თავმჯდომარისგან და ასაკით მისი მომდევნო წევრისგან. თუ დედა – დედოფალი არ არის ცოცხალი, მაშინ სახელმწიფოს მესამე, ასაკით უხუცესი მრჩეველი იქნება სარეგენტოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 190. დროებით სარეგენტოს ხელმძღვანელობს დედოფალი, თუ ის ცოცხალია, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კორტესების მუდმივმოქმედი კომიტეტის ის უხუცესი წევრი, რომელიც ყველაზე ადრე იქნა არჩეული.

მუხლი 191. დროებითმა სარეგენტომ არ უნდა დააჩქაროს არანაირი საქმიანობა, გარდა იმ საქმიანობისა, რომლის შეფერხება დაუშვებელია და მას უფლება აქვს ამისთვის საჯარო თანამდებობაზე დროებით დანიშნოს და საჯარო თანამდებობიდან გაათავისუფლოს პირი.

მუხლი 192. მოწვევის შემდეგ საგანგებო კორტესები ნიშნავს სარეგენტოს, რომელიც შედგება ხუთიდან სამი პირისგან.

მუხლი 193. არავის აქვს უფლება იყოს სარეგენტოს წევრი, თუ არ არის სრულუფლებიანი მოქალაქე; ასევე, გამოირიცხება უცხოელები იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ მიღებული მოქალაქეობა.

მუხლი 194. სარეგენტოს თავმჯდომარეობს მისი ერთ-ერთი წევრი კორტესების წარდგინებით, რომელიც ასევე წყვეტს, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს თუ არა თავმჯდომარეობა ყველა წევრმა მორიგეობით ან სხვაგვარად, და რა წესით.

მუხლი 195. სარეგენტო ახორციელებს სამეფო უფლებამოსილებას კორტესების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 196. დროებითმა და მუდმივმოქმედმა სარეგენტომ უნდა დადოს ფიცი 173(d)-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმით, რომლის დამატებითი პირობის მიხედვით, ის უნდა იყოს მეფის ერთგული. გარდა ამისა, მუდმივმოქმედი სარეგენტო დებს ფიცს, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას ის იმოქმედებს კორტესების მიერ დადგენილ ფარგლებში; ხოლო, როდესაც მეფე გახდება

სრულწლოვანი, ან როდესაც ის აღარ იქნება უუნარო, სარეგენტო მმართველობის სადავეებს გადასცემს მეფეს, ხოლო თუ ამას წუთითაც კი დააყოვნებს, სარეგენტოს წევრები სათანადოდ დაისჯებიან, როგორც მოლაღატეები.

მუხლი 197. სარეგენტოს ყველა აქტი გამოიცემა მეფის სახელით.

მუხლი 198. ეს პირი უნდა იყოს მცირეწლოვანი მეფის მეურვე, რომელიც გარდაცვლილი მეფის მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის იყო დანიშნული თავისი უკანასკნელი ანდერძის საფუძველზე; ხოლო ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში, დედა-დედოფალია მცირეწლოვანი მეფის მეურვე, როდესაც მას გარდაცვლება მეუღლე; ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, ასეთ მეურვეს ნიშნავს კორტესები. პირველ და უკანასკნელ შემთხვევაში მეურვე სამეფოში უნდა იყოს დაბადებული.

მუხლი 199. სარეგენტო უზრუნველყოფს, რომ მცირეწლოვანი მეფისთვის მიცემული განათლება შეესაბამებოდეს მის ღირსებას და შეესაბამებოდეს იმ გეგმას, რომელიც მიიღება კონგრესის მიერ.

მუხლი 200. კორტესებმა უნდა დაადგინოს კომპენსაცია, რომელიც გადაეხდება სარეგენტოს წევრებს.

თავი IV. სამეფო ოჯახისა და ასტურიის პრინციის აღიარების შესახებ

მუხლი 201. მეფის უფროსი ვაჟის ტიტულია ასტურიის პრინცი.

მუხლი 202. მეფის სხვა შვილების ტიტულია ესპანეთის ინფანტა და ინფანტი.

მუხლი 203. ასტურიის პრინციის შვილების ტიტულია, ასევე, ესპანეთის ინფანტი და ესპანეთის ინფანტა.

მუხლი 204. არცერთ სხვა პირს, გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა, არ აქვთ ესპანეთის ინფანტის ან ესპანეთის ინფანტას ტიტული.

მუხლი 205. ესპანეთის ინფანტი ან ესპანეთის ინფანტა სარგებლობენ იმავე პატივისცემითა და ღირსებებით, რითაც აქამდე უსარგებლიათ; მათი დანიშვნა შე-

საძლებელი უნდა იყოს ყველა თანამდებობაზე, გარდა სასამართლოს და კორტესების დეპუტაციის თანამდებობებისა.

მუხლი 206. ასტურიის პრინცი არ ტოვებს სამეფოს კორტესების თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის *ipso facto* (თვით ფაქტის გამო) კარგავს თავის უფლებას სამეფო გვირგვინზე.

მუხლი 207. ის ასევე კარგავს უფლებას სამეფო გვირგვინზე საზღვარგარეთ იმაზე მეტხანს დარჩენის გამო, ვიდრე ეს ნებადართული იყო, ხოლო სამეფოში ხელახლა შესვლის მოთხოვნის შემთხვევაში, ის კარგავს უფლებას სამეფო გვირგვინზე, თუ ის არ დაიცავს კორტესების მოთხოვნას მის მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 208. ასტურიის პრინცი, ინფანტი და ინფანტა, მათი შვილები და შთამომავლები, მეფის ქვეშევრდომობის შემთხვევაში, არ უნდა დაქორწინდნენ/გათხოვდნენ მისი და კორტესების თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაკარგავენ სამეფო გვირგვინის მიღების უფლებას.

მუხლი 209. სამეფო ოჯახის ყველა წევრის დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების მოწმობების დამოწმებული ასლი გადაეცემა კორტესებს; ხოლო თუ კორტესები არ შეიკრიბა, მუდმივმოქმედ კომიტეტს არქივში შესანახად.

მუხლი 210. ასტურიის პრინცს ცნობს კორტესები პრინცად იმ ფორმალობების დაცვით, რომლებიც დადგენილი იქნება მათი შიდა მმართველობის რეგლამენტით.

მუხლი 211. მას პრინცად ცნობს მისი დაბადების შემდეგ შეკრებილი პირველი კორტესები.

მუხლი 212. ასტურიის პრინცი მას შემდეგ, რაც დაასრულებს მეთოთხმეტე წელს, კორტესების წინაშე დებს შემდეგ ფიცს: „მე, ნ. (მისი სახელი, გვარი) ასტურიის პრინცი, ვფიცავ ღმერთისა და წმინდა სახარებების წინაშე, რომ დავიცავ და შევინარჩუნებ რომის კათოლიკურ და სამოციქულო რელიგიას და არ დავუშვებ სხვა რელიგიას სამეფოში; რომ მხარს დავუჭერ კონსტიტუციას და რომ მეფის ერთგული და მორჩილი ვიქნები. ღმერთო, დამეხმარე.“

თავი V. სამეფო ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

მუხლი 213. კორტესებმა უნდა დაანესოს სამეფო ოჯახის ყოველწლიური უზრუნველყოფა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მისი პიროვნების მაღალ ღირსებას.

მუხლი 214. მეფეს ეკუთვნის ყველა ის სამეფო სასახლე, რომლებიც ადრე მის წინამორბედებს ეკუთვნოდათ; ხოლო კორტესები გადასცემს ასეთ მიწებს, ისე, როგორც მას ყველაზე ხელსაყრელად მიაჩნია მეფის კეთილმოწყობის პირობებისთვის.

მუხლი 215. კორტესებმა უნდა განსაზღვროს, თუ რა თანხა უნდა გადაეცეს ყოველწლიურად ასტურიის პრინცს მისი დაბადების დღიდან, ხოლო ინფანტისა და ინფანტასთვის მუდმივი შემოსავლის სახით გადასაცემი თანხა განისაზღვრება იმ დღიდან, როდესაც მათ შეუსრულდება შვიდი წელი, რაც უნდა შეესაბამებოდეს მათ შესაბამის ღირსებებს.

მუხლი 216. კორტესებმა უნდა განსაზღვროს, გათხოვების შემთხვევაში რა თანხა უნდა გადაეცეს ინფანტას მისი მზითვებისთვის; ხოლო ამ თანხის გადახდის შემდეგ, მუდმივი შემოსავლის სახით თანხის ყოველწლიური უზრუნველყოფა ნყდება.

მუხლი 217. თუ ინფანტი დაქორწინდება და იცხოვრებს სამეფოში, ის განაგრძობს მუდმივი შემოსავლის სახით დადგენილი ყოველწლიური თანხის მიღებას; ხოლო თუ ის დაქორწინდება და იცხოვრებს სამეფოს გარეთ, აღნიშნულ თანხას ის ყოველწლიურად აღარ მიიღებს და მას გადაუხდიან მთლიან თანხას, რომელიც უნდა დადგინდეს კორტესების მიერ.

მუხლი 218. მუდმივი შემოსავლის სახით ყოველწლიურ თანხას, რომელსაც უხდიან ქვრივ დედოფალს, განსაზღვრავს კორტესები.

მუხლი 219. სარეგენტოს წევრთა მომსახურების კომპენსაციას იხდიან მეფის ოჯახის წევრთა მუდმივი შემოსავლისთვის განკუთვნილი თანხებიდან.

მუხლი 220. ყოველი მეფობის დასაწყისში კორტესებმა უნდა დაადგინოს თანხები, რომლებიც უნდა გადაუხადონ სამეფო ოჯახს და მეფის ოჯახის წევრებს

მუდმივი შემოსავლის სახით, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ მოცემულ მუხლებში; მეფობის პერიოდში დადგენილი თანხების ცვლილება დაუშვებელია.

მუხლი 221. ყველა ამ თანხის გადახდა მოხდება ეროვნული ხაზინიდან მეფის მიერ ამ მიზნით დანიშნული ადმინისტრატორისთვის, რომელიც ახორციელებს ყველა ანგარიშსწორებას.

თავი VI. სახელმწიფო მინისტრების შესახებ

მუხლი 222. სახელმწიფოში არსებობს შვიდი მინისტრი, კერძოდ:

ერთი – საგარეო ურთიერთობისთვის;

ერთი – ნახევარკუნძულისა და მომიჯნავე კუნძულების დეპარტამენტისთვის;

ერთი – ზღვისიქითა სამფლობელოების დეპარტამენტისთვის;

ერთი – იუსტიციისა და დაცვის დეპარტამენტისთვის;

ერთი – ფინანსური დეპარტამენტისთვის;

ერთი – ომის საკითხთა დეპარტამენტისთვის;

ერთი – საზღვაო ფლოტის დეპარტამენტისთვის.

ამ ორგანიზაციულ წყობაში კორტესების მიერ დაშვებულია ისეთი ცვლილებების შეტანა, როგორც ამას გამოცდილება მოითხოვს, ან როგორც შეიძლება გარემოებებმა მოითხოვონ.

მუხლი 223. არავის აქვს უფლება იყოს სახელმწიფო მინისტრი, რომელიც არ არის სრულუფლებიანი მოქალაქე; გამორიცხულია უცხო ქვეყნის მაცხოვრებლებიც იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ მიღებული სამეფოს მოქალაქეობა.

მუხლი 224. კორტესების მიერ დამტკიცებული სპეციალური რეგულაცია განსაზღვრავს საქმიანობის ტიპს, რომელსაც უნდა ეწეოდეს თითოეული დეპარტამენტი.

მუხლი 225. მეფის ყველა განკარგულებას ხელს აწერს შესაბამის დეპარტამენტში მოქმედი სახელმწიფო მინისტრი.

მუხლი 226. სახელმწიფო მინისტრები პასუხს აგებენ კორტესების წინაშე, თუ ისინი ხელს მოაწერენ განკარგულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტი-

ტუციასა და კანონებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს მოაწერენ აღნიშნულ განკარგულებებს მეფის ბრძანებით, ეს არ ჩაითვლება გამამართლებელ გარემოებად.

მუხლი 227. სახელმწიფო მინისტრები ყოველწლიურად აწარმოებენ თავიანთი შესაბამისი დეპარტამენტების მართვისთვის საჭირო სახსრების შეფასებას და ასახავენ მათ თავიანთ ანგარიშგებაში ისეთი წესით, რომელიც განსაზღვრულია ქვემოთ.

მუხლი 228. სახელმწიფო მინისტრების პასუხისმგებლობის აღსრულების მიზნით, კორტესებმა, პირველ რიგში, უნდა გამოსცეს განკარგულება ბრალდების მიზეზის არსებობის შესახებ.

მუხლი 229. ასეთი განკარგულების გამოცემის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრს უჩერდება ფუნქციები და კორტესები იუსტიციის უზენაეს სასამართლოს გადასცემს ყველა დოკუმენტს, რაც შეეხება ამ მიზეზს; აღნიშნული სასამართლო განიხილავს ამ მიზეზს და კანონის შესაბამისად, არსებითი განხილვის შედეგად გამოაქვს გადანიშნულებას.

მუხლი 230. კორტესებმა უნდა დაადგინოს კომპენსაცია, რომელსაც უხდიან სახელმწიფო მინისტრებს მათ მიერ ფაქტობრივად განეული მომსახურებისთვის.

თავი VII. სახელმწიფო საბჭოს შესახებ

მუხლი 231. სახელმწიფო საბჭო შედგება ორმოცი პირისგან, რომლებიც უნდა იყვნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები. უცხო ქვეყნის მოქალაქეები გამოირიცხებიან, თუნდაც მათ მიღებული ჰქონდეთ მოქალაქეობა.

მუხლი 232. საბჭოს წევრები ზუსტად უნდა ხასიათდებოდნენ შემდეგი სახით: არაუმეტეს ოთხი პირისა საეკლესიო წრიდან, რომლებიც უნდა იყვნენ ნიჭითა და ღვაწლით გამორჩეულნი და რომელთაგან ორი უნდა იყოს ეპისკოპოსი; არაუმეტეს ოთხი პირისა ქსპანეთის გრანდებიდან (დიდებულებიდან), რომლებიც ცნობილია მათი ღირსებითა და საჭირო განათლებით; ხოლო სხვა წევრები შეირჩევიან იმ ქვეშევრდომებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად გამოირჩევიან თავიანთი სწავლულობის დონითა და დამსახურებით ან იმ სამსახურის გამო, რომელიც მათ გაუწიეს სახელმწიფოს ადმინისტრირების ან მმართველობის ნების-

მიერ ძირითად დეპარტამენტში მსახურობისას. კორტესებს არ შეუძლია სახელმწიფო საბჭოს წევრობა შესთავაზოს ნებისმიერ იმ პირს, რომელიც იმ დროისთვის კორტესების რომელიმე ორგანოს წევრია. სახელმწიფო საბჭოს თორმეტი წევრი მაინც უნდა იყოს ზღვისიქითა პროვინციების მკვიდრი.

მუხლი 233. სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრს ასახელებს მეფე, კორტესების წარდგინებით, შემდგომში აღნიშნული წესით.

მუხლი 234. კორტესები ადგენს სახელმწიფო საბჭოს წევრთა სამი კლასიდან თითოეული კლასის შემადგენლობას ზემოაღნიშნული პროპორციებით, თითოეულ შემადგენლობაში უნდა იყოს საჭიროზე სამჯერ მეტი რაოდენობა, რომელთაგან მეფე ირჩევს იმ ორმოც პირს, რომლებიც უნდა შევიდნენ სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში, სადაც გათვალისწინებულია პირები საეკლესიო წრიდან, გრანდები (დიდებულები) და მათი შესაბამისი კლასის წარმომადგენელი ჩვეულებრივი მოქალაქეები.

მუხლი 235. როდესაც სახელმწიფო საბჭოში ვაკანსია იქმნება, კორტესები, რომელიც პირველად შეიკრიბება, წარუდგენს მეფეს შესაბამისი კლასის სამი პირის სიას, რომელთაგან ის ირჩევს ერთს.

მუხლი 236. სახელმწიფო საბჭო არის მეფის ერთადერთი საბჭო და მეფე ითვალისწინებს მის რჩევებს რთულ და მნიშვნელოვან საკითხებზე და, ძირითადად, მის მიერ კანონების დამტკიცებასთან ან დამტკიცებაზე უარის თქმასთან, ომის გამოცხადებასთან და ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 237. საბჭოს სარგებლობს მეფისთვის სამი კანდიდატის წარდგენის პრივილეგიით, საეკლესიო და მართლმსაჯულების სფეროებში არსებულ ვაკანტიურ თანამდებობაზე.

მუხლი 238. მეფე შეიმუშავებს აუცილებელ რეგულაციებს სახელმწიფო საბჭოს მმართველობასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ის მათგან მიიღებს შესაბამის რჩევებს; ეს რეგულაციები წარედგინება კორტესებს დასამტკიცებლად.

მუხლი 239. სახელმწიფო საბჭოს არც ერთი წევრი არ უნდა განთავისუფლდეს თანამდებობიდან კანონიერი საფუძვლის გარეშე, რაც დამონმებული უნდა იყოს უმაღლესი სასამართლოს მიერ.

მუხლი 240. კორტესებმა უნდა დაადგინოს კომპენსაცია, რომელსაც უხდიან სახელმწიფო საბჭოს წევრებს.

მუხლი 241. თავიანთი თანამდებობების დაკავების შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს წევრები მეფის წინაშე ფიცს დებენ, რომ დაიცავენ კონსტიტუციას; რომ ისინი მისი ერთგულნი იქნებიან; რომ მათი რჩევა ყოველთვის მიმართული იქნება ერის კეთილდღეობისკენ, საკუთარი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

პარი V. სასამართლოებისა და მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში

მუხლი 242. სასამართლოებს აქვთ კანონის გამოყენების ექსკლუზიური უფლება ამოსილება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში.

მუხლი 243. არავითარ შემთხვევაში, არც კორტესები და არც მეფე არ ახორციელებენ სასამართლო ფუნქციებს; არ აფერხებენ დავის გამხილველ სასამართლო პროცესს; და არც გასცემენ ბრძანებას იმ საქმეების გადასასინჯად და ხელახლა განსახილველად, რომლებზეც განაჩენი უკვე გამოტანილია.

მუხლი 244. რამდენიმე საქმეზე სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონმდებლობის საფუძველზე. ის მსგავსი უნდა იყოს ყველა სასამართლოსთვის და კორტესებიც და მეფეც უნდა დაემორჩილოს მას.

მუხლი 245. სასამართლოები არ ასრულებენ სხვა ფუნქციებს, გარდა საქმის განხილვისა და საფუძვლების დადგენისა და, ასევე, მათი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისა.

მუხლი 246. მათ არ უნდა შეაჩერონ კანონების აღსრულება და არც რაიმე რეგულაციები შეიმუშაონ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 247. არც ერთი ესპანელი არ უნდა გაასამართლოს საგანგებო კომიტეტმა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეებში, არამედ კომპეტენტურმა სასამართლომ, რომელსაც კანონით ენიჭება სათანადო უფლებამოსილება.

მუხლი 248. უნდა არსებობდეს მართლმსაჯულების მხოლოდ ერთი სასამართლო ყველა კლასს მიკუთვნებული პირებისთვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა იმ საქმეში, რომელსაც კონკრეტულად ეს დოკუმენტი არ ითვალისწინებს.

მუხლი 249. საეკლესიო საქმე განიხილება საეკლესიო იურისდიქციის ქვეშ, როგორც ეს დაწესებულია ან შეიძლება დაწესდეს კანონით.

მუხლი 250. სამხედროები ასევე დარჩებიან თავიანთი იურისდიქციის ქვეშ, როგორც ეს არის დაწესებული ან შემდგომში დაწესდება კანონით.

მუხლი 251. არავინ ინიშნება მოსამართლის ან მაგისტრატის თანამდებობაზე, ვინც არ არის დაბადებული ესპანეთის ტერიტორიაზე და რომელსაც არ შესრულებია ოცდახუთი წელი. სხვა აუცილებელი კვალიფიკაციები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 252. შეზღუდული ვადით თუ უვადოდ განწესებული მოსამართლეები და მაგისტრატები არ უნდა განთავისუფლდნენ თანამდებობიდან, თუ მათ კანონიერად არ დაედებათ მსჯავრი არასათანადო საქციელისთვის; და მათ არ უჩერდებათ უფლებამოსილებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ კანონიერად ედებათ ბრალი.

მუხლი 253. თუ მაგისტრატის წინააღმდეგ რაიმე საჩივარი არსებობს და ის წარედგინება მეფეს და სათანადო გამოძიების შემდეგ იგი მას საფუძვლიანად მიიჩნევს, მას შეუძლია სახელმწიფო საბჭოს რჩევით, შეუჩეროს მაგისტრატს მისი ფუნქციები; მაგრამ საქმეს გადასცემს მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს, რომელიც, კანონის შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვის შედეგად გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მუხლი 254. მოსამართლეები პირადად არიან პასუხისმგებელი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში კანონების დაუცველობასთან დაკავშირებით.

მუხლი 255. ყველა იმ მოსამართლის და მაგისტრატის წინააღმდეგ, რომლებიც ბრალდებულია ქრთამის აღებაში, კორუფციაში და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, შეიძლება ნებისმიერმა პირმა შეიტანოს საჩივარი.

მუხლი 256. კორტესები ადგენს ანაზღაურებას, რომელიც დაშვებულია მოსამართლეებისა და მაგისტრატებისთვის.

მუხლი 257. მართლმსაჯულება აღესრულება მეფის სახელით და ზემდგომი სასამართლოების ყველა დადგენილება და განკარგულება ასევე გამოიცემა მისი სახელით.

მუხლი 258. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი და ვაჭრობის კოდექსი ერთი მთელი სამეფოსთვის, იმ ცვლილებების შეუზღუდავად, რომელთა შეტანა კორტესებმა, კონკრეტულ გარემოებებში, შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს.

მუხლი 259. სამეფოს დედაქალაქში იქმნება სასამართლო, რომლის სახელწოდებაც მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლო.

მუხლი 260. მაგისტრების რაოდენობას, რომლებიც შეადგენენ ამ სასამართლოს, ისევე როგორც მათი შეკრების ადგილებს, განსაზღვრავს კორტესები.

მუხლი 261. აღნიშნული სასამართლო უფლებამოსილია:

1. მოაწესრიგოს დავა, რომელიც წარმოიქმნება მართლმსაჯულების რამდენიმე სასამართლოს შორის მთელი ესპანეთის ტერიტორიაზე, მათ შორის დავა, რომელიც წარმოიქმნება ამ სასამართლოებსა და ნახევარკუნძულზე და მიმდებარე კუნძულებზე შექმნილ სპეციალურ სასამართლოებს შორის. ზღვისიქითა სამფლობელოებში მსგავსი დავა გვარდება კანონით დადგენილი წესით;
2. გაასამართლოს სახელმწიფო მინისტრები მას შემდეგ, რაც კორტესები დაადგენს, რომ არსებობს მათი ბრალდების საფუძველი;
3. საკუთარ იურისდიქციაში მიიღოს ყველა ის საქმე, რომელიც ეხება სახელმწიფო საბჭოს წევრების და რამდენიმე სასამართლოს მაგისტრატების თანამდებობიდან გათავისუფლებას ან მათი უფლებამოსილების შეჩერებას;
4. საკუთარ იურისდიქციაში მიიღოს მინისტრების და სახელმწიფო საბჭოს წევრების, ასევე, რამდენიმე სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ შეტანილი სისხლის სამართლის სარჩელები. მოსამზადებელი სამართალწარმოება უნდა წარიმართოს უმაღლესი რანგის მქონე სამოქალაქო ოფიცრის წინაშე, რომელმაც ამის შესახებ უნდა აცნობოს ამ სასამართლოს;

5. საკუთარ იურისდიქციაში მიიღოს სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ყველა საქმე აღნიშნული უზენაესი სასამართლოს წევრების წინააღმდეგ; ხოლო, როდესაც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო იქნება აღნიშნული უზენაესი სასამართლოს პასუხისმგებლობის აღსრულება, კორტესებმა, 228-ე მუხლით დადგენილი წესით, უნდა დანიშნოს ცხრა მოსამართლისგან შემდგარი ტრიბუნალი, რომელიც აირჩევა წილისყრით ამ რაოდენობის ორჯერ მეტი რაოდენობიდან;
6. განიხილოს საჯარო მოხელეების ახსნა-განმარტება, რომლებსაც კანონით ევალებათ იმავეს უზრუნველყოფა;
7. საკუთარ იურისდიქციაში მიიღოს ყველა ის სადავო წესები, რაც დაკავშირებულია სამეფო გვირგვინზე კანდიდატურის წამოყენების უფლებასთან და პატრონაჟის უფლებასთან;
8. დაუნესოს აკრძალვები ზემდგომ საეკლესიო ტრიბუნალებს და შეინარჩუნოს ისინი თავიანთი იურისდიქციისა და კანონის ფარგლებში;
9. საკუთარ იურისდიქციაში მიიღოს საჩივრები ზემდგომი ტრიბუნალების მიერ კანონის სანინააღმდეგოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აღმოფხვრას ისინი, შეწყვიტოს საქმისწარმოება და პასუხისგებაში მისცეს ზემოთ, 254-ე მუხლში აღნიშნული პირობების მიხედვით. რაც შეეხება ზღვისიქითა პროვინციებს, შეცდომების გამოსწორება მიეკუთვნება არქიეპისკოპოსის სასამართლოების იურისდიქციას, შემდგომში ნახსენები წესითა და ფორმით;
10. მიიღოს ცნობები რამდენიმე სასამართლოსგან მათ ეჭვებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება რაიმე კანონის შესაბამისად ფორმულირებას და მიიღონ მეფის რჩევა ამასთან დაკავშირებით, წარუდგინონ მას მათ ხელთ არსებული დოკუმენტები, რათა მან მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება კორტესებისგან;
11. შეისწავლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების ნუსხა, რომლებიც მას გადაეცემა არქიეპისკოპოსის სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების დაჩქარების მიზნით; გაუგზავნოს მათი ასლები მთავრობას იმავე მიზნით და უზრუნველყოს მათი დაბეჭდვა საჯაროდ გამოქვეყნებისთვის.

მუხლი 262. ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სარჩელი უნდა იყოს განხილული და მათზე მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება არქიეპისკოპოსის სასამართლოების შესაბამისი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში.

მუხლი 263. არქიეპისკოპოსის სასამართლოებმა განსახილველად უნდა მიიღონ მეორე და მესამე ინსტანციებში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემდგომი სასამართლოების მიერ შესაბამისი ოლქების მიხედვით, კანონით განსაზღვრული წესით, და მსგავსად ამისა, განსახილველად მიიღონ ყველა ის საქმე, რომელიც დაკავშირებულია მათი შესაბამისი ოლქის ქვემდგომი მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენებასა და იმპიჩმენტთან, ხოლო აღნიშნული კი უნდა აცნობოს მეფეს.

მუხლი 264. იმ მაგისტრატებმა, რომლებმაც განიხილეს საქმე და მასთან დაკავშირებით მიიღეს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციაში, არ შეიძლება შეასრულონ მოსამართლის ფუნქცია იმავე საქმის მესამე სასამართლო განხილვაში.

მუხლი 265. არქიეპისკოპოსის სასამართლოებმა, ასევე, განსახილველად უნდა მიიღონ ყველა ის დავა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას შესაბამისი ოლქის ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს შორის.

მუხლი 266. მათ, ასევე, განსახილველად უნდა მიიღონ საეკლესიო ტრიბუნალების და მათ ოლქში არსებული სხვა დანესებულებების მიერ გამოტანილი ყველა განაჩენი და უნდა შეინარჩუნონ ისინი შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოში.

მუხლი 267. მათ, ასევე, თავიანთი ოლქის ყველა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისაგან უნდა მიიღონ ინფორმაცია ყველა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ და სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმის სია, რომლებიც განხილვის პროცესშია მათ შესაბამის სასამართლოებში; ასევე იმ ეტაპის შესახებ, რა ეტაპზეცაა ამ საქმეების განხილვა, რათა ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების დაუყოვნებლივ აღსრულებას.

მუხლი 268. ზღვისიქითა პროვინციებში არქიეპისკოპოსის სასამართლოებმა განსახილველად უნდა მიიღონ საჩივრები კანონის საწინააღმდეგოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; ასეთი საჩივარი წარედგინება იმ სასამართლოებს, რომლებსაც ჰყავთ საკმარისი რაოდენობის მაგისტრატები იმისათვის, რომ შეიქმნას სამი ცალკე ტრიბუნალი და რომელსაც არც ერთ ინსტანციაში არ მიუღია განსახილველად ასეთი საქმე. არქიეპისკოპოსის სასამართლოებში, რომლებსაც არ ჰყავს აღნიშნული რაოდენობის მაგისტრატები, ასეთი საჩივრები გადაინაცვლებს ერთიდან მეორე არქიეპისკოპოსის სასამართლოში, იმავე ზემდგომი ინსტანციის მმართველობის ოლქში; ხოლო იმ შემთხვევაში, როდეს-

საც არსებობს მხოლოდ ერთი არქივისკოპოსის სასამართლო ასეთ ოლქში, საჩივარი გადაეცემა მომდევნო ოლქის სასამართლოს.

მუხლი 269. იმ შემთხვევაში, თუ არქივისკოპოსის სასამართლო დაადგენს, რომ ის სამართალწარმოება, რომელზეც შემოვიდა საჩივარი ჩატარდა დარღვევით, მან უნდა შეადგინოს ამის შესახებ დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინოს მართლმსაჯულების უზენაეს სასამართლოს, რომ მან მოახდინოს ზემოთ აღნიშნული პასუხისმგებლობის აღსრულება, მუხლი 254.

მუხლი 270. არქივისკოპოსის სასამართლოები ყოველწლიურად უგზავნიან მართლმსაჯულების უზენაეს სასამართლოს ყველა სამოქალაქო საქმის სწორ ჩამონათვალს; და ყოველ ექვს თვეში ყველა სისხლის სამართლის საქმის ჩამონათვალს, რომელზეც მიღებულია გადაწყვეტილება ან რომლებიც განიხილება მათი შესაბამისი სასამართლოების მიერ, აღნიშნული საქმეების და ასევე იმ საქმეების აქტუალურობის დასაბუთებასთან ერთად, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისგან.

მუხლი 271. მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც უნდა შევიდნენ არქივისკოპოსის სასამართლოებში და რომელიც არასოდეს არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები, განისაზღვრება კანონით და სპეციალური წესდებით, აგრეთვე იმ წესებით, რომლებიც უნდა დაიცვან ამ სასამართლოებმა და რომელთა დაცვა უნდა მოხდეს იმ ადგილებზე, სადაც ისინი უნდა შეიქმნას.

მუხლი 272. როდესაც ყველაზე მეტად იქნება ხელსაყრელი ესპანეთის ტერიტორიის ახალი დაყოფა, როგორც აღნიშნულია მე-11 მუხლში, შესაბამისად უნდა მოხდეს არქივისკოპოსთა სასამართლოების რაოდენობისა და მათი შექმნის ადგილების რეგულირება.

მუხლი 273. ოლქები პროპორციულად თანაბარი უნდა იყოს და თითოეული ოლქის მთავარ ქალაქში უნდა იყოს კომპეტენტური იურისდიქციის მქონე მოსამართლე.

მუხლი 274. ამ მოსამართლეთა უფლებამოსილებები აბსოლუტურად შემოიფარგლება სასამართლო გარჩევებით და კანონი განსაზღვრავს იმ საქმეებს, რომლებიც მიეკუთვნება მათ იურისდიქციას მათი ოლქის მთავარ და სხვა ქალაქებში და იმას, თუ რა რაოდენობის განაჩენის გამოტანა შეუძლიათ მათ გასაჩივრების გარეშე.

მუხლი 275. ყველა ქალაქში იქმნება მომრიგებელი მოსამართლეების (ალკალდე-ბის) ინსტიტუტი და კანონი ადგენს, რამდენად ვრცელდება მათი ძალაუფლება მხარეთა შორის დავებზე და საოჯახო დავების საქმეებზე.

მუხლი 276. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლემ, მაქსიმუმ სამი დღის ვადაში, უნდა წარუდგინონ ანგარიში შესაბამისი არქივების-კოპიის სასამართლოებს მათ წინაშე წარდგენილი ყველა სისხლის სამართლის საქმის შესახებ, ხოლო შემდეგ მათ უნდა მოახსენონ ამ სამართალწარმოების მდგომარეობის შესახებ ისეთ დროს, როგორც აღნიშნული სასამართლოები შე-საბამისად დანიშნავენ.

მუხლი 277. ისინი, ასევე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ თავიანთ შესაბამის არქივ-პისკოპოსის სასამართლოებს გადასცემენ ყველა სამოქალაქო საქმის საერთო სიას; ხოლო ყოველ სამ თვეში ყველა სისხლის სამართლის საქმის სიას, რომლე-ბიც იმყოფება მათი სასამართლოების მიერ განხილვის პროცესში, სადაც აღ-ნიშნავენ აღნიშნული საქმეების აქტუალურობას.

მუხლი 278. კანონი წყვეტს, უნდა შეიქმნას თუ არა სპეციალური ტრიბუნალები იმ ცალკეული, კონკრეტული საქმეების განსახილველად, რასაც კანონი განსაზ-ღვრავს.

მუხლი 279. მოსამართლეები და მაგისტრები, სანამ შეუდგებიან თავიანთი ფუნ-ქციების შესრულებას, დებენ ფიცს, რომ დაიცავენ კონსტიტუციას, იქნებიან მე-ფის ერთგულები, დაიცავენ კანონებს და განახორციელებენ მართლმსაჯულე-ბას მიუკერძოებლად.

თავი II. მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ

სამოქალაქო საქმეებში

მუხლი 280. არცერთ ესპანელს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება, რომ მოაგვა-როს დავა ორივე მხარის მიერ არჩეული არბიტრის მეშვეობით.

მუხლი 281. არბიტრთა გადანყვეტილება მიექცევა აღსასრულებლად, თუ მხა-რეები არ დაიტოვებენ უფლებას გაასაჩივრონ იგი.

მუხლი 282. ყოველი ქალაქის ალკალდი ამ პროცესში ახორციელებს შუამავლის/მომრიგებლის უფლებამოსილებას და არასწორი საქციელის ან მიღებული ზიანის გამო აღძრული სამოქალაქო საჩივრის ყველა საქმეში მონაწილე მხარეები წარდგებიან მისი, როგორც შუამავლის/მომრიგებლის წინაშე.

მუხლი 283. ალკალდი, რომელსაც ეხმარება კარგი რეპუტაციის მქონე ორი მამაკაცი, რომლებიც დანიშნულია თითოეული მხარის მიერ, ისმენს მხარეთა ბრალდებებს და ორი ზემოაღნიშნული პირისგან რჩევის მიღების შემდეგ, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, როგორც მას მიაჩნია საუკეთესოდ კომპრომისის მისაღწევად, ყოველგვარი შემდგომი საქმისწარმოების გარეშე; ხოლო მხარეთა შორის უთანხმოება ფაქტობრივად აღმოიფხვრება, თუ მხარეები გადაწყვეტენ დაემორჩილონ სასამართლოს გარეშე მიღებულ ამ გადაწყვეტილებას.

მუხლი 284. სასამართლოში სარჩელი არ აღიძვრება, თუ არ აღმოჩნდა, რომ დავის მოსაგვარებლად წინასწარ მომრიგებლური ღონისძიებები არ იქნა მიღებული.

მუხლი 285. ყველა სარჩელს, როგორი შედეგიც არ უნდა ჰქონდეს მას, განიხილავს მაქსიმუმ სამი სასამართლო და მიიღება სამი საბოლოო გადაწყვეტილება. როდესაც ორი მსგავსი განაჩენია გამოტანილი და სარჩელი გადაეცემა მესამე სასამართლო განხილვისთვის, ამ მესამე სასამართლო პროცესზე მოსამართლეთა რაოდენობა უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე მეორე პროცესზე დამსწრე მოსამართლეთა რაოდენობა იმ პროპორციით, რომელსაც განსაზღვრავს კანონი. კანონი ასევე განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს სხვადასხვა სასამართლოს თვისებიდან და მათ წინაშე წარსადგენი საქმეების ხასიათიდან გამომდინარე; ასევე იმას, თუ როგორ და რა შემთხვევებში უნდა მოხდეს ამ სასამართლოების განაჩენის აღსრულება.

(გაგრძელება შეეძებ ნომერში)

IURISPERITUS



ჰანს კელზენი

A handwritten signature in cursive script, which reads "Hans Kelsen".

კონსტიტუციის განვითარება 1920 წელს და ჰანს კელზენი*

კლემენს იაზლონერი*, ვენა

I. შესავალი

2020 წელს ავსტრია ინტენსიურად აღნიშნავს თავისი კონსტიტუციის იუბილეს. ეს არის 1920 წლის პირველი ოქტომბრის ფედერალური კონსტიტუცია, რომელიც დღემდე ძალმოსილებაშია, უფრო სწორად, 1945 წლიდან ისევ მოქმედებაშია. ჰანს კელზენმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ დოკუმენტზე; მას ხშირად „კელზენის კონსტიტუციას“ უწოდებენ. ბევრ ავსტრიელს კარგად ესმის ჰანს კელზენის კავშირი მოქმედ კონსტიტუციასთან, უფრო მეტადაც, ვიდრე „სამართლის წმინდა თეორიის“ საფუძვლებთან. კელზენის, როგორც „ფედერალური კონსტიტუციის არქიტექტორის“, მნიშვნელობა უკვე საფუძვლიანად არის შესწავლილი, განსაკუთრებით თომას ოლენბოგის მიერ¹.

ქვემოთ მოცემული მოკლე მონახაზი იწყება კელზენის მიერ შედგენილი ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციის შესახებ საკანონმდებლო მუშაობის ძირითადი ელემენტების გამოკვეთით. მას შემდეგ, რაც კელზენმა 1930 წელს ავსტრია დატოვა, ეს ჩართულობა შემცირდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს მისი კიდევ

* გერმანულიდან თარგმნა გიორგი ხაზალიამ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მოსამართლის უფროსი თანაშემწე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი და სამართლის სკოლის მონვეული ლექტორი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარის პროექტის მუდმივი თანამშრომელი.

* წინამდებარე სტატიის ქართულენოვანი თარგმანი შესრულებულია ავტორთან, ბატონ კლემენს იაზლონერთან შეთანხმებით. იგი გახლავთ ავსტრიელი იურისტი, რომელსაც 2019-2020 წლებში ეკავა ავსტრიის ვიცე-კანცლერისა და იუსტიციის მინისტრის თანამდებობები. კლემენს იაზლონერი ათი წლის განმავლობაში იყო ავსტრიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტი. არის ვენის უნივერსიტეტის პროფესორი.

¹ *Olechowski, Beitrag Hans Kelsens*. კონსტიტუციის ისტორიის შემდეგი განმარტებები მთლიანად ამ ნაშრომს ეფუძნება. ყველა წყარო ასევე იქ არის მოცემული. შეადარე ასევე *შეფბეკის* მოსაზრება ამ ტომში. სრული სურათისთვის შეადარე აგრეთვე *Wiederin, Kelsen als praktischer Verfassungsrechtler*, 109.

ორი საკანონმდებლო წვლილი მეორე რესპუბლიკის დროს. გარდა ამისა, 1920 წელს კელზენი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, რომლის შექმნაშიც მას დიდი წვლილი მიუძღვის. ამიტომ, მისთვის ნაცნობი იყო ფედერალური კონსტიტუციის დაცვა და განხორციელება. როგორც ვენის უნივერსიტეტის „კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის“ პროფესორი, კელზენი ფედერალურ კონსტიტუციას დოგმატური პერსპექტივიდანაც განიხილავდა; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კომენტარები, ისევე როგორც, სხვა მოსაზრებები, რომლებზეც მოგვიანებით მივუთითებთ. საბოლოოდ, კელზენი საკონსტიტუციო პოლიტიკაში ჩაერთო, განსაკუთრებით კი 1929 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების წინა პერიოდში².

II. კონსტიტუციისგადაზღვევა

ფედერალური კონსტიტუციის არქიტექტონიკა

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, კელზენი, თავისი გამორჩეული იურიდიული უნარებისა და, ასევე, ილბალის წყალობით, მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა, კერძოდ, ავსტრიის ომის უკანასკნელი მინისტრის, შტოგერ ფონ შტაინერის სამდივნოში. მას შემდეგ, რაც კელზენი მონარქიის გადარჩენის ბოლო მცდელობებშიც ჩაერთო, ნოემბრის დასაწყისში ის „თითქმის შეუფერხებლად“ გადავიდა გერმანული-ავსტრიის სახელმწიფო კანცელარიის სამსახურში, რომელსაც კარლ რენერი ხელმძღვანელობდა. იქ კელზენს ახლად ჩამოყალიბებული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების მომზადება დაევალა. კელზენი, რომელიც 1918 წლის პირველ ოქტომბერს ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად დაინიშნა, მაგალითად, ადოლფ მერკლისგან განსხვავებით, უშუალოდ არ იყო ადმინისტრაციულ აპარატთან დაკავშირებული, არამედ საქმიანობას ახორციელებდა როგორც ექსპერტი და მუდმივად ინარჩუნებდა გარკვეულ აკადემიურ დისტანციას, რაც სხვადასხვა პუბლიკაციაშიც აისახა. ამ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი საექსპერტო მოსაზრება: კელზენმა ის 1919 წლის დასაწყისში დაწერა ავსტრიის მიწების სტატუსის შესახებ გერმანული ავსტრიის (Deutschösterreich) მომავალ კონსტიტუციაში, განსაკუთრებით გერმანული ავ-

² უნდა აღინიშნოს, რომ კელზენი ზოგჯერ ფედერალურ კონსტიტუციას ზოგად კონტექსტში ახსენებდა. მაგალითისთვის, *Kelsen, Der Richter und die Verfassung*, 289.

სტრიის გერმანიის იმპერიაში ანშლუსის გათვალისწინებით. როგორც ოლახოვსკიმ აღნიშნა, ეს ნაშრომი აჩვენებს იმ დროის მნიშვნელოვან კავშირს ანშლუსის იდეასა – ავსტრია, როგორც გერმანული იმპერიის ნაწილი – და ავსტრიის ფედერალური სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით წარმოშობილ სტრუქტურულ საკითხებს შორის.

როდესაც რენერი 1919 წლის გაზაფხულზე სენ-ჟერმენში სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან ცოტა ხნით დაბრუნდა, მან კელზენს „სახელმწიფო კანცელარიის საკონსტიტუციო დეპარტამენტის თანამშრომლობით ფედერალური კონსტიტუციის შემუშავება“ დაავალა. ამ დავალების შესასრულებლად, კელზენმა სულ ექვსი პროექტი წარმოადგინა, რომლებიც, ახალი კონსტიტუციის დიზაინის თვალსაზრისით, საკმაო მსგავსებებს ავლენდნენ ერთმანეთთან. როგორც თავად კელზენი წერდა, ძირითადად განსხვავებებმა ფედერალური საბჭოს, ფედერალური პრეზიდენტისა და ფუნდამენტური უფლებების სფეროებში ჰპოვა გამოხატულება.

კონსტიტუციის შემუშავება არა მხოლოდ სახელმწიფო კანცელარიის ცენტრალური ამოცანა იყო, არამედ სულ უფრო მეტად ფედერალური მიწების გავლენის ქვეშევსებელი ექცეოდა. ამ პროცესში მთავარი როლი შეასრულა სახელმწიფო მდივანმა მაიკლ მეიერმა, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმაზე იყო პასუხისმგებელი: კელზენის საკანონმდებლო საქმიანობაზე დაყრდნობით, ე.წ. „მეიერის კერძო პროექტი“ უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ამჟამად დაკარგული პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, რენერმა მეიერს 1919 წლის 8 ნოემბერს გადასცა და რომელიც კოალიციური შეთანხმებების შედეგებს შეიცავდა. კვლავ ოლახოვსკზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ „მეიერის კერძო პროექტი“, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად დაიხვეწა კელზენის მიერ. მისი წარდგენით ფედერალური მიწების გაერთიანებულ კონფერენციაზე კელზენის საკონსტიტუციო კანონმდებლობითი საქმიანობის პირველი ფაზა დასრულდა.

1920 წლის 8 ივლისს დამფუძნებელი ეროვნული კრების საკონსტიტუციო კომიტეტში შეიქმნა ქვეკომიტეტი, რომელშიც კელზენი დამოუკიდებელ ექსპერტად მიიწვიეს. განხილვებისას იგი ძირითადად ფედერალური კონსტიტუციის მეშვიდე თავის შემუშავებაში მონაწილეობდა, რომელიც „კონსტიტუციისა და ადმინისტრირების გარანტიებს“ ეხებოდა. უფრო მიუკერძოებელი პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, ცხადი ხდება, რომ კელზენის ფუნდამენტური მეთოდოლოგიური პოზიცია და საკონსტიტუციო კანონმდებლობაში პრაქტიკული ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა ურთიერთზემოქმედებაში იყვნენ: ძირითად ფაქ-

ტორს წარმოადგენდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაღმასვლის პერიოდში კონსტიტუციური მდგომარეობის უაღრესად რთული ბუნება. ამ სიტუაციის საკონსტიტუციო დოგმატური თვალსაზრისით გარკვევის მცდელობამ ხელი შეუწყო სამართლისა და ტექნიკური სამართლებრივი ინსტრუმენტების თეორიული ხედვის განვითარებას³.

უდავოა, კელზენმა შემოიტანა ფუნდამენტური გაგება, რომ კონსტიტუცია არის ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც უნდა შედგებოდეს სამართლებრივი დებულებებისგან და არა პოლიტიკური დეკლარაციებისგან. გარდა ამისა, მონარქიის საპარლამენტო გამოცდილებამ აჩვენა, რომ აუცილებელი იყო სამართლებრივი ნორმების ამ ფენის წარმოშობის განსხვავებული პირობებით უზრუნველყოფა და მისი, როგორც საკონსტიტუციო სამართლის ხასიათის, ცალსახად განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წელს სრულად კოდიფიცირებული კონსტიტუციის შემუშავება შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფუნდამენტური უფლებები 1867 წლის დეკემბრის კონსტიტუციაზე მითითებით იქნა მიღებული, კონსტიტუციური კანონის განსაზღვრის მოთხოვნამ, სულ მცირე, ფორმალური კოდიფიკაციის შედეგი გამოიღო.

მესამე ელემენტი იყო სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების აუცილებლობის აღიარება. ფუნქციური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლი ამერიკულ სამართალში არსებობდა 1803 წლის ცნობილი საქმიდან „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“, თუმცა, როგორც სასამართლოების და, საბოლოო ჯამში, უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია თითოეული შემთხვევისთვის. კონტინენტური ევროპის კანონების კონსტიტუციურობის გადახედვის უაღრესად ინოვაციური „კელზენისეული“ სისტემა განვითარდა ფედერალური სახელმწიფოს კოორდინაციის პრობლემებიდან, რომლებიც – *mutatis mutandis* – მე-19 საუკუნის სიღრმიდან იღებს სათავეს. აქაც კელზენი ეყრდნობოდა ადრინდელ, განსაკუთრებით გეორგ ელინეკის მოსაზრებებს⁴. სიახლე იყო სპეციალური უზენაესი სასამართლოს, ანუ ორგანიზაციული გაგებით, საკონსტიტუ-

³ მნიშვნელოვანი დისკუსია ეხებოდა იმპერიულ კანონებსა და სახელმწიფო კანონებს შორის ურთიერთობას 1867 წლის დეკემბრის კონსტიტუციის შემდეგ. შეადარე, *Kelsen, Reichsgesetz und Landesgesetz* 202, 390 und *Weyr, Rahmengesetze* (1913). მეორე დებატები ავსტრია-უნგრეთის საერთო სახელმწიფოს დონეზე მშენებლობას ეხებოდა. *Weyr, Zur Frage der Unabänderlichkeit von Rechtssätzen*, 387; *Verdross, Die Neuordnung*, 121, 134 und *ders., Zum Problem der Rechtsuntersvorfenheit*, 479, 483, ასევე, *Merkel, Unabänderlichkeit von Gesetzen*, 97, 111.

⁴ *Jellinek, Verfassungsgerichtshof für Österreich*.

ციო სასამართლოს შექმნა და „ნეგატიური კანონმდებლის“ უფლებამოსილების მინიჭება საკანონმდებლო ტექსტების ზოგადი და ეფექტიანი გაუქმების გზით. უფრო მეტიც, ამან ასევე გაუხსნა გზა იმ შესაძლებლობას, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით განვითარდა: ძირითად უფლებებთან სამართლებრივი აქტების შესაბამისობის შემოწმებას⁵.

გვინანი ექსპერტიზა

1960-იან წლებში ავსტრიის მთავრობამ კელზენს, რომელიც იმ დროს უკვე ხანდაზმული იყო და ბერკლიში ცხოვრობდა, საკონსტიტუციო ექსპერტიზის თხოვნით მიმართა. ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1964 წლის შესწორების წინა პერიოდში, რომელიც სახელმწიფო ხელშეკრულებების ტრანსფორმაციას ეძღვნებოდა (კელზენის ტრადიციული თემა), ფედერალური კანცელარიის საკონსტიტუციო სამსახურის ხელმძღვანელმა, ედვინ ლოებენშტაინმა, სცადა კელზენის დარწმუნება კომენტარის გაკეთებაზე, მაგრამ ეს უშედეგოდ დასრულდა⁶, რადგან 1962 წლის 4 თებერვლის პასუხში კელზენი შემოიფარგლა თავისი ინტერესის დადასტურებით და იმის ახსნით, რომ „სხვა გადაუდებელი საქმეების გამო, მისთვის შეუძლებელი იყო ფედერალური კანცელარიის პროგრამაში (sic) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოცემულ ვადაში“. წერილი ამ ფორმით მიიღეს ფედერალური კანცელარიის საკონსტიტუციო სამსახურშიც, როგორც ამას სტატიის ავტორი იხსენებს⁷. თუმცა, ამ წერილის პროექტი შეიცავს კელზენის ხუთგვერდიან დეტალურ განცხადებას, ანუ კომენტარს საკონსტიტუციო კანონზე, რომელიც კელზენმა, ბუნებრივია, უარყო⁸.

ამას მალევე მოჰყვა მეორე თხოვნა: 1965 წლის 22 მაისს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა ალფრედ მალეტამ კელზენს სთხოვა წინადადების შემუშავება ფედერალური პრეზიდენტის წარმომადგენლობის ახლებურად მონესრიგების შესახებ, როდესაც მას არ შეეძლება თავისი მოვალეობების შესრულება⁹. ეს სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან თავ-

⁵ შეადარე, *Pöschl, Gleichheit vor dem Gesetz*, 133.

⁶ Schreiben Edwin Loebensteins an Hans Kelsen vom 23. Jänner 1962.

⁷ სამწუხაროდ, შესაბამისი დოკუმენტი ფედერალურ კანცელარიაში წყლის გაჟონვის შედეგად განადგურდა.

⁸ შეადარე, Hans Kelsen-Institut, Nachlass Hans Kelsen, Schachtel 2 lag. 71.

⁹ Art 64 B-VG. შეადარე შემდეგი: *Walter, Die Vertretung des Bundespräsidenten*, 165.

ვად ფედერალურ პრეზიდენტს და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ ორგანოს, იმ დროს ფედერალურ კანცლერს, შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები ჰქონოდათ სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებით. კელზენის გამოუქვეყნებელი დეტალური ანგარიშის აქ შეჯამება შეუძლებელია; მისი მოსაზრებით, ფედერალური პრეზიდენტის ქმედუნარობის ფაქტის არსებობის შეფასება მესამე მხარისთვის უნდა ყოფილიყო დელეგირებული და ამით მომხდარიყო საკითხის ობიექტივიზაცია. ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა თავაზიანად მადლობა გადაუხადა კელზენს, თუმცა მისი წინადადება არ მიიღო. მხოლოდ 1977 წელს შემოიღეს ახალი რეგულაცია კონკრეტული მოვლენის გამო; ეს რეგულაცია უფრო დაბალანსებული იყო, მაგრამ ფუნდამენტურ პრობლემას ვერ წყვეტდა¹⁰.

III. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

ჰანს კელზენი თავდაპირველად ავსტრიის მთავრობამ 1919 წლის 3 მაისს (გერმანული) ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დანიშნა, როგორც მისი მასწავლებლის, ედმუნდ ბერნაციკის მემკვიდრე. ავსტრიის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის მიღების შემდეგ, კელზენი ეროვნულმა საბჭომ 1921 წლის 15 ივლისს, ამ კანონის საფუძველზე შექმნილ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად განაწესა. ეს თანამდებობა 1930 წლის 15 თებერვლამდე შეინარჩუნა¹¹. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის და, შესაბამისად, სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში, კელზენი უშუალოდ იყო ჩართული კანონის შექმნისა და გაუქმების პროცესში. მისი ნაშრომის რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტები ვრცლად აღწერა რობერტ უოლტერმა. კელზენის აზროვნების სტილთან დაკავშირებით, უოლტერი აღნიშნავს, რომ კელზენი „ნათლად გამოხატავს ღიაობას ინტერპრეტაციის საკითხებში, ღიაობას, რომელსაც მოგვიანებით თეორიულადაც იცავდა“¹². თემატურად, კელზენი, ძირითადად, საპარლამენტო დემოკრატიის დახვეწას უჭერდა მხარს, სადაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აქტიურ საარჩევნო უფლებას. მის მიერ ჩამოყალიბებული სამოსამართლო დოქტრინა დღემდე ავტორიტეტულია. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ბოლო დროს, 2016 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოში

¹⁰ პრობლემა აშკარა გახდა, როდესაც ფედერალური პრეზიდენტი თომას კლესტილი 1996 წლის სექტემბერში მიძიმედ დაავადდა.

¹¹ შეადარე, *Walter, Hans Kelsen als Verfassungsrichter*, 10, 25.

¹² შეადარე, *Walter, Hans Kelsen als Verfassungsrichter*, 93.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წარმატებით გასაჩივრების აღიარების აუცილებლობაში¹³. კანონიერების პრინციპის განმტკიცების მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპი, სავარაუდოდ, კელზენს უკავშირდება¹⁴. ჭარბობს ინტერპრეტაციის საკმაოდ სიტუაციური სტილი, რასაც ჰანს კელზენისგან, როგორც მკაცრი იურიდიული პოზიტივისტისგან, არ შეიძლება ველოდოთ. თუმცა, მისი პრაქტიკა მჭიდრო კავშირშია ინტერპრეტაციის მისეულ თეორიასთან, რომელიც, მერკლის წინასწარი სამუშაოების შემდეგ, 1934 წელს შევიდა „სამართლის წმინდა თეორიის“ პირველ გამოცემაში. იქ კელზენი, იერარქიულ სტრუქტურაზე დაყრდნობით, ემხრობა ე.წ. „ჩარჩო თეორიას“¹⁵. ამ შეხედულების თანახმად, იურიდიული მეცნიერების ამოცანა იქნებოდა შესაძლო ინტერპრეტაციების ჩარჩოს განსაზღვრა. თუმცა, სამართლის მეცნიერებას არ შეეძლო ამ ჩარჩოში თანაბრად ვალიდური ინტერპრეტაციების შეფასება და, შესაბამისად, ვერ შესთავაზებდა „სწორ“ ინტერპრეტაციას. ეს შეხედულება დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა კონტინენტური სამართალმცოდნეობის პრაქტიკასა და ტრადიციას და, სავარაუდოდ, იურიდიული პროფესიის ინტერესებსაც. კელზენი ასევე ამტკიცებდა, რომ ამ შესაძლებლობებს შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა კანონის გამომყენებელ ორგანოს, რასაც ის ინტუიციურად პრობლემურად მიიჩნევდა – პროცესს, რომელსაც ის „ავთენტურ ინტერპრეტაციას“ უწოდებდა. უნდა ვალიაოთ, რომ კელზენის მიდგომა ინტერპრეტაციის ჩარჩოს განსაზღვრის პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, ცხადია, კელზენს მხედველობაში ჰქონდა სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაციის ის ფორმები, როგორიც მის დროს არსებობდა, განსაკუთრებით კერძო სამართალში. ამიტომ, კელზენი არ იყო ამ მეთოდების კრიტიკოსი. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საკონსტიტუციო სამართლის დოგმატიკოსი კელზენი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე კელზენი სხვადასხვა დასკვნამდე მივიდნენ: პირველი

¹³ VfSlg 1927/888: არჩევნების შედეგზე გავლენის შეფასებისას მკაცრი მტკიცებულება არ არის საჭირო, არამედ შესაძლებლობა: „თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციაშია. თუ ამ შემთხვევაში სასამართლომ ძალიან მკაცრი სტანდარტი გამოიყენა, ეს არჩევნების კანონიერების ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთდა, რაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო ორგანო არჩევნების გზით აირჩევა, სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს“. შეადარე, VfSlg 20071/16.

¹⁴ შეადარე, VfSlg 1923/76: „იმისათვის, რომ კანონი დადგენილების საფუძველზე აღსრულდეს, ის საკმარისად კონკრეტული უნდა იყოს შინაარსით ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად; დადგენილების ყველა არსებითი ელემენტი თავად კანონიდან უნდა იყოს ცხადი – აღმასრულებელი რეგულაციის მითითების გარეშე. არა მხოლოდ „თუ“, არამედ „როგორ“ უნდა განისაზღვროს კანონის საფუძველზე“.

¹⁵ *Kelsen, Reine Rechtslehre*, 90.

აღწერს საკონსტიტუციო სამართლით გათვალისწინებულ ჩარჩოს, მეორე კი საქმეს ამ ჩარჩოში წყვეტს¹⁶.

სამართლის წმინდა თეორიასა და ინტერპრეტაციის საკითხებს შორის ურთიერთობა, უდავოდ, რთულია. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სკოლის ფარგლებში სუბიექტურ-ისტორიული მეთოდისადმი ამჟამინდელი უპირატესობა მხოლოდ სამართლის წმინდა თეორიის შემდგომი განვითარების შედეგია, რომელიც დიდ ყურადღებას ამახვილებს საკანონმდებლო აქტის მიღებაზე, ნორმების დამდგენის ნებაზე. აღნიშნული საკითხის შემდგომი კვლევა ამ განხილვის ფარგლებს სცილდება¹⁷.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ბოლო პერიოდში კელზენი მუდმივი მრჩევლის რანგში იყო ჩართული ქორწინებასთან დაკავშირებულ გახმაურებულ პროცესებში. სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, საქმე განქორწინების შესაძლებლობას ეხებოდა¹⁸.

ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა, რომ ქრისტიანებისთვის არსებული ქორწინება ხელახალი ქორწინების დაბრკოლებას წარმოადგენდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში ქორწინება სასამართლოს მიერ ოფიციალურად უნდა გამოცხადებულიყო ბათილად; თუმცა, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო ამ დაბრკოლებისგან გათავისუფლება დამაჯერებელი მიზეზების არსებობის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული ორგანოები რეგულარულად გასცემდნენ ნებართვებს არსებული ქორწინებითი კავშირიდან გამომდინარე მეორედ ქორწინების სამართლებრივი დაბრკოლებისგან გათავისუფლებისთვის, განსაკუთრებით კი ქვემო ავსტრიის გუბერნატორი სევერი. სასამართლოები აღნიშნულ პრაქტიკაზე რეაგირებდნენ მეორე ქორწინების ბათილად ცნობის მიზნით შესაბამისი წარმოებების ინიცირებით. საპროცედურო თვალსაზრისით, გადამწყვეტი გახდა საკითხი, თუ რა ზომით მიიჩნევდნენ სასამართლოები გუბერნატორის მიერ გაცემულ ნებართვებს სავალდებულო სამართლებრივ აქტებად.

¹⁶ შეადარე, *Jabloner*, *Gefühltes Recht?* 155 (161).

¹⁷ შეადარე, ძირითადად *Walter*, *Das Auslegungsproblem*, 187.

¹⁸ შეადარე, შემდგომში *Walter*, *Kelsen als Verfassungsrichter* 57 und *Neschwara*, *Hans Kelsen und das Problem der Dispensehen*, 249.

კელზენმა, რომელმაც ამ საკითხში გამოკვეთილად ლიბერალური პოზიცია დაიკავა და მისთვის იშვიათი ჩართულობა გამოავლინა, სიტუაცია განმარტა, როგორც სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის უფლებამოსილებათა შესახებ კონფლიქტი, რომელიც, ავსტრიის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 138-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის და ეს კონფლიქტი სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათის ხაზგასმით გადაჭრა. თუმცა, მისი პოზიციის დაცვა, სამართლებრივი თვალსაზრისით, რთული იყო. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნობილმა ავსტრიელმა მეცნიერმა, პეტშეკმა, აღნიშნა, რომ საკითხი სინამდვილეში არ იყო კომპეტენციებთან დაკავშირებული, არამედ სავალდებულო ძალის კონფლიქტი. პრობლემა სასამართლოს ვალდებულებაში მდგომარეობდა, დაეცვა ადმინისტრაციის მიერ მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება¹⁹.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დოქტრინამ, რომელშიც კელზენს ასეთი მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა შესრულებული, პოლიტიკური ტურბულენტობა გამოიწვია, რამაც, სხვა მიზეზებთან ერთად, საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავიდან შექმნას შეუწყო ხელი ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1929 წლის შესწორებით. სოციალ-დემოკრატებმა კელზენს შესთავაზეს ამ „ახალ“ საკონსტიტუციო სასამართლოში კვლავ დანიშვნა, მაგრამ მან უარი თქვა, რადგან არ სურდა რომელიმე მხარესთან მიმართებით თავი ვალდებულად ეგრძნო²⁰.

თუმცა, კელზენის წინააღმდეგ ზოგადი ატმოსფერო სულ უფრო აგრესიული ხდებოდა და ამიტომ 1929 წლის ბოლოს მან საბოლოოდ დატოვა ვენა და კიოლის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობა მიიღო²¹.

IV. საკონსტიტუციო დოგმატიკა

კონსტიტუცია, რომლის შემუშავებაშიც კელზენი მონაწილეობდა, მხოლოდ 13 წელი იყო ძალაში, 1920 წლიდან 1933 წლამდე – საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებამდე²². ამ მოკლე დროში, საკონსტიტუციო დოქტრინა ძნელად

¹⁹ *Petschek*, Indirekter Kompetenzkonflikt und Bindungskonflikt, 349.

²⁰ შეადარე, *Métall*, Hans Kelsen, 55.

²¹ შეადარე, *Métall*, Hans Kelsen, 57.

²² 44 (2) და 50-ე მუხლების (ფედერალური საკანონმდებლო გაზეთი 1934/255) გარდა, 1920 წლის ავსტრიის ფედერალური საკონსტიტუციო კანონი ფორმალურად არ გაუქმე-

თუ განვითარდებოდა ისე, როგორც მონარქიის დროს ან 1945 წლის შემდეგ. ამ სფეროში კელზენის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციის კომენტარი, რომელიც მან გამოაქვეყნა გეორგ ფროლიხთან და ადოლფ მერკლთან ერთად²³. კონსტიტუციის შემუშავების პროცესებთან სიახლოვის გამო, ეს ნაშრომი პრაქტიკულად „ავთენტურად“ ითვლება. კელზენის სამეცნიერო მეთოდის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე ინტერპრეტაცია განიხილება, რასაც კელზენი წინასიტყვაობაშიც კი ახსენებს²⁴. ცნობილი მაგალითია ტერმინის „ფედერალური კონსტიტუციის სრული შესწორების“ ინტერპრეტაცია 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც კომენტატორები დასაშვებად მიიჩნევენ როგორც ფორმალურ, ასევე არსებით ინტერპრეტაციას²⁵.

რომელმა ავტორმა რომელ დებულებებზე გააკეთა კომენტარი, მხოლოდ ზოგიერთ სფეროშია ნათელი. კელზენი, რა თქმა უნდა, მეშვიდე თავის, ანუ საჯარო სამართლის შესახებ კომენტარის ავტორია და, სავარაუდოდ, პირველიდან მე-9 მუხლებამდეც.

ბუნებრივად, როგორც ჩანს, ვარაუდობდნენ, რომ მისგან დეროგაცია განხორციელდა ახალი კონსტიტუციური აქტებით ან მისი მოქმედების ნამდვილობის დაკარგვით. საკონსტიტუციო-დოგმატური თვალსაზრისით, კონსტიტუციამ უკვე დაკარგა თავისი ნამდვილობა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებით ფედერალური მთავრობის 1933 წლის 23 მაისის დადგენილების საფუძველზე (ფედერალური საკანონმდებლო გაზეთი 1933/191), რადგან ამან გამოიწვია დადგენილების სიმცდარეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მსჯელობა. ბერხტოლდის სიტყვებით (ავსტრიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ისტორია, 755), საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება ნიშნავდა, რომ „კონსტიტუციური წესრიგი აღარ იყო პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ეფექტიანი მასშტაბი“. ფედერალური მთავრობის საკონსტიტუციო ცვლილებები შეიძლება განიმარტოს, როგორც აბსოლუტურად ბათილი და ძალადაკარგული, ან როგორც ახალ კონსტიტუციაზე დაფუძნებული. თუმცა, ეს ახალი კონსტიტუცია მაშინვე არ იქნა მიღებული; სამაგიეროდ, 1934 წლის ავტორიტარულ „მაისის კონსტიტუციას“ მოჰყვა „ავტორიტარული დიქტატურის“ თვეები. *Bolz, Faschismus und „Ständestaat“*, (311) 321.

²³ „Die Verfassungsgesetze der Republik Österreich. Mit historischen Einleitungen und kritischen Erläuterungen hrsg. von Dr. Hans Kelsen. Fünfter Teil: Die Bundesverfassung vom 1. Oktober 1920. Hrsg. in Verbindung mit Dr. Georg Froehlich und Dr. Adolf Merkl von Dr. Hans Kelsen“ (1922), (Neudruck 2003).

²⁴ *Kelsen*, Vorwort, in: *Kelsen/Froehlich/Merkl*, VI.

²⁵ *Kelsen/Froehlich/Merkl*, *Die Verfassungsgesetze der Republik Österreich*, 124.

მომდევნო წლებში კელზენმა დაწერა ტრაქტატების მთელი სერია ფედერალური კონსტიტუციის შესახებ, ზოგიერთი უცხოურ ჟურნალებშიც გამოაქვეყნა²⁶. ეს ნაშრომები არსებითად დესკრიფციული ხასიათისაა. ერთ-ერთი გამონაკლისია უკვე გამოკვეთილი საკითხი პრობლემური ქორწინების შესახებ.

რა თქმა უნდა, იმ ნაშრომებშიც კი, რომლებიც „ზოგადი პოლიტიკური თეორიის“ საკითხებს უფრო აბსტრაქტული ფორმით ეხება, კელზენი ავსტრიის ფედერალურ საკონსტიტუციო კანონთან დაკავშირებული დარჩა იმდენად, რამდენადაც მისი გადანყვეტილებები, გარკვეულწილად, პარადიგმატულად გამოიყურება: კელზენის თეორიული ურთიერთობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან, სინამდვილეში, მხოლოდ სამართალმცოდნეობაში მუშაობის შემდეგ მოხდა. მისი ექსპერტული მოსაზრება 1928 წელს საკონსტიტუციო სამართლის პროფესორების კონფერენციაზე ვენაში, სადაც მტკიცედ იცავდა საკონსტიტუციო სასამართლო სისტემას, არსებითად ავსტრიული მოდელის თეორიულ გაზვიადებას წარმოადგენდა²⁷. მსგავს კავშირს სხვა სფეროშიც ვამჩნევთ, კერძოდ, ფედერალური სახელმწიფოს თეორიის განვითარებაში. მხოლოდ ფედერაციისა და მიწების 1920 წლის ფედერალურ საკონსტიტუციო კანონში მათი ფორმალური თანასწორობით გაიხსნა შესაძლებლობა, რომ ეს ფენომენი იურიდიულ-თეორიული პერსპექტივიდან, კერძოდ, „სამი წრის თეორიის“ სახით განვიხილოთ, რომელიც მოგვიანებით კელზენის ფედერალური სახელმწიფოს თეორიის სახელით გახდა ცნობილი²⁸. დემოკრატიული თეორიაც კი – „დემოკრატიის ბუნებისა და ღირებულების შესახებ, 1929“ – საშუალებას აძლევს ფედერალურ კონსტიტუციას გამოკვეთოს თავისი როლი, მაგალითად, კანონიერების პრინციპის მნიშვნელობაში ან კონსტიტუციის შეუცვლელობის საკითხში²⁹.

კელზენმა 1934 წლის კონსტიტუციაზე კომენტარი არ გააკეთა და 1945 წლის შემდეგ ავსტრიის საკონსტიტუციო დოქტრინაში მას არანაირი წვლილი არ მიუძღვის. ერთი მოვლენის ხსენება მხოლოდ მისი კურიოზული ხასიათის გამო ღირს და იმიტომ, რომ ის კელზენის გარკვეულ პოპულარობაზე მიუთითებს:

²⁶ მაგალითად, *Kelsen, Österreich als Bundesstaat*, 421; ders., *Die Verfassung Österreichs*, *Jahrbuch des öffentlichen Rechts* 1923/24, 126 und 1927/28, 51 oder ders., *Die Entwicklung des Staatsrechts*, 147.

²⁷ კელზენის ექსპერტული დასკვნა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაზე „*Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit*“ – *VVDtStRL* 1929, 30 – ist in vielen Aspekten eine Abstraktion der Art, 137 ff. B-VG.

²⁸ შეადარე, *Kelsen, Die Bundesexekution*, 127.

²⁹ შეადარე, *Vašek, Unabänderliches Verfassungsrecht*, 94.

1962 წელს „ავსტრიელი პედიკურისტების ასოციაციამ“ კელზენს შემდეგი მიმართვა გაუგზავნა: „საბჭო... მოგმართავთ თქვენ, დიდად პატივცემულო პროფესორო, როგორც ჩვენი კონსტიტუციის ავტორს, გამოთქვათ თქვენი აზრი სავაჭრო რეგულაციების 1ა მუხლის მე-3 პუნქტის შესახებ. ჩვენი პროფესიის არსებობა საფრთხეშია. ვაჭრობის სამინისტრო უგულბებლყოფს სამართლის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს; მისი პოზიცია გვართმევს ჩვენს ფუნდამენტურ დემოკრატიულ უფლებას“. განსახილველი საკითხი იყო პედიკურისტების პროფესიული დაცვის შეზღუდვის ობიექტური გამართლება.

კელზენმა მოკლედ, მაგრამ თავაზიანად უპასუხა, რომ აღარ სურდა ავსტრიის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ არცერთ კითხვაზე პასუხის გაცემა³⁰.

V. საკონსტიტუციო პოლიტიკა

1920-1929 წლებში კელზენი გამოდიოდა საკონსტიტუციო-პოლიტიკურ საკითხებზე, ხშირად ყოველდღიურ პრესაში აკეთებდა მნიშვნელოვან განცხადებებს. მაგალითად, მან კომენტარი გააკეთა – საკმაოდ ტექნიკური, იურიდიული მანერით – ავსტრიის გერმანიის რაიხთან ანექსიის შესახებ³¹. მხარს უჭერდა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმას, აქტიური საარჩევნო უფლების გაძლიერებას³². გამოდიოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგ³³.

1920 წლის ფედერალური საკონსტიტუციო კანონი პირველი რესპუბლიკის დროს რამდენჯერმე შეიცვალა, რომელთაგან ორი უფრო მოცულობითი იყო: ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1925 წლის შესწორება ძირითადად ორგანიზაციულ ასპექტებს ეხებოდა, კერძოდ, „არაპირდაპირი ფედერალური ადმინისტრირების“ განხორციელებას.

³⁰ დოკუმენტები, კერძოდ, კელზენის მიერ ავსტრიის პედიკურისტების ასოციაციისადმი გაგზავნილი წერილის ხელნაწერი ვერსია, დათარიღებული 1962 წლის 4 თებერვლით, შეადარე, Hans Kelsen-Institut, Schachtel 16c12. 61.

³¹ *Kelsen*, Die staatsrechtliche Durchführung, 329.

³² მაგალითად, *Kelsen*, Die Unzufriedenheit mit dem Wahlrecht, Neue Freie Presse vom 12. März 1926 – vgl. dazu *Olechowski*, Kelsens Unzufriedenheit mit dem Wahlrecht, Die Presse vom 11. März 2012.

³³ *Kelsen*, Geschworenengerichte und Demokratie. Das Prinzip der Legalität, Neue Freie Presse vom 3. Februar 1929.

საკონსტიტუციო პოლიტიკის თვალსაზრისით, ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1929 წლის შესწორება გაცილებით საკამათო იყო. ის წარმოადგენდა პრომატივად კომპრომისს, რომელიც რთული „კონსტიტუციური ბრძოლების“ შემდეგ იქნა მიღებული³⁴. თუმცა, მან ვერ შეძლო პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა. სულ რამდენიმე წლის შემდეგ, 1933-1934 წლებში, მოხდა კონსტიტუციის ხელყოფა და ავტორიტარული სისტემის დამყარება, რომელიც 1938 წლის მარტში გერმანული რაიხის მიერ ავსტრიის ოკუპაციამდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1929 წლის შესწორება იყო ბოლო საკონსტიტუციო აქტი, რომელზეც ორი ძირითადი პოლიტიკური ბანაკი შეთანხმდა და, შესაბამისად, ფედერალური საკონსტიტუციო კანონის ზუსტად ეს ვერსია შეიძლება გამოყენებულიყო ავსტრიის რესპუბლიკის აღდგენის დროს 1945 წელს.

1920 წლის კომპრომისს მიაღწიეს რელატიური „კლასების ბალანსის“ ფონზე. სოციალ-დემოკრატია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „საბჭოთა რესპუბლიკისაკენ“ მიმართულ კომუნისტურ მისწრაფებებს, იმ დროს შედარებით ძლიერ პოზიციას იკავებდა. 1920-იან წლებში პოლიტიკური პარტიების მიმართ წინააღმდეგობა გაიზარდა და გაჩნდა „ჭეშმარიტი დემოკრატის“ იდეა. ეს მოიცავდა კორპორატიული იდეების ნაკრებს; პოლიტიკური ძალაუფლება არ უნდა განხორციელებულიყო პარლამენტის მიერ თავისი პოლიტიკური პარტიებით, არამედ პროფესიული კლასების მიხედვით ორგანიზებული წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით. გარდა ამისა, ევროპაში ავტორიტარული სისტემების ამკარა გავლენით, ფედერალური პრეზიდენტი პარლამენტის საპირწონედ უნდა დანიშნულიყო. რადგან ბურჟუაზიულ მთავრობას არ სურდა კონსტიტუციური ცვლილებებით განსაზღვრული გზიდან გადახვევა, იმ დროს, სულ მცირე, მას სჭირდებოდა ორი მესამედის უმრავლესობა და ცდილობდა კომპრომისის მიღწევას სოციალ-დემოკრატებთან. შესაბამისად, კონსტიტუციაში 1929 წლის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის შესწორებით განხორციელებული ცვლილებები გარკვეულ ფარგლებში დარჩა. მიუხედავად ამისა, გაძლიერდა ფედერალური პრეზიდენტის სტატუსი, ცენტრალიზაციამ გარკვეულ ხარისხს მიაღწია და ფედერალური საბჭოს ნაცვლად შემოთავაზებული იქნა პროფესიული საპარლამენტო პალატა, თუმცა ეს პალატა არასოდეს ამოქმედებულა. ფედერალური

³⁴ შეადარე, im Einzelnen *Berchtold*, *Verfassungsgeschichte*, 463, besonders 569.

პრეზიდენტის თავდაპირველად დაგეგმილი სახალხო არჩევნებზე შეჩერდა და მხოლოდ 1945 წლის შემდეგ ჩატარდა.

კონსტიტუციის ისტორიის პერსპექტივიდან საინტერესოა, რომ ამ პროცესის დასაწყისში ბურჟუაზიულ ბანაკში მართლაც იყო მცდელობები, გვერდი აეღოთ პარლამენტში საჭირო ორი მესამედის უმრავლესობისთვის. ამ მიზნით, ცდილობდნენ პლებისციტური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას. სწორედ აქ ერთვება ჰანს კელზენი: ავსტრიის ფედერალური საკონსტიტუციო კანონი ავსტრიას ამკვიდრებს, როგორც საპარლამენტო, ანუ წარმომადგენლობით დემოკრატიას. პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტები: სახალხო ხმის მიცემა, სახალხო ინიციატივა, საჯარო კონსულტაცია, აშკარად ურთიერთშემავსებელია³⁵. რეფერენდუმთან დაკავშირებით (ფედერალური საკონსტიტუციო კანონი, მუხლი 43-ე) არსებობდა მკაფიო პოლიტიკური ნება, რომელიც კომენტატორებმა შემდეგნაირად გამოხატეს: „სავალდებულო რეფერენდუმის განსაკუთრებული შეზღუდვა და შესაბამისად, რეფერენდუმის ზოგადი შესუსტება შვეიცარიის გამოცდილებას უკავშირდება. კერძოდ, სახალხო ხმის მიცემის კონსერვატიულმა ტენდენციამ კომიტეტი ამ ინსტიტუტისთვის არც ისე შესაფერისად მიიჩნია. ამას ემატებოდა სწრაფი საკანონმდებლო პროცესის აუცილებლობა, როგორც ეს თანამედროვე ეპოქაშია საჭირო. მიზანი იყო, რომ სახალხო ხმის მიცემასთან აუცილებლად დაკავშირებული შემაფერხებელი ელემენტისთვის დიდი თავისუფლება არ მიეცათ“³⁶. ასე რომ, სწორედ სოციალ-დემოკრატები იყვნენ ისინი, ვისაც ეს არ სურდათ.

კელზენი, რომელიც თეორიულად ანალიზებდა და იცავდა საპარლამენტო დემოკრატიას საკონსტიტუციო თვალსაზრისით³⁷, არავითარ შემთხვევაში არ იყო პლებისციტური ელემენტების მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო წარმომადგენლობა ფიქტიური ხასიათისაა, რასაც თავად უსვამდა ხაზს. ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ მან „ძალიან მისასალმებელი“ უწოდა ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 1929 წლის შესწორების შესახებ მთავრობის კანონპროექტის იმ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მარტივი ფედერალური კანონების მიღების შემთხვევაში, რეფე-

³⁵ შეადარე, *Kelsen/Froehlich/Merkl*, Die Verfassungsgesetze der Republik Österreich, 5. Teil: რეფერენდუმები არის საშუალება, რომლითაც საპარლამენტო დემოკრატია „ჩვეულებრივ, პირდაპირი დემოკრატიის ფორმებს უახლოვდება“.

³⁶ შეადარე, *Kelsen/Froehlich/Merkl*, Die Verfassungsgesetze der Republik Österreich, 5. Teil, 121.

³⁷ შეადარე, *Kelsen*, Vom Wesen und Wert der Demokratie.

რენდუმი უნდა ჩატარებულიყო 200 000 ამომრჩევლის მიერ მხარდაჭერილი სახალხო ინიციატივის საფუძველზე, თუ ეროვნული საბჭო მას არ გაითვალისწინებდა³⁸. მას ნაკლებად ესმოდა სოციალ-დემოკრატების უნდობლობა. 1920 წელს დაკავშირებით ის წერს კიდევ, რომ სოციალ-დემოკრატებმა უცნაურად გადაწყვიტეს არაპირდაპირი დემოკრატიის სასარგებლოდ და შესაბამისად, პირდაპირი დემოკრატიის წინააღმდეგ³⁹.

თუმცა, 1929 წლის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის სამთავრობო პროექტი შეიცავდა მეორე, გაცილებით მნიშვნელოვან პლემბისციტურ სიახლეს. ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა შეცვლილიყო ისე, რომ ფედერალური კონსტიტუციის შესწორების შესახებ საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც ვერ მიიღებდა ეროვნულ საბჭოში ორი მესამედის უმრავლესობას, დაექვემდებარებოდა სახალხო კენჭისყრას. თუ ამ კენჭისყრას უპირობო უმრავლესობა ეყოლებოდა, საკანონმდებლო წინადადება გამოქვეყნდებოდა, როგორც ფედერალური საკონსტიტუციო კანონი⁴⁰. ეს გეგმა მიმართული იყო სოციალ-დემოკრატების საკონსტიტუციო ბლოკირების მომხრე უმცირესობის წინააღმდეგ. არსებითად, ის ფოკუსირებული იყო ვენის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს, დამოუკიდებლობაზე⁴¹. კელზენმა კატეგორიულად უარყო ეს კონცეფცია⁴². ის არაერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სოციალ-დემოკრატები – 1920 წლის გარშემო არსებული პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით – შეძლებდნენ, მაგალითად, კერძო საკუთრების გაუქმებას. კელზენი ბურჟუაზიულ მხარეს აფრთხილებდა და აღნიშნავდა, რომ ფედერალური მთავრობის კონცეფცია ასევე ნიშნავდა „ფედერალური კონსტიტუციის სრულ ცვლილებას (მუხლი 44, პუნქტი 2 [დღეს: პუნქტი 3])“. საბოლოო ჯამში, არცერთი ცვლილება არ გახდა პოზიტიური კონსტიტუციური კანონი.

³⁸ § 23 der RV 382 der Blg. Sten. Prot. NR, III. GP (abgedruckt bei *Berchtold*, *Verfassungsgeschichte* 285 und dazu *Kelsen*, *Die Verfassungsreform*, JBI. 1929, 446 [448]).

³⁹ შეადარე, *Kelsen*, *Die Verfassungskrisis in Österreich*, *Frankfurter Zeitung* vom Oktober 1929.

⁴⁰ § 23 der RV (bei *Berchtold*, *Verfassungsgeschichte*, 287).

⁴¹ შეადარე, *Berchtold*, *Verfassungsgeschichte*, 537.

⁴² *Kelsen*, *Verfassungsreform*, 447: „Diktatur der Majorität!“ und *Kelsen*, *Der Drang zur Verfassungsreform*, *Neue Freie Presse* vom 6. Oktober 1929.

VI. დასკვნა

1945 წლის შემდეგ, კელზენის ავსტრიაში დაბრუნების შესაძლებლობა უგულვებელყოფილი იქნა და მისი ძველ სამშობლოში ვიზიტები იშვიათი გახდა. თუმცა, მის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შემდეგ, კონსტიტუცია საოცრად მდგრადი და ეფექტიანი აღმოჩნდა. 2003-2005 წლებში საკონსტიტუციო რეფორმის წარუმატებლობის შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩვენი ქვეყანა ახალ კონსტიტუციას მიიღებს. ავტორის აზრით, ეს კარგია; უფრო მეტიც, ადვილად მისაღწევი კონსტიტუციური უმრავლესობის დრო დასრულდა.

ასე რომ, ეს, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს დარჩება ამგვარად: ავსტრიაში ყველა, ვინც კონსტიტუციაზე საუბრობს, კელზენს მოიაზრებს და ყველა, ვინც კელზენზე საუბრობს, „კელზენისეულ კონსტიტუციას“ გულისხმობს.

ლიტერატურა

- Klaus *Berchtold*, Verfassungsgeschichte der Republik Österreich I: 1918-1933. Fünfzehn Jahre Verfassungskampf (Wien/New York 1998).
- Gerhard *Botz*, Faschismus und „Ständestaat“ vor und nach dem „12. Februar 1934, in: Erich Fröschl/Helge *Zoitl* (Hrsg.), Februar 1934 (1984) 311-321).
- Hans Kelsen-Institut, Nachlass Hans Kelsen, Schachtel 21ag. 71.
- Hans Kelsen-Institut, Schachtel 16e12. 61.
- Clemens *Jabloner*, Gefühlsrecht? in FS 150 Jahre Wiener Juristische Gesellschaft (2017) 155 (161).
- Georg Jellinek, Ein Verfassungsgerichtshof für Österreich (Wien 1885).
- Hans *Kelsen*/Georg *Froehlich*|Adolf *Merkel*, Die Verfassungsgesetze der Republik Österreich, 5. Teil: Die Bundesverfassung vom 1. Oktober 1920 (Wien/Leipzig 1922).
- Hans *Kelsen*, Reichsgesetz und Landesgesetz nach österreichischer Verfassung, Archiv des öffentlichen Rechts 32 (1914) 202-254, 390-438.
- Hans *Kelsen*, Österreich als Bundesstaat, in: Österreichische Rundschau 18 (1922) 421-430.
- Hans *Kelsen*, Vorwort, in: Hans *Kelsen*/Georg *Froehlich*/Adolf *Merkel*, Die Verfassungsgesetze der Republik Österreich, 5. Teil (1922) VI.
- Hans *Kelsen*, Die Verfassung Österreichs, Jahrbuch des öffentlichen Rechts 1923/24, 126 und 1927/28, 51.
- Hans *Kelsen*, Die Unzufriedenheit mit dem Wahlrecht, in: NFP Nr. 22088 v. 12. 3. 1926, 1-2.
- Hans *Kelsen*, Die Bundesexekution, in: Festgabe für Fritz Fleiner (1927) 127-187.
- Hans *Kelsen*, Die staatsrechtliche Durchführung des Anschlusses Österreichs an das Deutsche Reich, ZÖR 6 (1927), 329-352.
- Hans *Kelsen*, Die Entwicklung des Staatsrechts in Oesterreich seit dem Jahre 1918, in: Gerhard Anschütz/Richard Thoma (Hgg.), Handbuch des Deutschen Staatsrechts (Tübingen 1929), 147-165.
- Hans *Kelsen*, Die Verfassungsreform, JBI 58 (1929) 445-457.
- Hans *Kelsen*, Vom Wesen und Wert der Demokratie (1920, zweite Auflage 1929).
- Hans *Kelsen*, Der Drang zur Verfassungsreform. Eine Folge der politischen Machtverschiebung, NFP Nr. 23370 v. 6. 10. 1929, 6-7.

- Hans *Kelsen*, Die Verfassungskrisis in Osterreich, Frankfurter Zeitung vom 6. Oktober 1929.
- Hans *Kelsen*, Die Verfassungsreform, JBI 58 (1929), 445-457.
- Hans *Kelsens* Gutachten zur Verfassungsgerichtsbarkeit „Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit“ – VVDtSTRL 1929, 30.
- Hans *Kelsen*, Geschworenengerichte und Demokratie. Das Prinzip der Legalität, Neue Freie Presse vom 3. Februar 1929.
- Hans *Kelsen*, Reine Rechtslehre. Einleitung in die rechtswissenschaftliche Problematik (Leipzig/Wien 1934).
- Hans *Kelsen*, Der Richter und die Verfassung, in: Das Recht der Arbeit 12 (1962), 289-294.
- Adolf Merkl, Die Unabänderlichkeit von Gesetzen – ein normlogisches Prinzip. Eine Erwiderung an Herrn Prof. Dr. Weyr, JBI (1917), 97, 111.
- Rudolf A. Métall, Hans Kelsen. Leben und Werk (Wien 1969).
- Christian *Neschwara*, Hans Kelsen und das Problem der Dispensehen, in: Robert *Walter*/Werner *Ogris*/Thomas *Olechowski* (Hrsg.), Hans Kelsen: Leben – Werk – Wirksamkeit (= Schriftenreihe des HKI 3 1, Wien 2009), 249.
- Thomas *Olechowski*, Der Beitrag Hans Kelsens zur österreichischen Bundesverfassung, in: Robert *Walter*/Werner *Ogris*/Thomas *Olechowski* (Hrsg.), Hans Kelsen: Leben – Werk – Wirksamkeit (= Schriftenreihe des HKI 31, Wien 2009), 211.
- Thomas *Olechowski*, Kelsens Unzufriedenheit mit dem Wahlrecht, Die Presse vom 11. März 2012.
- Georg *Petschek*, Indirekter Kompetenzkonflikt und Bindungskonflikt, in: Zentralblatt für die juristische Praxis 47 (1929), 349.
- Magdalena Pöschl, Gleichheit vor dem Gesetz (2008).
- Markus *Vašek*, Unabänderliches Verfassungsrecht und Revisionsstrahlen in der österreichischen Bundesverfassung (2013).
- Alfred *Verdross*, Die Neuordnung der gemeinsamen Waffen und Fahnen in ihrer Bedeutung für die rechtliche Gestalt der österreichisch-ungarischen Monarchie, JBI 45 (1916), 121-123, 134-137.
- Alfred *Verdross*, Zum Problem der Rechtsunterworfenheit des Gesetzgebers, JBI 45 (1916), 479, 483.
- Robert *Walter*, Das Auslegungsproblem im Lichte der Reinen Rechtslehre, in: FS Klug (1983), 187.

Robert *Walter*, Die Vertretung des Bundespräsidenten im Lichte eines Vorschlags Kelsens zur Novellierung des Bundes-Verfassungsgesetzes, in: FS Loebenstein (1991), 165.

Robert *Walter*, Hans Kelsen als Verfassungsrichter (2005).

Franz *Weyr*, Rahmengesetze (1913).

Franz *Weyr*, Zur Frage der Unabänderlichkeit von Rechtssätzen, JBI (1916), 387.

Ewald *Wiederin*, Kelsen als praktischer Verfassungsrichter, in: Nikita Aliprantis/Thomas *Olechowski* (Hrsg.), Hans Kelsen: Die Aktualität eines großen Rechtswissenschaftlers und Soziologen des 20. Jahrhunderts, Schriftenreihe des HKI 36, Wien, 2014, 109.

დაკავალმონება
ნანა ღუმბაძისა
ტიქნიკური რედაქტორი
რევაზ პერულავა
ღიზინი
თაფუნა მჭავანაძისა

ქართული და უცხოენოვანი მასალის
რედაქტირებას უზრუნველყოფენ
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თანამგრომლები
ნინო მინდიაშვილი
თამარ დოლიძე
ნათია ვასაძე
ანი ზონდარენკო



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

